

ამირან გიგუაშვილი

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების  
შეზღუდვა პოლიტიკური ნიშნით

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2021

ამირან გიგუაშვილი  
თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების  
შეზღუდვა პოლიტიკური ნიშნით

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი, 2021

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამა  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახი ყურაშვილი, პროფესორი

## სარჩევი

შემოკლებანი:.....	VI
I. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განმარტება.....	10
1. თავისუფლების უფლება და დისკრიმინაციული საფუძვლებით მისი შეზღუდვის აკრძალვის ისტორიული საწყისები.....	12
2. პოლიტიკური თავისუფლება, როგორც გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილი და მისი დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები ..	15
3. თავისუფლების, თანასწორობის და ხელშეუხებლობის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით.....	23
4. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ცნება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში .....	34
4.1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი როლი დემოკრატიული ფასეულობების განვითარებაში.....	34
4.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი და მისი მნიშვნელობა პოლიტიკური თავისუფლების კონტექსტში .....	42
4.3. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის ურთიერთმიმართება.....	47
შუალედური დასკვნა .....	50
II. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის ცნება და მისი პრევენციის მექანიზმები .....	54
1. პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ცნების განსაზღვრის აუცილებლობა .....	57
2. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის ცნების საერთაშორისოდ აღიარებული ელემენტები .....	61
3. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვისა და პირის შესაძლო დამნაშავეობის საკითხის ურთიერთმიმართება .....	69
4. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების, როგორც საერთაშორისო სავალდებულო სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნის მიზანშეწონილობა და შესაძლებლობა .....	71
5. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის სავარაუდო ფაქტები საქართველოში .....	78
6. პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის პრევენციული მექანიზმები ეროვნულ კანონმდებლობაში.....	88
შუალედური დასკვნა .....	97
III. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის თავისებურებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე.....	102

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თავისებურებები პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ მიმდინარე იმ საქმეებზე, სადაც არსებობს პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვის ეჭვი.....	102
1.1.ზოგადად წამების აკრძალვის თაობაზე .....	104
1.2.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები წამების აკრძალვის ჭრილში პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში .....	112
1.2.1.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა წამების აკრძალვის ჭრილში, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში .....	112
1.2.2.შემაჯამებელი მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესახებ წამების აკრძალვის ჭრილში, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში.....	119
1.3.თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ეჭვის მქონე დავებში .....	121
1.3.1.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესახებ თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ჭრილში, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში .....	121
1.3.2.შემაჯამებელი მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესახებ თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ჭრილში, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში .....	132
1.4.უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები.....	134
1.4.1.უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში .....	135
1.4.2.შემაჯამებელი მსჯელობა უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლების შესახებ პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში .....	149
2. პოლიტიკური კონტექსტის ეჭვის მქონე საქმეების თავისებურებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე.....	151
2.1 წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული თავისებურებები .....	152
2.2. წინასწარი პატიმრობის შეფარდების დასაბუთებასთან დაკავშირებული თავისებურებები .....	161
2.3 დაკავების კანონიერების სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული თავისებურებები .....	171
2.4 კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული თავისებურებები თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ჭრილში ევროპულ სასამართლოში საქმეზე: „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ .....	174
შუალედური დასკვნა .....	178
IV. პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაზეზღუდულ პირთა რეპარაციის მექანიზმები .....	185
1. პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის განსაზღვრება და რეპარაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკომენდაციები .....	188
1.1. ამნისტია, როგორც პასუხისმგებლობის არსებობის პრეზუმფცია.....	188

1.2. პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის პრინციპები .....	191
1.3. პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მექანიზმების შემომუშავებელი ორგანოები სხვადასხვა ქვეყანაში .....	195
1.4 რეპარაციის საერთაშორისოდ აღიარებული ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმები .....	201
2.საქართველოში პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაშზღუდულ პირთა რეპარაციის მექანიზმების შემოღების აუცილებლობა და არსებული მექანიზმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.....	206
2.1. საქართველოში პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მექანიზმების შემოღების აუცილებლობა .....	206
2.2. პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის არსებული მექანიზმები ეროვნულ კანონმდებლობაში.....	208
შუალედური დასკვნა .....	219
შემაჯამებელი დასკვნა .....	221
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა: .....	230

## შემოკლებანი

ქართულ ენაზე:

ა.შ. - ასე შემდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

არგენტინა – არგენტინის რესპუბლიკა

აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები

გაერთიანებული სამეფო – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გერმანია – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ე.ი. – ესე იგი

ე.წ. – ეგრეთ წოდებული

ევროკავშირი – ევროპის კავშირი

ევროსაბჭო – ევროპის საბჭო

ევროსასამართლო – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ელვერსია – ელექტრონული ვერსია

ესპანეთი – ესპანეთის სამეფო

იხ. – იხილეთ

ლიბერია – ლიბერიის რესპუბლიკა

მაგ., – მაგალითად

რედ. – რედაქტორი

რუანდა – რუანდის რესპუბლიკა

რუსეთი – რუსეთის ფედერაცია

სამხრეთი აფრიკა – სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა

სასდ. – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საფრანგეთი – საფრანგეთის რესპუბლიკა

სპუ – საქართველოს პარლამენტის უწყებანი

სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი

სსმ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე  
სსსკ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი  
ურუგვაი – ურუგვაის რესპუბლიკა  
შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

უცხო ენაზე:

Belgium – Kingdom of Belgium

ECHR – European Court of Human Rights

Ed. – Edition

France – French Republic

Moldova – Republic of Moldova

N. – Number

No. – Number

Nos – Numbers

Poland – Republic of Poland

Spain – Kingdom of Spain

Turkey – Republic of Turkey

UK – The United Kingdom of Great Britain and Northern Ireland

V. – Versus

Vol. – Volume

Ibid - ibīdem

## შესავალი

ძველბერძნულ ფილოსოფიაში ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვა დემოკრატიის უცილობელ კომპონენტად განიხილება.<sup>1</sup> მიუხედავად მათი განსხვავებული ფილოსოფიური მეთოდისა, თუ მართებული პოლიტიკის არსის მიგნებებისა, როგორც პლატონი, ისე არისტოტელე, თანხმდებოდნენ დემოკრატიის მისაღწევად სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვის აუცილებლობაზე<sup>2</sup>. ამ აღქმით, სწორედ ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ნეგატიური თვალსაზრისით შეზღუდვის შედეგად მიიღწევა ლიბერალური, დემოკრატიული სახელმწიფო<sup>3</sup>. ამავდროულად, ციცერონს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, არა მხოლოდ არ ჩაერიოს, არამედ, პოზიტიური თვალსაზრისით, თავად უზრუნველყოს ადამიანთა შორის სამართლიანობისა და საერთო სიკეთეთა განაწილება<sup>4</sup>. შესაბამისად, ადამიანის უფლებები წარმოადგენს სახელმწიფოს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ კონტექსტში მზლუდავ იმ სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც ადგენს პიროვნებისათვის დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანური ცხოვრების აუცილებელ გარანტიებს<sup>5</sup>.

ადამიანის უფლებები წარმოადგენს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომელთა მიზანი ნეგატიური შედეგის თავიდან აცილება

---

<sup>1</sup> David Sollenberger, “Plato and Aristotle on the Limited Polis” (APSA 2012 Annual Meeting Paper (2012)): 2-3. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2105415>.

<sup>2</sup> Ibid.

<sup>3</sup> Lenn E. Goodman and Talisse, Robert B., “Introduction”. In *Aristotle's Politics Today*, edited by Lenn E. Goodman and Robert B. Talisse, 1-13. (New York: State University of New York Press, 2008), 33.

<sup>4</sup> Mortimer Newlin Stead Sellers. “The Influence on Marcus Tullius Cicero on Modern Legal and Political Ideas” (*Ciceroniana, the Atti of Colloquium Tullianum Anni, MMVIII* (February 20, 2009)): 6. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1354102>.

<sup>5</sup> United Nations, *Economic, Social and Cultural Rights: Handbook for National Human Rights Institutions* (Professional Training Series), (New York and Geneva: United Nations Publication, 2005): 1.



უფროა, ვიდრე საუკეთესოს მიღწევა<sup>6</sup>. ამასთანავე, ადამიანის უფლებები, როგორც მინიმალური სტანდარტები, ღიად ტოვებენ სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხების უმეტესობას, რათა ადგილობრივ დონეზე ლოკალური კულტურული თავისებურებების ფარგლებში დარჩეს საკმაო სივრცე დემოკრატიულ გადაწყვეტილებათა მისაღებად<sup>7</sup>. ერთი იურისდიქციიდან მეორეში ნორმის გადმოტანა არის არათუ შესაძლებელი, არამედ კონკრეტულ ვითარებაში სავალდებულო, აუცილებელი ღონისძიება<sup>8</sup>. თუნდაც, როდესაც სხვადასხვა მასშტაბური სოციალური ცვლილების გამო აუცილებელია ისტორიული გამოცდილების მქონე მართლწესრიგიდან ნორმატიული დებულებების, პრინციპების, ინსტიტუტების გადმონერგვა და მათი ასიმილირება ადგილობრივ სივრცეში<sup>9</sup>. ნორმის გადმოტანა არ უნდა იქნეს დაყვანილი ფაქტობრივად მექანიკურ პროცესამდე, სადაც საზოგადოებრივ გარემოს არანაირი ყურადღება არ ექცევა<sup>10</sup>. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება იმ სფეროებს, სადაც სამართალი მჭიდროდაა შეკავშირებული ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციული მახასიათებლების ზემოქმედებით<sup>11</sup>.

სამართლიანობისა და დემოკრატიის ურთიერთკავშირი ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე მეხუთე საუკუნეში პლატონის შრომათა ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენდა<sup>12</sup>. ინდივიდსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ფორმათა ძიება ათასწლეულების გან-

---

<sup>6</sup> მალხაზ ნარიდოშვილი, ადამიანის უფლებები. რედ. გიორგი მელაძე (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005), 9.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> ბრეგვაძე, ლაშა. აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია: სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. 381.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე, 380.

<sup>11</sup> იქვე, 295.

<sup>12</sup> Daniela Cammack, Plato and Athenian Justice. History of Political Thought XXXVI No. 4 (Winter 2015): 612 Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2220867> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2220867>.

მავლობაში მიმდინარეობს<sup>13</sup> თუმცა, ასეთი ხანგრძლივი და შთამბეჭდავი ისტორიული გამოცდილების, თუ ფილოსოფიური და მეცნიერული ანალიზის მიუხედავად, პოლიტიკური უფლებების რეალიზაციისას ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ნეგატიურ და პოზიტიურ კონტექსტში შეზღუდვა და, შესაბამისად, მისი შესწავლა დღემდე უაღრესად აქტუალურია. აღნიშნულის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ადამიანის უფლებათა არასტატიკურობაა. კერძოდ, იგი არ წარმოადგენს განსაზღვრებას, რომელიც მუდმივად მყარია და არ იცვლება. პირიქით, ეს უფლებები მუდმივად ფართოვდება, ღრმავდება, რასაც თან სდევს მათი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების პროგრესი. ამ თვალსაზრისით, უმთავრესი გარანტი კონსტიტუციური წესრიგის მქონე ქვეყნებში და, ცხადია, მათ შორის, საქართველოშიც, ქვეყნის ძირითადი კანონია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში აღნიშნულია, რომ „კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც აფუძნებს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ცოცხალი ორგანიზმია. ისეთი სამართლებრივი მოცემულობა, რომელიც მუდამ ვითარდება ქვეყანაში არსებული რეალობისა და გამოწვევების, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებისა და ტენდენციების შესაბამისად“<sup>14</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება თანხვედრაშია საკონსტიტუციო სამართლის ისტორიულ განვითარებასთანაც, ვინაიდან კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის ფუნდამენტური კანონი, კეთილდღეობისა და ადამიანური სამართლიანობის ურთიერთჭიდილის შედეგად ყოველდღიურ ცვლილებებს განიცდის<sup>15</sup>.

<sup>13</sup> მალხაზ ნარიდოშვილი, ადამიანის უფლებები. რედ. გიორგი მელაძე (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005), 17.

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება „საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40.

<sup>15</sup> Dinah L. Shelton, “An Introduction to the History of International Human Rights Law” (GWU Legal Studies Research Paper No. 346; GWU Law School Public Law Research

ადამიანის უფლებები მიჩნეულ უნდა იქნეს თავისუფლების კონკრეტულ-ისტორიული საფეხურების ყველაზე დახვეწილ სამართლებრივ ფორმად. ყველა ადამიანი ფლობს თანდაყოლილ განუსხვისებელ უფლებას მატერიალურ თუ სულიერ სიკეთეთა განსაზღვრულ მოცულობაზე, რომელთა უზრუნველყოფასაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებამ და სახელმწიფომ<sup>16</sup>.

თავის მხრივ, პოლიტიკური უფლებები ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა სხვა ძირითად უფლებებს შორის. თავისი თაობის გამორჩეული პოლიტიკური მოაზროვნე და აშშ-ის დამფუძნებელ მამათაგან ერთ-ერთი, ჯეიმზ მედისონი დემოკრატიის ქვაკუთხედად პოლიტიკაზე მოსახლეობის თანაბარ წვდომას მიიჩნევდა<sup>17</sup>. სწორედ აღნიშნულ კონცეფციას ემყარება აშშ-ის კონსტიტუციის პირველი სიტყვები – ხელისუფლების შექმნა ხალხის მიერ და არა მისგან დამოუკიდებლად<sup>18</sup>. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზეც, რომლის დასაწყისიც (ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი) ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს იდეას მოიაზრებს<sup>19</sup>. ამავე თვალსაზრისს ემყარება ჯონ ლოკისეული შეხედულებები პოლიტიკური უფლებების თანაბარი პრაქტიკული რეალიზებით საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში ხალხის

---

Paper No. 346): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1010489> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1010489>, 1.

<sup>16</sup> მალხაზ ნარიდოშვილი, ადამიანის უფლებები. რედ. გიორგი მელაძე (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005), 17.

<sup>17</sup> Larry Kramer, “The Interest of the Man: James Madison, Popular Constitutionalism, and the Theory of Deliberative Democracy”. Stanford Public Law Working Paper. No. 938721 (2006): 9. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=938721> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.938721>.

<sup>18</sup> Don L. Doernberg, “‘We the People’: John Locke, Collective Constitutional Rights, and Standing to Challenge Government Action”. California Law Review, Vol. 73, No. 1, (1985): 52 Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1135789>.

<sup>19</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ., 31-33, 24/08/1995), პრეამბულა. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

მონაწილეობის თაობაზე<sup>20</sup>. დემოკრატიის ამგვარი კლასიკური გაგება განმტკიცებული ადმინანის უფლებათა ევროპული კონვენციითაც<sup>21</sup>.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ერაში, ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა, სულ უფრო მეტი ადამიანი მოაქცია ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის ფარგლებში. აღნიშნული, თავის მხრივ, გავლენას ახდენს, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქეთა რიცხვის ზრდაზე, ისე საინფორმაციო წყაროთა მკვეთრ დივერსიფიცირებაზე. მოქალაქეთა ჩართულობა გლობალურ პოლიტიკაში თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად იქცა<sup>22</sup>.

ზემოაღნიშნული მიზეზებით, არადემოკრატიული ან ნაკლებად დემოკრატიული სახელმწიფოების ლიდერებისათვის სულ უფრო რთული ხდება მარტოდენ საინფორმაციო საშუალებების მონოპოლიზებითა თუ არჩევნების შედეგებზე პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების გზით ძალაუფლების შენარჩუნება. დემოკრატიის უზოგადესი გაგება, როგორც ძველბერძნულ ფილოსოფიაში, ისე აშშ-ის დამფუძნებელი მამების, მათ შორის, თომას ჯეფერსონისეული შეფასებით, ეფუძნება პირთა განსაზღვრული წრის მიერ სათანადო წესით მიღებული კანონების შესაბამისად მმართველობას<sup>23</sup>. თავის მხრივ, ფსევდოდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები კანონების მეშვეობით ახდენენ პოლიტიკური პლურალიზმის დეკლარირებას, ვინაიდან საკანონმდებლო დონეზე პრაქტიკულად შეუძ-

---

<sup>20</sup> Don L. Doernberg, "We the People!: John Locke, Collective Constitutional Rights, and Standing to Challenge Government Action". *California Law Review*, Vol. 73, No. 1, (1985): 52 Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1135789>.

<sup>21</sup> Rory O'Connell, "Realising Political Equality: The European Court of Human Rights and Positive Obligations in a Democracy". *Northern Ireland Legal Quarterly*, Vol. 61, No. 3, (2010): 263. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1671615>.

<sup>22</sup> Edy Kaufman, "Prisoners of Conscience: The Shaping of a New Human Rights Concept". *Human Rights Quarterly*, Vol. 13, Issue 3 (1991): 339.

<sup>23</sup> Lenn E. Goodman and Talisse, Robert B., "Introduction". In *Aristotle's Politics Today*, edited by Lenn E. Goodman and Robert B. Talisse, 1-13. (New York: State University of New York Press, 2008), 41.

ლებელია მშვიდობიანი პოლიტიკური აქტივობის კრიმინალიზაცია-<sup>24</sup>. თუმცა, სამართალგამოყენებითი პრაქტიკა რადიკალურად განსხვავდება დეკლარირებული პრინციპებისაგან. ტოტალიტარული რეჟიმის სათავეში მოქცეული დიქტატორები თავისუფლების შეზღუდვის პოლიტიკურ მოტივს ნიღბავენ სხვადასხვა ზოგადი, კანონით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ინკრიმინაციით<sup>25</sup>. ძირითად შემთხვევებში, სახეზეა იმგვარი დანაშაულის შერაცხვა, რომლის ჩადენასაც ადგილი საერთოდ არ ჰქონია, ან დარღვეულია სამართალწარმოების ფორმალური მოთხოვნები. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებული უფლებებისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართალგამოყენებითი პრაქტიკა და კანონის უზენაესობა, რომელზეც დიდწილადაა დამოკიდებული უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტი<sup>26</sup>.

საქართველომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ინსტიტუციური დემოკრატიის ჩამოყალიბების გზაზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესი საქართველოში შეუქცევად ხასიათს იღებს, მაინც ხშირია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა ხელყოფის შემთხვევები და ჯერაც არასრულყოფილია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებული ადამიანის უფლებების დამცავი გარანტიები<sup>27</sup>. აღნიშნულის ფაქტობრივი დადასტურებაა, როგორც ნაციონალური ხელისუფლების

---

<sup>24</sup> საქართველოს სახალხო დამცველი. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2008 წლის პირველი ნახევარი“, 16. ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/1BIXIPKQaeHyML-yfUQbxxRg31Oh07NJA/view>. [20.08.2020].

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> Randall Peerenboom, “Human Rights and Rule of Law: What's the Relationship?” (Georgetown Journal of International Law, Vol. 36, (2005)): 4. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=816024>.

<sup>27</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 229.

დროს ევროსასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სხვადასხვა გახმაურებულ საქმეებზე<sup>28</sup>, რომლებშიც აქცენტები გაკეთებულია პოლიტიკურ თუ სხვა არასამართლებრივ მოტივებზე, ისე ამავე სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ხაზს უსვამს უკვე მოქმედი ხელისუფლების პირობებში, ნაციონალური ხელისუფლების ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ნაცვლად, სხვა არასამართლებრივი ინტერესების შესაძლო არსებობაზე<sup>29</sup>.

წინამდებარე დისერტაციის კვლევის საგანია პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის სამართლებრივი თავისებურებების იდენტიფიცირება, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით აერთიანებს და ნიშანსვეტად გასდევს ასეთ საქმეებს. ასეთი კვლევის აქტუალურობა პოლიტიკური საფუძვლით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის გამოყენების სამართლებრივი თავისებურებების შესწავლის აუცილებლობიდან მომდინარეობს, რაც შესაძლებელს გახდის სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას ქართულ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეალობაში აღნიშნული საკითხის მოწესრიგების და გაუმჯობესების მიზნით. შედეგად, მიღწეული იქნება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ამოცანა – დისერტაციაში წარმოდგენილი რეკომენდაციების ყოველდღიურობაში დანერგვის შემთხვევაში, მოხდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი სტანდარტების დამკვიდრება დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მიზნის, ევროპული ინტეგრაციის მიღწევის საქმეში.

ზემოაღნიშნული თემატიკის ფარგლებში, წინამდებარე დისერტაცია წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას, საერთაშორისო რეკომენდაციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მოხდეს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის სამა-

---

<sup>28</sup> იხ. მაგ., *Enukidze and Girgvliani v. Georgia* (Application no. 25091/07), ECHR 26 April 2011.

<sup>29</sup> იხ. მაგ., *Merabisvhili v. Georgia* (no. 72508/13), ECHR 28 November 2017.

რთლებრივი თავისებურებების განსაზღვრა, როდესაც ამგვარ ხელყოფას საფუძვლად პოლიტიკური მოტივაცია გააჩნია. ასევე, ევროსასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილი იქნება კონკრეტული რეკომენდაციები ეროვნულ კანონმდებლობაში პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის პრევენციის თანამედროვე მექანიზმების იმპლემენტაციისათვის. ნაშრომში ასევე მიზნადაა დასახული პოლიტიკური მოტივაციით პატიმრობის შეფარდების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნის მიზანშეწონილობის შესწავლა და კონკრეტული რეკომენდაციების წარმოდგენა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია ევროპულ სივრცეში. სწორედ აღნიშნული კონვენცია განამტკიცებს რეგიონულ დონეზე თავისუფლებისა და თანასწორობის უმნიშვნელოვანეს უფლებებს. ევროსასამართლომ უარყო კონვენციის სტატიკური, ისტორიული განმარტების იდეა<sup>30</sup>. შესაბამისად, ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ კონცეფციებს ევროსასამართლო იმ მნიშვნელობით განმარტავს, რაც ასახავს ევროპული საზოგადოების დღევანდელ განვითარებას და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც კონვენციის მიღების დროს არსებობდა<sup>31</sup>. წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებშიც, უმეტესწილად, სწორედ აღნიშნული კონვენციით დაცული უფლებების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების განზოგადების შედეგად მოხდება პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვის თავისებურებების იდენტიფიცირება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, მოხედეს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკუ-

---

<sup>30</sup>კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში (თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელვერსია, 2002), 170.

<sup>31</sup> იქვე.

რი ნიშნით შეზღუდვის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმების განსაზღვრა არსებულ რეალობაში.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილებისგან, სადაც შესავალი ეთმობა სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგნის, მისი აქტუალობის, დასახული ამოცანისა და გამოყენებული მეთოდის განხილვას.

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილი იქნება თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებული მსჯელობა და ამ მსჯელობის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხები შემდგომში ძირითად ნიშანსვეტად გაჰყვება დანარჩენ თავებს.

ნაშრომის მეორე თავის შესწავლის საგანია პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ცნებისა და მისი პრევენციის მექანიზმების შესწავლა. კერძოდ, წარმოჩინებული იქნება ისეთი აქტუალური საკითხი, როგორცაა პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვის ცნების განსაზღვრის აუცილებლობა და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს, როგორც პრევენციული სამართლებრივი ინსტრუმენტის, შექმნის მიზანშეწონილობა. იდენტიფიცირებული იქნება უშუალოდ აღნიშნული ცნების ცალკეული ელემენტები ქართულ და საერთაშორისო პრაქტიკაში.

მესამე თავი ეთმობა ევროსასამართლოში პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვის კონტექსტის მქონე საქმეების თავისებურებების შესწავლას თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების და წამების აკრძალვის ჭრილში. აღნიშნულ კონტექსტში გაანალიზებულია ის საქმეები, რომლებიც მიმდინარეობს ან მიმდინარეობდა საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ. აქვე, განხილული იქნება აღნიშნული უფლებების შეზღუდვის ფარგლების დარღვევის და განსაზღვრის კრიტერიუმები. ამავე თავის მიზანს წარმოადგენს იდენტიფიცირებული თავისებურებების შედეგად, შემდგომი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, სათანადო რეკომენდაციების შემოთავაზება.

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავი ეთმობა პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მექანიზმების შესწავლას. ნა-



შრომის ამ ნაწილში შესწავლილია პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის შემოღების აუცილებლობის საკითხი და რეპარაციის ცალკეული ინსტრუმენტები, საუკეთესო საერთაშორისო და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნითი ნაწილი დაეთმობა თეზისების სახით ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეული ძირითადი საკითხების ილუსტრირებას და მათ შეჯამებას.

### **I. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განმარტება**

„თავად ბუნებით სამართალს, მისი ხელშეუხებელი, შეუზღუდავი და უპირობო უფლებამოსილებით არ შესწევს უნარი, მოგვცეს ფუნქციონირებისათვის ვარგისი, ე.ი. განჭვრეტადი გადაწყვეტილება. ამისათვის საჭიროა, განისაზღვროს ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ“<sup>32</sup>. პროფესორ ა. შაიოს ზემოაღნიშნული მოსაზრება კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას საკანონმდებლო და სამართალშემოქმედებით პროცესში. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ხდება სრულიად ახალი კანონის მიღება, რომელსაც კიდევ უფრო მაღალ რანგში აჰყავს ადამიანის ბუნებით მინიჭებული უფლების დაცვა.

რენესანსის ეპოქის იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნე და ჰუმანისტი ნიკოლო მაკიაველი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი ტიპის მმართველობას, კერძოდ: 1) ექსტრაორდინარული მოდელი, ქაოსსა და უწყესრიგობაში, რაც მოქმედ პირებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი სურვილი აუცილებელ ნებად მოახვიონ სხვებს და 2) ნორმალური პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს პირთა მზარდ ჩართულობას სახელმწიფო ურთიერთობებში<sup>33</sup>. იმავე მაკიაველის მიხედვით, ადამიანი პოლისის, ანუ სახელმწიფოს, მიღმა ან ღმერთია, ან კიდევ ცხოველი, ვინაიდან სწორედ ცხოველს არ შესწევს უნარი და გონიერება, დაადგინოს პოლიტიკური და სოციალუ-

<sup>32</sup> ანდრეაშ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. მარინა მაისურამის თარგმანი. რედ. მაია მენაღარიშვილი (თბილისი: სეზანი, 2003), 318.

<sup>33</sup> Mark Philp, *Political Conduct* (Cambridge: Harvard University Press, 2007), 38-39.

რი წესრიგი არსებობისათვის<sup>34</sup>. შესაბამისად, ნორმალური სახელმწიფო მმართველობისას ადამიანის პიროვნულობის განმსაზღვრელი არის სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის შექმნაში მისი პირდაპირი მონაწილეობა, თავისუფლება და კანონის წინაშე თანასწორობა. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღებაა გასამახვილებელი აღნიშნული უფლებების რეალიზებისათვის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების მდგრადობაზე, როგორცაა თავისუფლების შეზღუდვის აკრძალვა, სათანადო საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, მართლწესრიგი და დემოკრატიული საზოგადოება<sup>35</sup>. ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში იქნა აღიარებული, რომ თავისუფლების კონსტიტუცია უმცირესი ცვლილებებითაც კი შეიძლება, გადაიქცეს მონობის კონსტიტუციად<sup>36</sup>. ამავდროულად, პოლიტიკურ მმართველს შესაძლებელია, ჰქონდეს სწრაფვა განუსაზღვრელი ძალაუფლების მიმართ, თუმცა ამ ძალაუფლების ლეგიტიმაციისას ისინი ხშირად სწორედ იმ ნორმათა ტყვეობაში აღმოჩნდებიან, რომელთაც საკუთარი ძალაუფლებისათვის ლეგიტიმური სახის მისაცემად იყენებენ<sup>37</sup>. შესაბამისად, სათანადო ნორმატიულ ბაზას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს განუსაზღვრელი ძალაუფლების შეზღუდვის, დემოკრატიული მმართველობის დამყარებისა და მართლწესრიგის შენარჩუნებისათვის.

წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება სწორედ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებული მსჯელობა და შეფასებული იქნება ნორმაშემოქმედებითი პროცესის ის შედეგები, რომლებიც განამტკიცებენ ზემოაღნიშნულ ფუნდამენტურ უფლებას. აღნიშნული თავის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხები, შემდგომში ძირითად ხაზად გაჰყვება დანარჩენ თავებს. კე-

---

<sup>34</sup> *ibid.* 28.

<sup>35</sup> ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კოსტანტინე კუბლაშვილი და გიორგი ხუბუა. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები (თბილისი: „მერიდიანი“, 2005), 23.

<sup>36</sup> Richard E. Wagner “Richard Epstein’s Classical Liberal Constitution: What might Benjamin Franklin Have Thought?” (George Mason University Department of Economics Working Paper No. 14-03): 2.

<sup>37</sup> Mark Philp, *Political Conduct* (Cambridge: Harvard University Press, 2007), 56.

რძოდ, წინამდებარე თავში გამოკვლეული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება და დისკრიმინაციული საფუძვლებით მისი შეზღუდვის აკრძალვის ისტორიული საწყისები; თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით; უშუალოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არსი და კონვენციით დაცული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება.

### **1. თავისუფლების უფლება და დისკრიმინაციული საფუძვლებით მისი შეზღუდვის აკრძალვის ისტორიული საწყისები**

ტერმინი „თავისუფლება“ შეიძლება, დაიყოს ორ ნაწილად, როგორც „რაიმე თავისუფლება“ და „თავისუფლება რაიმესგან“<sup>38</sup>. „თავისუფლება რაიმესგან“ გულისხმობს ადამიანის დაცულობას დისკრიმინაციისგან და, ამდენად, ის ძალზე უახლოვდება თანასწორობის კონცეფციას<sup>39</sup>. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლების უფლება უმეტესად ნეგატიური სამართლებრივი შინაარსის მატარებელია, ანუ აღნიშნული უფლება იცავს პირს სხვათა ჩარევისაგან<sup>40</sup>. არისტოტელეს სიტყვებით, „ნათელია, რომ ის კონსტიტუციები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთო სიკეთეს, არის მართებული, ვინაიდან ისინი აბსოლუტურ სამართლიანობას შეესაბამება, ხოლო ისინი, რომელთა მიზანიც მმართველთათვის სიკეთის შექმნაა, არის მცდარი“<sup>41</sup>. ადამიანისთვის თავისუფლების და თანასწორობის ბუნების ძალით მინიჭების ფილოსოფიური იდეის პირველი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი საკანონმდებლო ასახვა ვირჯინიის 1776 წლის 12 ივნისის დეკლარაციაში მოხდა. ამ დოკუმენტის პირველ

---

<sup>38</sup> ევა გოცირიძე, „მოქალაქეობა“ წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 51.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> Adrienne Stone, “Rights, Personal Rights and Freedoms: The Nature of the Freedom of Political Communication”. (Melbourne University Law Review, Vol. 25, No. 2, (2001)): 2. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1645042>.

<sup>41</sup> Anthony O’Hear, Political Philosophy (Cambridge: Cambridge University Press, 2006), 42.

მუხლში გაცხადებულია, რომ: „ყველა ადამიანი ბუნებით თანაბრად თავისუფალი და დამოუკიდებელია და დაბადებიდანვე ფლობს კონკრეტულ უფლებებს“<sup>42</sup>.

მიუხედავად აღნიშნული აქტის იმ ეპოქისათვის აშკარად პროგრესული ხასიათისა, დეკლარაციის ავტორებს შორის მწვავე კამათი გაიმართა სწორედ ბუნებითი უფლებების გავრცელების ანუ ამ კანონით მოსარგებლეთა არეალის შეზღუდვასთან დაკავშირებით. დეკლარაციის ერთ-ერთი თანაავტორის, ედმონტ პენდელტონის, მოსაზრებით, ჯორჯ მეისონის შემოთავაზებულ რედაქციაში ბუნებით უფლებებთან დაკავშირებით შესწორება უნდა შესულიყო, რათა ამ მუხლის მოქმედება არ გავრცელებულიყო მონობაში მყოფ პირებზე<sup>43</sup>. საბოლოოდ ასეც მოხდა და პირველ მუხლს დაემატა დათქმა, რომ ეს მუხლი მოქმედებდა მხოლოდ მათზე, ვინც საზოგადოების ნაწილი გახდებოდა, რაც იმ დროისთვის მხოლოდ თავისუფალი მამაკაცების ერთობას წარმოადგენდა და, ცხადია, გამორიცხავდა ამ უფლებებით სარგებლობას მონობაში მყოფი პირების მიერ, ისევე, როგორც უარყოფდა ქალების და აბორიგენი მოსახლეობის ბუნებით უფლებებს<sup>44</sup>.

ადამიანის ბუნებითი უფლებების სამართლებრივი აღიარების გზაზე შემდგომ უმნიშვნელოვანეს აქტად იქცა აშშ-ის 1776 წლის ოთხი ივლისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლის პრეამბულაშიც უკვე ყოველგვარი შეზღუდვებისა და დათქმების გარეშეა დეკლარირებული ადამიანების თანასწორობის, სიცოცხ-

---

<sup>42</sup> Fifth Virginia Convention, The Virginia Declaration of Rights (June, 1776), available at: [http://www.archives.gov/exhibits/charters/virginia\\_declaration\\_of\\_rights.html](http://www.archives.gov/exhibits/charters/virginia_declaration_of_rights.html). [20.08.2020].

<sup>43</sup> *ibid.*

<sup>44</sup> Fifth Virginia Convention, The Virginia Declaration of Rights (June, 1776), available at: [http://www.archives.gov/exhibits/charters/virginia\\_declaration\\_of\\_rights.html](http://www.archives.gov/exhibits/charters/virginia_declaration_of_rights.html). [20.08.2020].

ლის, თავისუფლების და ბედნიერებისკენ სწრაფვის თანდაყოლილი უფლებები<sup>45</sup>.

თუმცა ყველაზე უფრო სრულყოფილი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც თანამედროვე გაგებით არის ჩამოყალიბებული თავისუფლების და თანასწორობის ცნება, საფრანგეთის რევოლუციის შედეგად 1789 წელს მიღებული „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“<sup>46</sup>. აღნიშნული დოკუმენტი ფრანგი განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს იდეებით არის გაჟღერებული: „ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანაბარი უფლებებით და ასეთებად რჩებიან. საზოგადოებრივი განსხვავებანი მათ შორის შეიძლება, დაწესდეს მხოლოდ კანონით“<sup>47</sup>.

ადამიანის ბუნებითი უფლებების ასახვის ტენდენცია ეროვნულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განვითარდა. ცივილიზებული თანამედრობის ძალისხმევით შეიქმნა და რატიფიცირებულ იქნა არაერთი საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულება თუ კონვენცია, რომლებმაც აბსოლუტურად სხვა სიმაღლეზე აიყვანა როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვის სტანდარტი, ისე კონკრეტულად თანასწორობის პრინციპის განმარტება და მისი აღსრულების სამართლებრივი მექანიზმები.

თავის მხრივ, ძირითად შემთხვევებში, თანასწორობის უფლების ქვეშ მოქცეული დიფერენცირების ნიშნების განვითარება ისტორიულად დინამიკური ხასიათის მატარებელია. ჯერ კიდევ 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების შესახებ“ დეკლარაცი-

---

<sup>45</sup> Second Continental Congress, The Declaration of Independence: A Transcription, (July 4, 1776), available at: <https://www.archives.gov/founding-docs/declaration-transcript>. [20.08.2020].

<sup>46</sup> ევა გოცირიძე, „მოქალაქეობა“ წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 52.

<sup>47</sup> National Constituent Assembly of France, The Declaration of the Rights of Man – 1789 (August, 1789), available at: [http://avalon.law.yale.edu/18th\\_century/rightsof.asp](http://avalon.law.yale.edu/18th_century/rightsof.asp). [20.08.2020].

ის მე-6 მუხლში გაჩნდა მითითება მორალისა და ნიჭის შესაბამისად პოლიტიკურ პროცესებში თითოეული მოქალაქის თანასწორი მონაწილეობის, უმაღლესი თანამდებობების დაკავების შესაძლებლობის შესახებ. ამავე დოკუმენტის პირველ მუხლში კი გაკეთდა ზოგადი მითითება კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ და დიფერენცირება დაშვებულ იქნა მხოლოდ საერთო საზოგადოებრივი სიკეთისათვის. დროის ცვალებადობასთან ერთად და, შესაბამისად, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ტენდენციის პარალელურად, დიფერენცირების ნიშნები გახდა კიდევ უფრო მკაფიო და კონკრეტული. მათ შორის, ასეთ ნიშნებს შორის პოლიტიკური ნიშნით განხილვის თვალსაზრისით, რაზეც დეტალური მსჯელობა იქნება წარმოდგენილი წინამდებარე თავში.

## **2. პოლიტიკური თავისუფლება, როგორც გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილი და მისი დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები**

პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია და მისი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმა – თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა, შეუძლებელია, სრულყოფილად იქნეს განხილული თავად პოლიტიკური უფლებების შინაარსობრივი განსაზღვრისა და მისი ადგილის იდენტიფიცირების გარეშე, როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ისე საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში. პოლიტიკური უფლებები უშუალოდაა დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან და მეტიც, იგი შეიძლება, ცალკეულ შემთხვევებში, განხილული იქნეს, როგორც გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ელემენტი. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური ნიშნით პატიმრობა სწორედ კონკრეტული სუბიექტის პოლიტიკური აქტივობის შემცირებას – მისი გამოხატვის თავისუფლების ფაქტობრივ შეზღუდვას ისახავს მიზნად. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, რომელთა ძირითადი ნაწილი ბუნებითი, თანდაყოლილი და წარუვალი ხასიათისაა, ასახულია ყველა ძირითად საერთაშორისო და რეგიონულ ხელშეკრულებაში, თუმცა, ცხადია, უმთავრესი მისი სავალდებულო ძალის და აღსრუ-

ლების მექანიზმის ეფექტურობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოსათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში პოლიტიკური უფლებები გაერთიანებულია კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში. არსებული პრაქტიკით, თუ პირი მისდევს ისეთ სწავლებას, რომელიც არ ჯდება რელიგიის ან რწმენის კრიტერიუმებში, ასეთი სწავლების (იდეების) დაცვა, სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში უნდა მოხდეს<sup>48</sup>. პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები თავისთავადაა დაცული კონვენციის მე-10 მუხლით და ამ მიმართულებით არსებული პრეცედენტული სამართლით<sup>49</sup>.

პოლიტიკური შეხედულებები და გარკვეულ იდეათა მიმართ რწმენა ინდივიდუალური ღირებულებების სფეროა. შეუძლებელია, ადამიანს სწამდეს ის, რაც მას არ აქვს გააზრებული და გამოქნული ფასეულობათა ინდივიდუალურ კატეგორიაში. ადამიანები ბუნებრივად მიისწრაფვიან, საჯაროდ გამოხატონ საკუთარი შეხედულებები და იდეები, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ამ იდეების დასაცავად მზად არიან, მიმართონ ყველაზე უკიდურეს და რადიკალურ ფორმებსაც კი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი შეხედულებები და იდეური მისწრაფებები სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ ფასეულობათა სისტემას ეწინააღმდეგება.

სწორედ ამიტომ, ნაკლები დემოკრატიის მქონე ხელისუფლებებს, რომლებსაც ძალაუფლების დაკარგვის ეშინიათ, სურთ, გარკვეული ფსევდო სამართლებრივი თუ რეპრესიული მექანიზმებით, ერთგვარი კონტროლი, მონოპოლია დააწესონ განსხვავებულ პოლიტიკურ მოსაზრებებზე და ხშირად ამის გამართლებას საზოგადოებრივი მორალის თუ საყოველთაო სიმშვიდის დაცვის ინტერესებით ცდილობენ.

---

<sup>48</sup> ევროპის საბჭო. სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ (სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 2013), 123.

<sup>49</sup> იქვე, 2013), 123-124.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი არ არის აბსოლუტური ხასიათის. მისი შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლები მითითებულია ამავე მუხლის მე-2 ნაწილში, კერძოდ: „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“<sup>50</sup>.

კონვენციის მე-10 მუხლის სტრუქტურა გულისხმობს სამსაფეხურიან ანალიზს ევროსასამართლოს მიერ აღნიშნული მუხლით გარანტირებული უფლებების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში.<sup>51</sup> ეს სამსაფეხურიანი ანალიზი შედგება ისეთი სავალდებულო ელემენტებისგან, როგორებიცაა: საჩივრის შესაბამისობა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ უფლებებთან; სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებებში ჩარევის ფაქტის დადგენა და თავად დარღვევის ფაქტის დადგენა, რაც თავისთავად მოიცავს პროპორციულობის, აუცილებლობისა და კანონიერების ტესტის შეფასებას სასამართლოს მხრიდან <sup>52</sup>.

კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხანგრძლივი და საინტერესო პრაქტიკა აქვს. გამოხატვის თავისუფლება, როგორც აღვნიშნეთ, არ არის შეუზღუდავი, თუმცა ევროსასამართლოს გამოცდილება გან-

<sup>50</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მუხლი 10.

<sup>51</sup> თავისუფლების ინსტიტუტი, გამოხატვის თავისუფლება, ტომი I (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005), 93.

<sup>52</sup> იქვე.



ვითარდა იმგვარად, რომ ინდივიდის თავისუფლებას ამ თვალსაზრისით საჯარო ინტერესთან მიმართებაში უპირატესობა ენიჭება, თუ ეს საჯარო ინტერესი პირდაპირ და აშკარად არ ქმნის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საფრთხეებს, ვინაიდან სასამართლოს მიაჩნია, რომ სწორედ გამოხატვის თავისუფლებაა დემოკრატიული ღირებულებების ერთ-ერთი ფუნდამენტური.

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის შესახებ ევროსასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება პირველად გააკეთა საქმეზე *Handyside v. UK* (no. 5493/72), ECHR 7 December 1976 §. საჩივარი ეხებოდა აპლიკანტის გამოცემულ სასკოლო წიგნს, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას სქესობრივი ასპექტების შესახებ. გაერთიანებული სამეფოს პოლიციამ, მიღებული საჩივრების საფუძველზე, აპლიკანტის ოფისი გაჩხრიკა და წიგნები დააყადაღა, რომლებიც შემდგომში განადგურებას დაექვემდებარა, ვინაიდან მათი შინაარსი საზოგადოებრივი მორალისათვის შემლახავად იქნა მიჩნეული<sup>53</sup>. მართალია, მოცემულ საქმეზე ევროსასამართლომ გაერთიანებული სამეფოს მხრიდან კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, თუმცა გააკეთა ფუნდამენტური განმარტება იმის შესახებ, რომ გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ იმგვარ ინფორმაციას, რომელიც სასიამოვნო ან არ არის შეურაცხმყოფელი საზოგადოებისათვის, არამედ ისეთსაც, რომელიც შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი და გამაღიზიანებელი ხელისუფლებისა თუ მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილისათვის<sup>54</sup>.

ზოგადად, გამოხატვის თავისუფლების დაცვის კუთხით, ევროსასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ სახელმწიფოების, არამედ საერთაშორისო კერძო კორპორაციების მიმართაც კი. საქმეზე „სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ ცილისწამებასთან დაკავშირებით მაკდონალდსის საჩივარი და ეროვნული სასამართლოს მიერ განმცხადებლებისათვის დაკისრებული ზიანის ოდენო-

<sup>53</sup> *Handyside v. UK* (no. 5493/72), ECHR 7 December 1976, § 45.

<sup>54</sup> *ibid*, 49.

ბა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნია, იმ მოცემულობაში, როდესაც განმცხადებლების მიერ ცილისმწამებლური ბროშურების გავრცელებით ფინანსურად ძლიერ კორპორაციას რაიმე მნიშვნელოვანი ზიანი არ მისდგომია<sup>55</sup>. ეს საქმე მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გასაანალიზებლად, თუ რაოდენ მაღალ სტანდარტს აწესებს ევროსასამართლო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიმართ მაშინაც კი, როდესაც ამ უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას ახდენს კერძო კომპანია და არა სახელმწიფო, ხოლო ეროვნული სასამართლოები უკანონო გადაწყვეტილებებს იღებენ. შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტი კიდევ უფრო მაღალია სახელმწიფოების, როგორც რეპრესიულ მექანიზმებზე მონოპოლიის მქონე ინსტიტუციების მიმართ.

ზემოაღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია, განვიხილოთ საქმე *Castells v. Spain* (no. 11798/85), ECHR 23 April 1992. მომჩივანი მიუთითებდა, რომ 1979 წლის 11 ივნისს მან ერთ-ერთ ესპანურენოვან ყოველკვირეულ ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „აღმამფოთებელი დაუსჯელობა“<sup>56</sup>. სტატიაში განმცხადებელი, რომელიც ამავე დროს იყო პარლამენტის წევრი, აკრიტიკებდა ესპანეთის მთავრობას ბასკეთში ტერორისტების მიმართ გამოვლენილი უმოქმედობისათვის<sup>57</sup>. ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ განმცხადებლის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა მთავრობის „შეურაცხყოფის“ ბრალდებით<sup>58</sup>. ევროსასამართლომ მოცემული საქმე განიხილა გამოხატვის თავისუფლების პოლიტიკურ კონტექსტში და განაცხადა, რომ მართალია პოლიტიკური დებატები არ არის შეუზღუდავი, მაგრამ ამავე დროს ხელისუფლების მიმართ მოქალაქეების და პოლიტიკოსების მხრიდან დასაშვები კრიტიკის ზღვარი უფრო ფართოა სწორედ დემოკრატიული ფასეულობების დაცვის

<sup>55</sup> *ib. Steel and Morris v. UK* (no. 68416/01), ECHR 6 April 2004.

<sup>56</sup> *Castells v. Spain* (no. 11798/85), ECHR 23 April 1992, § 7.

<sup>57</sup> *ibid.*

<sup>58</sup> *ibid* 8.

ინტერესებიდან გამომდინარე<sup>59</sup>. დემოკრატიულ სისტემებში ასეთი კრიტიკის შეზღუდვა ხელისუფლების მხრიდან უნდა დაექვემდებაროს განსაკუთრებულ შესწავლას, რათა დაცული იყოს პროპორციულობის პრინციპი<sup>60</sup>. სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული სტატია, სადაც აპლიკანტი აკრიტიკებდა ხელისუფლებას, უნდა განხილულიყო მთლიანობაში და ავტორის მოსაზრებები ატარებდა რა კეთილ ზრახვებს, სრულად ჯდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფორმატში, მით უფრო, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი პოლიტიკოსი იყო და ამ თვალსაზრისით მისი გამოხატვის თავისუფლების უფლება კიდევ უფრო ფართოდ უნდა განხილულიყო<sup>61</sup>. შესაბამისად, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, განმცხადებლის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან დარღვეულ იქნა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით მინიჭებული უფლებები<sup>62</sup>.

ევროსასამართლოს პრაქტიკაში მრავლად არის მაგალითები, როდესაც საზოგადოებრივი მორალის თუ წესრიგის დაცვის კეთილშობილური საფარველის ქვეშ მოქმედებდნენ სახელმწიფოს ინსტიტუციები იმ ქვეყნებში, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას რეალურად პოლიტიკური საფუძვლები ჰქონდა. ასეთ საქმეებზე ევროსასამართლო ადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას, კონვენციის სხვა მუხლებთან ერთობლიობაში, მიუთითებდა რა, რომ „გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ პოლიტიკური პარტიების და მისი აქტიური წევრებისთვის არის” და რომ „ეს (გამოხატვის) თავისუფლება, არსებითია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის<sup>63</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო, ადამიანების დევნა და მათი თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევა სწორედ ადამიანის უფლებათა ევრო-

---

<sup>59</sup> *ibid* 46.

<sup>60</sup> *ibid*.

<sup>61</sup> *ibid* 48.

<sup>62</sup> *Castells v. Spain* (no. 11798/85), ECHR 23 April 1992, § 50.

<sup>63</sup> *Incal v. Turkey* (no. 41/1997/825/1031), ECHR 9 June 1998, § 46.

პული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან არის მჭიდრო კორელაციაში, განსაკუთრებით იმ რეალობაში, როდესაც არ არსებობს ტერმინის „პოლიტიკური პატიმარი“ და „პოლიტიკური დევნილი“ ერთიანი სავალდებულო ხასიათის უნიფიცირებული სამართლებრივი განმარტება. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, გამოხატვის თავისუფლების პოლიტიკური კონტექსტი მოიაზრება ყველა საბაზისო საერთაშორისო დეკლარაციასა და კონვენციაში, რაც, ცხადია, საფუძვლად უდევს ხელშემკვრელი მხარეების და, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასაც.

სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების, როგორც პიროვნების ფუნდამენტური, ბუნებითი უფლების შესახებ, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ყველა რედაქციაში იყო მითითებული. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ, ვიდრე საერთაშორისო თანამეგობრობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლით განამტკიცებდა ამ უფლებას ხელმომწერი მხარეებისთვის, დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 32-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ: „ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად“<sup>64</sup>.

ცხადია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 1921 წლის რედაქციის, ისე 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძვლები, ყველა ის ისტორიული მონაპოვარი იყო, რომელთა მისაღწევად ცივილიზებულ სამყაროს ათასწლეულები დასჭირდა, მაგრამ თავისთავად ფაქტი იმის შესახებ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში მოქალაქეთა გამოხატვის თავისუფლებას, სხვა ბუნებით უფლებებთან ერთად, ღირსეული ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული, პირდაპირ მიაჩნებდა ქართული საზოგადოების სწრაფვას ფუნდამენტური დემოკრატიული ფასეულობებისადმი.

---

<sup>64</sup> საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია: [http://constcentre.gov.ge/failebi/1921\\_clis\\_konstitucia\\_33442.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf). [20.08.2020].

აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებული და კიდევ უფრო განმტკიცებულია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-17 მუხლით, რომელიც დეტალურად მიუთითებს ინფორმაციის, აზრის და მისი გამოხატვის თავისუფლების როგორც ზოგად, სტანდარტულ (ტრადიციულ) შესაძლებლობებზე, ისე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებების გზით<sup>65</sup>, რაც უდავოდ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენს.

გამოხატვის კონსტიტუციური უფლებები, ინტეგრირებულია სხვადასხვა კანონში, მათ შორის, დაცულია სპეციალური კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. აღნიშნული კანონის მიღება, უდავოდ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო დემოკრატიული ცვლილებების გზაზე, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი დებატები და დისკუსიები. კანონპროექტი პირველი მოსმენით საქართველოს პარლამენტმა 1999 წელს მიიღო, თუმცა მისი საბოლოოდ მიღება მხოლოდ 2004 წელს მოხერხდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „დიფამაციის“ ანუ პირისათვის დანაშაულის დაბრალების დეკრიმინალიზაცია, რის შედეგადაც გაუქმდა სსკ 148-ე მუხლი, რომლითაც ისჯებოდა პირისათვის ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით<sup>66</sup>. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცხადია, კანონის დონეზე დეკლარირებული ამ უფლების არსებით შეზღუდვას ხშირად ჰქონდა ადგილი, როგორც უახლოეს წარსულში, ისე ამჟამად, რაზეც მეტყველებს არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციის ანგარიშები თუ მდიდარი სასამართლო პრაქტიკა<sup>67</sup>, რისი მიზეზიც ხშირად ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესებია. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთი გზა კი სწორედ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პოლიტიკური საფუძვლების სიღრმისეული კვლევა და პრევენ-

---

<sup>65</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862 სპ., 31-33, , 24/08/1995), მუხლი 17 ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>66</sup> თავისუფლების ინსტიტუტი, გამოხატვის თავისუფლება, ტომი II (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005), 19-21.

<sup>67</sup> იქვე, კარი მე-2.

ციული სამართლებრივი მექანიზმების შექმნაა, რის თაობაზეც გვექნება კიდევ მსჯელობა წინამდებარე ნაშრომში.

### **3. თავისუფლების, თანასწორობის და ხელშეუხებლობის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით**

დამოუკიდებელ საქართველოში კონსტიტუციურ დონეზე ადამიანის უფლებების და თანასწორობის გარანტიების დადგენას უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ საკუთარი ისტორიული ტრადიციები გააჩნია. ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, მიუხედავად საბჭოთა ოკუპაციის გამო მისი მოქმედების ხანმოკლე პერიოდისა, საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებების და თანასწორობის მაღალ სტანდარტებს. ეს სტანდარტები დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვებისას კიდევ უფრო სიღრმისეულად აისახა საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პირვანდელ და შემდგომ რედაქციებში.

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მესამე თავი მთლიანად ეძღვნებოდა მოქალაქის უფლებებს, სადაც მე-16 და მე-17 მუხლები იმპერატიულად განსაზღვრავდა მოქალაქეების თანასწორობას კანონის წინაშე და ყოველგვარი წოდებრივი განსხვავების აკრძალვას<sup>68</sup>.

საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც სწორედ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას დაეფუძნა<sup>69</sup>. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ მიღებიდან დღემდე არაერთი ფუნდამენტური სახის ცვლილება განიცადა, თუმცა, ადამიანის უფლებების და თანასწორობის

---

<sup>68</sup> საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 17 და 18. ხელმისაწვდომია: [http://constcentre.gov.ge/failebi/1921\\_clis\\_konstitucia\\_33442.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf). [20.08.2020].

<sup>69</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862 სპუ., 31-33, 24/08/1995), პრეამბულა. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

თვალსაზრისით არსებული სულისკვეთება ძირითადად არათუ შემცირდა, არამედ პირიქით – უფრო დაიხვეწა და შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტებთან.

სწორედ აღნიშნულს ადასტურებს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის ის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების და ინაუგურაციის დღიდან – 2018 წლის 16 დეკემბრიდან.

ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას და მისი პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის პრევენციას ახდენს საქართველოს კონსტიტუციის მე-11, მე-13, 33-ე და 34-ე მუხლების ურთიერთმიმართება. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მიხედვით, ადამიანის თავისუფლება დაცულია. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია, მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. დამატებით, კონსტიტუციის ამავე მუხლით გარანტირებულია რეპარაციის შესაძლებლობა. კერძოდ, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, განიმარტოს ის, თუ რას გულისხმობს ადამიანის თავისუფლება, რომელიც კონსტიტუციის ადრე მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მსგავსადაა განმტკიცებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-13 მუხლში. არსებული კონსტიტუციური მართლმსაჯულების განმარტების შედეგად „ადამიანის თავისუფლების“ უფლება გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ

თავისუფლებას<sup>70</sup>. აღნიშნული უფლება კონსტიტუციის მე-14 მუხლთან ერთად იცავს პირის დაუბრკოლებლად, თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას<sup>71</sup>. ასეთ უფლებაში ჩარევის შესაძლებლობა დაშვებულია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით<sup>72</sup>.

სწორედ ზემოაღნიშნული და სხვა ფუნდამენტური უფლებების დისკრიმინაციული, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული შეზღუდვის პრევენციას ემსახურება კონსტიტუციის მე-11 მუხლი. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“<sup>73</sup>. აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლებით და თავისუფლების თანაბრად განაწილებას ზოგადად, ქვეყნის იურისდიქციის არეალში მოხვედრილი ყველა ადამიანისათვის, რაც, ცხადია, უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ადამიანის ბუნებით მინიჭებული თანასწორობის პრინციპების კონსტიტუციურ დონეზე რეალიზებისათვის.

კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის მნიშვნელოვანი გარანტიაა საქართველოს კონსტიტუციის 33-ე და 34-ე მუხლები. კერძოდ, ამ ნორმებით კონს-

---

<sup>70</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>71</sup> კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (თბილისი: „ფაუნტეინ ჯორჯია“, 2014), 133.

<sup>72</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ., 31-33, 24/08/1995), მუხლი 14. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>73</sup> იქვე, მუხლი 11.



ტიტუციის მეორე თავში გარანტირებული უფლებები ვრცელდება არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, არამედ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზეც, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა<sup>74</sup>. თანასწორობის ასეთივე პრინციპი მოქმედებს ქვეყნის იურისდიქციაში მოქმედი იურიდიული პირებისათვის, კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის უფლებების შინაარსის გათვალისწინებით<sup>75</sup>.

განსაკუთრებული როლი საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის იდეის განმარტებაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეასრულა, უფრო კონკრეტულად კი – სასამართლოს მიერ კონსტიტუციური ნორმების დინამიკური განვითარების თეორიის პრაქტიკაში ხორცშესხმამ.

2008 წლამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა დისკრიმინაციის ნიშნების დიფერენცირებისას შემოიფარგლებოდა საქართველოს იმ დროს მოქმედი კონსტიტუციის მე-14 მუხლის ე.წ. კანონის „გრამატიკული“ განმარტებით, თვლიდა რა, რომ მითითებულ მუხლში ნიშნები, რომლითაც დისკრიმინაცია იკრძალებოდა, ამომწურავად იყო ჩამოთვლილი<sup>76</sup>.

ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების მსგავსად აღმოჩნდა დილემის წინაშე, კერძოდ: შემოფარგლულიყო მხოლოდ კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილი დიფერენცირების ნიშნებით, თუ სიტყვა-სიტყვითი, ანუ ე.წ. კანონ-

---

<sup>74</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ., 31-33, 24/08/1995), მუხლი 33. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>75</sup> იქვე), მუხლი 34.

<sup>76</sup> თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე და ვახუშტი მენაბდე. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (თბილისი: შპს „სეზანი“, 2013), 37.

ნის ვიწრო „გრამატიკული“ განმარტების ნაცვლად, გამოეყენებინა „თანასწორობის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი“<sup>77</sup>.

ცხადია, რომ აღნიშნული საკითხი უალრესად მნიშვნელოვანი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პროცესში არა მხოლოდ ფორმალურად გამართული, არამედ დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. განმცხადებლები, რომლებიც მიმართავდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს მათ მიმართ განხორციელებული სავარაუდო დარღვევის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებში, უთითებდნენ დიფერენცირების ისეთ ნიშნებზე, რომლებიც მოცემული მუხლის ჩამონათვალში ვერ ხვდებოდა<sup>78</sup>. ვინაიდან, კონსტიტუციის იმ დროს მოქმედი რედაქცია აღნიშნულ მუხლში არ ითვალისწინებდა დათქმას „ან სხვა ნიშნით“.

საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირ უთითებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების ამომწურავ ხასიათზე. საქმეზე დავით მირცხულავა (362-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით), გიორგი კუპრეიშვილი (363-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით), შალვა და ვლადიმერ დოლიძეები (367-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით). აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელებმა და მათმა წარმომადგენლებმა ვერ დაასაბუთეს სადავო ნორმების მიმართება კონსტიტუციის

---

<sup>77</sup> თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე და ვახუშტი მენაბდე. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (თბილისი: შპს „სეზანი“, 2013), 35.

<sup>78</sup> იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის N1/5/362-363, 367 განჩინება საქმეზე დავით მირცხულავა, გიორგი კუპრეიშვილი და შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 02 ივნისის N2/10/383 განჩინება საქმეზე ნ. ცოტნიაშვილი, ბ. მაჭარაშვილი, შ. სომხიშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მე-14 მუხლით დაუშვებელი დისკრიმინაციის რომელიმე სახესთან<sup>79</sup>. შესაბამისად, სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო<sup>80</sup>.

იმავე არგუმენტაციას დაემყარა საკონსტიტუციო სასამართლო საქმეზე „ნ. ცოტნიაშვილი, ბ. მაჭარაშვილი, შ. სომხიშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ მიუთითა სარჩელის დაუშვებლობაზე იმ არგუმენტით, რომ: „უფლება დარღვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის დებულებაში მოცემული ჩამონათვალიდან რაიმე ნიშნის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარემ ვერც კონსტიტუციურ სარჩელში და ვერც განმწესრიგებელ სხდომაზე ვერ დაასაბუთა სადავო აქტების მიმართება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან“<sup>81</sup>.

პირველად საკონსტიტუციო სასამართლომ იმჟამად მოქმედი კონსტიტუციის რედაქციის მე-14 მუხლის თანასწორობის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპით განმარტება მოახდინა 2008 წლის 31 მარტს საქმეზე „შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და აღნიშნა, რომ: „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს... ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა... მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართვე-

---

<sup>79</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის N1/5/362-363,367 განჩინება საქმეზე „დავით მირცხულავა, გიორგი კუპრეიშვილი და შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 3-4.

<sup>80</sup> იქვე, 5.

<sup>81</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 02 ივნისის N2/10/383 განჩინება საქმეზე „ნ. ცოტნიაშვილი, ბ. მაჭარაშვილი, შ. სომხიშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 4.

ლოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში<sup>82</sup>.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კონსტიტუციით დადგენილი დისკრიმინაციის ნიშნების ფარგლების გაფართოებისა, სასამართლო მაინც განსხვავებულ კლასიფიკაციას აკეთებს კონსტიტუციურ მუხლში პირდაპირ მოხსენიებულ და არ მოხსენიებულ ნიშნებს შორის და პირველი ჯგუფის მიმართ უფრო მაღალი დაცვის სტანდარტზე მიანიშნებს<sup>83</sup>. კერძოდ, სასამართლო იმ ნიშნების მიმართ, რომელიც პირდაპირ არ არის მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში, იყენებს შედარებით დაბალი დაცვის სტანდარტს ანუ „რაციონალური დიფერენცირების ტესტს“<sup>84</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, გადაუხვიოს ადრე მიღებულ პრაქტიკას და მოახდინოს კანონის ნორმათა უფრო ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განმარტება, სავსებით შეესაბამება ევროსასამართლოს ე.წ. „დინამიკური“ განვითარების პრაქტიკას. მეტიც, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ნორმის განმარტების მხოლოდ გრამატიკული ინტერპრეტაცია არ არის საკმარისი და თანასწორობის პრინციპი ცალკეულ დისკრიმინაციულ ნიშნებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ნებისმიერი სახის გაუმართლე-

---

<sup>82</sup> თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე და ვახუშტი მენაბდე. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (თბილისი: შპს „სეზანი“, 2013), 36.

სრულად იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>83</sup> ბექა მამაშვილი, თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017): 170.

<sup>84</sup> ვრცლად იხ. იქვე, 176-183.

ბელ განსხვავებულ მოპყრობას კრძალავს<sup>85</sup>. „ევროპის კონვენციის საზედამხედველო ორგანოებმა ჩამოაყალიბეს და განავითარეს ევროპის კონვენციით განმტკიცებული უფლებების „დინამიკური“ განმარტების კონცეფცია. ევროსასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მხედველობაშია მისაღები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სპეციალური ხასიათი და ის გარემოება, რომ კონვენცია „ცოცხალი“ დოკუმენტია, რომელიც უნდა განიმარტოს დემოკრატიულ სახელმწიფოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. სასამართლომ უარყო კონვენციის სტატიკური, ისტორიული განმარტების იდეა. შესაბამისად, ევროპის კონვენციით გათვალისწინებულ კონცეფციებს ევროსასამართლო იმ მნიშვნელობით განმარტავს, რაც ასახავს ევროპული საზოგადოების დღევანდელ განვითარებას და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც კონვენციის მიღების დროს არსებობდა“<sup>86</sup>.

ევროსასამართლომ დაადასტურა, რომ კონვენციის მე-14 მუხლის მოქმედების არეალში ხვდებოდა ისეთი ნიშნებით დისკრიმინაცია, როგორცაა, მაგალითად, სექსუალური ორიენტაცია, საქორწინო, პროფესიული და სამხედრო სტატუსი, პროფკავშირების წევრობა, პატიმრობაში ყოფნა და სხვა<sup>87</sup>. შესაბამისად, კონვენციის ეს მითითება და პრეცედენტები გვაკლდებულებს, რომ საქართველოს

---

<sup>85</sup> ბექა ძამაშვილი, თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017): 169-171.

<sup>86</sup> კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში (თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელვერსია, 2002), 170.

<sup>87</sup> ევა გოცირიძე, „მოქალაქეობა“ წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 63.

კონსტიტუციის მე-14 მუხლს ფართო განმარტება მიეცეთ და მასში ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა ვიგულისხმეთ”<sup>88</sup>.

აქვე, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, რომელიც ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო 2000 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2005 წლის 1-ელ აპრილს. სწორედ „კონვენციის მე-14 მუხლში დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ფართოდ აღიარებულმა შეზღუდვებმა განაპირობა ამ ნორმის გაძლიერების მოთხოვნით ევროპული საბჭოსთვის წინადადებების წარდგენა”<sup>89</sup>.

აღნიშნული მე-12 დამატებითი ოქმით კიდევ უფრო განმტკიცდა დისკრიმინაციის, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები, ვინაიდან მითითებული ნორმა კრძალავს დისკრიმინაციას „კანონით განსაზღვრულ ნებისმიერ უფლებასთან” მიმართებით და არა მხოლოდ „ამ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით”, როგორც ეს არის განსაზღვრული კონვენციის მე-14 მუხლში<sup>90</sup>. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „სეჟდიჩი და ფინკი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ”<sup>91</sup>, რომელზეც ევროსასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა შემდეგი: „სასამართლო აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც კონვენციის მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას, კონვენციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებაში, მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი ვრცელდება „კანონით განსაზღვრულ ყველა უფლებაზე”<sup>92</sup>.

---

<sup>88</sup> ევა გოცირიძე, „მოქალაქეობა“ წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 63.

<sup>89</sup> ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (მე-3 გამოცემა. თბილისი, 2013), 546.

<sup>90</sup> იქვე, 547.

<sup>91</sup> იხ. Sedjic and Finci v. Bosnia and Herzegovina (nos. 27996/06 and 34836/06), ECHR 22 December 2009.

<sup>92</sup> Sedjic and Finci v. Bosnia and Herzegovina (nos. 27996/06 and 34836/06), ECHR 22 December 2009, § 53.

შესაბამისად, იგი უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც დისკრიმინაციის საერთო ამკრძალავი ნორმა<sup>93</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, არ შემოფარგლულიყო კონსტიტუციის იმჟამად მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლის „გრამატიკული განმარტებით“, არამედ მოეხდინა გადაწყვეტილებების მისადაგება დისკრიმინაციის განსაზღვრის უფრო თანამედროვე და საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკასთან, სრულიად შეესაბამება სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების დამკვიდრების და დემოკრატიული ღირებულებების განვითარების პრინციპს.

სწორედ ნორმათა დინამიკური განვითარების გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში თანასწორობის შესახებ მუხლის მოდიფიცირება, რომელიც ამჟამად მე-11 მუხლის სახით არის წარმოდგენილი და უკვე შემოიფარგლება არა მხოლოდ იმ ნიშნებით, რაც აღნიშნულ ნორმაშია მითითებული, არამედ ყველა სხვა ნიშნის მიხედვით, რომელიც შესაძლოა, მუხლში უშუალოდ არ იყოს მითითებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპებიდან<sup>94</sup>.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-11 მუხლმა, გარდა შინაარსის გაფართოებისა სხვა ისეთი ნიშნების მიმართ, რომლებიც ასახული არ არის ამ მუხლში და თავისთავად გამომდინარეობს თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპებიდან, განიცადა გარკვეული ნიშნების მიმართ კონკრეტიზაცია. აღნიშნულის განმაპირობებელ ფაქტორად შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს ამ ნიშნების მატარებელი ჯგუფების მოწყვლადობის ხარისხი, ეს არის გენდერული და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით თანასწორობის კონსტიტუციური დონეზე აღიარება<sup>95</sup>.

---

<sup>93</sup> *ibid.*

<sup>94</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ., 31-33, 24/08/1995), მუხლი 11. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>95</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ., 31-33, 24/08/1995), მუხლი 11. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

ამავე მუხლში აისახა კონსტიტუციის წინა რედაქციის 38-ე მუხლის შინაარსი, რომელიც ადგენდა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ნიშნით არსებული უმცირესობების თანასწორობის გარანტიებს საქართველოს სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში.

კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ კიდევ უფრო მეტად გაუსვა ხაზი ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ნიშნით არსებული უმცირესობების უფლებებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად<sup>96</sup>.

ნორმათა დინამიკური განვითარების და შინაარსობრივი განმარტების თეორიის პრაქტიკულ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლი, სადაც წინა რედაქციასთან შედარებით კიდევ უფრო დაკონკრეტდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კონსტიტუციური პრინციპის ცნება ადამიანის უფლებებთან მიმართებაში<sup>97</sup>.

კონსტიტუციის მანამდე მოქმედ რედაქციაში დადგენილი იყო სახელმწიფოს მიერ ადამიანის საყოველთაოდ ცნობილი უფლებების და თავისუფლებების აღიარების, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებების პრინციპი<sup>98</sup>. მოქმედმა რედაქციამ ამ თვალსაზრისით გააერთიანა, როგორც აღნიშნული ცნება, ისე ადამიანის უფლებების და თავისუფლებების აღიარების ზოგადი კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც შესაძლოა, სახელდებით არ იყოს მოხსენიებული კონსტიტუციაში, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობდეს აღნიშნული სულისკვეთებიდან<sup>99</sup>.

---

<sup>96</sup> იქვე.

<sup>97</sup> იქვე, მუხლი 4.

<sup>98</sup> იქვე, მუხლი 7.

<sup>99</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ, 31-33, 24/08/1995), მუხლი 4. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].



მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ როგორც საქართველოს კონსტიტუციის წინა რედაქციებში, ისე განსაკუთრებით ამჟამად მოქმედ რედაქციაში თავისუფლების, თანასწორობის და ხელშეუხებლობის უფლება მაღალი სტანდარტით არის წარმოდგენილი და შესაბამისობაშია, როგორც საერთაშორისო კრიტერიუმებთან, ისე ქართული სამართლის ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობასთან, რაც, ცხადია, ადასტურებს ქვეყნის ძირითადი კანონის მნიშვნელობას ნებისმიერი სახის უთანასწორობის, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

#### **4. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ცნება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში**

4.1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი როლი დემოკრატიული ფასეულობების განვითარებაში

რომის „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“<sup>100</sup>, წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომლის მოწესრიგების სფეროს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განეკუთვნება<sup>101</sup>. აღნიშნულმა დოკუმენტმა, როგორც სამართლებრივმა ინსტრუმენტმა, უმნიშვნელოვანესი ისტორიული როლი შეასრულა ადამიანის უფლებების დაცვის განვითარების სფეროში. კონვენცია შეთანხმებულ იქნა 1950 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 3 წლის შემდგომ, როდესაც მას მარტო-ოდენ 10 სახელმწიფო მიუერთდა<sup>102</sup>. დღეისათვის ამ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეთა რაოდენობაში 47 ევროპული სახელმწიფო შე-

---

<sup>100</sup> Council of Europe, European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, (adopted 4 November 1950), available at:

[https://www.echr.coe.int/Documents/Convention\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf). [20.08.2020].

<sup>101</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal-00-1---0-10-0--0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-OutfZz-8-00&a=d&cl=CL1.16&d=HASH257c7dd403d9300b13c4c5.2> (06/06/2019).

<sup>102</sup> Kevin Boyle, “The European Experience: The European Convention on Human Rights”. Victoria University of Wellington Law Review, Vol. 40, Issue 1 (June 2009): 169.

დის<sup>103</sup>, რომელთა შორის, საქართველოცაა, სადაც დოკუმენტის რატიფიცირება 1999 წელს მოხდა<sup>104</sup>.

კონვენციით განმტკიცებულ იქნა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რასაც ასევე მოჰყვა მათ შესრულებაზე საზედამხედველო ინსტრუმენტების შექმნა<sup>105</sup>. კონვენციის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა, პლურალისტური დემოკრატიის განმტკიცება და სამართლის უზენაესობის ხელშეწყობა<sup>106</sup>, მასში განმტკიცებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გზით<sup>107</sup>. კონვენციის მრავალი დებულების მიზანს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულების დადგენა წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც იგი თვითნებურად არ უნდა ზღუდავდეს პირის უფლებებს<sup>108</sup>.

რაოდენობრივი თვალსაზრისით, კონვენცია შედგება 59 მუხლისა და 6 დამატებითი ოქმისაგან. აღნიშნული დებულებები ერთიანობაში იცავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მთელ სპექტრს. კერძოდ, მისი მოწესრიგების ფარგლებში ექცევა ადამიანის სრულფასოვანი ცხოვრებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი უფლებები, როგორებიცაა სიცოცხლის, თავისუფლების, წამების აკრძალვის, სამართლიანი სასამართლოს, პირადი და საოჯახო ცხოვრების, საკუთრებისა და მფლობელობის, აზრის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლებისა და გაერთიანების უფლებები<sup>109</sup>.

---

<sup>103</sup> [https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/005/signatures?p\\_auth=AuRha4VC](https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/005/signatures?p_auth=AuRha4VC) [20.08.2020].

<sup>104</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-OutfZz-8-00&a=d&cl=CL1.16&d=HASH257c7dd403d9300b13c4c5.2> (06/06/2019).

<sup>105</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 10. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>106</sup> იქვე, 9.

<sup>107</sup> იქვე, 11.

<sup>108</sup> იქვე, 14.

<sup>109</sup> Kevin Boyle, “The European Experience: The European Convention on Human Rights”. Victoria University of Wellington Law Review, Vol. 40, Issue 1 (June 2009): 170.

კონვენციით დაცულ უფლებათა კლასიფიცირების მთავარ საფუძვლად შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს თავად ამ უფლებათა დაცულობის ფარგლები. ამ ფარგლების მიხედვით, კონვენციის უფლებები ორ ძირითად კატეგორიად შეიძლება დავყოთ: უფლებები, რომლებიც არ ექვემდებარება შეზღუდვებს და უფლებები, რომლებიც გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, საგამონაკლისოდ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვას<sup>110</sup>. ის ძირითადი უფლებები, რომლებიც არ ექვემდებარება შეზღუდვებს, აბსოლუტური უფლებებია. აბსოლუტურ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა არც შესაბამის მუხლშია დაშვებული (ისინი, როგორც წესი, აკრძალვის ფორმითაა ჩამოყალიბებული) და არც კონვენციის მე-15 მუხლში, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებათა დროებითი შეზღუდვის შესაძლებლობას დასაშვებად აცხადებს<sup>111</sup>. ასეთ აბსოლუტურ კატეგორიაში ექვეყნა შემდეგი უფლებები – წამების, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა (მე-3 მუხლი), მონობის აკრძალვა (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი), არავითარი დანაშაული და სასჯელი კანონის გარეშე (მე-7 მუხლი), სიკვდილით დასჯის გაუქმება (მე-6 ოქმის 1-ლი მუხლი) ხელმეორედ, ერთი და იმავე დანაშაულისთვის გასამართლებისა და დასჯის აკრძალვა (მე-7 ოქმის მე-4 მუხლი)<sup>112</sup>.

აბსოლუტურ უფლებათაგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, გარკვეული უფლებები საგამონაკლისო წესით ექვემდებარება შეზღუდვას. კერძოდ, ასეთი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია არა მარტო კონვენციის მე-15 მუხლის, არამედ საკუთრივ იმ მუხლების საფუძველზეც, რომლებიც უშუალოდ ახდენს უფლების უზრუნველყოფას<sup>113</sup>. კერძოდ, ასეთი შესაძლებლობა შესაბამის მუხლში ზოგ-

---

<sup>110</sup> ევა გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007), 39.

<sup>111</sup> იქვე.

<sup>112</sup> იქვე, 40.

<sup>113</sup> ევა გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007), 40.

ჯერ გამონაკლისის სახითაა დაშვებული და ეს გამონაკლისები მასში პირდაპირ და ამომწურავადაა მითითებული (მაგალითად, სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი), თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი), სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება (მე-7 ოქმის მე-2 მუხლი)<sup>114</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია თავისი სამართლებრივი ბუნებით ხელშეკრულებაა<sup>115</sup>, შესაბამისად, მასში გარანტირებულ უფლებათა ხასიათი ნაკლებადაა სიხისტის მატარებელი<sup>116</sup>. კერძოდ, უმეტესწილად კონვენცია ადგენს მხოლოდ უფლებათა დაცვის მინიმალურ აუცილებელ სტანდარტს, ხოლო ამ სტანდარტის მიღწევის გზებისა და მისი გაზრდის კომპეტენცია უშუალოდ ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხია<sup>117</sup>.

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელსაც სუვერენული სახელმწიფოების ავტონომიის ფარგლებში უერთდება, რაც მისი მოქმედების სფეროს ფარგლებს ზღუდავს, ხოლო მის მოქმედებას ქვეყნის ნება-სურვილის ამარა ტოვებს<sup>118</sup>. თუმცა, ამგვარი ნების თავისუფლება არ უნდა იქნეს გაიგივებული თვითნებობასთან. კონვენციასთან მიერთების შემდეგ მისი აღსრულების ეტაპი აღარ ექვემდებარება ნებაყოფლობითობის პრინციპს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც კონვენცია, ისე სასამართლოს არსებობა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის იქნებოდა. კერძოდ, თავდაპირველი შეთან-

---

<sup>114</sup> იქვე.

<sup>115</sup> George Letsas, “The ECHR as a Living Instrument: Its Meaning and its Legitimacy” (March 14, 2012): 1. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2021836> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2021836>.

<sup>116</sup> Douwe Korff, *The Right to Life: A Guide to the Implementation of Article 2 of the European Convention on Human Rights*. Human rights handbooks, No. 5. (Germany: Council of Europe, 2006), 5.

<sup>117</sup> *ibid.*

<sup>118</sup> George Letsas, “The ECHR as a Living Instrument: Its Meaning and its Legitimacy” (March 14, 2012): 1. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2021836> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2021836>.

ნხმების მიხედვით, ევროპული კონვენციის აღსასრულებლად ჩამოყალიბდა კვაზი სასამართლო ორგანო „ადამიანის უფლებათა კომისიის“ სახით, რომელიც იხილავდა ინდივიდუალური განაცხადების დასაშვებობის საკითხებს სასამართლოსათვის გადასაცემად, თუმცა საბოლოოდ 1998 წლის 1-ელი ნოემბრის მე-11 პროტოკოლით კომისიამ არსებობა შეწყვიტა და იგი ჩანაცვლებულ იქნა სრულფასოვანი სასამართლო ორგანოს მიერ<sup>119</sup>. ევროსასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს ტრადიციული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მთელი სპექტრი<sup>120</sup>. ეს უკანასკნელი განიხილავს როგორც ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფოთაშორის დავებს<sup>121</sup> და ზედამხედველობს ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას<sup>122</sup>. ამასთანავე, კონვენციის 46-ე მუხლი მხარეებს ავალდებულებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობის კომპეტენცია კი, თავის მხრივ, კიდევ ერთ ორგანოს – მინისტრთა კომიტეტს<sup>123</sup> გააჩნია<sup>124</sup>. მინისტრთა კომიტეტი უზრუნველყოფს სახელმწიფოთა მხრიდან ყველა საჭირო ზომის მიღებაზე ზედამხედ-

---

<sup>119</sup> Kevin Boyle, “The European Experience: The European Convention on Human Rights”. Victoria University of Wellington Law Review, Vol. 40, Issue 1 (June 2009): 170.

<sup>120</sup> Elizabeth Palmer, “Protecting Socio-Economic Rights Through the European Convention on Human Rights: Trends and Developments in the European Court of Human Rights”. Erasmus Law Review, Vol. 2, No. 4, (2009): 398. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1542674>.

<sup>121</sup> Kevin Boyle, “The European Experience: The European Convention on Human Rights”. Victoria University of Wellington Law Review, Vol. 40, Issue 1 (June 2009): 171.

<sup>122</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10--4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.16&d=HASH257c7dd403d9300b13c4c5.2> (06/06/2019).

<sup>123</sup> Committee of Ministers.

<sup>124</sup> European Convention on Human Rights, Article 46

(ხელმისაწვდომია: [http://www.echr.coe.int/Documents/Convention\\_ENG.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf)) (09.11.2019).

ველობას, რათა აღსრულდეს გადაწყვეტილებები და მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი დარღვევები<sup>125</sup>.

სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, მიუერთდნენ ან არ მიუერთდნენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, თუმცა ასეთის განხორციელების (მიერთების) შემთხვევაში, ისინი ტრანსფორმირდებიან ხელშეკრულების მონაწილე მხარეებად და ეკისრებათ ვალდებულება, ეროვნული კანონმდებლობა შეუსაბამონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის უფლებათა დაცვის სტანდარტებს<sup>126</sup>.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრაქტიკა ერთდროულად თამაშობს ორ მნიშვნელოვან როლს. ერთი მხრივ, სწორედ სასამართლო ახდენს კონვენციით გარანტირებული უფლებების პრაქტიკული რეალიზების უზრუნველყოფას<sup>127</sup>, მეორე მხრივ, მასვე ეკისრება მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობა ადგილობრივი სასამართლოს მიერ მისი ცნობისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით<sup>128</sup>. მათ შორის, სწორედ სასამართლოს ეკისრება პოლიტიკური ნიშნით თანასწორობის უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულება<sup>129</sup>.

სასამართლოს კიდევ ერთ და უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტული განმარტება და დინამიკური განვითარების თეორიიდან გამომდინარე, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი სასა-

---

<sup>125</sup> ლევან მესხორაძე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები (სახელმძღვანელო იურისტებისათვის) (თბილისი: „მერიდიანი“, 2015), 9.

<sup>126</sup> კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში (2004): 303. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008db49>.

<sup>127</sup> Kanstantsin Dzehtsiarou, “European Consensus and the Evolutive Interpretation of the European Convention on Human Rights”. *German Law Journal*, Vol. 12, Issue 10 (October 1, 2011): 1730.

<sup>128</sup> *ibid.*

<sup>129</sup> Dr. Rory O’connel; School of law, Queen’s university Belfast; “Realizing political equality: the European court of Human Rights and positive obligations in a democracy”, 1.

მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამასთანავე, კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებათა ფარგლებს, ცხადია, პირველ რიგში, შესაბამისი მუხლის შინაარსი და კონსტრუქცია განსაზღვრავს, მაგრამ მხოლოდ მათი მიხედვით საბოლოო დასკვნის გამოტანა შესაბამისი უფლების დაცულობის ფარგლების თაობაზე ყოველთვის არ არის საკმარისი<sup>130</sup>. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, სწორედ სასამართლოს უნდა დაეკისროს კონვენციით გარანტირებულ უფლებათა ნორმატიული ჩანაწერის ფართომასშტაბიანი და ამომწურავი, შინაარსობრივი განმარტება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ განეკუთვნება ნებაყოფლობით შესასრულებელ აქტთა კატეგორიას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების უპირობო ვალდებულებას წარმოადგენს კონვენციით დაცულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა მათი იურისდიქციის ფარგლებში<sup>131</sup>. კონვენციის პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში განსაკუთრებული ფუნქცია ევროსასამართლოს ეკისრება. პრეცედენტული სამართალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროპული სამართლის დოქტრინის ფორმირებასა და განვითარებაზე<sup>132</sup>. იგი განმარტავს კონვენციის დებულებათა შინაარსს. ამიტომაც, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობას ევროპულ კონვენციასა და მის პრეცედენტულ სამართალთან, მცირე

---

<sup>130</sup> ევა გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007), 39.

<sup>131</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 13. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>132</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადაკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 230.

იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის რისკი კანონმდებლობით<sup>133</sup>.

ევროსასამართლო, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კონვენციით გარანტირებულ უფლებათა დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, მათ აღსრულებას ადგილობრივი სასამართლოს მიერ მათი ცნობისა და პრაქტიკაში დანერგვის სახით<sup>134</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები იურიდიულად სავალდებულოა მონაწილე მხარეებისათვის, თავიანთი ბუნებით, ისინი მაინც დეკლარაციული ხასიათისანი არიან, ვინაიდან არ აუქმებენ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს, ადმინისტრაციულ თუ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებმაც კონვენციის დარღვევა გამოიწვია, არამედ ისინი წევრ სახელმწიფოებს უტოვებენ შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულების მექანიზმები<sup>135</sup>. აღსრულებაზე ზედამხედველობა ხორციელდება ორი ტიპის პროცედურით, რომელთაგან ერთი – სტანდარტული პროცედურა ავტომატურად გრძელდება ყოველ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, ხოლო მეორე – გაძლიერებული პროცედურა შეეხება, უშუალოდ სპეციალური კატეგორიის საქმეებს<sup>136</sup>.

ამასთანავე, საკანონმდებლო ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველსაყოფა-

---

<sup>133</sup> კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში (2004): 185. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008db49>.

<sup>134</sup> Kanstantsin Dzehtsiarou, “European Consensus and the Evolutive Interpretation of the European Convention on Human Rights”. German Law Journal, Vol. 12, Issue 10 (October 1, 2011): 1730.

<sup>135</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 16. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>136</sup> ლევან მესხორაძე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები (სახელმძღვანელო იურისტებისათვის) (თბილისი: მერიდიანი, 2015), 11.



დ<sup>137</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფოები თავაყურს ადევნებენ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს, რის შედეგადაც ახდენენ თავიანთი კანონმდებლობის კორექტირებას<sup>138</sup>. არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოებმა საკუთარი კანონმდებლობა არ შეუსაბამეს ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრაქტიკას, რის შემდეგაც, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევის თაობაზე<sup>139</sup>. ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავლენა განსაკუთრებით დიდია სამართლის ისეთ მნიშვნელოვან დარგებზე, როგორებიცაა: კონსტიტუციური, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი<sup>140</sup>.

შესაბამისად, აშკარაა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, როგორც საერთაშორისო სახის სამართლებრივი ინსტრუმენტი, ევროსასამართლოს პრაქტიკასთან და მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმთან, მინისტრთა კომიტეტთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვის სრულყოფის კუთხით, არამედ ზოგადად კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების დემოკრატიული ფასეულობების განვითარებაში, და, ლოგიკურად, ეს იყო კიდევ ამ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნის მიზანი.

4.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი და მისი მნიშვნელობა პოლიტიკური თავისუფლების კონტექსტში თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით. კერძოდ, ერთი მხრივ, კონვენციის მე-5 მუხლი აღიარებს, ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, ხოლო, მეორე მხ-

---

<sup>137</sup> კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში (2004): 185. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008db49>.

<sup>138</sup> იქვე, 186.

<sup>139</sup> იქვე, 188.

<sup>140</sup> იქვე, 303.

რივ, აუცილებლობიდან გამომდინარე ადგენს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას მხოლოდ განსაკუთრებული და კანონისმიერი საფუძვლებით<sup>141</sup>. თავის მხრივ, თავისუფლება გულისხმობს პირის ფიზიკურ თავისუფლებას, ანუ დაკავების ან დაპატიმრების არარსებობას, სათანადო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე<sup>142</sup>.

აუცილებელია თავისუფლების შეზღუდვა განვასხვავოთ თავისუფლების აღკვეთისაგან. კერძოდ, ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა ფართო შინაარსისაა და მოიცავს არა მხოლოდ „დაკავებას“, არამედ ასევე თავისუფლების სხვაგვარ ფიზიკურ შეზღუდვას<sup>143</sup>. კონკრეტულად, თავისუფლების აღკვეთა გულისხმობს პირის მოთავსებას იზოლატორში, მაშინ როდესაც თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება, მიღწეულ იქნეს სხვა ალტერნატიული საშუალებებით<sup>144</sup>.

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ემსახურება სახელმწიფო ორგანოების ფუნდამენტურ ვალდებულებას, უზრუნველყონ ყოველი ადამიანის უფლება ფიზიკურ უსაფრთხოებაზე<sup>145</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარანტირებული ეს კონკრეტული უფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნებში იგი, როგორც დემოკრატიული ღირებუ-

---

<sup>141</sup> Aisling Reidy, The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights) Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 24.

<sup>142</sup> კონსტანტინე კორკელია, ნანა მჭედლიძე და ალექსანდრე ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005), 79.

<sup>143</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>144</sup> კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (თბილისი: „ფაუნტეინ ჯორჯია“, 2014), 134.

<sup>145</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 230.

ლება, თავისთავად იგულისხმება და მათი სახელმწიფოებრივი სისტემის ქვაკუთხედი<sup>146</sup>. კონვენციური გაგებით, ადამიანის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საყრდენს<sup>147</sup>, სადაც დაუშვებელი უნდა იყოს მისი თვითნებური შეზღუდვის კანონიერად მიჩნევა<sup>148</sup>.

კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. ამ მუხლის მიზანი პირისათვის თვითნებურად ან დაუსაბუთებლად ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის პრევენციაა<sup>149</sup>. ასეთი უფლების გარანტიების შექმნა კი, თავის მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებაა<sup>150</sup>, რომელმაც შესაძლებელია, მისი შეზღუდვა დაუშვას ლეგიტიმური მიზნებისათვის. კერძოდ, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დასაშვებია: უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება; პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად; პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის, თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა; არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კა-

---

<sup>146</sup> იქვე.

<sup>147</sup> Medvedyev and Others v. France (no 3394/03) ECHR 29 March 2010, § 76.

<sup>148</sup> Loukis G. Loucaide, *The European Convention on Human Rights Collected Essays* (Leiden: Brill Publishers, 2007), 97.

<sup>149</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, *Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights*. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020, 5.

<sup>150</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, *Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights*. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020, 6.

ნონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად; პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება; პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება აუცილებელი ღონისძიებები შემდგომი დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

თუმცა, ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ ადგენს პირის თავისუფლების შეზღუდვის აბსოლუტურობას. პირის თავისუფლების შეზღუდვის პროცესში სავალდებულოა მოქმედი პროცედურული თავისებურებების სრულყოფილი აღსრულება. კერძოდ, აუცილებელია დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება<sup>151</sup>. ასევე, პროცედურული თვალსაზრისით, მე-5 მუხლის მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ ის პირი, რომლის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება მოხდა, დაუყოვნებლივ წარედგინოს უფლებამოსილ მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს. ასეთი პირობების არსებობაზე სასამართლო კონტროლის ამოცანას კი დაკავების ადრეულ ეტაპზე სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია წარმოადგენს, რომელთა მიერაც საკუთარი უფლებების გამოყენება მკაცრად პროცედურულ თავისებურებათა დაცვით უნდა მოხდეს<sup>152</sup>.

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში. ისევე, როგორც დაკავებულს გააჩნია უფლება, მიმართოს სასამართლოს,

---

<sup>151</sup> „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია (სსმ., გაურკვეველი, -, 16/11/1999), მუხლი 5. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>. [20.08.2020].

<sup>152</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020, 5.

რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ პატიმრობა არ არის კანონიერი<sup>153</sup>.

პირისათვის პატიმრობის შეფარდება უკიდურეს მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც მტკიცების მაღალ სტანდარტს უნდა დაექვემდებაროს, რაზეც ნაშრომის მომდევნო ნაწილებში დეტალური მსჯელობა იქნება წარმოდგენილი. სწორედ ამ მიზნით, გარდა თავისუფლების შეზღუდვისა, მე-5 მუხლი ასევე იძლევა პირის გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ არსებობს პირის სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთე პირის კანონიერად დაკავება და არა მისი კანონიერად მსჯავრდება<sup>154</sup>. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის ჭრილში არ განიხილება უშუალოდ მსჯავრდების ნორმატიული საფუძვლების შემოწმება.

პრაქტიკული თვალსაზრისით კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა ევროსასამართლოს მიერ მხოლოდ ორი კუმულატიური წინაპირობის არსებობით დგინდება. კერძოდ, აუცილებელია თავისუფლების შეზღუდვის ფაქტის არსებობა, რასთანაც თანხვედრაში უნდა მოდიოდეს ხელისუფლების ორგანოების თვითნებობის დადასტურება იმ გაგებით, რომ პატიმრობის წინაპირობები არ ექცევა მე-5 მუხლით განსაზღვრულ გამამართლებელ საფუძველთა კატეგორიაში<sup>155</sup>. ასეთი დარღვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში კი, კონვენ-

---

<sup>153</sup> „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია“. (სსმ., გაურკვეველი, -, 16/11/1999), მუხლი 5. ხელმისაწვდომია:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>. [20.08.2020].

<sup>154</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 145. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>155</sup> Donna Cline, “Deprivation of Liberty: Has the European Court of Human Rights Recognised a ‘Public Safety’ Exception?” *Merkourios – Volume 29/Issue 76*, (2013): 38.

ნციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პირს აქვს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია<sup>156</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მნიშვნელობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შეზღუდვის კონტექსტში, ვინაიდან როგორც არსებული პრაქტიკა ადასტურებს, პოლიტიკური ნიშნის საეჭვოობის მქონე საქმეებში ევროსასამართლოსთვის მიმართვის ძირითად საფუძველს აღნიშნული მუხლის დარღვევა წარმოადგენს, რის თაობაზეც ნაშრომის შემდგომ თავებში ვრცელი მიმოხილვა იქნება წარმოდგენილი. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის ურთიერთმიმართება. სასჯელის მიზნების ჰეგელი-სეულ ფილოსოფიურ-სამართლებრივ აღქმაში, იგი (სასჯელი) დანაშაულის გაქვითვისთვისაა გამართლებული<sup>157</sup>. ამ თვალსაზრისით, უდანაშაულობის პრეზუმფციის და სასჯელის დადგენამდე პირის პატიმრობის აუცილებლობა არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ფილოსოფიური შეპირისპირების საკითხია. მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებაში ისეთი უკიდურესი ჩარევა, როგორც წინასწარი პატიმრობაა, სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციას ანუ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენამდე პირის თეორიული უდანაშაულობის იდეას არაპროპორციულად ხელყოფს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე ბრალდებულის მოთავსება დაკავების იზოლატორში, გარკვეული თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში მოდის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან<sup>158</sup>. აქედან გამომდინარე, პატიმრობა, რო-

---

<sup>156</sup> „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია“. (სსმ., გაურკვეველი, -, 16/11/1999), მუხლი 5. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>. [20.08.2020].

<sup>157</sup> Thom Brooks and Sebastian Stein, *Hegel's Political Philosophy On the Normative Significance of Method and System* (Oxford: Oxford University Press, 2017), 202.

<sup>158</sup> Lonneke Stevens, "Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Do Not Limit its Increasing Use"

გორც აღკვეთის ღონისძიების სახე, უკიდურეს მექანიზმს უნდა წარმოადგენდეს, რაც მისი მტკიცების სტანდარტს მკვეთრად ზრდის.

ზემოაღნიშნული არ გულისხმობს უპირობოდ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აკრძალვას. ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა ამარტივებს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას, შესაბამისად, შესაძლოა დევნის განმახორციელებელ ორგანოებს პირის პატიმრობის მიმართ გარკვეული ინტერესიც ჰქონდეთ<sup>159</sup>. სწორედ ამ მიზეზით, პრაქტიკული თვალსაზრისით, კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა მხოლოდ მას შემდეგ არის სახეზე, რაც არსებულ ელემენტთა ერთობლიობა აკმაყოფილებს წინა ქვეთავში განხილულ ორ წინაპირობას, პირის დაკავების და მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული თვითნებობის არსებობის სახით.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლებაა საქართველოს კანონმდებლობითაც. ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის, თანახმად, ნებისმიერი ადამიანი სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე მიიჩნევა უდანაშაულოდ<sup>160</sup>. იგივე პრინციპებია დანერგილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში<sup>161</sup>. თავის მხრივ, კონვენციის მე-5 მუხლში, რომელიც იცავს პირს წინასწარი პატიმრობისას თავისუფლების უკანონო შეზღუდვისგან, სწორედ აღნიშნული პრინციპებია გამყარებული<sup>162</sup>. კერძოდ, უდანა-

---

(European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, Vol. 17 (2009): 168. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1404623>.

<sup>159</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>160</sup> საქართველოს კონსტიტუცია (სპუ, 31-33, N7862, 24/08/1995), მუხლი 31.5. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>161</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსმ, 31, N1772, 03/11/2009), მუხლი 5.1. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124>. [20.08.2020].

<sup>162</sup> Lonneke Stevens, “Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Do Not Limit its Increasing Use”

შაულობის პრეზუმფცია იცავს პირს წინასწარ დამნაშავედ ცნობისა და ამგვარი მოპყრობისაგან, რასთან წინააღმდეგობაშიც მისთვის პატიმრობის შეფარდება მოდის<sup>163</sup>. სწორედ ამიტომ, კონვენციის მე-5 მუხლი უზრუნველყოფს დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოქცევას მკაცრი მატერიალურ-პროცესუალური სტანდარტების ქვეშ.

უდანაშაულობის პრეზუმფცია და, შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოყენების შესაძლებლობა დადგენილია 1988 წლის 9 დეკემბრის გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დატუსაღებულ პირთა დაცვის პრინციპებითა<sup>164</sup>. კერძოდ, 36-ე პრინციპის პირველი პუნქტის მიხედვით – „დაკავებული, რომელიც ეჭვმიტანილია ან რომელსაც წაუყენეს ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, უნდა ჩაითვალოს უდანაშაულოდ და უნდა მოეპყრან როგორც ასეთს, სანამ საჯარო სასამართლო პროცესზე, რომელზეც მას თავის დაცვის ყველა გარანტია ექნება, დამნაშავედ არ მიიჩნევენ კანონის მოთხოვნათა დაცვით“. ამავე პრინციპის მეორე პუნქტის მიხედვით კი, გამოძიებასა და სასამართლო პროცესის გამართვამდე ასეთი პირის დაპატიმრება ან დაკავება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მართლმსაჯულების აღსრულების მიზნით და მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლების, პირობებისა და პროცედურების მიხედვით. ასეთ პირობებში შეზღუდვების დაწესება, რომლებიც დაკავების მიზნისთვის, გამოძიების პროცესის ან მართლმსაჯულების აღსრულების დაბრკოლების აღსაკვეთად, ან დაკავების ადგილზე უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად აუცილებელი არ არის, უნდა აკრძალული იყოს“. პრინციპი 39 – „კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, თუ სასამართლო ან

---

(European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, Vol. 17 (2009): 167. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1404623>.

<sup>163</sup> *ibid*, 168.

<sup>164</sup> *ib.* United Nations, Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment (Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988), available at

<https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx>.



ხელისუფლების სხვა ორგანო, მართლმსაჯულების აღსრულების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვაგვარად არ გადაწყვეტს, სისხლის სამართლის ბრალდების საფუძველზე დაკავებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, გაათავისუფლონ სასამართლო განხილვამდე კანონის შესაბამისად დაწესებული პირობებით. ხელისუფლების ორგანომ დაკავების აუცილებლობის საკითხს უნდა გადახედოს ხოლმე”.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა და უდანაშაულობის პრეზუმფცია უკიდურესად ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან, როდესაც პირის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენების გზით ხდება თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა. აღნიშნულ ღირებულებათა კონფლიქტში ოპტიმალური შუალედის მისაღწევად, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტებით, ერთი მხრივ, დგინდება წინასწარი პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების კრიტერიუმები, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ მიუხედავად წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა, პირის დამნაშავედ გამოცხადებამდე აუცილებელია დანაშაულის ჩადენის დადასტურება კანონზე დაფუძნებული სამართალწარმოების გზით.

### **შუალედური დასკვნა**

წარმოდგენილი თავის პირველ ნაწილში ყურადღება გამახვილდა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებასა და დისკრიმინაციული საფუძველებით მისი შეზღუდვის აკრძალვის ისტორიულ საწყისებზე. მსჯელობისას ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ადამიანისთვის თავისუფლების და თანასწორობის ბუნების ძალით მინიჭების ფილოსოფიური იდეის პირველი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი საკანონმდებლო ასახვა ვირჯინიის 1776 წლის 12 ივნისის დეკლარაციაში მოხდა. ადამიანის ბუნებითი უფლებების სამართლებრივი აღიარების გზაზე შემდგომ უმნიშვნელოვანეს აქტად კი აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია იქცა. თავის მხრივ, კვლევისას გამო-

იკვეთა, რომ ყველაზე უფრო სრულყოფილი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც თანამედროვე გაგებით ჩამოყალიბებულია თავისუფლების და თანასწორობის ცნება, საფრანგეთის რევოლუციის შედეგად 1789 წელს მიღებული „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“.

ამავე თავის მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მნიშვნელობაზე, პოლიტიკური თავისუფლების კონტექსტში. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში პოლიტიკური უფლებები გაერთიანებულია კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში. აღინიშნა, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო, ადამიანების დევნა და მათი თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევა სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან არის მჭიდრო კორელაციაში, განსაკუთრებით იმ რეალობაში, როდესაც არ არსებობს ტერმინის, „პოლიტიკური პატიმარი“ და „პოლიტიკური დევნილი“, ერთიანი, სავალდებულო ხასიათის უნიფიცირებული სამართლებრივი განმარტება. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, გამოხატვის თავისუფლების პოლიტიკური კონტექსტი მოიაზრება ყველა საბაზისო საერთაშორისო დეკლარაციასა და კონვენციაში, რაც, ცხადია, საფუძვლად უდევს ხელშემკვრელი მხარეების და, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასაც.

მესამე ნაწილში ყურადღება გამახვილდა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების საკითხებზე საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ამ თავში წარმოდგენილ იქნა პოზიცია, რომ ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას და მისი პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის პრევენციას ახდენს საქართველოს კონსტიტუციის მე-11, მე-13, 33-ე და 34-ე მუხლების ურთიერთმიმართება. ასევე აღინიშნა, რომ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში სრულად იქნა გაზიარებული ნორმათა არა გრამატიკული, სიტყვასიტყვითი, არამედ მათი დინამიკური განვითარების, შინაარსობრივი განმარტების თეორია, რაც თანხვედრაშია ევროპული და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკასთან. ასეთი დასკვნის

საფუძველს გვამლევს კონსტიტუციის ახალი რედაქციის, როგორც მე-11 (თანასწორობის უფლება), ისე მე-4 მუხლში (სამართლებრივი სახელმწიფო) მოდიფიცირებული და შინაარსობრივად უფრო განვრცობადი რედაქცია, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ნორმაშემოქმედებით პროცესში, მისი გამოყენების პრაქტიკული თვალსაზრისით.

წინამდებარე თავის მეოთხე ნაწილი დაეთმო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და მის როლს დემოკრატიული ფასეულობების განვითარებაში. მსჯელობისას ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ კონვენციის ხელშემკვრელ 46 სახელმწიფოთა შორის 1999 წლიდან საქართველოც არის და, შესაბამისად, მასზე სრულად ვრცელდება კონვენციით დაცული უფლებების და თავისუფლებების სამართლებრივი და ფაქტობრივი რეალიზების ვალდებულება როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში.

განხორციელებული კვლევის ფარგლებში ასევე გამოკვეთილ იქნა კონვენციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და მათი აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებული პრინციპული საკითხები. კვლევისას ყურადღება გამახვილდა კონვენციის სავალდებულო ბუნებაზე ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში. კერძოდ, აღინიშნა, რომ კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელსაც სუვერენული სახელმწიფოების ავტონომიის ფარგლებში უერთდება. შეერთების შემდგომ ევროსასამართლო განიხილავს როგორც ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფოთა შორის დავებს და ზედამხედველობს ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას<sup>165</sup>. ამასთანავე, კონვენციის 46-ე მუხლი მხარეებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას ავალდებულებს, ხოლო აღნიშნულზე ზედამხედველობის კომპეტენცია, თავის მხრივ, კიდევ ერთ სპეციალურ ორგანოს – მინისტრთა კომიტეტს გააჩნია.

---

<sup>165</sup>[http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-00&a=d&c1=CL1.16&d=HASH257c7dd403d9300b13c4c5.2 \(06/06/2019\)](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-00&a=d&c1=CL1.16&d=HASH257c7dd403d9300b13c4c5.2 (06/06/2019)).

წინამდებარე თავში ხაზი გაესვა საკანონმდებლო ხელისუფლების განსაკუთრებულ როლს ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან მიმართებაში ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად<sup>166</sup>. აქვე ყურადღება გამახვილდა ევროსასამართლოს მიერ კონვენციის ნორმების დინამიკური განვითარების სტანდარტის გავლენის მნიშვნელობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.

აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროსასამართლოს პრაქტიკასთან და მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს არა მხოლოდ ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, არამედ კონვენციის ხელმოწერი სახელმწიფოების დემოკრატიული ფასეულობების განვითარებაში, რაც იყო კიდევ ამ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნის მიზანი

წინამდებარე თავის მეოთხე ნაწილი უშუალოდ კონვენციის მე-5 მუხლით დაცულ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას დაეთმო. კერძოდ, აღინიშნა, რომ მე-5 მუხლის მიზანი პირისათვის თვითნებურად ან დაუსაბუთებლად ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის პრევენციაა. თუმცა, ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ ადგენს პირის თავისუფლების შეზღუდვის აბსოლუტურობას. ამავე თავის მე-5 ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილი უფლების შესწავლას უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. ნებისმიერი ადამიანი, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე მიიჩნევა უდანაშაულოდ, თუმცა, რიგ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ უფლებაში ჩარევა მართლმსაჯულების განხორციე-

---

<sup>166</sup> კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში (2004): 185. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008db49>.

ლების მიზნით<sup>167</sup>. ამავე დროს ეს მიზანი უნდა იყოს ლეგიტიმური და განჭვრეტადი, რათა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენამდე არ მოხდეს პირის თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების არაპროპორციული შეზღუდვა. შესაბამისად, ხაზი გაესვა წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას მატერიალურ-პროცესუალური მაღალი სტანდარტების დაწესების აუცილებლობას.

მთლიანობაში, უშუალოდ კონვენციის მე-5 მუხლის მიზანი პირისათვის თვითნებურად ან დაუსაბუთებლად ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის პრევენციაა. ამასთან, ნებისმიერი ადამიანი, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე მიიჩნევა უდანაშაულოდ. შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას აუცილებელია მატერიალურ-პროცესუალური მაღალი სტანდარტების არსებობა, რასაც, ცხადია, განსაკუთრებული სენსიტიურობა ემატება პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებთან დაკავშირებით.

## **II. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის ცნება და მისი პრევენციის მექანიზმები**

პოლიტიკური ნიშნით დევნის სხვადასხვა ფორმას შორის, ერთ-ერთი ყველაზე უკიდურესი ფორმა ხელისუფლების მიერ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა მიმართ პოლიტიკური ნიშნით გამოყენებული საპატიმრო ღონისძიებებია. არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, გავრცელებულია მოსაზრება, რომ ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“ უფრო პოლიტიკური კატეგორიაა, ვიდრე სამართლებრივი<sup>168</sup>. სწორედ მისი ამგვარი ბუნების გათვალისწინებით ხდება ტერმინის შეუსაბამო გამოყენება, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფალნი სარგებლობენ რა ამით, აპელირებენ მისი მკაფიოდ განსაზღვრული სამარ-

<sup>167</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52.

<sup>168</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

თლებრივი განმარტების არარსებობაზე და უარყოფენ თავიანთ ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობის ფაქტებს<sup>169</sup>.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დადგინდეს, ერთი მხრივ, თუ რა კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული პირის მიმართ, პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ცნების განსაზღვრისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე დადგინდეს, თუ რომელი სამართლებრივი ნორმები არსებობს დისკრიმინაციის ასეთი უკიდურესი ფორმის აღმოფხვრისა და პრევენციისათვის. ამ კონტექსტში პირის პოლიტიკურ პატიმრად შესაფასებლად აუცილებელია „პოლიტიკური პატიმრის“ განსაზღვრების საკმაოდ ფართო ხედვა იმისათვის, რათა არ შეიზღუდოს ისეთი შემთხვევები, რომლებიც ვერ მოექცევა ვიწრო ჩარჩოში, ამასთან, იგი უნდა იყოს საკმაოდ კონკრეტული, რათა არავის მიეცეს მისი ფართოდ ინტერპრეტაციის საშუალება<sup>170</sup>.

აუცილებელია, რომ „პოლიტიკური პატიმრობის“ ცნება ადგილობრივი კულტურის გათვალისწინებით შეესაბამებოდეს დღესდღეობით საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების პრაქტიკაში გამოყენებად ანალოგს. თავის მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ამგვარი ცნების რამდენიმე სხვადასხვა განსაზღვრება, რომლებიც ერთმანეთს კი არ გამოირიცხავს, არამედ ავსებს, რათა მოხდეს ადგილობრივი პოლიტიკური პატიმრების საერთაშორისოდ აღიარება<sup>171</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა როგორც პრობლემის აქტუალურობა, ისე მისი ისტორიული და სამართლებრივი საწყისების არსებობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუციების მდგრად განვითარებასა

---

<sup>169</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

<sup>170</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 4.

<sup>171</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრობლემატიკასთან, მით უფრო, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული 2012 წლის 03 ოქტომბრის N1900 რეზოლუციის გათვალისწინებით და 2014 წლის 27 ივნისს ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის (შემდგომში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“), რომელიც, სხვა უმნიშვნელოვანეს ვალდებულებებთან ერთად, ითვალისწინებს ევროკავშირთან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება-ჰარმონიზაციას<sup>172</sup>. ეს, ცხადია, გულისხმობს ქვეყანაში შიდა პოლიტიკური პლურალიზმის განვითარებას და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას, რაც შეუძლებელია, განხორციელდეს პოლიტიკურად თანასწორი გარემოს შექმნისა და მისი დაცვის ეფექტური სამართლებრივი მექანიზმების არსებობის გარეშე. ამავე თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ის ნაწილი, რომლითაც საქართველომ იკისრა ვალდებულება, მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა და სრულყოფა, მათ შორის, ქვეყანაში თანასწორობის დამკვიდრებისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის რეალურად უზრუნველყოფის მიზნით<sup>173</sup>.

წინამდებარე თავის მიზანია პოლიტიკური პატიმრობის ცნების საერთაშორისოდ გავრცელებული ელემენტების უნიფიცირების გზით, ერთიანი სამართლებრივი სტანდარტის შემოთავაზება. ამ მიზნით განხილული იქნება პოლიტიკური პატიმრობის შესახებ, როგორც საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების, ისე ავტორიტეტული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციების დასკვნები, ანგარიშები, კონვენციები და პრაქტიკული მაგალითები. წინამდებარე თავის

---

<sup>172</sup> „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ (N 200/42, სსმ, ვებგვერდი, 11/09/2014), მუხლი 13. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. [20.08.2020].

<sup>173</sup> იქვე, მუხლი 4.

ვში ასევე მოცემული იქნება რეკომენდაციები, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული კონკრეტული პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით.

### **1. პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ცნების განსაზღვრის აუცილებლობა**

უდავოა, რომ ადამიანის პირადი თავისუფლების, მისი ხელშეუხებლობის, საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედების თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, შეუზღუდავი უფლება<sup>174</sup>. პირადი თავისუფლების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს თანხმობის, მისი გადაწყვეტილების საფუძველზეა დასაშვები<sup>175</sup>. ამგვარი მკაცრი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნები იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებლო თვითნებობისაგან<sup>176</sup>.

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის აღსრულება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დადგენილი წესით რეჟიმის მოთხოვნების რეალიზაციით ხორციელდება<sup>177</sup>. თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის იზოლირება ითვალისწინებს არა მხოლოდ გარე სამყაროსთან მისი კავშირების შეზღუდვას, არამედ ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვეულ წესსაც<sup>178</sup>. ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი, მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა – თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და

<sup>174</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>175</sup> იქვე.

<sup>176</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

<sup>177</sup> ომარ ფარტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა (ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009), 62.

<sup>178</sup> ომარ ფარტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა (ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009), 83.



თავისუფლებების რეალიზაციას<sup>179</sup>. აქედან გამომდინარე, ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის უკიდურეს ფორმას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში<sup>180</sup>. საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ: „ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს როგორც ultima ratio“<sup>181</sup>.

ადამიანის პირადი თავისუფლების უფლება, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით. კერძოდ, დეკლარაციის მიხედვით – „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“<sup>182</sup>. ასევე, დეკლარაციის მე-9 მუხლის მიხედვით, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაპატიმრებას, დაკავებას ან გამეუებას“.

სასჯელაღსრულების დაწესებულების მიზანი, უმეტესწილად, არის სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურობა, როგორც ციხის შიგნით, ისე მის გარეთ<sup>183</sup>. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმრობა, ანუ პირის თავისუფლების უფლების შეზღუდვა გამიზნულია, არა პატიმრობის უმთავრესი მიზნის, სოციალური სტაბილურობის მიღწევის, არამედ პოლიტიკური შურისძიებისათვის, იგი პოლიტიკური ნიშნით დევნის უკიდურესი ფორმად უნდა

---

<sup>179</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>180</sup> კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (თბილისი: „ფაუნტინ ჯორჯია“, 2014), 135.

<sup>181</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

<sup>182</sup> ადამიანის პირადი თავისუფლების უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, მუხლი 3.

<sup>183</sup> მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე და მაია (ზოია) ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) (თბილისი: „იურისტების სამყარო“, 2014), 73.

იქნეს მიჩნეული. გარდამავალ ეტაპზე მყოფ არადემოკრატიულ სა-ხელმწიფოებში, ძალოვანი სტრუქტურების, სასამართლოს და ბო-ლოს, პენიტენციური სისტემის განსხვავებული აზრის წინააღმდეგ გამოყენების რისკი გაცილებით მაღალია დემოკრატიული ინსტი-ტუტების არამყარი ბუნების გამო. ძირითად შემთხვევაში, პატიმ-რობას, რომელსაც პოლიტიკური სარჩული აქვს, ფორმალური თვა-ლსაზრისით, საკანონმდებლო საფუძველი გააჩნია, რაზეც ნაშრო-მის შემდგომ თავებში დეტალური მსჯელობა იქნება წარმოდგენი-ლი. აღნიშნული, თავის მხრივ, კიდევ უფრო ართულებს კონკრე-ტული პირის მიმართ პატიმრობის, როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნის ფაქტის დადგენას.

ავტორიტეტული საერთაშორისო უფლებადამცველი ორგა-ნიზაციის „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის“<sup>184</sup> მიერ ხაზი გაესვა პოლიტიკური პატიმრობის არაუნიფიცირებული დეფინიციების არსებობის ფაქტს, როგორც პოლიტიკურ პატიმართა იდენტიფიცირების ხელშემშლელ ფაქტორს<sup>185</sup>. შედეგად, სამოქალა-ქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების თუ უცხო სა-ხელმწიფოების სხვადასხვა წარმომადგენლის მიერ მითითება კეთ-დება პოლიტიკური პატიმრების სხვადასხვა რაოდენობაზე<sup>186</sup>. ეს, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის საერთაშორისო ბერკეტების სათა-ნადო მობილიზებას კონკრეტული ინდივიდებისა თუ მთელი სა-ზოგადოების ტოტალიტარული მანქანის ზეწოლისაგან დასაცავად.

მიუხედავად ზემოაღნიშნული აუცილებლობისა, სამწუხა-როდ, გაერომ და ევროსაბჭომ, იმის ნაცვლად, რომ ტერმინი „პოლი-

---

<sup>184</sup> FIDH (International Federation for Human Rights) არის ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 184 ორგანიზაციას მსოფლიოს 112 ქვეყანაში. 1922 წლიდან, ეს ორგანიზაცია იცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს (ვრცლად: <https://www.fidh.org/en/about-us/What-is-FIDH/> (07.11.2019).

<sup>185</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 6.

<sup>186</sup> იქვე.

ტიკური პატიმარი” თვითონ განესაზღვრათ სამართლებრივად და გაერკვიათ, კონკრეტულად, რომელი ტიპის პატიმრები ხვდებიან ამ განსაზღვრების ქვეშ და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი ასეთი სტატუსის მისანიჭებლად, ფაქტობრივად, ეს ფუნქცია დააკისრეს ავტორიტეტულ არასამთავრობო ორგანიზაციას „საერთაშორისო ამნისტიას”<sup>187</sup>, რომელსაც 1964 წელს მიენიჭა გაეროს, 1965 წელს კი ევროსაბჭოს კონსულტანტის სტატუსი<sup>188</sup>.

პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ფაქტის დადგენას და სამართლებრივად სწორად განსაზღვრას, თითოეული ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, რათა მოხდეს დემოკრატიული ფასეულობების მქონე სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სწორი მიმართულებით კორექტირება, პოლიტიკური პატიმრობის, როგორც განსხვავებული აზრის დევნის გამოყენების პრევენცია და პოლიტიკური პლურალიზმის განვითარება. თუმცა, მიუხედავად ასეთი აუცილებლობისა, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან „პოლიტიკური პატიმრობის” ცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის მოთხოვნა არ არსებობს, რაც, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნის და შევიწროების პრევენციისათვის არსებულ მნიშვნელოვან პრობლემად უნდა შეფასდეს.

---

<sup>187</sup> Amnesty International.

<sup>188</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

## 2. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის ცნების საერთაშორისოდ აღიარებული ელემენტები

ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა რუსეთის ხალხოსან-რევოლუციონერთა წრეში და დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ამ წრეში გამოიყენებოდა<sup>189</sup>. ასეთ ცნებას არ შეიცავდა არც 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სფეროში გაეროს პირველ დოკუმენტს<sup>190</sup>. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეს ტერმინი მყარად დამკვიდრდა თითქმის ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ ლექსიკაში<sup>191</sup>.

წმინდა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, კემბრიჯის ლექსიკონი, პოლიტიკური ნიშნით პატიმრობას სინდისის პატიმრობად<sup>192</sup> მიიჩნევს და აერთიანებს პირის დევნის ისეთ სხვა სახეებთან, როგორებიცაა რელიგიური ან სხვა შეხედულებები, რომლებიც არ ემთხვევა ხელისუფლების შეხედულებებს<sup>193</sup>. გაეროს მიერ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დამტკიცებიდან სამი ათეული წლის შემდეგ სინდისის პატიმრობამ ადამიანის უფლებათა სფეროში ყველაზე პოპულარული გამოთქმის სახე შეიძინა<sup>194</sup>.

მიუხედავად წინა აზრაცში აღნიშნული ცნებისა, სინდისის პატიმრობისა და პოლიტიკური პატიმრობის საერთო ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ, საერთაშორისო საზოგადოება დღემდე ვერ

---

<sup>189</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

<sup>190</sup> Edy Kaufman, “Prisoners of Conscience: The Shaping of a New Human Rights Concept.” *Human Rights Quarterly*, Vol. 13, Issue 3 (1991): 339.

<sup>191</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

<sup>192</sup> Prisoner of Conscience.

<sup>193</sup> <http://dictionary.cambridge.org/dictionary/english/prisoner-of-conscience> [06/06/2019].

<sup>194</sup> Kaufman, Edy, *Prisoners of Conscience: The Shaping of a New Human Rights Concept* [article] *Human Rights Quarterly*, Vol. 13, Issue 3 (1991), pp. 339-367, 339.

შეთანხმდა ერთიან, სავალდებულო სამართლებრივ სტანდარტზე, რომელიც ცალსახად განსაზღვრავდა პირის მიმართ გამოყენებული თავისუფლების აღკვეთის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმებს. შესაბამისად, ასევე არ არსებობს რაიმე სახის სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი ამ თვალსაზრისით. დღესდღეობით საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების პრაქტიკაში გამოიყენება ტერმინის „პოლიტიკური პატიმარი“ რამდენიმე განსაზღვრება, რომლებიც შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთს კი არ გამოორიგხავს, არამედ ავსებს<sup>195</sup>.

მიუხედავად ავტორიტეტული საერთაშორისო სამთავრობო, მათ შორის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ანსამბლეს და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილი სხვადასხვა ცნებისა, რომელთაც შინაარსობრივ და შედეგობრივ ჭრილში, საბოლოოდ, ძირითადად, დეფინიციური და სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია, როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, გაცილებით მოგებიანი იქნებოდა სინდისისა და პოლიტიკური პატიმრობის კრიტერიუმების და ასეთი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შემდგომი ეკონომიკურ-სამართლებრივი შედეგების საერთაშორისო დონეზე დადგენა. მაგალითისათვის, გაეროს და ევროსაბჭოს ფარგლებში იმგვარად, რომ წევრ სახელმწიფოებს ეს კრიტერიუმები აესახათ ეროვნულ კანონმდებლობაში, განსხვავებული აზრის გამო, თუ პოლიტიკური ნიშნით დევნის და პატიმრობის პრევენციული სტანდარტების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. როგორც უკვე აღინიშნა წინა ქვეთავში, ასეთი ერთიანი სტანდარტის დადგენის ფაქტობრივი კომპეტენცია გაეროს მხრიდან თავდაპირველად უფლებადამცველ ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიას“ მიენიჭა. „საერთაშორისო ამნისტიის“ განსაზღვრებით, სინდისის პატიმრებად მიიჩნევიან ის ადამიანები, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური, რელიგიური ან სინდისთან დაკავშირებული

---

<sup>195</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

რწმენის, როგორცაა სექსუალური ორიენტაცია სქესი, კანის ფერი, ენა, ეროვნება, წარმოშობა, დაბადება, ან სხვა სტატუსის გამო, იმყოფებიან პატიმრობაში<sup>196</sup>. თავის მხრივ, ამავე ორგანიზაციის განმარტების თანახმად „პოლიტიკური პატიმარი – ეს არის ნებისმიერი თავისუფლებაშეზღუდული პირი, რომლის საქმეშიც არსებობს პოლიტიკური ელემენტი, იქნება ეს ამ პატიმრის ქმედების განმსაზღვრელი, თვითონ ქმედება თუ ხელისუფლების მოტივაცია“<sup>197</sup>.

„საერთაშორისო ამნისტია“ არ წარმოადგენს მარტოოდენ ფილოსოფიურ-ნორმატიული კონცეფციების შემუშავებელ ორგანიზაციას<sup>198</sup>. იგი უშუალოდ მუშაობს საკუთარი მანდატის ფარგლებში შეზღუდული, მაგრამ გარანტირებული უფლებების დაცვაზე, სახელმწიფოების მხრიდან „სინდისის პატიმრების“ მიმართ საჯარო და სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნის გზით<sup>199</sup>. აღნიშნული ორგანიზაცია სწავლობს როგორც ინდივიდუალურ, ისე პირთა ჯგუფის ქვეშ გაერთიანებულ საქმეებს<sup>200</sup>. შედეგად, არსებული მდგომარეობით, ორგანიზაციამ შეისწავლა ათობით ათასი საქმე და გათავისუფლდა სინდისის პატიმრობის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ათასობით პირი<sup>201</sup>.

საერთაშორისო დონეზე ტერმინის „პოლიტიკური პატიმრობა“ კრიტერიუმები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2012 წლის 3 ოქტომბერს მიღებული N1900 რეზოლუციით ყველაზე ამომწურავად განსაზღვრა<sup>202</sup>. ამას, თავის მხრივ, წინ უსწრებდა 2001

---

<sup>196</sup> <https://www.amnesty.org/en/what-we-do/discrimination/> (05/09/2019).

<sup>197</sup> ფონდი დია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი დია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

<sup>198</sup> Edy Kaufman, “Prisoners of Conscience: The Shaping of a New Human Rights Concept.” Human Rights Quarterly, Vol. 13, Issue 3 (1991): 340.

<sup>199</sup> Edy Kaufman, “Prisoners of Conscience: The Shaping of a New Human Rights Concept”. Human Rights Quarterly, Vol. 13, Issue 3 (1991): 340.

<sup>200</sup> <http://www.amnestyusa.org/our-work/cases> [06/06/2019].

<sup>201</sup> Edy Kaufman, “Prisoners of Conscience: The Shaping of a New Human Rights Concept”. Human Rights Quarterly, Vol. 13, Issue 3 (1991): 341.

<sup>202</sup> გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა,

წლის 24 ოქტომბერს ევროსაბჭოს მიერ პოლიტიკური პატიმრობის ცნების შემოტანა<sup>203</sup>. თუმცა დღემდე აღნიშნულ განსაზღვრებებს არ დაუკავებია სამართლებრივად სავალდებულო ძალის მქონე ადგილი არც საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებში და არც ეროვნულ კანონმდებლობებში<sup>204</sup>.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის N1900 რეზოლუციის მიხედვით, „თავისუფლებაა ადკვეთილი პირი „პოლიტიკური პატიმრის“ ცნების ქვეშ ექცევა, თუ: ა) თავისუფლების ადკვეთა გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი პროტოკოლებით გარანტირებული რომელიმე უფლების, კერძოდ – სიტყვის, სინდისის და რელიგიის, გამოხატვის და ინფორმაციის გავრცელების, აგრეთვე, შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლების უფლების დარღვევის საფუძველზე; ბ) თავისუფლების ადკვეთა გამოყენებული იყო აშკარად პოლიტიკური მოტივებით, ყოველგვარი კანონდარღვევის გარეშე; გ) პოლიტიკური მოტივების გამო პატიმრობის ხანგრძლივობა და პირობები აშკარად შეუსაბამოა იმ კანონდარღვევასთან, რისთვისაც პირი არის ბრალდებული ან მსჯავრდებული; დ) პირი თავისუფლებაა ადკვეთილია პოლიტიკური მოტივებით სხვა პირებთან შედარებით დისკრიმინაციული საფუძვლით; ე) თავისუფლების ადკვეთა მოხდა პროცესუალური გარანტიების აშკარა დარღვევებით და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან<sup>205</sup>.

---

რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 16.

<sup>203</sup> Council of Europe, Information Document on Cases of alleged political prisoners in Armenia and Azerbaijan (SG/Inf(2001)34 / October, 2001), available at: <https://rm.coe.int/16805e27f5> . [20.08.2020].

<sup>204</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 3.

<sup>205</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution on The definition of political prisoner (N1900 (2012) Adopted by the Assembly on 3 October 2012), available at: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150&lang=en>. [20.08.2020].

პოლიტიკური პატიმრობის კრიტერიუმებს ვხვდებით აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების თაობაზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის რეზოლუციაშიც<sup>206</sup>, კერძოდ: ა) დაპატიმრებამდე ადამიანი უნდა იყოს პოლიტიკურად აქტიური და მისი დაპატიმრებით ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური სარგებელი; ბ) ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ან შეუგნებლად შეურაცხყოფენ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს; გ) ადამიანები, რომელთა დაპატიმრებას საფუძვლად დაედო არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულება და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოწმის ჩვენება, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა პატიმრობის გამოყენება, ყალბია; დ) დაპატიმრებული ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფება პირთან, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებდა.

დემოკრატიულ სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში პოლიტიკურ საქმიანობაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობის გამო დისკრიმინაციის აკრძალვა საკონსტიტუციო დონეზეა აყვანილი. ასეთი უფლებები გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლებითაც. პოლიტიკური ნიშნით დევნის მსხვერპლთა საქმეები, როგორც წესი, დისკრიმინაციული მიდგომით გამოირჩევა, ერთგვარ დამახასიათებელ ნიშნად გასდევს ნაციონალურ დონეზე წარმოებულ ყველა საქმეს და, საბოლოო ჯამში, აისახება სასამართლო განაჩენებსა თუ სხვა გადაწყვეტილებებზე<sup>207</sup>.

ვინაიდან პოლიტიკური ნიშნით დევნა თუ პატიმრობა, თავის თავში მოიაზრებს კანონის მიღმა არსებულ განსხვავებულ მიდგომას პოლიტიკური სარჩულით, ცხადია, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია უკანონოდ განხორციელებული განსხვავებული მიდგო-

---

<sup>206</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution on political prisoners in Azerbaijan (N 1359 (2004) Adopted by Parliamentary Assembly on 27 January 2004), available at: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17179&lang=en> [20.08.2020].

<sup>207</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 7.



მის ანუ დისკრიმინაციის ზოგადი სტანდარტის გაანალიზება ევრო-სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით.

ზოგადად, დისკრიმინაციის რაობაზე, ერთ-ერთი პირველი საქმე იყო „ბელგიელი ენათმეცნიერები ბელგიის წინააღმდეგ“, რომელზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები და მიდგომები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებით<sup>208</sup>, კერძოდ, მითითებული გადაწყვეტილებით, დისკრიმინაციად მიიჩნევა იმგვარი განსხვავებული მიდგომა, რომელსაც არ გააჩნია ობიექტური და გონივრული განსჯა, არ შეესაბამება ლეგიტიმურ ინტერესს და არ არის მიზნის პროპორციული<sup>209</sup>.

ასევე ხაზი უნდა გაესვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი დაკავშირებულია (მათ შორის) პოლიტიკურ საქმიანობასთან და, შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკურად აქტიური ადამიანები ამ მუხლით დადგენილი უფლების დარღვევის მსხვერპლნი ხდებიან<sup>210</sup>. ევროსასამართლო კი, პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლებას მიიჩნევს, როგორც დემოკრატიული საზოგადოების არსებობის და ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობას<sup>211</sup>.

ზოგადი თვალსაზრისით, პირის პოლიტიკურ პატიმრად აღიარებისათვის მტკიცების ტვირთი უშუალოდ იმ პირს ეკისრება, ვინც ასეთად მიიჩნევს თავს, ხოლო შემდგომ სახელმწიფომ უნდა უარყოს ეს (ბრალდება)<sup>212</sup>. აღნიშნული მოსაზრება უნდა განიმარ-

---

<sup>208</sup> იქვე.

<sup>209</sup> ვრხლად იხ. *Belgium v Belgium* (nos. 1474/62; 1677/62; 1691/62; 1769/63; 1994/63; 2126/64), ECHR 23 July 1968.

<sup>210</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 8.

<sup>211</sup> იქვე.

<sup>212</sup> გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა,

ტოს იმგვარად, რომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირი ვალდებულია, წარმოადგინოს გარკვეული სახის ინფორმაცია და მტკიცებულებები (რასაც შესაძლოა, მოცემული შემთხვევისათვის ეწოდოს მტკიცების „მინიმალური“ სტანდარტი), რომ მის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა განხორციელდა, ხოლო შემდგომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უარყოს ამგვარი ბრალდება. ამგვარი მსჯელობა სავსებით შეესაბამება დისკრიმინაციული მოპყრობის მტკიცების საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს, ვინაიდან პოლიტიკური ნიშნით დევნა, პირის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლების შეზღუდვა დისკრიმინაციულ მოპყრობას წარმოადგენს. დისკრიმინაციული მოპყრობის უარყოფის მტკიცების ტვირთი კი ნაწილდება სავარაუდო დამრღვევზე და არა სავარაუდო მსხვერპლზე. ეს სტანდარტი ასახულია ასევე საქართველოს კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიხედვითაც: „პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა“<sup>213</sup>.

პირის პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვის შესახებ მტკიცება უნდა ემყარებოდეს *prima facie* მტკიცებულებებს, რის გამოც დამკავებელ ხელისუფლებაზე გადადის მტკიცების ტვირთი, დაასაბუთოს, რომ დაკავება სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, როგორც ამას განმარტავს ევროსასამართლო თავის პრეცედენტებში არსებით საკითხებთან დაკავშირებით, რომ პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნები დაცულია და დაკავების პროცესში

---

რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 16.

<sup>213</sup> საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 2.

შენარჩუნდა სამართლიანი პროცედურები, რაც უფრო მეტად ზრდის მტკიცების სტანდარტს<sup>214</sup>. სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და დისკრიმინაციული მიდგომა სამართალწარმოებაში იქცა საფუძვლად ირანელი სტუდენტის და აქტივისტის, მაჯიდ ტავაკოლის<sup>215</sup>, საქმეში ფაქტობრივად მისი პოლიტიკურ პატიმრად აღიარებისათვის, ვინაიდან სწორედ მტკიცების დაბალი სტანდარტი წარმოადგენს ხშირ შემთხვევაში პირის პოლიტიკურ პატიმრად აღიარების საფუძველს. მაჯიდ ტავაკოლის ადვოკატს დაუსაბუთებლად შეეზღუდა მონაწილეობა არაერთ მნიშვნელოვან საპროცესო ღონისძიებაში, რითაც საქმეში არსებულ სხვა გარემოებებთან შეჯამებით, განხორციელდა პირის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა და ეს უთანასწორო მოპყრობა დაკავშირებული იყო მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან არსებულ პოლიტიკურ მოტივებთან<sup>216</sup>.

შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ტერმინს „პოლიტიკური პატიმარი“ არც ისეთი ღრმა ისტორიული საწყისები გააჩნია. დღეისათვის კი, მიუხედავად ევროსაბჭოსა და „საერთაშორისო ამნისტიის“ მიერ დადგენილი კრიტერიუმების ურთიერთშემცხები ხასიათისა, საერთაშორისო საზოგადოება კვლავ არ არის შეთანხმებული ერთიან, სავალდებულო სამართლებრივ სტანდარტზე, რომელიც ცალსახად განსაზღვრავდა პირის მიმართ გამოყენებული თავისუფლების აღკვეთის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმებს. შესაბამისად, არ არსებობს სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს დაავალდებულებდა, კანონმდებლობაში აესახათ ტერმინის „პოლიტიკური პატიმარი“ კრიტერიუმები. პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის საყოველთაო ცნების არარსებობა კი საერთაშორისო პრაქტიკაში პოლიტი-

<sup>214</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, პოლიტიკური პატიმრები საქართველოში (თბილისი: ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2009), 3.

<sup>215</sup> მაჯიდ ტავაკოლი (Majid Tavakoli) ირანელი სტუდენტი-აქტივისტი, უფლებადამცველი, რომელიც „საერთაშორისო ამნისტიის“ მიერ მიჩნეულია პოლიტიკურ პატიმრად.

<sup>216</sup> <http://www.amnestyusa.org/our-work/cases/iran-majid-tavakkoli>. [05/09/2019].

კური ნიშნით პატიმრობის შემთხვევების აღმოფხვრის ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორია. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლების გარანტი ამ ეტაპისათვის ქვეყნების შიდა სამართლებრივი მექანიზმები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა, რომელიც პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლების გარანტირებას, როგორც ნორმატიულ, ისე პრეცედენტულ დონეზე ახდენს.

### **3. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვისა და პირის შესაძლო დამნაშავეობის საკითხის ურთიერთმიმართება**

ნაშრომის წინა ნაწილებში უკვე აღინიშნა, რომ „პოლიტიკური პატიმრობა“ უფრო პოლიტიკური კატეგორიაა, ვიდრე სამართლებრივი. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, უფლების ასეთ შეზღუდვას უმეტესწილად თან სდევს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობები და მოწოდებები საზოგადოებაში ასეთად მიჩნეული პირის გათავისუფლების თაობაზე. შესაბამისად, ამ კონტექსტში აქტუალობას იძენს ისეთ საკითხზე მსჯელობა, როგორცაა პოლიტიკური პატიმრობა და პირის უდანაშაულობის ურთიერთმიმართება და ამის თანმდევი შედეგები.

თავდაპირველადვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში პოლიტიკური პატიმრობა ხშირად არასწორად განიხილება – პირის თავისუფლების აღკვეთიდან ავტომატურად გათავისუფლების სინონიმად, მაშინ როდესაც, პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასა და პირის უდანაშაულობას შორის არ არსებობს პირდაპირი და უშუალო ურთიერთკავშირი. უზოგადესი შინაარსით, პოლიტიკური პატიმრობა ნიშნავს ორი ელემენტის ურთიერთკავშირს, კერძოდ: ეს არის (1) თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისას პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობის არსებობის ფაქტი, რაც პროვოცი-

რებულია (2) პოლიტიკური ელემენტის არსებობით<sup>217</sup>. პოლიტიკური პატიმრობის კონტექსტში საინტერესოა ამ ორი ელემენტის ერთდროული არსებობა, რომელთაგან არცერთი შინაარსობრივად პირის დამნაშავეობა/უდანაშაულობას პირდაპირ არ მიემართება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პატიმრობის კონტექსტში საინტერესოა განსხვავებული სტანდარტის არსებობა. ასეთი განსხვავებული სტანდარტი შეიძლება ვლინდებოდეს დაკავების განსხვავებულ პროცედურებში, პროცესუალური ღონისძიებების გაჭიანურებაში, დაცვის მხარისთვის საქმის მასალებზე წვდომის უფლების შეზღუდვაში, დასაბუთების დაბალ ხარისხში, პატიმრობის არასათანადო პირობებში და სხვა. აქედან გამომდინარე, პირის პოლიტიკური პატიმრობისთვის საინტერესო საკითხთა სპექტრი გაცილებით ფართოა და იგი არ არის ვიწროდ, მარტოოდენ პირის დამნაშავეობა/უდანაშაულობის საკითხთან კავშირში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, პოლიტიკურ პატიმრობასთან დანაშაულის არსებობის საკითხს არ გააჩნია პირდაპირი და უშუალო კავშირი და პოლიტიკური პატიმრობა არ გულისხმობს პირის უდანაშაულობას<sup>218</sup>.

იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური პატიმრობა არ გულისხმობს პირის ავტომატურ უდანაშაულობას, იგი შედეგობრივი თვალსაზრისითაც არ იძლევა რაიმე პრივილეგიას ან განსაკუთრებულ სტატუსს. მაგალითისათვის, „საერთაშორისო ამნისტია“ არ ითხოვს ყველა პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლებას და არც პოლიტიკური პატიმრისადმი განსაკუთრებულ მოპყრობას მთავრობისაგან<sup>219</sup>. პირიქით, პოლიტიკური პატიმრობის დადგენის შემდგომ პირველადი მოთხოვნა არა პრივილეგიის მინიჭება, არამედ პოლიტიკურ პატიმრად მიჩნეული პირის სხვა სუბიექტებთან უფ-

---

<sup>217</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 15.

<sup>218</sup> იქვე.

<sup>219</sup> იქვე.

ლებრივ ნაწილში გათანასწორება<sup>220</sup>. უფრო კონკრეტულად, პოლიტიკური პატიმრის ცნება მოიცავს პირის მიმართ ისეთი ფუნდამენტური უფლების განხორციელების ფაქტობრივად მინიჭების შესაძლებლობას, როგორც სამართლიანი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

#### **4. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების, როგორც საერთაშორისო სავალდებულო სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნის მიზანშეწონილობა და შესაძლებლობა**

ნაშრომის წინა ქვეთავში მსჯელობა შეეხო პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის განსაზღვრის ცნების ერთიანი სამართლებრივი სტანდარტის არარსებობის პრობლემატიკას. ამგვარი ცნების მნიშვნელობის და თანმდევი შედეგების გათვალისწინებით, აშკარა ხდება საერთაშორისო დონეზე დადგენილი ნორმატიული დებულებების არსებობის აუცილებლობა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის სახით, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს დაავალდებულებს, სათანადო და ქმედითი მექანიზმების გამოყენებით უზრუნველყონ ეროვნულ დონეზე პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის აღმოფხვრის პრინციპების იმპლემენტაცია.

საერთაშორისო სამართალი, სამართლის თითოეული დარგის მსგავსად, დროსთან ერთად ვითარდება<sup>221</sup>. განვითარების მაკროვოცირებელი ფაქტორი საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირების აუცილებლობაა<sup>222</sup>. კერძოდ, საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შექმნის აუცილებლობა შესაძლებელია ნაკარნახევი იყოს საზოგადოების წინაშე არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის გზით უკეთესი საცხოვრებელი

<sup>220</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 15.

<sup>221</sup> Malcolm N. Shaw, *International Law*, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 42.

<sup>222</sup> *ibid.*

გარემოს უზრუნველყოფის მიზნიდან<sup>223</sup>. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხთა სპექტრი, რომელიც საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტებითაა მოცული, ყოველდღიურად მზარდია<sup>224</sup>. შედეგად, დღეისათვის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ქოლგის ქვეშ ექცევა ისეთი საკითხები, როგორცაა გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსები, შრომითი უფლებები, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა<sup>225</sup>.

საერთაშორისო შეთანხმებათა ტიპური გამიჯვნის საფუძველზე, ამგვარი შეთანხმებების ერთ-ერთ სახედ შესაძლებელია გამოიყოს „სამართალშემოქმედებითი შეთანხმებები“<sup>226</sup>. ამგვარი შეთანხმებებით მონაწილე მხარეები თანხმდებიან, შეიზოჭონ თავი საყოველთაო და ზოგადი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით<sup>227</sup>.

თავისი მნიშვნელობითა და აქტუალურობის გათვალისწინებით, პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის აღმოფხვრის აუცილებლობა აშკარად წარმოადგენს იმ საკითხს, რომელიც საჭიროებს მხოლოდ ხასიათის შეთანხმების არსებობას. ამასთანავე, ამგვარი შეთანხმებების მეშვეობით, რეალური ეფექტის მისაღწევად მნიშვნელოვანია მისი საყოველთაობა, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მაქსიმალური რაოდენობის ხარჯზე<sup>228</sup>.

პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის აღმოფხვრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გაერო მოაზრებულ უნდა იქნეს ყველაზე უფრო სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციად, რომლის ფარგლებშიც მოხდება ნორმატიულ დონეზე პოლიტიკური პატიმრის ცნების და თანმდევი შედეგების განსაზღვრა. 1945 წლის 26 ივნისს მიღებული გაეროს წესდების ამოსავალ წერტილს ადამიანის ფუნ-

---

<sup>223</sup> Malcolm N. Shaw, *International Law*, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 42.

<sup>224</sup> *ibid*, 47.

<sup>225</sup> *ibid*.

<sup>226</sup> “Law-making” treaties.

<sup>227</sup> Malcolm N. Shaw, *International Law*, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 88.

<sup>228</sup> *ibid*, 90.

დამენტური უფლებები წარმოადგენს, რომლის დაცვასაც ორგანიზაცია შექმნის დღეს ისახავდა მიზნად<sup>229</sup>. ეს ვალდებულება, როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებლური მიზანი, დღემდე აქტუალურია<sup>230</sup>. შესაბამისად, გაეროს შესაძლო საინტერვენციო მიმართულებები ადამიანის უფლებათა სფეროში პრაქტიკულად შეუზღუდავია<sup>231</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში გაეროს ფარგლებში არსებულ შეთანხმებათა სპექტრი მკვეთრად გაიზარდა<sup>232</sup>. უფრო კონკრეტულად, ცხრა საერთაშორისო შეთანხმება, მათი საერთო მახასიათებლების გათვალისწინებით, მიიჩნევა უფლებადაცვით სფეროში ძირითად შეთანხმებებად<sup>233</sup>. აღნიშნული შეთანხმებების ძირითადი საფუძველი თავად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაა<sup>234</sup>. შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისინი მკაფიოდ და შედარებით ფართოდ განსაზღვრავენ სახელმწიფოთა ვალდებულებას, იმოქმედონ აღნიშნული უფლებების დასაცავად<sup>235</sup>. აღსრულების უზრუნველსაყოფად კი უმეტესწილად ამავე აქტების ფარგლებშია მოწესრიგებული შესრულებაზე ზედამხედველობის მიზნით ექსპერტთა სპეციალური ჯგუფის შექმნა<sup>236</sup>. ზედამხედველობის ინსტრუმენტის ეფექტიანობის მიზნით, შეთანხმებათა დებულებები ითვალისწინებს შესრუ-

---

<sup>229</sup> Jussi M. Hanhimäki, *The United Nations: A Very Short Introduction* (Oxford: Oxford University Press, 2008), 112.

<sup>230</sup> Olivier De Schutter, *International Human Rights Law Cases, Materials, Commentar.* Cambridge: Cambridge University Press, 2010, 14.

<sup>231</sup> Jacques Fomerand, *The United Nations and Its Limits*, *Seton Hall Journal of Diplomacy and International Relations* 1, no. 1 (Summer/Fall 2000): 51.

<sup>232</sup> Malcolm N. Shaw, *International Law*, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 89.

<sup>233</sup> Olivier De Schutter, *International Human Rights Law Cases, Materials, Commentar.* Cambridge: Cambridge University Press, 2010, 17.

<sup>234</sup> *ibid.*

<sup>235</sup> *ibid.*

<sup>236</sup> Olivier De Schutter, *International Human Rights Law Cases, Materials, Commentar.* Cambridge: Cambridge University Press, 2010, 17.



ლების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის რეგულარულად წარდგენის ვალდებულებასაც<sup>237</sup>.

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის დეფინიციის და მისი აღმოფხვრის შესახებ დებულებები შესაძლებელია, მოაზრებულ იქნეს, როგორც ამავე ბუნების მატარებელი დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი ან იქცეს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პაქტის განუყოფელ ნაწილად. ამ ნორმათა ერთობლიობით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის იდენტიფიცირების პრინციპები, რომელიც შესაძლებელია, დაეყრდნოს ნაშრომის წინა ქვეთავში წარმოდგენილ კრიტერიუმებს. შეთანხმებაში დეტალურად და მკაფიოდ უნდა იქნეს მოწესრიგებული პრევენციის, დაცვისა და მხარდაჭერის ვალდებულებები. უნდა განისაზღვროს სახელმწიფოთა მყარი ვალდებულება ასეთი ნიშნით პატიმრობის იდენტიფიცირების შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია, შეთანხმებაშივე იქნეს გათვალისწინებული რეაგირებისა და დარღვეული უფლების აღდგენის სათანადო მექანიზმები.

აქვე აღსანიშნავია, რომ გაეროს არ ჰყავს ევროსასამართლოს მსგავსი ეფექტიანი ორგანო დარღვეული უფლების აღდგენის კონტექსტში<sup>238</sup>. გამონაკლისს წარმოადგენს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო<sup>239</sup>, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ გამოდგება ევროსასამართლოს ანალოგად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გაერო მაინც უნდა იქნეს მიჩნეული სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობის მატარებელ სუბიექტად. გაეროს რეაგირების ინსტრუმენტები, მართალია, ძირითადად, არასავალდებულო ხასიათისაა, თუმცა თავისი პოლიტიკური შემადგენლის გათვალისწინებით, აღნიშნული ინსტრუმენ-

---

<sup>237</sup> *ibid.*

<sup>238</sup> Malcolm N. Shaw, *International Law*, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 3.

<sup>239</sup> *ibid.*, 3.

ტები უადრესად მნიშვნელოვანია. ამავდროულად ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის მანდატი სულ უფრო ფართოვდება<sup>240</sup>. კერძოდ, მისი შექმნის საწყის ეტაპზე იგი ორიენტირებული იყო მხოლოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო გავრცელებაზე<sup>241</sup>. მოგვიანებით, უკვე 70-იანი წლებიდან, მითითებული ორგანო ბევრად უფრო ფართო მანდატით სარგებლობს და რეგიონული თუ თემატური ჯგუფების მეშვეობით ახერხებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენას<sup>242</sup>. ცალკე აღნიშნავს იმსახურებს საანგარიშო ჯგუფები, რომლებიც სპეციფიკური მანდატით იკვლევენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს<sup>243</sup>.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თითოეულ შეთანხმებაში მკაფიოდ განსაზღვრულ შესრულებაზე ზედამხედველობის მიზნით შექმნილი ექსპერტთა სპეციალური ჯგუფები<sup>244</sup>. ამ ჯგუფების მანდატი შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის ფაქტებზე ინფორმაციის მოძიება-შესწავლის უზრუნველყოფაა<sup>245</sup>. ამავე კონტექსტში, თითოეული შეთანხმების აღსრულების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კომიტეტები, სადაც შესაძლებელია მიმართვის გაკეთება დარღვეულ უფლებასთან დაკავშირებით<sup>246</sup>.

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის დეფინიციის და მისი აღმოფხვრის შესახებ დებულებების პრაქტიკული რეალიზაცია მხოლოდ ინდივიდუალური მიმართვის შესაძლებლობის არსებობის პირობებში შეი-

---

<sup>240</sup> Jussi M. Hanhimäki, *The United Nations: A Very Short Introduction* (Oxford: Oxford University Press, 2008), 115.

<sup>241</sup> *ibid.*

<sup>242</sup> *ibid.*

<sup>243</sup> *ibid.*

<sup>244</sup> Olivier De Schutter, *International Human Rights Law Cases, Materials, Commentar.* Cambridge: Cambridge University Press, 2010, 17.

<sup>245</sup> *ibid.*

<sup>246</sup> მაგ., იხ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ, გაურკვეველი, -, 25/05/2000), ნაწილი მე-4. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>. [20.08.2020].

ძლება იყოს შედეგის მომტანი. აღსრულების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ამგვარი პრაქტიკა უკვე დანერგილია. მაგალითისათვის, პოლიტიკური ნიშნით „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის“ პირველი პროტოკოლით დგინდება ინდივიდუალური მიმართვის განხილვის გარანტია<sup>247</sup>.

ცალკე მსჯელობის საგანია დარღვევის შემდგომი რეაგირების მექანიზმები. გაეროს მანდატი დღეისათვის იძლევა შესაძლებლობას, თავისი ორგანოების მეშვეობით იმოქმედოს ინდივიდუალურად თითოეული ქვეყნის მიმართ<sup>248</sup>. ინდივიდუალური მოქმედების ფარგლები კიდევ უფრო ფართოა იმის გათვალისწინებით, რომ რეაგირების შესაძლებლობა დასაშვებია არა მხოლოდ კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური საქმეების მიმართ<sup>249</sup>. მართალია, ინდივიდუალურ საქმეებზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, თუმცა მათი აღსრულება ხელშემკვრელი მხარეების მორალური ვალდებულებაა<sup>250</sup>. აღნიშნული გამომდინარეობს გაეროს არსებობის და, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო შეთანხმების აღსრულება უპირველესად თავად ხელშემკვრელი მხარეების კეთილსინდისიერებას უნდა ემყარებოდეს<sup>251</sup>.

მიუხედავად ზემოაღნიშნული არასავალდებულო ხასიათისა, გაერო სხვა, არაპირდაპირი ინსტრუმენტების გამოყენებით მაინც ახერხებს აღსრულების უზრუნველყოფას<sup>252</sup>. აღნიშნულისათ-

---

<sup>247</sup> Michael O'Flaherty and Liz Heffernan, *International Covenant on Civil and Political Rights: International Human Rights Law in Ireland* (Dublin: Brehon Publishing, 1995), 86.

<sup>248</sup> Benedetto Conforti, *The Law and Practice of the United Nations*. (Leiden: Martinus Nijhoff Publishers, 2010), 253.

<sup>249</sup> *ibid.*

<sup>250</sup> Malcolm N. Shaw, *International Law*, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 811.

<sup>251</sup> Malcolm N. Shaw, *International Law*, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 811.

<sup>252</sup> Michael O'Flaherty and Liz Heffernan, *International Covenant on Civil and Political Rights: International Human Rights Law in Ireland* (Dublin: Brehon Publishing, 1995), 106.

ვის გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა ანგარიშები და წლიური ანგარიშები, სადაც დარღვევის ფაქტზე კეთდება მკაფიო ხაზგასმა<sup>253</sup>. შედეგობრივად კი, ანგარიშების პოლიტიკური დატვირთვის გათვალისწინებით, ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო ვალდებული ხდება, აღმოფხვრას დარღვევა. შესაბამისად, გაეროს ფარგლებში პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის საკითხის მკაფიო რეგულირება, როგორც პოლიტიკური, ისე შედეგობრივი თვალსაზრისით, ეფექტიანად უნდა იქნეს მიჩნეული.

საერთაშორისო სამართალში არ არსებობს უნიფიცირებული რეაგირების, მათ შორის, სანქციათა კატეგორიები, რომლებიც ვალდებულებათა დარღვევისათვის მხარეებს დაეკისრება<sup>254</sup>. გაეროს არსებული პრაქტიკა ნათელყოფს, რომ შესაძლებელია ცალკეული უფლების დარღვევისათვის არამხოლოდ პოზიციის გამოხატვა, არამედ სათანადო კომპენსაციის თაობაზე მითითება<sup>255</sup>. აღნიშნულს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას არსებული პრაქტიკა სძენს, რომლის მიხედვითაც, ხელშემკვრელი მხარეები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აკეთებენ ნებაყოფლობით ხასიათზე მითითებას<sup>256</sup>.

მიუხედავად შესაბამისი სასამართლო ორგანოს არარსებობისა, თავისი მაღალი სტატუსის გათვალისწინებით, გაეროს ფარგლებში შესაძლებელი იქნება როგორც პრევენციული, ისე რეპრესიული ინსტრუმენტების პრაქტიკული რეალიზაცია. შემოთავაზებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის ეფექტიანი აღსრულების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ ვალდებულება, გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით, აღნიშნული მიზნებისათვის შექმნილ სპეციალურ კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები აღიარებული უფლებების დამკვიდრებისათვის მათ მიერ გატარებული ღონისძიებების და ამ უფლებათა განხორციელე-

---

<sup>253</sup> *ibid.*

<sup>254</sup> Malcolm N. Shaw, *International Law*, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 4.

<sup>255</sup> Michael O'Flaherty and Liz Heffernan, *International Covenant on Civil and Political Rights: International Human Rights Law in Ireland* (Dublin: Brehon Publishing, 1995), 122.

<sup>256</sup> *ibid.*

ბაში მიღწეული პროგრესის შესახებ. მართალია, გაერო დღეისათვის გადატვირთულობის პრობლემატიკის წინაშე დგას<sup>257</sup>, თუმცა იგი მაინც უნდა იქნეს მიჩნეული პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვის პრევენცირებაზე საერთაშორისო დონეზე ყველაზე უფრო ეფექტიანი ზედამხედველობის შესაძლებლობის მქონე ინსტრუმენტად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ თავისთავად ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის ფაქტობრივი არსებობა, როგორცაა თავისუფლების და ხელშეუხებლობის პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვა, რაც მოიცავს, როგორც ყველაზე მძიმე ფორმას, პატიმრობას, ისე დევნასა და სხვა არსებითი სახის უფლებების შეზღუდვას პოლიტიკური შემადგენლიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში, საჭიროებს არა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის რეგულირებას საერთაშორისო დონეზე, არამედ უფრო ქმედითი, კონვენციური ხასიათის ინსტრუმენტის შემოღებას გაეროს ფარგლებში, რაც მომავალში ეფექტურად აისახება კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში.

ამავე კონტექსტში მეტი ეფექტიანობისათვის ასევე მნიშვნელოვანია გაეროს მანდატის ქვეშ მუდმივად მოქმედი ზედამხედველობის განმახორციელებელი კომიტეტის არსებობა და ხელშემკვრელი მხარეების მიერ პერიოდული ინფორმაციის მიწოდება შეთანხმების შესრულების მდგომარეობისა და მიღწეული პროგრესის თაობაზე.

## **5. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის სავარაუდო ფაქტები საქართველოში**

საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, საბჭოთა კავშირის სსკ 58-ე მუხლი, პირდაპირ მიუთითებდა, რომ საბჭოთა სისტემისა და ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი შესუსტების ან დამხობის მიზნით ინფორმაციის, მათ შორის, ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრ-

---

<sup>257</sup> Jussi M. Hanhimäki, *The United Nations: A Very Short Introduction* (Oxford: Oxford University Press, 2008), 121.

ცელება ჩაითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად<sup>258</sup>. სიტყვისა და გამოხატვის ამგვარი უკიდურესი შეზღუდვის გათვალისწინებით, ამ მუხლით დაპატიმრებული ყველა პირი პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნეოდა<sup>259</sup>.

ვითარება შედარებით შეიცვალა 70-80-იანი წლების მიჯნაზე, რისი მიზეზიც გახდა 1975 წლის აგვისტოში ჰელსინკიში ჩატარებული ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია, რომელზეც 35 ქვეყნის მეთაურმა ხელი მოაწერა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ყოვლისმომცველ დოკუმენტს (ე.წ. „ჰელსინკის პაქტი“)<sup>260</sup>. თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ ამ შემთხვევაშიც მონახა „გამოსავალი“ და ფართოდ გავრცელდა პოლიტიკურად არასასურველი პირების დაკავებისა და გასამართლების პრაქტიკა ნარკოტიკების ან იარაღის ჩადებით, ხულიგნობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ინსპირირებით, მათი გამოცხადება შემოღობვად და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იძულებითი „მკურნალობა“ და ა. შ.<sup>261</sup>.

დამოუკიდებელ საქართველოში კანონმდებლობამ, მეტწილად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, თანამედროვე სახე შეიძინა. შესაბამისად, ბუნებრივია, სსკ-დან ზემოთ განხილული მუხლი გაქრა. ამასთანავე, ყველა ხელისუფლების მხრიდან არსებობდა ცდუნება, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების თუ საზოგადოებრივი პოზიციის გამო, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ნორმა რეალურად პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ, რისი ძირითადი მიზეზიც, ცხადია, მმართველობის დემოკრატიის დაბალი ხარისხი იყო. როგორც მაკიაველი იულიუს კეისრის მმართველობის შეფასებისას

---

<sup>258</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 4.

<sup>259</sup> იქვე.

<sup>260</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 4.

<sup>261</sup> იქვე, 5.

შენიშნავს, საკუთარი პირადი მიზნებისათვის მმართველობა, სუსტი, არამყარი და კორუფციული მმართველობა განაპირობებს სახელმწიფო მართვის კრიზისს<sup>262</sup>. სხვადასხვა დოზით, ძირითად, ამ მიზეზებით, ჯერ ზვიად გამსახურდიას, ხოლო შემდეგ ედუარდ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ადგილი ჰქონდა, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, პოლიტიკური ნიშნით დევნის სხვადასხვა (როგორც წესი, არაპირდაპირ) ფორმას, რაზეც დეტალური ანალიზი ნაშრომის მე-3 თავში იქნება წარმოდგენილი<sup>263</sup>.

საქართველოში, პოლიტიკური პატიმრების საკითხი აქტუალობას არა მხოლოდ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა, არამედ თანამედროვე პერიოდშიც არ კარგავს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიშის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, 2005 წლიდან, რასაც შემდგომში მოჰყვა 2007 (7 ნოემბერი), 2009 (9 აპრილი) და 2011 (26 მაისი) წლებში განხორციელებული დევნა მასშტაბურ საპროტესტო აქციებში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფის წინააღმდეგ<sup>264</sup>.

საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია არაერთი კომპეტენტური ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციისა და მეგობარი ქვეყნის ანგარიშში. პირველად 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ფაქტების არსებობის შესახებ განცხადება გააკეთა ისეთმა საერთაშორისო ავტორიტეტულმა უფლებადამცველმა ორგანიზაციამ, როგორც „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაცია“ (FIDH). ამ ორგანიზაციამ ვრცელ ნაშრომში „ეკლები ვარდების შემდეგ – პოლიტიკური პა-

---

<sup>262</sup> Mark Philp, *Political Conduct* (Cambridge: Harvard University Press, 2007), 37.

<sup>263</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, *გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში* (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 5.

<sup>264</sup> იქვე, 6.

ტიმრები პოსტრევოლუციურ საქართველოში<sup>265</sup> მიმოიხილა 8 სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირის საქმეები და ჩატარებული კვლევის შედეგად, გააკეთა დასკვნა საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციამ პირთა პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ფაქტის განსაზღვრისას სწორედ ევროსაბჭოს N1900 რეზოლუციით განსაზღვრული განმარტებით ისარგებლა<sup>266</sup>, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული განმარტების სახელმძღვანელო მნიშვნელობას. ორგანიზაციამ, განხილული საპილოტე საქმეებიდან გამომდინარე, მიმართა თხოვნით ევროსაბჭოს, ევროკავშირსა და ეუთოს, კვალიფიციური ექსპერტული ჯგუფების ჩამოყალიბების თაობაზე, რომლებიც შეისწავლიდნენ პოსტრევოლუციურ ვითარებას საქართველოში, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების უფლებების დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით<sup>267</sup>. ორგანიზაციამ ასევე მიმართა რეკომენდაციით საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას სავარაუდო პოლიტიკური პატიმრების საკითხების შემსწავლელ საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფებთან თანამშრომლობის შესახებ და შესთავაზა ხელისუფლებას, წარმოედგინა მტკიცებულებები, რომლებიც კვლევაში მითითებულ დასკვნებს გააბათილებდა<sup>268</sup>.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, 2007 წლის განმავლობაში ფიგურირებდა სამშობლოს დალატის ორი გახმაურებული საქმე: ირაკლი ბათიაშვილის საქმე და ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, იგორ გიორგაძის 14 მოკავშირის საქმე მათა თოფურის ჩათვლით; ასევე მითითებულია სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის დასკვნა, რომელშიც მათა

---

<sup>265</sup> International Federation of Human Rights: After the Rose, the Thorns: Political Prisoners in Post-Revolutionary Georgia. (n°528a, September 2009), available at: <https://www.fidh.org/IMG/pdf/PolPrisGeorgia.pdf>. [20.08.2020].

<sup>266</sup> International Federation of Human Rights: After the Rose, the Thorns: Political Prisoners in Post-Revolutionary Georgia. (n°528a, September 2009), 5. available at: <https://www.fidh.org/IMG/pdf/PolPrisGeorgia.pdf>. [20.08.2020].

<sup>267</sup> *ibid*, 47-48.

<sup>268</sup> *ibid* 48.



თოფურია დასახელდა როგორც პოლიტიკური პატიმარი<sup>269</sup>. უფრო ადრე, 2009 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ: „წლის განმავლობაში იყო შეტყობინებები, რომ სამართალდამცავმა ოფიცრებმა პირს ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება ან იარაღი დაპატიმრების და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით. ბევრ შემთხვევაში, ეს ხდებოდა პოლიტიკური მოტივით“<sup>270</sup>. მოცემული ანგარიში კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიგს, რომელშიც პოლიტიკური პლურალიზმის დონე ძალზე დაბალია და ადამიანები განიცდიან სხვადასხვა ხასიათის ზეწოლას საკუთარი პოლიტიკური მრწამსის და პოლიტიკური საქმიანობის გამო<sup>271</sup>. პატიმრობის, როგორც პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმის ხელისუფლების მიერ გამოყენება, აღიარებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებითაც<sup>272</sup>. ამ დადგენილებით, პოლიტიკურ პატიმრად იქნა ცნობილი საქართველოს 190 მოქალაქე, ხოლო პოლიტიკური ნიშნით დევნილად საქართველოს 25 მოქალაქე<sup>273</sup>.

საერთაშორისოდ აღიარებული უნიფიცირებული პოლიტიკური პატიმრის ცნების აუცილებელი ელემენტი, როგორც აღინიშნა, პოლიტიკური სარჩულია, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული გამოხატულებით (და, ზოგიერთ შემთხვევაში, შინაარსობრივადაც) სახეზე გვაქვს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. მთავარი ტენდენცია, რაც ზემოაღნიშნული პოლიტიკური პატიმრების საქმეებში იკვეთება არის ის, რომ ოპოზიციური პარტიების წა-

---

<sup>269</sup> United States Department of State, 2007 Country Reports on Human Rights Practices - Georgia, 11 March 2008, available at: <https://www.refworld.org/docid/47d92c3ac.html> [07/06/2019].

<sup>270</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 19.

<sup>271</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, პოლიტიკური პატიმრები საქართველოში (თბილისი: ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2009), 17.

<sup>272</sup> იხ. „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“, <https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020].

<sup>273</sup> იქვე.

რმომადგენლებს მასობრივად აკავებენ სწორედ ქვეყანაში პოლიტიკურად დაძაბულ პერიოდში, იგულისხმება ოპოზიციური პარტიების მასშტაბური საპროტესტო აქციები<sup>274</sup>. ქართულ სინამდვილეში, პოლიტიკური პატიმრების საქმეებში, ძირითადად, იკვეთება კიდევ ერთი პარალელური ტენდენცია: ოპოზიციური პარტიების აქტივისტებს ხშირად აკავებენ იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო ფლობის ან პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით<sup>275</sup>. მაგალითად, ერთ-ერთი ოპოზიციურად განწყობილი აქტივისტის, როსტომ ონიანის, საქმეში ყველა თვითმხილველი მიუთითებს, რომ მისი მხრიდან არანაირი წინააღმდეგობის გაწევა ან რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედება არ მომხდარა; 2007 წლის 9 ნოემბერს, სადამოს 7 საათზე იგი დააკავეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა და მას ბრალი დაედო პოლიციის თანამშრომლებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, რასაც წინ მისი პოლიტიკური აქტივობა უძღოდა<sup>276</sup>. ასეთი ერთგვაროვნება განპირობებულია იმით, რომ სსკ-ით გათვალისწინებული ამგვარი დანაშაულების მოწყობა (ინსცენირება), სხვა დანაშაულებთან შედარებით უფრო ადვილია<sup>277</sup>.

პოლიტიკური პატიმრების საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ბრალდება ხშირად მტკიცებულებათა ერთობლიობით ვერ უზრუნველყოფს სათანადო სტანდარტის არსებობას, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ხშირ შემთხვევაში, არ ტარდება დამატები-

---

<sup>274</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 26.

<sup>275</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 28-29.

<sup>276</sup> ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2007 წლის მეორე ნახევარი 19-20.

<sup>277</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 28-29.

თი ექსპერტიზები და, რაც მნიშვნელოვანია, არც სასამართლო ითხოვს უფრო მყარ მტკიცებულებებს. უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების და დაკავების ოპერაციაში მონაწილე ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩვენებები საკმარისია გამამტყუნებელი გადაწყვეტილების თუ განაჩენის გამოსატანად, მაშინ როცა სხვა ფაქტები აშკარად აღნიშნული ჩვენებების საწინააღმდეგოდ მეტყველებს<sup>278</sup>. მაგალითისათვის, შესაძლებელია, მოყვანილ იქნეს მურმან კონცელიძის საქმე, სადაც სასკ-ს 166-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის, შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არსებობის ფაქტი მოსამართლემ დაადგინა მხოლოდ პატრულ-ინსპექტორთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, რისი მიჩნევაც სრული და ობიექტური მტკიცებულების წყაროდ არ შეიძლებოდა<sup>279</sup>. ან თუნდაც ზემოაღნიშნული როსტომ ონიანის საქმე, სადაც ყველა მოწმე, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გამოკლებით, მიუთითებდა წინააღმდეგობის გაწევისა და შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის არარსებობაზე<sup>280</sup>. ასეთ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს როგორც „საერთაშორისო ამნისტიის“ მიერ დადგენილი პოლიტიკური ელემენტი, ისე, ევროსაბჭოს №1900 (2012) რეზოლუციით გათვალისწინებული პოლიტიკური მოტივით თავისუფლების აღკვეთა, პირის მიმართ დადგენილი პროცესუალური გარანტიების აშკარა დარღვევებით, იმ კონტექსტში, როდესაც არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების ინტერესთან, განეიტრალოს ან დასაჯოს პირი ოპოზიციური პოლიტიკური აქტივობის გამო.

მაშინაც კი, როდესაც სახეზეა წვრილმანი დარღვევები და არ დგას პირის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების

---

<sup>278</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი II, მოკლე მიმოხილვა, 2012, 3.

<sup>279</sup> ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2007 წლის მეორე ნახევარი 13.

<sup>280</sup> იქვე, 19-20

აუცილებლობა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იყენებდნენ პატიმრობის სახით სახდელს, რასაც შედეგად შემდგომში მოჰყვებოდა ხოლმე დაპატიმრებულის სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობის პირობებში ყოფნა<sup>281</sup>. პატიმრობის გამოყენება კი, ასეთ კონტექსტში ასევე წარმოადგენს ევროსაბჭოს №1900 (2012) რეზოლუციის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევას. კერძოდ, პოლიტიკური მოტივების გამო პატიმრობის ხანგრძლივობა და პირობები აშკარად შეუსაბამოა იმ კანონდარღვევასთან, რისთვისაც პირი არის ბრალდებული ან მსჯავრდებული და თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი პროტოკოლებით გარანტირებული სიტყვის, გამოხატვის და ინფორმაციის გავრცელების, აგრეთვე შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლების უფლების დარღვევის საფუძველზე<sup>282</sup>.

შესაბამისად, ზემოთ განხილული საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების, მეგობარი სახელმწიფოებისა და საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა აქტის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში 2012 წლამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის, როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნის და აღნიშნული პირებისათვის პოლიტიკურ პროცესებში, მათ შორის, საჯარო გამოსვლებში მონაწილეობის შეზღუდვის გზით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმის გამოყენებას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლების დემოკრატიულმა ცვლილებამ, სამწუხაროდ ბოლომდე ვერ შეძლო პოლიტიკური კონტექსტის არსებობის თაობაზე ეჭვების შემცირება, სხვადასხვა გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით. ასეთი პოლიტიკური კონტექსტის თაობაზე არსებობს ეჭვები არა მხოლოდ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ან ნაციონალური მოძრაობის ხე-

---

<sup>281</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution on The definition of political prisoner (N1900 (2012) Adopted by the Assembly on 3 October 2012), available at: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150&lang=en> 20.08.2020] 31.

<sup>282</sup> *ibid.*

ლისუფლების მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმეში, არამედ ისეთ საქმეებშიც, სადაც არსებობდა ეჭვი, რომ კონკრეტული უწყების, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა მიმართ, დევნა დაიწყო ამ უწყების ხელმძღვანელის, მინისტრ ირაკლი ალასანიას, პოლიტიკური დისკრედიტაციის მიზნით, ვინაიდან მისი და კოალიციური მთავრობის ხელმძღვანელობის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა, რასაც მოკლე ხანში ირაკლი ალასანიას მინისტრის პოსტიდან გათავისუფლება<sup>283</sup> და ოპოზიციურ პოლიტიკურ მოძრაობაში გადასვლა მოჰყვა. პოლიტიკური ნიშნის არსებობის ეჭვის ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ე.წ. „კაბელების“ საქმეზე საჯარო განცხადებებს აკეთებდნენ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის და გავლენის მქონე პირები და მიმოიხილავდნენ მის დეტალებს მაშინ, როდესაც ამ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ედო<sup>284</sup>. ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ პირველი ინსტანციის განაჩენი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლების მიმართ შეიცვალა უფრო მსუბუქი კვალიფიკაციით და ისინი მალევე განთავისუფლდნენ პატიმრობიდან, მას შემდეგ, რაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე ოპოზიციური პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა<sup>285</sup>. სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებში ხშირად იყო დასმული აქცენტები მოვლენათა ზემოაღ-

<sup>283</sup> <https://www.radiotavisupleba.ge/a/sakartvelo-akhali-realobis-cinashe/26682021.html> (05/09/2019).

<sup>284</sup><https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%A1-/29757508.html> (05/09/2019).

<sup>285</sup> <https://www.radiotavisupleba.ge/a/kabelebis-sakqme/28261377.html> (05/09/2019).

ნიშნულ განვითარებაზე და ის გარემოება, რომ დაცვის მხარე არ დაეთანხმა მსჯავრდებულების მიმართ უფრო მსუბუქი კვალიფიკაციის შეფარდებას, მიჩნეულ იქნა, ე.წ. „კაბელების“ საქმეში პოლიტიკური მოტივების არსებობის კიდევ ერთ არგუმენტად. აღნიშნულის დასტურია 2016 წლის 18 მაისის ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, სადაც ხაზგასმულია, რომ: „სამართლებრივი გარემოებები და წარდგენილ ბრალთან დაკავშირებული კითხვები, ასევე მსჯავრდებულების დაკავების წინაპირობები და საქმის განვითარების დროს არსებული კონტექსტი, საქმის განხილვის პერიოდში გამოვლენილ ცალკეულ ხარვეზებთან ერთობლიობაში ქმნის განცდას, რომ „კაბელების საქმეში“ მართლმსაჯულება არასათანადოდ და მიკერძოებულად განხორციელდა, რაც შესაძლოა პოლიტიკური გავლენებით ყოფილიყო განპირობებული<sup>286</sup>.

გარდა ამისა, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2012 წლის 1-ელი ოქტომბრის დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ყოფილი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები. მართალია, ყველა საერთაშორისო სტანდარტით, მაღალი პოლიტიკური თანამდებობა არანაირად არ ნიშნავს იმუნიტეტს მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ, თუმცა სწორედ თავისთავადი პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ამგვარი კატეგორიის საქმეების გამჭვირვალობის, ბრალდების მტკიცების და სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ყველაზე მაღალი სტანდარტის შენარჩუნება, რათა თავიდან იქნეს აცილებული, პოლიტიკური ინტერესის შესახებ ეჭვის არსებობა. სამწუხაროდ, როგორც ასეთი კატეგორიის საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, ყოფილი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში ზოგჯერ ად-

---

<sup>286</sup> [https://www.transparency.ge/ge/post/general-announcement/arasamtavrobo-organizatsiebis-ertoblivi-gantskhadeba-%E2%80%9Ekabelebis-sakmeze%E2%80%9C\(05/09/2019\)](https://www.transparency.ge/ge/post/general-announcement/arasamtavrobo-organizatsiebis-ertoblivi-gantskhadeba-%E2%80%9Ekabelebis-sakmeze%E2%80%9C(05/09/2019)).

გილი აქვს როგორც სასამართლო გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთებას<sup>287</sup>, ისე ზოგადად სამართლებრივი ბერკეტების გამოყენების ნიშნებს მართლმსაჯულებისგან განსხვავებული მიზნებისათვის, რის თაობაზეც ყოფილი პრემიერმინისტრის, ივანე მერაბიშვილის, საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა<sup>288</sup> და რასთან დაკავშირებითაც ნაშრომის შემდგომ თავებში ვრცელი მიმოხილვა იქნება წარმოდგენილი.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების ინსტრუმენტების გამოყენება არასამართლებრივი მიზნებით, რაც ხშირად პოლიტიკურ შინაარსს ატარებს, პრობლემური იყო და ასეთად რჩება საქართველოში. მოცემულ საკითხი, ცხადია, ღრმა ანალიზს და დასკვნების გაკეთებას საჭიროებს. ამისათვის მნიშვნელოვანია სათანადოდ იქნეს გააზრებული ისტორიული კონტექსტი ამ მიმართულებით და დღეს არსებული გამოწვევები. მნიშვნელოვანია სათანადო დასკვნების გამოტანა ადგილობრივი რეალობის გააზრებით, ასევე ევროსასამართლოს პრაქტიკის, როგორც დემოკრატიის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, რაზეც დისერტაციის მომდევნო თავებში გავამახვილებთ ყურადღებას.

## **6. პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის პრევენციული მექანიზმები ეროვნულ კანონმდებლობაში**

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული და დაცულია ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის უფლებები, რომელიც ინდივიდის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დისკრიმინაციის გარეშე მონაწილეობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული. ამ უფლებათა რიგს განეკუთვნება სიტყვისა და გამოხატვის, სინდისისა

---

<sup>287</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>288</sup> Merabishvili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 374.

და აღმსარებლობის, ისევე, როგორც შეკრებებისა და გაერთიანებების უფლებები და თავისუფლებები, რომელთა საკანონმდებლო იმპლემენტაციის გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა<sup>289</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით: ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით<sup>290</sup>. ასევე, კონსტიტუციით არის გარანტირებული საქართველოს მოქალაქეთა უფლება, ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში<sup>291</sup>.

ამავე თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოხატვის თავისუფლებას, რომელშიც აზრის, სიტყვის თავისუფლებასთან ერთად ინტეგრირებულია პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება და რაც განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით<sup>292</sup>, ისე სპეციალური კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს „პოლიტიკურ“ დანაშაულებებთან დაკავშირებული ცალკე თავი ან მუხლი, თუმცა, ზოგიერთი დანაშაული პოლიტიკურ კონტექსტს მოიაზრებს. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გარკვეული სახის დარღვევა (სსკ XXIII თავი), დანაშაუ-

---

<sup>289</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, პოლიტიკური პატიმრები საქართველოში (თბილისი: ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2009), 4.

<sup>290</sup> საქართველოს კონსტიტუცია (სპუ, 31-33, N7862, 24/08/1995), მუხლი 11. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>291</sup> იქვე, მუხლი 23.

<sup>292</sup> საქართველოს კონსტიტუცია (სპუ, 31-33, N7862, 24/08/1995), მუხლი 17. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].



ლი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ XXX თავი), დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ (სსკ XXXVII თავი), ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები (სსკ XXXVIII თავი)<sup>293</sup>. აქვე აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკებსა და იარაღთან დაკავშირებული დანაშაული თავისი შინაარსით ცალსახად არ არის პოლიტიკური დანაშაული, თუმცა არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი ავტორიტეტული ორგანიზაციის ანგარიშები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ინტერესების არსებობისას, ხშირად სწორედ ამ მუხლის საფუძველზე წარიმართება სისხლისსამართლებრივი დევნა<sup>294</sup>.

პირის ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფას ახდენს, ასევე გარანტირებულია სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტით, რომელთა მონაწილე მხარესაც საქართველო წარმოადგენს<sup>295</sup>. როგორც ნაშრომში უკვე არაერთხელ აღინიშნა, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მოქმედ სხვა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად, რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, რომელიც ზოგადად კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის – პოლიტიკური ან სხვა შეხედულებიდან გამომდინარე<sup>296</sup>.

არსებული პრაქტიკის ანალიზით, ქართულ სინამდვილეში, სავარაუდოდ პოლიტიკური პატიმრების საქმეები, ძირითადად, წარმოებულია სსკ იმ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებების ჭრილში, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკებსა და იარა-

---

<sup>293</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 27.

<sup>294</sup> იქვე.

<sup>295</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 2.

<sup>296</sup> იქვე, 7.

ლთან, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ მითითებული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ინსცენირება, სხვა დანაშაულებთან შედარებით, უფრო ადვილია და, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში, ადგილი აქვს ხოლმე პოლიციის მხრიდან ბრალდებულთათვის ნარკოტიკის ან იარაღის ე.წ. ჩადებას ჯიბეში, სახლში ან მანქანაში<sup>297</sup>.

თავის მხრივ, გარდა მატერიალურ-სამართლებრივი პრობლემებისა, მნიშვნელოვანია პროცესუალური კანონმდებლობის პერმანენტული რეფორმა და მისადაგება თანამედროვე გამოწვევებთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „...ადამიანის თავისუფლება გარანტირებულია არა მხოლოდ მატერიალური ნორმით, არამედ კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმების ერთობლიობით...“, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ ადგილს ძირითად უფლებათა სისტემაში<sup>298</sup>. სახელმწიფომ სამოქმედო არეალი მკაცრად შემოფარგლა, მისი ძალაუფლების საპირწონედ კი ინდივიდი ისეთი პროცესუალური უფლებებით აღჭურვა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ თავისუფლების უფლებას გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისაგან დაიცავს<sup>299</sup>. შესაბამისად, ხსენებული დებულების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კანონმდებელი ვალდებულია, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, გამოორიცხავს პირის თავისუფლების მყარი, კონსტიტუციურად ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის გარეშე შეზღუდვას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალის-

---

<sup>297</sup> იქვე, 28-29.

<sup>298</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>299</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N<sup>o</sup>1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

წინებული პროცესუალური უფლებების გარანტირებას<sup>300</sup>. პოლიტიკურ პატიმრებთან დაკავშირებით, საქართველოში განხორციელებული კვლევები, მათ შორის, ისეთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციის, როგორც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, არაერთ საფუძვლიან და თითოეული საქმიდან ინდივიდუალურად გამომდინარე რეკომენდაციას იძლევა. მათი განხილვადებით, შესაძლოა, მივიდეთ დასკვნამდე, რომ მტკიცების დაბალი სტანდარტის პრაქტიკის შესაცვლელად აუცილებელია, გამოძიება ჩატარდეს ყოველი სადავო გარემოების დასადგენად<sup>301</sup>. გარდა ამისა, იმისათვის, რომ თავად მოპოვებული მტკიცებულებები იყოს უტყუარი, საქმის მასალების მოპოვებაზე მხარეებს თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეთ, რისთვისაც აუცილებელია მხარის ცალკეული საპროცესო უფლებებით აღჭურვა, მათ შორის, ჩხრეკის, ამოღებისა თუ მტკიცებულებებზე წვდომის ნაწილში<sup>302</sup>. მხარეთა თანასწორობა სამართლიანი სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილია და იგი აბსოლუტური ხასიათის მატარებელია იმდენად, რამდენადაც დაცვის მიმართ ნებისმიერი უთანასწორობა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა ზიანი მოჰყვა მას<sup>303</sup>. მხარეთა თანასწორუფ-

---

<sup>300</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბერის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>301</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი II, მოკლე მიმოხილვა, 2012, 54.

<sup>302</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი II, მოკლე მიმოხილვა, 2012, 58-59.

<sup>303</sup> შტეფან ტრექსლერი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. მთარგმნელები: ვანო გოგელია, ეკა ლომთათიძე, ეკა ქარცივაძე, თამთა ივანიშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი. რედაქტორები: კონსტანტინე ვარძელაშვილი, ლალი ფაფიაშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი, ნანა მჭედლიძე.

ლებიანობის პრინციპი პირდაპირ არის კავშირში სასამართლო შეჯიბრებითობის პროცესთან<sup>304</sup>. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ემსახურება მხარის საპროცესო უფლებების უზრუნველყოფას, საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებსა და კანონებზე საკუთარი აზრი გამოთქვას და სასამართლოს წარუდგინოს ის არგუმენტაცია, რომელიც გავლენას იქონიებს მის გადაწყვეტილებაზე<sup>305</sup>. პატიმრობის გამოყენებისას მაღალი მტკიცების სტანდარტი, რა თქმა უნდა, თანაბარმნიშვნელოვანია თითოეული განსასჯელისათვის, მიუხედავად მისი საქმის პოლიტიკური შინაარსის არსებობა-არარსებობის ფაქტისა. თუმცა, ზემოთ განხილული არსებული მავნე პრაქტიკა და ნაშრომის შემდგომ ქვეთავებში განვითარებული მსჯელობა ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ, წინასწარი პატიმრობის გამოყენების ცალკეული მახასიათებლების გათვალისწინებით, ხაზს უსვამს უშუალოდ ასეთი საქმეების მიმართ მტკიცების ტვირთის სტანდარტის გაზრდის მწვავე აუცილებლობას. შესაბამისად, აღნიშნულ გამოწვევასა და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესზე საპასუხოდ რეკომენდებულია, უკვე აღიარებული პოლიტიკური პატიმრების საქმეების დეტალური შესწავლის და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ გამოსცეს სარეკომენდაციო მოსაზრებები ანუ ე.წ. „გაიდლაინები“ პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებზე, როგორც პატიმრობის გამოყენების, ისე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლთა მიმართ არსებული ზოგადი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით.

ასევე, საკმაოდ ხშირია წვრილმანი დარღვევების გამო პირის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების პრაქტიკა, რასაც შედეგად დაპატიმრებულის სასტიკი ან არაადამიანური მოკ-

---

გიორგი მელაძე (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010), 124.

<sup>304</sup> იქვე, 131.

<sup>305</sup> იქვე.

ყრობის პირობებში ყოფნა მოჰყვება<sup>306</sup>. ის გარემოება, რომ შესაძლო პოლიტიკური პატიმრების საქმეებში უმთავრესად არ იკვეთება ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის ფაქტები ან ასეთი გადაცდომა უმნიშვნელოა, აჩენს ეჭვს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება მართლაც განზრახ ხდება და მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ მომიტინგეების დასჯას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო<sup>307</sup>.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება<sup>308</sup>, ასევე შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა<sup>309</sup> სხვადასხვა ოდენობის ფულადი ჯარიმის გარდა, ალტერნატიული თვალსაზრისით, ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

პატიმრობა, როგორც უკიდურესი ფორმა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მისი რეპრესიული და პრევენციული მიზნების სრული შესაბამისობის შემთხვევაში, კონკრეტულ მძიმე დარღვევასთან<sup>310</sup>. სხვა შემთხვევაში, ადმინისტრაციული პატიმრობის გა-

---

<sup>306</sup> ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012), 31.

<sup>307</sup> იქვე.

<sup>308</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (N161, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984), მუხლი 173. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=465>. [20.08.2020].

<sup>309</sup> იქვე, მუხლი 174<sup>1</sup>.

<sup>310</sup> Davide Maria Parrilli, "Criminal Law and Economics: Some Topics Related to the Cost of Imprisonment, Deterrence and to the Question if Crime Pays". (September 10, 2006): 1. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1270567> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1270567>.

მოყენება ჩათვლება პირის პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვად, ვინაიდან იგი თავისუფლებააღკვეთილია პოლიტიკური მოტივებით სხვა პირებთან შედარებით დისკრიმინაციული საფუძვლით<sup>311</sup>. ხელისუფლების დანაწილების ლიბერალური მოდელის უზოგადესი პრინციპების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ხელისუფლების დანაწილება მოხდეს იმგვარად, რომ არცერთ შტოს არ გააჩნდეს თავისი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა<sup>312</sup>. მოცემულ შემთხვევაში, იბადება ეჭვი აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შეთანხმებული მოქმედების შესახებ. ამგვარი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით და არსებული მავნე პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, საკანონმდებლო ხელისუფალი ჩაერიოს და შეზღუდოს სასამართლოს დისკრეცია შეკრებებთან და მანიფესტაციებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას პირთათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების ნაწილში. კერძოდ, მაგალითისათვის, შესაძლებელია მოხდეს შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების ფარგლების გადახედვა გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც უშუალოდ აქციის გამართვის ადგილი (სამხედრო ობიექტების, ძალოვანი უწყებების, პროკურატურის ან პენიტენციური დაწესებულების მიმდებარედ) ან უშუალოდ მონაწილე (ფიზიკური ზემოქმედების ინსტრუმენტის ტარების გამო) ქმნის საფრთხეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის. მეტიც, აღნიშნული შეიძლება უფრო შეესაბამებოდეს სასჯელის სამართლიანობის ჰეგელისეულ ფორმულას, რომლის მიხედვითაც, დანაშაულისათვის სასჯელი მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც აღნიშნული შეესაბამება ჩადენილი მართლსა-

---

<sup>311</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution on The definition of political prisoner (N1900 (2012) Adopted by the Assembly on 3 October 2012), available at: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150&lang=en> [20.08.2020].

<sup>312</sup> Richard E. Wagner "Richard Epstein's Classical Liberal Constitution: What might Benjamin Franklin Have Thought?" (George Mason University Department of Economics Working Paper No. 14-03): 2.

წინააღმდეგო ქმედების ხასიათს<sup>313</sup>. საკითხის ამგვარი რეგულირება ჯერ კიდევ ანტიკური ფილოსოფიიდან იღებს სათავეს. ციცერონისეული მტკიცების მიხედვით, სამართლის ვალიდურობა (ეფექტიანობა) პირდაპირპროპორციულია სამართლიანობასთან მისი სიახლოვისა<sup>314</sup>. პოლიტიკური უფლებების ჭრილში კი ძალადობას ნაკლებად აქვს ადგილი. შესაბამისად, პატიმრობა გარკვეული თვალსაზრისით არაპროპორციულ სასჯელსაც კი შეიძლება წარმოადგენდეს. მეორე მხრივ, აქაც შესაძლებელია ე.წ. სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციების ე.წ. „გაიდლაინების“ შემოღება, პატიმრობის წინაპირობებსა და მტკიცების სტანდარტებთან დაკავშირებით. კერძოდ, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი ის საფრთხეები, რომლებსაც შეიცავს პირის თავისუფლებაში დატოვება. თავის მხრივ, საფრთხეებზე მსჯელობისას ხაზი უნდა გაესვას შესწავლილ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს და სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ და მხოლოდ კანონის მშრალი, გრამატიკული ციტირებით, არამედ უნდა იმსჯელოს კანონის, როგორც ნორმატიული აქტის შინაარსზე და ამ შინაარსით დაცულ ინტერესზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს ნიშნავს, ვინაიდან, კანონები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებისთვის იქმნება.

სასჯელის დანიშნულებასა და როლზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>315</sup> სადაც აღნიშნა, რომ: „სახელმწიფოს ვალდებულებაა, ერთი მხრივ, არ უგულებელყოს სასჯელის დანიშნულება, მნიშვნელობა, როლი, შედეგად მისაღწევი მიზნები (ანუ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი იძულებითი ღონი-

<sup>313</sup> Thom Brooks and Sebastian Stein, *Hegel's Political Philosophy On the Normative Significance of Method and System* (Oxford: Oxford University Press, 2017), 202.

<sup>314</sup> *ibid*, 83.

<sup>315</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სმიებების გამოყენება ობიექტურად აუცილებელია, ვინაიდან არ არსებობს სხვა გზა კონკრეტული სიკეთეების დასაცავად, უარი არ თქვას მის დაწესებაზე/გამოყენებაზე), ხოლო, მეორე მხრივ, არ გადაამეტოს, ხელოვნურად არ გაზარდოს სასჯელის გამოყენების მოლოდინი და მნიშვნელობა. შედეგად, სახელმწიფომ იძულების ყველაზე მკაცრი ზომები არ დაადგინოს/გამოიყენოს მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს ან/და როდესაც მათ ობიექტურად არ შეუძლიათ იმ შედეგების გამოწვევა, რომლებზეც ორიენტირებითაც ეს ღონისძიებები იქნა შერჩეული, როგორც ეფექტური და საუკეთესო<sup>316</sup>.

ცხადია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა შეიძლება გავრცელდეს, მათ შორის, ადმინისტრაციული სახდელის სახით, პატიმრობის მიზანშეწონილობასა და პროპორციულობაზე ისეთი გადაცდომებისათვის, რაც არსებით საფრთხეს არ უქმნის საჯარო ინტერესებს. მით უმეტეს, როდესაც ამგვარი სახდელის გამოყენებისას სასამართლოსათვის არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლოა სახელმწიფოს ცალკეული შტოების მიერ პირის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ამ უკანასკნელის პოლიტიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

### **შუალედური დასკვნა**

წარმოდგენილ თავში მოხდა პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ცნებისა და მისი პრევენციის მექანიზმების შესწავლა. კერძოდ, წარმოჩინდა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორცაა პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ცნების განსაზღვრის აუცილებლობა როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე ადგილობრივ კანონმდებლობაში. კვლევაში წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციები, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული კონკრეტული პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით.

წინამდებარე თავის პირველ ნაწილში გამოიკვეთა პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ფაქტების დადგენის აუცილებლობა, რათა მოხდეს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სწორი მიმართულე-

<sup>316</sup> იქვე, II-42.



ბით კორექტირება, პოლიტიკური პატიმრობის, როგორც განსხვავებული აზრის დევნის გამოყენების თავიდან აცილების და ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების ხელშეწყობისათვის.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის საყოველთაო ცნების არარსებობისა, ევროსაბჭოს და „საერთაშორისო ამნისტიის“ მიერ დადგენილი კრიტერიუმები ავსებს და ასახავს ასეთი ცნების აუცილებელ ელემენტებს. ამასთან, უშუალოდ პოლიტიკური პატიმრობის პრევენციისათვის, გარდა ცალკეული ორგანიზაციების ეფექტური მუშაობისა, მნიშვნელოვანი მექანიზმია ქვეყნების შიდა სამართალი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლების გარანტირებას როგორც ნორმატიულ, ისე პრეცედენტულ დონეზე ახდენს.

ამავე ნაწილში ხაზი გაესვა სახელმწიფოთაშორისი უმაღლესი დონის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ლეგალური დეფინიციის შექმნის აუცილებლობას, რომელთაც მხარეები დანერგავდნენ ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც წევრი სახელმწიფოების დემოკრატიული განვითარების პროცესს შეუწყობდა ხელს და ხელისუფალთა მხრიდან პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული ბერკეტის გამოყენების პრევენციას უზრუნველყოფდა.

აქვე გამოიკვეთა პოლიტიკური პატიმრობის განსაკუთრებული ბუნება. კერძოდ, აღინიშნა, რომ პოლიტიკური პატიმრობა არ წარმოადგენს პირის უცილობლად პატიმრობიდან გათავისუფლების ან მისთვის რაიმე სახის პრივილეგიის მინიჭების საფუძველს, არამედ იგი, უმთავრესად, სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნის ფუნდამენტურ უფლებასთან არის დაკავშირებული. საქმეში პოლიტიკური კონტექსტის არსებობა, მიმართული უნდა იყოს მართლმსაჯულების თანაბრად ხელმისაწვდომობასთან და დისკრიმინაციული მოპყრობის დაუშვებლობასთან პოლიტიკური საფუძვლებით.

წინამდებარე თავის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით

შეზღუდვის აღმოსაფხვრელად საერთაშორისო შეთანხმების შექმნის შესაძლებლობის შესწავლას. ამ კონტექსტში გამოითქვა რეკომენდაცია, რომ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის მატარებელი დებულებები უნდა შემუშავდეს გაეროს ფარგლებში და მისი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ხელშემკვრელ მხარეთა ოდენობა უნდა იყოს მაქსიმალურად მაღალი. ამასთან, მეტი ეფექტიანობისათვის ასევე მნიშვნელოვანია, ზედამხედველობის განმახორციელებელი კომიტეტის არსებობა და ხელშემკვრელი მხარეების მიერ პერიოდული ინფორმაციის მიწოდება შეთანხმების შესრულების მდგომარეობის და მიღწეული პროგრესის თაობაზე.

წინამდებარე თავში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პატიმრობის, როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნის ფაქტების შესწავლას საქართველოში. ისტორიული კონტექსტის კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი ბერკეტის გამოყენება სათავეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იღებს და იგი აქტიურად გამოიყენებოდა ახლო წარსულშიც. საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების, მეგობარი სახელმწიფოების რეზოლუციებისა და საკანონმდებლო ორგანოს დადგენილების, ანგარიშებისა და რეზოლუციების საფუძველზე, გაკეთდა დასკვნა, რომ საქართველოს უახლოეს წარსულში პოლიტიკური ნიშნით პატიმრობა, როგორც პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმა, გამოიყენებოდა და ამ სამწუხარო ტენდენციის გაგრძელება კვლავაც შეინიშნება.

ასეთი ტიპის რეპრესიული მექანიზმის თავიდან აცილების მიზნით წარმოდგენილ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ, როგორც კვლევით გამოიკვეთა, პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის საფუძვლად ხშირად გამოიყენება იარაღისა თუ ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, რაც ასეთ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული მტკიცების დაბალი სტანდარტითა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ასეთი სახის ბრალდებების შედარებით ადვილად ინსცენირებითაა გამოწვეული. ამგვარი მავნე პრაქტიკის შესაცვლელად აუცილებელია, რომ გამოძიება ჩა-

ტარდეს ყოველი სადავო გარემოების დასადგენად<sup>317</sup> და, გარდა ამისა, თავად მოპოვებული მტკიცებულებები იყოს უტყუარი, ხოლო საქმის მასალების მოპოვებაზე მხარეებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა. აუცილებელია მხარის ცალკეული საპროცესო უფლებებით აღჭურვა, მათ შორის, ჩხრეკის, ამოღებისა თუ მტკიცებულებებზე წვდომის ნაწილში<sup>318</sup>. ამის მისაღწევად გაკეთდა რეკომენდაცია, რომ უკვე აღიარებული პოლიტიკური პატიმრების საქმეების დეტალური შესწავლის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ გამოსცეს განზოგადებული პრაქტიკა ე.წ. „გაიდლაინები“ ამგვარ საქმეებზე მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით.

გამოიკვეთა საქართველოს უახლოეს წარსულში, ადმინისტრაციული პატიმრობის, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ფორმის შეუსაბამოდ გამოყენების პრაქტიკა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ. ასეთ პირობებში გაკეთდა რეკომენდაცია, რომ არსებული მავნე პრაქტიკის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, შესაძლებელია შეკრებებსა და მანიფესტაციებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული პატიმრობის ფარგლების გადახედვა, ხოლო, მეორე მხრივ, აქაც მოხდეს უმაღლესი სასამართლო ინსტანციის დონეზე ე.წ. „გაიდლაინების“ – სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება პატიმრობის წინაპირობებსა და მტკიცების სტანდარტებთან დაკავშირებით პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებზე.

ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შეფასებისას ხაზი გაესვა სასამართლოს ვალდებულებას, შეისწავლოს, ხომ არ იკვეთება სახელმწიფოს რომელიმე შტოს ინტერესები, რაც დაკავშირებულია პირის პოლიტიკურ აქტივობასთან და ნორმათა შეფასება

---

<sup>317</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი II მოკლე მიმოხილვა, 2012, 54.

<sup>318</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი II, მოკლე მიმოხილვა, 2012, 58-59.

ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს მისი შინაარსის და არა გრამატიკული, სიტყვასიტყვითი განმარტების ფარგლებში. ამასთან, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ადმინისტრაციული სახდელის სახით პატიმრობის მიზანშეწონილობა და პროპორციულობა ისეთი გადაცდომებისათვის, რაც არსებით საფრთხეს არ უქმნის საჯარო ინტერესებს.

აქვე კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული პოლიტიკური საქმეობის მქონე საქმეებში სასამართლო პრაქტიკის განზოგადების და ე.წ. „გაიდლაინების“ შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ, საერთო სასამართლო სტანდარტების დამკვიდრებისათვის, როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე.

### III. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის თავისებურებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თავისებურებები პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ მიმდინარე იმ საქმეებზე, სადაც არსებობს პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვის ეჭვი

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური უფლებები გაერთიანებულია კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში. პოლიტიკური შეხედულებების გამო, ადამიანების მიმართ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე მძიმე ფორმას მათი სისხლის სამართლებრივი დევნა და პოლიტიკური ნიშნით პატიმრობა წარმოადგენს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ მოცემულობაში, როდესაც არ არსებობს ტერმინების „პოლიტიკური პატიმარი“ და „პოლიტიკური დევნილი“ საყოველთაოდ აღიარებული და სამართლებრივი ეფექტის მქონე უნიფიცირებული ცნება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, შეუცვლელი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას და, განსაკუთრებით კი, ევროსასამართლოს პრაქტიკის გაანალიზებას ისეთ საქმეებში, სადაც არსებობდა ეჭვი, ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული სამართალწარმოების და თავისუფლების შეზღუდვის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, დანიშნულების თვალსაზრისით, წარმოადგენს რეგიონულ ინსტრუმენტს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის კონტექსტში<sup>319</sup>. შესაბამისად, მის საფუძველზე გამოტანილ თითოეულ გადაწყვეტილებას არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ დემოკრატიულობის ჭრილში, ქვეყნის ხარისხობრივი მაჩვენებლის გამომხატველი ფუნქცია აქვს.

---

<sup>319</sup> Kevin Boyle, “The European Experience: The European Convention on Human Rights”. Victoria University of Wellington Law Review, Vol. 40, Issue 1 (June 2009): 170.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოებისთვისაც, რომლებმაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმებით უნდა იხელმძღვანელონ, როგორც ეროვნულ დონეზე მოქმედი იურიდიულად სავალდებულო ქვევის წესებით<sup>320</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, როგორც საერთაშორისო სამართლის წყარო, საქართველოსათვის ვალდებულების განმსაზღვრელია საერთაშორისო დონეზე<sup>321</sup>. ამავდროულად საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად, ამავე კონვენციის აღიარების შედეგად, იგი ეროვნული კანონმდებლობის დონეზეც სავალდებულო ხასიათს იძენს<sup>322</sup>.

გარდა კონვენციისა, ეროვნული კანონმდებლობისთვის ასევე მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებიც. მართალია, ზოგიერთი ქვეყანა არ განეკუთვნება პრეცედენტული სამართლის ქვეყანას, შესაბამისად, სასამართლო პრეცედენტს არ აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა სასამართლოსათვის მისი კლასიკური გაგებით, თუმცა ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, იგი გამოყენებულ უნდა იქნეს არა როგორც სამართლის წყარო, არამედ როგორც კონვენციის დებულებათა ავტორიტეტული განმარტება<sup>323</sup>.

წინამდებარე ქვეთავის მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საერთაშორისოდ აღიარებული პოლიტიკური პატიმრების საქმეების თავისებურებების იდენტიფიცირება, რომლებიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ მიმდინარეობდა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული ისეთი უფლების ჭრილში, როგორცაა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის

---

<sup>320</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 42. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>321</sup> იქვე.

<sup>322</sup> იქვე.

<sup>323</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 42. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

უფლება და მისი გამოყენებისას წამების აკრძალვა და უფლების შეზღუდვის ფარგლების დარღვევა.

### 1.1. ზოგადად წამების აკრძალვის თაობაზე

უპირველესად, წამების აკრძალვაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, მოხდეს უშუალოდ ასეთი ქმედების სწორი კვალიფიცირება. წამების, როგორც ადამიანზე ზემოქმედების სპეციალური ფორმის განმარტება ძველი რომაული პერიოდიდან თანამედროვე მეცნიერებამდე პრაქტიკულად უცვლელ ელემენტებს შეიცავს<sup>324</sup>. კერძოდ, წამება გულისხმობს მტანჯველი ტკივილის მიყენებას დასჯის, იძულების ან, თავისთავად, ძლიერი ფიზიკური ან მენტალური ტკივილისა თუ აგონიის გამოსაწვევად<sup>325</sup>.

გაეროს მიერ მიღებული 1984 წლის კონვენციის თანახმად, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1994 წლის 21 ნოემბერს<sup>326</sup>, „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორცაა მისგან ამ მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით,

---

<sup>324</sup> Zafar Javed Malik, “Absolute Prohibition of Torture’: A Myth or Reality?” (February 1, 2011): 18. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1753082> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1753082>

<sup>325</sup> *ibid.*

<sup>326</sup> „კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ, -, 25/05/2000). ხელმისაწვდომია:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>. [20.08.2020].

ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან ან მათი თანმდევი<sup>327</sup>.

წამების აკრძალვის თაობაზე შესაბამისი ნორმა გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაშიც. მასთან დაკავშირებით არ მოქმედებს შეფასების თავისუფლების დოქტრინა, რომლითაც დაშვებული იქნებოდა, რომ საქართველოს ან კონვენციის ხელშემკვრელ სხვა რომელიმე მხარეს ამ აკრძალვიდან რაიმე გამონაკლისი გაემართლებინა<sup>328</sup>. კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით: „ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია“. შესაბამისად, კონვენცია ერთმანეთისაგან მიჯნავს (1) წამებას და (2) არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. მათ შორის ხარისხობრივი განსხვავებაა<sup>329</sup>. ევროსასამართლოს განმარტებით, წამება და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა ერთმანეთისაგან განსხვავდება ასეთი მოპყრობის ინტენსივობით<sup>330</sup>. კერძოდ, ყოველგვარი წამება იმავდროულად არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობაა, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველთვის არ აღწევს წამების ხარისხს<sup>331</sup>. ინტენსივობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მოპყრობის შინაარსი, ბუნება, ფორმა, ხანგ-

---

<sup>327</sup> იქვე, მუხლი 1.

<sup>328</sup> ევა გოცირიძე, „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა“, წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 116.

<sup>329</sup> ევა გოცირიძე, „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა“, წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 116.

<sup>330</sup> Aisling Reidy, The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights) Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 12

<sup>331</sup> ევა გოცირიძე, „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა“, წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013), 116.



რძლივობა, ფიზიკური და სულიერი ზიანი, ზოგიერთ შემთხვევაში კი – ასევე მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა<sup>332</sup>. ამასთან, ხარისხის შეფასების კონტექსტში საერთო ტენდენცია მოთხოვნების კიდევ უფრო გამკაცრებაა და ის, რაც ადრე მიჩნეული იყო მხოლოდ „არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად“, ახლა შესაძლოა, შეფასდეს, როგორც „წამება“<sup>333</sup>.

ნაშრომის წინა თავში უკვე იქნა წარმოდგენილი მსჯელობა აბსოლუტურ უფლებათა რაობის შესახებ. სწორედ წამების აკრძალვა წარმოადგენს ასეთ უფლებათა ერთ-ერთ მაგალითს. კერძოდ, წამების აკრძალვა, დღეის მდგომარეობით მთელ ცივილიზებულ სამყაროში აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება<sup>334</sup>. გაეროს 1984 წლის კონვენციაშიც „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ ცალსახად არის მითითებული, რომ არავითარი განსაკუთრებული გარემოება არ არსებობს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ამგვარ მოპყრობას გაამართლებდა<sup>335</sup>. კონვენციის მიღების საფუძვლად კი პრეამბულაში გარდა გაეროს წესდების 55-ე მუხლისა და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ დეკლარაციისა, ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი ღირსების უფლებათა მითითებული<sup>336</sup>.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წამების დასაშვებობის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა მაინც არსებობს. ამ დისკუსიის მონაწილე პირები შეიძლება ორ მხარედ დავყოთ. პირველი მხარე, რო-

---

<sup>332</sup> იქვე, 116-117.

<sup>333</sup> იქვე, 116.

<sup>334</sup> Jordan J. Paust, “The Absolute Prohibition of Torture and Necessary and Appropriate Sanctions” (Valparaiso University Law Review, Vol. 43, p. 1535, (2009); U of Houston Law Center No. 2009-A-7): 1535

<sup>335</sup> „კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ (სსმ, -, 25/05/2000), მუხლი 2.2. ხელმისაწვდომია:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>. [20.08.2020]

<sup>336</sup> იქვე, მუხლი 1.

გორც წამების აკრძალვის აბსოლუტისტები და მეორე – ვინც წამების დაშვებას გარკვეული პირობებით უჭერს მხარს<sup>337</sup>.

დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით, თანამედროვე პერიოდში მომძლავრებული ტერორისტული ორგანიზაციების გავლენით, საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უპირველეს პრიორიტეტადაა ქცეული<sup>338</sup>. თავის მხრივ, ასეთი უსაფრთხოების მიღწევა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია უკავშირდებოდეს ცალკეული ადამიანებისაგან ინფორმაციის მყისიერი მიღების აუცილებლობას.<sup>339</sup> ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის ეფექტიან ინსტრუმენტს კი შესაძლებელია, ინფორმაციის წყაროს წამება წარმოადგენს<sup>340</sup>. სწორედ ამგვარი მსჯელობის გათვალისწინებით, პირობითი აკრძალვის მომხრეები გარკვეულწილად ეყრდნობიან ციცირონისეულ ლოგიკას – „ომიანობისას სამართალი დუმს” და მხარს უჭერენ წამების დაშვებას ინდივიდუალურ საქმეზე ხარჯ/სარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე, იმ პირობით, თუ ინდივიდის წამების შედეგად მისთვის შესაძლო მიყენებული ზიანი ჩამოუვარდება აქედან მიღებულ საზოგადოებრივ სარგებელს<sup>341</sup>.

აღნიშნული მსჯელობის საპირისპიროდ, აბსოლუტისტები სრულიად გამორიცხავენ ნებისმიერი ფორმითა თუ მიზნით წამების დაშვებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი გრძელვადიან ჭრილში ან-

---

<sup>337</sup> Oren Gross, “The Prohibition on Torture and the Limits of the Law”. In *Torture: A Collection*, edited by Sanford Levinson (Oxford: Oxford University Press, 2004), 3.

<sup>338</sup> Zafar Javed Malik, “Absolute Prohibition of Torture’: A Myth or Reality?” (February 1, 2011): 10. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1753082> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1753082>

<sup>339</sup> Zafar Javed Malik, “Absolute Prohibition of Torture’: A Myth or Reality?” (February 1, 2011): 10. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1753082> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1753082>

<sup>340</sup> *ibid.*

<sup>341</sup> Oren Gross, “The Prohibition on Torture and the Limits of the Law”. In *Torture: A Collection*, edited by Sanford Levinson (Oxford: Oxford University Press, 2004), 3.

გრევს ადამიანის ჯანმრთელობას და წინააღმდეგობაშია მორალურ-რობის და ჰუმანურობის უზოგადეს პრინციპებთან<sup>342</sup>.

ზემოთ წარმოდგენილ „დაპირისპირებაში“ სრულიად სამართლიანად, დღეისათვის გამარჯვებული მხარე ცალსახად აბსოლუტისტები არიან. ვინაიდან, წამება საერთაშორისო სამართლით ყველა სოციალურ კონტექსტში აბსოლუტურად აკრძალულია<sup>343</sup>. არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, დაუძლეველი ინტერესი, როგორც მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის (ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის დაცვა, ტერორიზმთან ბრძოლა, სახელმწიფო უსაფრთხოება და სხვა), რომლის დასაცავადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ უფლებებში ჩარევის გამართლება<sup>344</sup>. ასეთი აკრძალვის საერთაშორისო სამართლებრივი უზრუნველყოფა მოხდა ასევე გაეროს 2007 წლის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებითაც, რომლითაც წამების შესაძლებლობა სრულად გამოირიცხა<sup>345</sup>.

ცხადია, ხელისუფლება არ თავისუფლდება კონსტიტუციური ვალდებულებიდან, დაიცვას მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესები, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნები (სახელმწიფო უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, სხვათა უფლებები, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება და სხვა), თუმცა ვერც ერთი ამ სიკეთის დაცვა ვერ გაამართლებს ადამიანის წამებას, არაჰუმანურ და სასტიკ მოპყრობას, პატივისა და

---

<sup>342</sup> *ibid.*

<sup>343</sup> Jordan J. Paust, “The Absolute Prohibition of Torture and Necessary and Appropriate Sanctions” (Valparaiso University Law Review, Vol. 43, p. 1535, (2009); U of Houston Law Center No. 2009-A-7): 1535.

<sup>344</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის №1/9/701,722,725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>345</sup> Jordan J. Paust, “The Absolute Prohibition of Torture and Necessary and Appropriate Sanctions” (Valparaiso University Law Review, Vol. 43, p. 1535, (2009); U of Houston Law Center No. 2009-A-7): 1535.

ღირსების შემლახველ ქმედებას ან სასჯელს<sup>346</sup>. წამების აკრძალვის ნორმატიული საფუძველი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მე-3 მუხლია. კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. თავის მხრივ, ევროსასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, წამების დადგენის თვალსაზრისით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი ინდივიდუალური გარემოებები, როგორცაა უშუალოდ საქმის პირობები, ამგვარი მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები, ისევე, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში ობიექტის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა<sup>347</sup>.

ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მსგავსად, წამება ისევე, როგორც ადამიანის ღირსების შელახვა, აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობითაც. კერძოდ, წამების აკრძალვა კონსტიტუციურ დონეზეა აყვანილი. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება<sup>348</sup>“. ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი: „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო<sup>349</sup>“. საქართველოს რატიფიცირებული და აღიარებული აქვს ყველა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც მიმართული არიან ადამიანის ბუნებითი, ფუნდამენტური უფლებების დაცვისაკენ და, მათ შორის, როგორც უკვე აღინიშნა, 1984 წლის კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიან-

---

<sup>346</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>347</sup> Aisling Reidy, The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights) Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 10.

<sup>348</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ, 31-33, 24/08/1995), მუხლი 9. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>349</sup> იქვე.

ნური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ”.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის ეს ნორმა (გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი კონსტიტუციის რედაქციის მე-17 მუხლის, მე-2 პუნქტი) ადამიანებს აბსოლუტურად იცავს ამავე ნორმით აკრძალული ქმედებებისგან... ანუ კონსტიტუციური აკრძალვა ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების თაობაზე ადამიანების აბსოლუტური უფლებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია უპირობოდ გამორიცხავს ამ უფლებებში ჩარევას”<sup>350</sup>.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სსკ 71-ე მუხლის 5<sup>1</sup> მუხლის თანახმად: „ხანდაზმულობა არ გამოიყენება ამ კოდექსის 144<sup>1</sup> -144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიმართ”<sup>351</sup>. სსკ აღნიშნული მუხლები მოიცავს წამებას, წამების მუქარას და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას<sup>352</sup>. კანონმდებლის მიერ სსკ სხვა მუხლებისგან განსხვავებით, ამგვარი გამონაკლისის დამკვირვება, რომ მიუხედავად ნებისმიერი ვადის გასვლისა, პირს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს წამების და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ჩადენისათვის, კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს ამგვარი დანაშაულების აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათს ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რაც სწორედ საერთაშორისო პრინციპებსა და კონკრეტულად კი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზეა დაფუძნებული.

პირის მიმართ წამების გამოვლენა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვადასხვა დროსა და გარემოებას. კერძოდ, ევროსასამართ-

---

<sup>350</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის №1/9/701,722,725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>351</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (N2287, სსმ, 41(48), 13/08/1999), მუხლი 71. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=228>. [20.08.2020].

<sup>352</sup> იქვე, მუხლები 144<sup>1</sup> -144<sup>3</sup>.

ლოს პრაქტიკის მიხედვით, პირის მიმართ ასეთი მოპყრობა შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც დაკავებისა და დაკითხვის, ისე, უშუალოდ, საპატიმრო პერიოდში, მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას თუ სხვა ინდივიდუალურ გარემოებებში<sup>353</sup>. ასევე, მაგალითად, ადამიანის მიმართ არაადამიანური მოპყრობის დასადგენად არ არის აუცილებელი, რომ სახეზე იყოს მასზე პირდაპირი ფიზიკური იძულება. მაგალითად, საქმეზე *Moisevev v. Russia* (no. 62936/00), ECHR 6 April 2009 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრის სასამართლოს შენობაში მრავალჯერადად გადაყვანა და უკან საპატიმროში დაბრუნება არის ტოლფასი არაადამიანური მოპყრობისა, კონვენციის მე-3 მუხლის გათვალისწინებით<sup>354</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყონ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დარღვევის პრევენცია<sup>355</sup>.

ასევე, წამების ნიშნების დადასტურებისას, ყურადღება ექცევა ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა ის, თუ რა დროით უწევს დაპატიმრებულ, თავისუფლებაშეზღუდულ პირს სასჯელალსრულებით დაწესებულებაში ყოფნა, ასევე, ისეთ პირობებს, როგორებიცაა საპატიმრო ოთახის ფართობი, ვენტილაცია, მინიმალური სანიტარული პირობები, გათბობა, განათება, კვება, ურთიერთობა გარემყაროსთან, ახალი ამბების ხელმისაწვდომობა, ტანსაცმელი, თეთ-

---

<sup>353</sup> Aisling Reidy, *The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights)* Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 23 - 29.

<sup>354</sup> ჯერემი მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მოზნადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011), 91.

<sup>355</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 134. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

რეული და სხვა საცხოვრებლად აუცილებელი სოციალური პირობები<sup>356</sup>.

წამების და ღირსების შემლახავი ქმედებების აკრძალვის აბსოლუტიზმი, როგორც ხელშეუხებელი კომპონენტი, უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევის შეფასებისას, ვინაიდან როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, ხელისუფლება სწორედ ამგვარ ქმედებებს მიმართავს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ, ხშირად სწორედ სამართლის სახელით და მის საფარქვეშ, რის შესახებაც ნაშრომის მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

## **1.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები წამების აკრძალვის ჭრილში პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში**

1.2.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა წამების აკრძალვის ჭრილში, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში

სასჯელადსრულებითი კანონმდებლობა, გარდა დაზარალებულის მორალური კომპენსირებისა, მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის გამოსწორებას<sup>357</sup>. კერძოდ, სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მსჯავრდებულის ყოფნის რეჟიმმა ხელი უნდა შეუწყოს თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის საზოგადოებაში სრულფასოვან ადაპტირებას მშვიდობიანი მოქალაქის სახით<sup>358</sup>.

სასჯელადსრულებით დაწესებულებაში უამრავი ადამიანი იხდის სასჯელს, მაგრამ ისინი პატიმრობაში იმყოფებიან, როგორც ბრალდებული ან მსჯავრდებული პირები, რომლებსაც არ აქვთ წართმეული არ ცერთი ის უფლება, რომლებიც არ გამომდინარეობს ბრალდების განხორციელების თუ სასჯელის აღსრულების უზრუნ-

---

<sup>356</sup> დეტალურად იხ. მორის შალიკაშვილი, გივი მიქნაძე და მათა (ზოია) ხასია, სასჯელადსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) (თბილისი: „იურისტების სამყარო“, 2014), 133-231.

<sup>357</sup> ომარ ფარტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა (ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009), 68.

<sup>358</sup> იქვე, 69.

ველყოფის მიზნებიდან. თავისუფლებლის აღკვეთა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ბუნებითი უფლების შეზღუდვა, უკვე თავისთავად არის სასჯელი<sup>359</sup>. შესაბამისად, ციხეში არსებული პირობები და მოპყრობა არ უნდა გადაიქცეს სასჯელის დამატებით ფორმად<sup>360</sup>. აუცილებელია მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პატიმრობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება და, თავისუფლების აღკვეთის მიუხედავად, ცხოვრების პირობები მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ნორმალური ცხოვრების პირობებთან<sup>361</sup>.

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „იური ლუცენკო უკრაინის წინააღმდეგ“ (Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012)

წამების აკრძალვა ევროსასამართლოს განსჯის საგნად არაერთ უახლეს საქმეში იქცა, სადაც პატიმრობის შესაძლო პოლიტიკური საფუძველი არსებობდა. აღნიშნულ კონტექსტში წამების აკრძალვასთან დაკავშირებით, პოლიტიკური ნიშნით განხორციელებულ საქმეზე, უდავოდ მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „იური ლუცენკო უკრაინის წინააღმდეგ“<sup>362</sup>.

უკრაინაში ლუცენკოს წინააღმდეგ მიმდინარე დავისას ბრალდებული იძულებული იყო, ადგილობრივ სასამართლოში 79 მოსმენას დასწრებოდა 8 თვის განმავლობაში<sup>363</sup>. მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, თავისთავად, პროცესების აღნიშნული რაოდენობა დამოუკიდებლად არ ნიშნავს ადამიანის მიმართ მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების

<sup>359</sup> მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე და მაია (ზოია) ხასია, სასჯელალსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) (თბილისი: „იურისტების სამყარო“, 2014), 132.

<sup>360</sup> მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე და მაია (ზოია) ხასია, სასჯელალსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) (თბილისი: „იურისტების სამყარო“, 2014), 132.

<sup>361</sup> იქვე, 132.

<sup>362</sup> იური ლუცენკო (Yuriy Lutsenko), უკრაინის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და დაკავების მომენტში ოპოზიციური პარტიის ლიდერი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ანგარიშის მიხედვით, მისი დაკავება მიჩნეულ იქნა პოლიტიკური მოტივაციის მქონედ, რაც შემდგომში ასევე დაადასტურა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. (Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012).

<sup>363</sup> Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 90.



დარღვევას<sup>364</sup>. თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თითოეულ საქმეზე შესწავლილ იქნეს ინდივიდუალური გარემოებები, რამაც შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში მოახდინოს მოსმენათა რაოდენობის დაკავშირება წამების აკრძალვის დარღვევასთან<sup>365</sup>. ლუცენკოს საქმეზე მე-3 მუხლის დარღვევის დადგენაში გადამწყვეტი როლი, პროცესების რაოდენობასთან ურთიერთკავშირში ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობამ ითამაშა, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა 14-საათიან მოსმენებზე ასეთი ინტენსივობითა და სათანადო საკვების გარეშე კონცენტრირებას<sup>366</sup>. შესაბამისად, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი მოპყრობა ერთიანობაში ბრალდებულს აყენებდა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ზიანს<sup>367</sup>.

ლუცენკოს მიმართ მიმდინარე საქმეზე მე-3 მუხლის ჭრილში კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა, უშუალოდ, პროცესის მიმდინარეობისას ბრალდებულის მიმართ მოპყრობის გარეგნული გამოვლინებები. სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს, რის უზრუნველყოფასაც სახელმწიფო იძულების მექანიზმის, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის კანონმდებლობით (მათ შორის, სისხლისსამართლებრივი ნორმებით) მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ახდენს<sup>368</sup>. პოლიტიკური თანამდებობის პირები, წარდგენილი ბრალდებისა და მათი საზოგადოებრივი სტატუსის გათვალისწინებით, იმსახურებენ შესა-

---

<sup>364</sup> Aisling Reidy, The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights) Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 23 - 29.

<sup>365</sup> Aisling Reidy, The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights) Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 23 - 29.

<sup>366</sup> Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 91.

<sup>367</sup> *ibid*, § 170.

<sup>368</sup> ვრცლად იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლამე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ბამის მოპყრობას, სადაც დაცული უნდა იქნეს გონივრული ბალანსი სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმების რეალიზებასა და მის მიზანს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას შორის. პოლიტიკური თანამდებობის პირები, როგორც წესი, არ არიან ძალადობრივი დანაშაულის სუბიექტები. შესაბამისად, არ წარმოადგენენ აგრესიის წყაროს და მათი სრული იზოლირება არ არის პროპორციული წარდგენილ ბრალდებასა და ბრალდებულის პიროვნებასთან ურთიერთკავშირში. ამ თვალსაზრისით, ცხადია, ადგილი აქვს ადამიანის ღირსების შემლახავ დამოკიდებულებასაც. აქედან გამომდინარე, მათ მიმართ გადაჭარბებული უსაფრთხოების ზომები უნდა შეფასდეს მე-3 მუხლის დარღვევად. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ლუცენკოს საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნია ის, რომ მოსმენების პერიოდში ბრალდებული იმყოფებოდა გისოსებს მიღმა, მაშინ, როდესაც ამგვარი უსაფრთხოების ზომები წარმოადგენდა გადაჭარბებულს და არ იყო გონივრული ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით<sup>369</sup>.

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ალი ინსანოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Insanov v. Azerbaijan* (no. 16133/08), ECHR 14 Mar 2013)

ევროსასამართლოს მიერ მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა ალი ინსანოვის<sup>370</sup> საქმეშიც. ნაშრომის წინა ქვეთავში უკვე აღინიშნა, რომ მე-3 მუხლის დარღვევამ შესაძლებელია, თავი იჩინოს როგორც დაკავების, ისე წინასწარი პატიმრობის პერიოდში<sup>371</sup>. ასევე, განხორციელებული კვლევისას ხაზი გაესვა პატიმრობის კონტექსტში მე-3 მუხლის დარღვევის იდენტიფიცირებისათვის მხედველობაში მისაღებ ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა: საპატიმრო დაწესებულებაში ადამიანების რაოდენობა, გათბობა, სანიტარია, ლოგინების რაოდე-

<sup>369</sup> *Lutsenko v. Ukraine* (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 171.

<sup>370</sup> ალი ინსანოვი (*Ali Binnat oglu Insanov*) 1993-2005 წლებში აზერბაიჯანის ჯანდაცვის მინისტრი. (*Insanov v. Azerbaijan* (no. 16133/08), ECHR 14 Mar 2013).

<sup>371</sup> Aisling Reidy, *The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights)* Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 23 - 29.

ნობა, საჭმელი, რეკრეაცია, ისევე, როგორც გარე სამყაროსთან კონტაქტი<sup>372</sup>. პატიმრობა არ გულისხმობს პირისათვის ისეთი უფლებების ჩამორთმევას, რომლებიც არ არის პროპორციული სასჯელის მიზნებთან. პატიმრობის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, ცალკეულ უფლებათა შეზღუდვაში მდგომარეობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თავად თავისუფლებაშეზღუდული პირის რესოციალიზაციისათვის. შესაბამისად, იგულისხმება, რომ თავისუფლებაშეზღუდულ პირს უნდა გააჩნდეს ყველა ის უფლება, რომელთა შეზღუდვა არ არის თანაზომიერი პატიმრობის მიზნებთან<sup>373</sup>. ამ მიზნისთვის მნიშვნელობა არ აქვს, პირი წინასწარ პატიმრობაშია თუ უკვე შეეფარდათ სასჯელი<sup>374</sup>. თავისუფლების აღკვეთისას ადამიანის უფლებები უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ დოზითა და იმ ფარგლებში, რაც უშუალოდ უკავშირდება თავისუფლების აღკვეთის ლეგიტიმურ მიზანს<sup>375</sup>. ასეთი სტანდარტის საწინააღმდეგოდ აპლიკანტი იმყოფებოდა საკანში, რომელიც არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცულ უფლებას წამების აკრძალვის თაობაზე<sup>376</sup>. კერძოდ, აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბრალდებულის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა საკანში გათბობის არარსებობის და ანტისანიტარიის გამო<sup>377</sup>.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ჰილალ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Hilal Mammadov v. Azerbaijan* (no. 81553/1), ECHR 2 April 2014)

კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გარემოებები შესაძლებელია, იყოს როგორც პატიმრობა, ისე უშუალოდ დაკავების პროცესი და,

---

<sup>372</sup> Aisling Reidy, *The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights)* Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 27.

<sup>373</sup> მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე და მაია (ზოია) ხასია, *სასჯელადსრულების სამართალი (სახელმძღვანელო)* (თბილისი: „იურისტების სამყარო“, 2014), 132.

<sup>374</sup> იქვე.

<sup>375</sup> იქვე.

<sup>376</sup> *Insanov v. Azerbaijan* (no. 16133/08), ECHR 14 Mar 2013, § 127.

<sup>377</sup> *ibid.*

აღნიშნულიდან გამომდინარე, ღირსების შემლახავი, არაადამიანური დამოკიდებულება, რომლის მიზანიც ხელისუფლების მხრიდან პირის დასჯაა განსხვავებული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პოზიციის გამო. საქმეზე *Assenov and others v. Bulgaria* (nos. 90/1997/874/1086), ECHR 28 October 1998.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხელ უკვე დაადგინა, რომ პირის დაკავება წინასწარ იგეგმება შესაბამისი უწყებების მიერ, შესაბამისად, სახელმწიფოს ამ საპროცესო მოქმედების სათანადო ორგანიზების ვალდებულება ეკისრება და, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ შემთხვევებში, შესაძლებელია, უშუალოდ ჭრილობების მიყენების გარემოებები არ დგინდებოდეს, სახეზე მაინც არის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა<sup>378</sup>.

სწორედ ზემოაღნიშნულ ორ საკითხს დაეთმო მსჯელობა აზერბაიჯანელი აქტივისტის ჰილალ მამადოვის<sup>379</sup> საქმეზე. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა ორი საფუძვლით. უპირველეს ყოვლისა, მიუხედავად არაარსებითი ფიზიკური დაზიანებებისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევას<sup>380</sup>. შესაბამისად, ამით სასამართლომ პრაქტიკულად ხაზი გაუსვა უშუალოდ დაკავების პროცესის იმგვარად ორგანიზების და შემდგომ წარმართვის ვალდებულებას, რომ დაკავებულის ჯანმრთელობას არ შეექმნას მინიმალური საფრთხეც კი.

ამავე საქმეზე ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების პროცესში მამადოვის ცემის ფაქტი უშუალოდ არ დაფიქსირებულა<sup>381</sup>. აღნიშნულის

---

<sup>378</sup> Aisling Reidy, *The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights)* Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003), 23.

<sup>379</sup> ჰილალ მამადოვი (Hilal Mammadov) აზერბაიჯანელი მეცნიერი, ჟურნალისტი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე (*Hilal Mammadov v. Azerbaijan* (no. 81553/1), ECHR 2 April 2014).

<sup>380</sup> *Hilal Mammadov v. Azerbaijan* (no. 81553/1), ECHR 2 April 2014, § 86.

<sup>381</sup> *Hilal Mammadov v. Azerbaijan* (no. 81553/1), ECHR 2 April 2014, § 83.

უმთავრესი მიზეზი კი დაზიანებების შესწავლის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების არასათანადო რეაგირება იყო<sup>382</sup>.

დ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მიხეილ ხოდორკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ (Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011)

მიხეილ ხოდორკოვსკი<sup>383</sup> წარმოადგენდა ცნობილ ბიზნესმენს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისგან მომდინარე ფიზიკური საფრთხე მინიმალური იყო. სწორედ ამ გარემოებას ემყარებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მისი სარჩელი, რომელიც მიუთითებდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე. კერძოდ, ხსენებულ საქმეში მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ იგი მთელი პროცესის განმავლობაში იმყოფებოდა რკინის გისოსებს მიღმა, რაც მისგან მომდინარე საფრთხესთან არ იყო პროპორციული<sup>384</sup>. შესაბამისად, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, ეს შემთხვევა წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას<sup>385</sup>. ასევე, მოსარჩელის მტკიცებით, მე-3 მუხლის დარღვევა ემყარებოდა ისეთ საფუძვლებსაც, როგორცაა საკანში სველი წერტილის, ოთახში ვინტილაციის პრობლემები და დაბინძურების მაღალი ხარისხი<sup>386</sup>.

ევროსასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას ორივე მითითებული საფუძვლით აღიარა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც მოსმენების სიხშირე შემცირდა და ბრალდებულს, პრაქტიკულად, რამდენიმე თვის საკანში გატარებამ მოუწია, მას არ ეძლეოდა სპორტდარბაზით (ასეთის არარსებობის გამო) და ჰიგიენის სა-

---

<sup>382</sup> *ibid.*

<sup>383</sup> მიხეილ ხოდორკოვსკი (Mikhail Khodorkovskiy), რუსი ბიზნესმენი, რომელიც აფინანსებდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას, ოპოზიციურ პარტიებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს (Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011).

<sup>384</sup> Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011, § 120.

<sup>385</sup> *ibid.*

<sup>386</sup> Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011, § 98.

თანადო სტანდარტებით სარგებლობის შესაძლებლობა თავისუფლების შეზღუდვის სივრცეში<sup>387</sup>. ასევე, სასამართლომ მიუთითა, რომ სხდომათა დარბაზში არსებული უსაფრთხოების ნორმები იყო აშკარად გადაჭარბებული და იწვევდა მოსარჩელისათვის დამამცირებელი გარემოს შექმნას<sup>388</sup>. ამის გათვალისწინებით, ევროსასამართლომ, პრაქტიკულად, ცალსახად მიუთითა, რომ პროცესის მიმდინარეობისას არსებული არაპროპორციული უსაფრთხოების სტანდარტები, შეიძლება ქმნიდეს უფლებათა დარღვევას. მათ შორის, შესაძლო პოლიტიკური საფუძვლის არსებობის მქონე საქმეებზე გადაჭარბებული უსაფრთხოების ზომები წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან და წარმოადგენს პირის მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ერთ-ერთ გამოხატულებას.

1.2.2. შემაჯამებელი მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესახებ წამების აკრძალვის ჭრილში, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში

წინამდებარე ქვეთავში განხილული ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების ერთობლივი ანალიზით, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ნიშნის მქონე საქმეებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან პოლიტიკური ელემენტის არსებობისას თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ფარგლებში იკვეთება ისეთი ფუნდამენტური უფლების დარღვევა, როგორცაა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა. ასეთი დარღვევების თავისებურებები, როგორც პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, საკმაოდ მრავალფეროვანია და თავს იჩენს როგორც დაკავების ეტაპზე, ისე უშუალოდ თავისუფლების შეზღუდვის პროცესში.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ შესაძლო დარღვევების პრევენციის მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელმა ისეთმა ორგანოებმა, როგორებიცაა ეროვნული სასამა-

---

<sup>387</sup> *ibid*, § 118.

<sup>388</sup> *ibid*, § 126.

რთლო სისტემები და ძალოვანი სტრუქტურები, მხედველობაში მიიღონ ევროსასამართლოს არსებული პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და რეზონანსულ საქმეებზე, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, სავარაუდოდ პოლიტიკური ელემენტის არსებობის მქონე საქმეები იგულისხმება. კერძოდ, აუცილებელია, რომ პირის დაკავება წინასწარი დაგეგმვითა და სათანადო ორგანიზებულობის პირობებში მოხდეს, პროპორციული ძალის გამოყენებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაკავებული პირის მიმართ შეუსაბამო ფიზიკური ზიანის მიყენება. ასევე, პოლიტიკური თანამდებობის და საზოგადოებრივად აქტიური სამოქალაქო აქტივისტების სტატუსის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო სხდომათა დარბაზების სათანადო მომზადება. კერძოდ, უკიდურესი აუცილებლობის გამონაკლისის გარდა, არ მოხდეს არათანაზომიერი უსაფრთხოების სტანდარტების, მათ შორის, რკინის გისოსების გამოყენება, რაც შესაძლოა, აღქმული იყოს პირის მიმართ დამამცირებელ დამოკიდებულებად. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, სასამართლო გარკვეულწილად ადგენს განსაკუთრებულად მაღალ სტანდარტს, რისი ეფექტიანი აღსრულებაც კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, შემდგომში პირის მიმართ უფლების დარღვევის დადგენის პრევენციისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, სასამართლო სხდომებს შორის გონივრული შუალედების, სათანადო შესვენებებისა და განსასჯელისათვის საკვების მიწოდება. გარდა ამისა, აუცილებელია, დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებადკვეთილი პირისათვის სასჯელადსრულების და საპატიმრო დაწესებულებაში იმგვარი პირობების შექმნა, რაც უზრუნველყოფს აუცილებელ მინიმალურ სტანდარტებს მისი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულ ღირსების შემლახავ მოპყრობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის არსებობა.

### 1.3. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის ეჭვის მქონე დავებში

1.3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესახებ თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ჭრილში, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების რაობაზე მსჯელობა უკვე წარმოდგენილია ნაშრომის პირველ თავში. აღნიშნული უფლების დარღვევა, წამების აკრძალვის მსგავსად, ევროსასამართლოს განსჯის საგნად რამდენიმე მნიშვნელოვან დავაზე იქცა, სადაც პოლიტიკური საფუძველი არსებობდა.

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ხოდორკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ“ (Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011)

წინა აბზაცში განხილულ კონტექსტში ერთ-ერთ მაგალითად შესაძლებელია, მოყვანილი იქნეს მიხეილ ხოდორკოვსკის საქმე, სადაც ევროსასამართლომ ერთდროულად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ორი სხვადასხვა პუნქტის დარღვევა დაადგინა. თავად ხოდორკოვსკის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება უშუალოდ უკავშირდება მის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას და პარტია „იაბლოკოს“ დაფინანსებას<sup>389</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს პირის უფლებას, დაკავებისთანავე ეცნობოს დაკავების მიზეზებისა და წაყენებული ბრალის შესახებ მარტივ, არატექნიკურ ენაზე და განემარტოს მისი დაკავების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები<sup>390</sup>. აღნიშნულიდან გამონაკლისი დასაშვებია იმ შემთხვევებში, როდესაც პირდაპირი ინფორმირება დაკავების მიზეზების შესახებ არ არის საჭირო, თუ ეს აშკარად გამომდინარეობს დაკავების გარემომცველი გარემოებებიდან<sup>391</sup>. დაკა-

<sup>389</sup> Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011, § 9.

<sup>390</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 149. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>391</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადაღკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა



ვების მიზეზების შეტყობინების აუცილებლობას ითვალისწინებს გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დატუსაღებულ პირთა დაცვის პრინციპებიც. „პირს დაპატიმრებისთანავე უნდა აცნობონ დაპატიმრების მიზეზების შესახებ და დაუყოვნებლივ აცნობონ მისთვის წაყენებული ბრალდებების თაობაზე“<sup>392</sup> და იქვე, პრინციპი 13: „დაკავების მომენტში ან პატიმრობის შეფარდების დასაწყისში, ან დაუყოვნებლივ ამის შემდეგ, დაკავებაზე ან პატიმრობის შეფარდებაზე პასუხისმგებელმა ხელისუფლების ორგანომ, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ და განმარტება უფლებებით სარგებლობის თაობაზე“<sup>393</sup>.

ზემოაღნიშნული გარანტირებული უფლებების საწინააღმდეგოდ, ხოდორკოვსის დაკავებისას არ იქნა ფორმალური პირობები დაცული. კერძოდ, მისთვის არ უცნობებიათ ფორმალური საფუძვლები დაკავებისას და ამის შესახებ ინფორმაცია მან ხანგრძლივი დავიანების შემდეგ მიიღო<sup>394</sup>. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროსასამართლომ მიუთითა ბრალდებულის მიმართ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევაზე.

ასევე, ხოდორკოვსკის მიმართ დაირღვა კონვენციის 5.4 მუხლი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში დანერგილ იქნა ჰაბეას კორპუსის აქტი<sup>395396</sup>. ამ კონტექსტში

---

დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 231.

<sup>392</sup> United Nations, Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment (Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988), principle 10. Available at <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx>.

<sup>393</sup> United Nations, Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment (Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988), principle 13. Available at <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx>.

<sup>394</sup> Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011, § 229.

<sup>395</sup> Parliament of England, The Habeas Corpus Act (adopted by the Parliament of England, 31 Cha. 2 c. 2, May 1679), available at: <https://www.bl.uk/learning/timeline/item104236.html> [20.08.2020].

<sup>396</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020, 5.

აღსანიშნავია, რომ პირის მიმართ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გარანტირებული დაკავების საფუძვლების დარღვევის არარსებობა არ ნიშნავს დაკავების ნაწილში პროცედურულ-შინაარსობრივი ნაწილის კანონიერების დადგენას<sup>397</sup>. ეს უკანასკნელი სწორედ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ჭრილში უნდა იქნეს განხილული, რომელიც ადგენს დაკავებული პირის უფლებას მისი საქმის სასამართლოს წინაშე განხილვის შესახებ და გათავისუფლების ვალდებულებას, თუ დაკავება შესაბამისი საფუძვლების გარეშე მოხდა<sup>398</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხოდორკოვსკის შემთხვევაში ბრალდებულისათვის სათანადოდ არ მიუწოდებიათ საქმის მასალები, რამაც გავლენა მოახდინა მის უფლებაზე, საკუთარი დაკავების კანონიერება შეემოწმებინა<sup>399</sup>. ამასთან დაკავშირებით, მოპასუხე სახელმწიფო აქცენტს აკეთებდა შესაბამისი დოკუმენტაციის სათანადოდ მიწოდების საჭიროების არარსებობაზე<sup>400</sup>, თუმცა ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საქმის მასალებზე თავისუფალი წვდომა გარანტირებული უნდა ყოფილიყო ბრალდებულისათვის, ხოლო მისი პრაქტიკული რეალიზება ამ უკანასკნელის თავისუფალი არჩევანია<sup>401</sup>.

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „იულია ტიმოშენკო უკრაინის წინააღმდეგ“ (Tymoshenko v. Ukraine (no. 49872/11), ECHR 10 August 2011)

ევროსასამართლოს დიდმა პალატამ ერთდროულად მე-5 მუხლის 3 სხვადასხვა პუნქტის დარღვევა დაადგინა იულია ტიმოშენკოს<sup>402</sup> საქმეზე. თავად ტიმოშენკო წარმოადგენდა უკრაინული „ნარინჯის-

---

<sup>397</sup> *ibid.*

<sup>398</sup> Monica Macovei, *The right to liberty and security of the person (A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Right)*. Human rights handbooks, No. 5. (Germany: Council of Europe, 2002), 60.

<sup>399</sup> *Khodorkovskiy v. Russia* (no. 5829/04), ECHR 31 May 2011, § 203.

<sup>400</sup> *ibid.*, § 227.

<sup>401</sup> *ibid.*, § 234.

<sup>402</sup> იულია ტიმოშენკო (Yuliya Tymoshenko) უკრაინის ყოფილი პრემიერ მინისტრი და ოპოზიციური პარტიის ლიდერი. (*Tymoshenko v. Ukraine* (no. 49872/11), ECHR 10 August 2011).

ფერი რევოლუციის” ერთ-ერთი შემოქმედს, ორგზის უკრაინის პრემიერ-მინისტრსა და დაპატიმრების პერიოდში უკრაინული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს<sup>403</sup>.

ევროსასამართლომ ტიმოშენკოს მიმართ დარღვეულად ცნო კონვენციის არაერთი მუხლი. უპირველეს ყოვლისა, ევროსასამართლოსთვის ტიმოშენკოს წინასწარი პატიმრობა იყო თვითნებური, ვინაიდან არ იკვეთებოდა ასეთის გამოყენების უკიდურესი აუცილებლობა<sup>404</sup>.

აღნიშნულ საქმეში სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას გაუსვა ხაზი. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა დაკავების ფორმალურ და რეალურ საფუძვლებს შორის ურთიერთკავშირზე. ევროსასამართლომ მიუთითა, რომ პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასებისას იგი (ევროსასამართლო) არ არის შეზღუდული დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დაკავების დეკლარირებული საფუძვლებით, არამედ სცდება ამ ფარგლებს და აფასებს მის მიღმა არსებულ რეალურ განზრახვასა და მიზანს<sup>405</sup>.

ევროსასამართლოსთვის თავისუფლების შეზღუდვისას ნორმათა განჭვრეტადობას და დაკავებული პირის სათანადო ინფორმირებულობას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა, რამაც თავისი ასახვა შესაძლო პოლიტიკური საფუძვლის მქონე დავების შეფასებებშიც პოვა. ამავე ნაწილში სასამართლომ მიუთითა, რომ წინასწარი პატიმრობის კანონიერებისათვის აუცილებელია უშუალოდ ადგილობრივ საკანონმდებლო აქტში ინტეგრირებული ნორმატიული საფუძვლის განჭვრეტადობა. შესაბამისად, მიუხედავად დაკავების ხანგრძლივობისა, აუცილებელია თავისუფლებაშეზღუდული პირისთვის ასეთი პერიოდი წინასწარ მკაფიო იყოს<sup>406</sup>. ზემოაღნიშნული პირობები ტიმოშენკოს საქმეზე არ იქნა დაკმაყოფილებული იმდენად, რამდენადაც, როგორც სასამართლო კოლე-

<sup>403</sup> Tymoshenko v. Ukraine (no. 49872/11), ECHR 10 August 2011, § 9-13.

<sup>404</sup> Tymoshenko v. Ukraine (no. 49872/11), ECHR 10 August 2011.

<sup>405</sup> *ibid.*, § 263.

<sup>406</sup> *ibid.*, § 264 and 266.

გია უთითებს, თავად ტიმოშენკოსათვის წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა არ იყო წინასწარ განჭვრეტადი ისევე, როგორც მის მიმართ დაირღვა სხვა რიგი პროცედურული ვალდებულებები<sup>407</sup>.

ამავე კონტექსტში ევროსასამართლოსათვის მიუღებელი აღმოჩნდა ადგილობრივი სასამართლოს მიერ უკრაინის ყოფილი პრემიერმინისტრის საქმის განხილვის პროცედურული საკითხები, რამაც გამოიწვია მისთვის სათანადო სამართლებრივი შემოწმების უფლების შეზღუდვა, რასაც შემდგომში სათანადო კომპენსაცია არ მოჰყოლია<sup>408</sup>. კერძოდ, ევროსასამართლომ მიუთითა, რომ სათანადო კომპენსაციის ვალდებულება წარმოიშობა ისეთი წინაპირობის არსებობისას, როგორცაა პირის მიმართ კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული სხვა რომელიმე უფლების დარღვევა<sup>409</sup>. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ტიმოშენკოს მიმართ უნდა მომხდარიყო უკრაინული კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა, რისი შეუსრულებლობაც, თავის მხრივ, მე-5 მუხლის დარღვევის კიდევ ერთი საფუძველია<sup>410</sup>.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „იური ლუცენკო უკრაინის წინააღმდეგ“ (Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012).

ერთდროულად კონვენციის მე-5 მუხლის რამდენიმე პუნქტის დარღვევა დაფიქსირდა ლუცენკოს საქმეზე, რომელიც შემდგომში შესაძლო პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის სხვა საქმეებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პრეცედენტულ ხასიათს ატარებს. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ მიუთითა დაკავების საფუძვლების სასამართლოს მიერ სათანადოდ შესწავლის აუცილებლობაზე. სასამართლოს პოზიციით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლი დაირღვა იმ საფუძველით, რომ ლუცენკო დაკავების მეორე დღეს წარდგა სასამართლოს წინაშე, ხოლო წარდგენისას ადგილობრივმა სასამართ-

---

<sup>407</sup> *ibid*, § 268 – 269.

<sup>408</sup> *Tymoshenko v. Ukraine* (no. 49872/11), ECHR 10 August 2011, § 285.

<sup>409</sup> *ibid*, § 263.

<sup>410</sup> *ibid*, § 286-288.

ლომ დაკავების კანონიერების შესწავლაზე უარი განაცხადა<sup>411</sup>. საქმის ინდივიდუალური თავისებურებების ანალიზმა ევროსასამართლოს მისცა შესაძლებლობა დაედგინა, რომ ლუცენკოს დაკავების მიზეზები არ შეესაბამებოდა კონვენციით გათვალისწინებულ ისეთ წინაპირობებს, როგორებიცაა, მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა, ემსახურებოდა აღნიშნულისაგან სრულიად დამოუკიდებელ სხვა მიზანს და, შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდიოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლთან<sup>412</sup>.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ლუცენკოს საქმეზე გამოიკვეთა, ეს არის თავისუფლების შეზღუდვის მომენტში პირის სათანადო და ყოველმხრივი ინფორმირების აუცილებლობა. განხილულ საქმეში ევროსასამართლომ იმსჯელა კონვენციის 5.2 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე ზემოთ მითითებული საფუძვლით. ეს პუნქტი უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას მისი დაკავებისა და ბრალდების საფუძვლების შესახებ. ამ შემთხვევაში კი სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის მონაწილე მხარეები სადავოდ ხდიან დაკავებულის ინფორმირების ფარგლებს, ხოლო მოპასუხის მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოში საქმის განხილვისას არ იქნა უარყოფილი ის გარემოება, რომ ლუცენკოს არ ეცნობა დაკავების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი 2010 წლის 25 დეკემბრის აპლიკაციის შესახებ და აღნიშნულის თაობაზე მისთვის მხოლოდ 20 საათზე მეტი ხნის შემდგომ, უშუალოდ, პროცესის მიმდინარეობისას გახდა ცნობილი. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ დაკავების ეტაპზე პირის სათანადო და სრულყოფილი ინფორმირება ექცევა კონვენციის 5.2. მუხლით დაცულ სფეროში, ევროსასამართლომ ლუცენკოს მიმართ კონვენციის 5.1. მუხლთან ერთად დამატებით ასევე დარღვეულად ცნო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.2. მუხლი ზემოაღნიშნული საფუძვლით<sup>413</sup>.

---

<sup>411</sup> Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 63.

<sup>412</sup> Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 63-65.

<sup>413</sup> *ibid.*, § 78-79.

ამავე საქმის ფარგლებში მსჯელობისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის სხვა პუნქტებზეც. კერძოდ, 5.3 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს დაკავებული და დაპატიმრებული პირის დაუყოვნებლივი წარდგენა სასამართლოსათვის, რათა დაცული იქნეს პირის უფლება, მისი საქმე განიხილონ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში პროცესზე გამოცხადების შესაბამისი გარანტიებით. მოსარჩელე ლუცენკო სადავოდ ხდიდა დაკავების თვითნებურობას, ვინაიდან მას არ მიეცა ადგილობრივი სასამართლოს წინაშე საკუთარი დასაბუთებული პოზიციის წარდგენის სათანადო შესაძლებლობა<sup>414</sup>. ეს კრიტერიუმი დაკავების კანონიერების უპირობო და აუცილებელი ელემენტია. მოცემულ საქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პირის დაკავების კანონიერების სათანადო შესწავლისათვის აუცილებელია ზეპირი სახით სასამართლო მოსმენის გამართვა<sup>415</sup>. ამასთანავე, თავისთავად ზეპირი მოსმენა შესაბამისი შინაარსის, კერძოდ, შეჯიბრებითობისა და თანაბარი შესაძლებლობების, მათ შორის, საკუთარი მოსაზრებების გაჟღერების და დოკუმენტაციაზე წვდომის გარეშე ვერ იქნება მიჩნეული კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისად<sup>416</sup>. ლუცენკოს შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ამ მოთხოვნების დარღვევასაც იმდენად, რამდენადაც ბრალდებულის წარმომადგენლებს არ მიეცათ სასამართლოს მასალებზე წვდომის აუცილებელი შესაძლებლობა<sup>417</sup>. შესაბამისად, ევროსასამართლომ ლუცენკოს მიმართ ასევე დარღვეულად ცნო კონვენციის 5.3 მუხლი<sup>418</sup>.

გარდა მატერიალური საფუძვლებისა, ლუცენკოს მიმართ ადგილი ჰქონდა სხვა ტიპის დარღვევებსაც. ეს დარღვევები გარკვეულ ნიშანსვეტად გასდევს შესაძლო პოლიტიკური საფუძვლის მქო-

---

<sup>414</sup> Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 81.

<sup>415</sup> *ibid.*, § 89.

<sup>416</sup> *ibid.*, § 89.

<sup>417</sup> *ibid.*, § 89.

<sup>418</sup> *ibid.*, § 88.

ნე დავებს, ასევე, აღნიშნულ ერთგვაროვნებაზე სასამართლომ ფაქტობრივად ჩამოაყალიბა პრაქტიკა, რომელიც წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილულ თითქმის ყველა გადაწყვეტილებაზე ვრცელდება. კერძოდ, ეროვნული სასამართლოების მიერ ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის, როგორც აღკვეთის ალტერნატიული სახეებიდან ყველაზე უკიდურესი საშუალების სათანადო დასაბუთებით შეფარდების საჭიროებას. ლუცენკოს შემთხვევაში, შესაძლო პოლიტიკური საფუძვლების მქონე სხვა შემთხვევების მსგავსად, ადგილი ჰქონდა წინასწარი პატიმრობის სათანადო სამართლებრივი დასაბუთების გარეშე შეფარდებას. კერძოდ, ევროსასამართლომ განხილულ საქმეზე მიუთითა კონვენციის მე-5 მუხლის პე-4 პუნქტის მიმართ ერთიანი უნიფიცირებული სტანდარტის არარსებობაზე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის სასამართლო განხილვის სამართლიანობის შესაფასებლად<sup>419</sup>. შესაბამისად, ამგვარი უნიფიცირებულობის არარსებობის პირობებში პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გარკვეულწილად, წინააღმდეგობაში მოდის რა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, განსაკუთრებული სიფრთხილით, საქმესთან დაკავშირებით არსებული ყოველგვარი გარემოების სრულყოფილი შესწავლის შედეგად, უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა იქნეს გამოყენებული. წარმოდგენილ შემთხვევაში, თავის მხრივ, კონვენციის დარღვევის საფუძვლად სასამართლომ რამდენიმე გარემოება მიუთითა. პირველი – ბრალდებულის საჩივარზე, რომელიც საკმაოდ კომპლექსური იყო და შეეხებოდა როგორც უშუალოდ დაკავებისას არსებულ, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებულ პროცესუალურ ხარვეზებს. ზემდგომმა ანუ სააპელაციო სასამართლომ ბლანკეტურად, იმგვარად თქვა უარი, რომ არ იქნა წარმოდგენილი სათანადო, ინდივიდუალური საქმიდან გამომდინარე დასაბუთება<sup>420</sup>. და მეორე – სასამართლოს მიერ არ იქნა წარმოდგენილი დასაბუთებული უარი პარლამენტის წევრებისა და სახალხო დამცველის შუამდგომლობაზე ბრალდებული ლუცენკოს გირაოთი

<sup>419</sup> Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 96.

<sup>420</sup> *ibid.*, § 97.

გათავისუფლებასთან დაკავშირებით<sup>421</sup>. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროსასამართლომ ლუცენკოს მიმართ დარღვეულად ცნო კონვენციის 5.4. მუხლი.

დ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ვლადიმერ გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“ (Gusinsky v. Russia (no. 70276/01), ECHR 9 May 2004)

თავისი არსით, კიდევ ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება, სადაც ევროსასამართლომ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულის გარდა, სხვა საფუძვლით გამოყენების თაობაზე იმსჯელა, არის საქმე „ვლადიმერ გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“.

ვლადიმერ გუსინსკი წარმოადგენდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს და აქციათა უმრავლესობის მფლობელს სამეწარმეო საზოგადოებაში, რომელიც ოპერირებდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბაზარზე, მათ შორის, ამავე კომპანიას ეკუთვნოდა პოპულარული რუსული ტელეკომპანია NTV<sup>422</sup>. გუსინსკი რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავმა ორგანოებმა 2000 წლის 13 ივნისს დააკავა<sup>423</sup>.

წარმოდგენილ საქმეზე მოსარჩელის მტკიცებით, მისი დაკავება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლს, იმდენად, რამდენადაც იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა სხვა სამართლებრივ აქტთან. კერძოდ, საუბარია რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ 2000 წლის 26 მაისის გამოცემულ ამნისტიის აქტზე<sup>424</sup>. ამ აქტის მოქმედების შედეგად კი, დაკავებული გუსინსკი დაუყოვნებლივ ექვემდებარებოდა გათავისუფლებას.

გადაწყვეტილებაში ევროსასამართლომ მიუთითა, რომ პირის დაკავების კანონიერების შესწავლისას, უპირველეს ყოვლისა, კონვენციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის მა-

<sup>421</sup> Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 98.

<sup>422</sup> Gusinsky v. Russia (no. 70276/01), ECHR 9 May 2004, § 9.

<sup>423</sup> *ibid*, § 15.

<sup>424</sup> *ibid*, § 45.



ტერიალურ-პროცედურული საკითხები ჰარმონიაში მოდიოდეს ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან<sup>425</sup>. წარმოდგენილ საქმეზე სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიუთითა, რომ გუსინსკის მიმართ ვრცელდებოდა 2000 წლის 26 მაისის ამნისტიის აქტის მოქმედება, თუმცა იგი მაინც არ გაუთავისუფლებიათ<sup>426</sup>.

შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ გუსინსკის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას. კერძოდ, მისი პატიმრობა იყო თვითნებური იმდენად, რამდენადაც იგი არ შეესაბამებოდა ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს<sup>427</sup>.

ე) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე რაშად ჰასანოვი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Azerbaijan (no. 48653/13), ECHR 7 June 2018)

ამ საქმეზე მოპასუხე აზერბაიჯანის სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდიოდა რამდენიმე მოსარჩელე. კერძოდ, მოსარჩელებს წარმოადგენდნენ რაშად ჰასანოვი, ზაურ გურბანლი, იუზერი მამადლი და რაშადათ ახუნდოვი, რომლებიც წარმოადგენდნენ პრაქტიკოს იურისტებს და ეწეოდნენ ოპოზიციური სახის სამოქალაქო აქტივობებს<sup>428</sup>. მოსარჩელები საჩივარში მიუთითებდნენ, რომ მათი დაკავება იყო თვითნებური, ვინაიდან იგი არ ემყარებოდა გონივრული ეჭვის არსებობის სტანდარტს<sup>429</sup>. ასევე, თვითნებურობის კიდევ ერთ საფუძვლად მოსარჩელები აქცენტს აკეთებდნენ ნაშრომის ფარგლებში უკვე არაერთხელ გამოკვეთილი ეროვნული სასამართლოების მანკიერ პრაქტიკაზე – წინასწარი პატიმრობის გამოყენების არასათანადოდ დასაბუთებასთან დაკავშირებით<sup>430</sup>.

საქმის ყოველმხრივი და კომპლექსური შესწავლის შედეგად ევროსასამართლომ გაიზიარა მოსარჩელების პოზიცია. სასამართ-

<sup>425</sup> Gusinsky v. Russia (no. 70276/01), ECHR 9 May 2004, § 62.

<sup>426</sup> *ibid*, § 68.

<sup>427</sup> *ibid*, § 68-69.

<sup>428</sup> Rashad Hasanov and others v. Azerbaijan (no. 48653/13), ECHR 7 June 2018, § 4-5.

<sup>429</sup> *ibid*, § 3.

<sup>430</sup> Rashad Hasanov and others v. Azerbaijan (no. 48653/13), ECHR 7 June 2018, § 3.

ლომ გამოკვეთა სათანადო მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის აუცილებლობა გონივრული ეჭვის არსებობის დასადგენად და შედეგად, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის გამოსაყენებლად<sup>431</sup>. შესაბამისად, ევროსასამართლომ რაშიდ ჰასანოვის და სხვების საქმეზე აზერბაიჯანის წინააღმდეგ ასევე დარღვეულად ცნო კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

ვ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ (Rashad Hasanov and others v. Azerbaijan (no. 48653/13), ECHR 7 June 2018)

შესაძლო პოლიტიკური შემადგენლობის მატარებელ საქმეებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა საქმე „ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“<sup>432</sup>.

ეს საქმე წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს მასში განვითარებული მჯელობის და პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტში გამიჯვნის თვალსაზრისით. კერძოდ, აღნიშნულ საქმეში ევროსასამართლო ფართოდ მსჯელობს საქმის შესაძლო პოლიტიკურ მოტივებზე<sup>433</sup>. ამასთან, სასამართლო მიხეილ ხოდორკოვსკის საქმეზე ხაზგასმით ამ საქმეშიც აღნიშნავს, რომ იგი არ უგულებელყოფს პოლიტიკური მოტივაციის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებებს. თუმცა, პოლიტიკური პროცესი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის მკაცრად გამიჯნული და სასამართლო ამ უკანასკნელს აფუძნებს სამართლებრივი მტკიცებულებების და რელევანტური ფაქტების შეფასების გზით<sup>434</sup>. სასამართლო აღნიშნავს, რომ

---

<sup>431</sup> *ibid*, § 107.

<sup>432</sup> ილგარ მამადოვი იყო რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციისა და ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართული პირი. 2008 წელს მან დააფუძნა ალტერნატიული რესპუბლიკური სამოქალაქო მოძრაობა და 2012 წელს არჩეულ იქნა მის თავმჯდომარედ. ასევე, იგი არის ბაქოს პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი, რომელიც აფილირებულია ევროპის საბჭოსთან, *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (no. 15172/13), ECHR 13 October 2014).

<sup>433</sup> მაგ., *ib. Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (no. 15172/13), ECHR 13 October 2014, § 6, 7, 15, 22, 25, 40, 57, 59, 61, 92, 94, 127, 129, 135, 136, 138 და 140.

<sup>434</sup> *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (no. 15172/13), ECHR 13 October 2014, § 140.

წარმოდგენილი საქმის გარემოებები იძლევა იმის შენიშვნის შესაძლებლობას, რომ აპლიკანტის დაკავებას და პატიმრობას აქვს გამოჩვეული მახასიათებლები, რაც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, გააანალიზოს მდგომარეობა საქმესთან დაკავშირებით გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებისაგან დამოუკიდებლად<sup>435</sup>.

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ნაწილში ევროსასამართლომ მამადოვის მიმართ დარღვეულად ცნო კონვენციის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტი. კერძოდ, დაადგინა, რომ ადგილობრივი სასამართლოები პრაქტიკულად პროკურორების მიერ წარმოდგენილი პოზიციების კოპირებას ახდენდნენ მოკლე, ბუნდოვანი და სტერეოტიპული ფორმულირებებით<sup>436</sup>. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ გზით ადგილობრივი სასამართლოები ახდენდნენ საკუთარი როლის ლიმიტირებას, რაც საკმარისად იქნა მიჩნეული იმისათვის, რომ დადგენილიყო აპლიკანტის მიმართ სათანადო სამართლებრივი გადასინჯვის შესაძლებლობის შეზღუდვა და, შესაბამისად, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა<sup>437</sup>.

### **1.3.2. შემაჯამებელი მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესახებ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის კრილში, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში**

წინა ქვეთავში განხილული სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პოლიტიკური ნიშნის მქონე დავებში თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა ხდება იმგვარად, რომ თავისუფლებაზე შეზღუდული პირის მიმართ ერთდროულად ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე უფლება. შესაბამისად, აშკარაა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებების სხვადასხვა შტო, ეროვნული სასამართლოების მეშვეობით

---

<sup>435</sup> ibid.

<sup>436</sup> ibid, § 118.

<sup>437</sup> ibid, § 118 and 119.

პოლიტიკური შემადგენლის მქონე საქმეებზე წინასწარ პატიმრობას იყენებს არამიზნობრივად და დაუსაბუთებლად.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მითითებული გადაწყვეტილებების ანალიზი იძლევა ერთგვაროვანი პრაქტიკის გამოკვეთის და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენის შესაძლებლობას ეროვნული სასამართლოებისთვის. უპირველეს ყოვლისა, აშკარაა, რომ განხილულ საქმეებში ადგილობრივი სასამართლოსი და სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი მოქმედების შედეგად ხდება წინასწარი პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების ფორმალურად, სათანადო დასაბუთების გარეშე გამოყენება, რის შედეგადაც, ევროსასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა. შესაბამისად, პოლიტიკური შინაარსის მატარებელ საქმეებზე ამგვარი ტენდენციის საპასუხოდ აუცილებელია, რომ წინასწარი პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი სახის გამოყენებისას კიდევ უფრო ამაღლდეს დასაბუთების სტანდარტი. წინასწარი პატიმრობის გამოყენება აღკვეთის ღონისძიების სახით თითოეული პირის მიმართ, მიუხედავად მისი პოლიტიკური აქტივობის ხარისხისა და სადავო გარემოებების ამ აქტივობასთან კავშირისა, უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას დასაბუთების მაღალი სტანდარტით. თუმცა, ასეთი მტკიცება პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში, როგორც წესი, თავისთავად კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს მოითხოვს. კერძოდ, წინასწარი პატიმრობის გამოყენების მწვავე აუცილებლობის და გარდაუვალობის დასაბუთება განსაკუთრებით რთულდება მისი დაპირისპირების გამო ისეთ ღირებულებებთან, როგორებიცაა: მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი – არ მოხდეს ასეთი პირების პოლიტიკური პროცესებიდან გამოთიშვა; მოხდეს წინასწარი პატიმრობის, როგორც პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტალიზაციის პრევენცია; და ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი პირების მიმართ, როგორც წესი, ბრალდება წარდგენილია არაძალადობრივი დანაშაულისათვის, ამასთანავე, არსებული პრაქტიკის განზოგადების შედეგად, შეიძლება ასევე ითქვას, რომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს წინასწარი პატიმრობის გამო-

ყენებამდე თავად დაკავების კანონიერების საფუძვლების სათანადოდ შემოწმებაზე. კერძოდ, სასამართლომ ზემოთ განხილული თავისებურებების გათვალისწინებით, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს დაკავების აუცილებლობის დადასტურებისათვის პირველადი მტკიცებულებების და ინფორმაციის ერთობლიობის შესწავლას, რათა ამით სასამართლო ხელისუფლებამ შეაკავოს და შეაწონასწოროს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პირის დაკავების ინსტრუმენტის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებისაკენ სწრაფვის ტენდენცია.

ზემოაღნიშნულთან ერთად ასევე იკვეთება, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, დაკავებულ პირებს არ ეძლევათ დაკავებასა და წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით საქმის სასამართლოს წინაშე განხილვის შესაძლებლობა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნათა დარღვევის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია პირის სასამართლოს წინაშე წარდგენა მოხდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, სადაც სრულად იქნება დაცული ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული სტანდარტები. მნიშვნელოვანია, რომ პირს მიეცეს პატიმრობის გამოყენების საკითხის სამართლიანი შემოწმების შესაძლებლობა. ამგვარი შემოწმება კი უნდა ემყარებოდეს ბრალდების და დაცვის მხარეთა სრულ შეჯიბრებითობას, მათ შორის, საქმის მასალებზე თანაბარ წვდომას, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სხვა პროცედურული მექანიზმების თანაბრად გამოყენების შესაძლებლობის ჩათვლით.

#### **1.4. უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, როგორც ნაშრომის წინა თავში განხორციელებული კვლევისას აღინიშნა, გარკვეულ მუხლებთან მიმართებით ითვალისწინებს დაცულ თავისუფლებათა შეზღუდვის საგამონაკლისო შესაძლებლობებსაც. თუმცა, ამავდროულად ცალკეა გამოსაყოფი კონვენციის მე-18 მუხლი. კონვენციის ეს მუხლი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. კერძოდ, იგი არასდროს არ გამოიყენება დამოუკიდებლად და მისი განხილვა

ხდება სხვა მუხლებთან ურთიერთმიმართებაში<sup>438</sup>. აღნიშნული მიზეზით სახეზეა დადასტურების საკმაოდ მკაცრი სტანდარტი და მისი დარღვევა მხოლოდ რამდენიმე საქმეშია ცნობილი<sup>439</sup>.

ზემოაღნიშნული მუხლის მიხედვით, დამოუკიდებლად და გარანტირებული შეზღუდვის შესაძლებლობათა გამოყენების დასაშვებობა მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნით. კერძოდ მე-18 მუხლის მიხედვით – „ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის“. შესაბამისად, ალტერნატიული, შეფარული საფუძვლით, მათ შორის პოლიტიკური მოტივით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა სწორედ კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის მიზეზი იქნება.

აღნიშნულ კონტექსტში, ნაშრომის მიზნებისათვის განსაკუთრებით ყურადსაღებია კონვენციის მე-18 მუხლის ურთიერთმიმართება მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებთან. კერძოდ, პოლიტიკურ კონტექსტში ამგვარი ურთიერთმიმართება ხაზს უსვამს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოთა რეალურ განზრახვას, გამოიყენონ პატიმრობა სხვა (მოცემულ შემთხვევაში, პოლიტიკური ან სახელისუფლო) მიზნებისთვის, გარდა მე-5 მუხლით დაშვებული მიზნისა. ევროსასამართლოს მიერ ასეთი ფაქტის დადასტურება კი, ფაქტობრივად, პირის პოლიტიკური სისტემის მხრიდან არასამართლებრივი და, ზოგიერთ შემთხვევაში, კი პოლიტიკური ნიშნით დევნილობის ან პატიმრობის აღიარებას ნიშნავს.

#### **1.4.1. უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში**

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „რუსლან ჯაფაროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ (Rasul Jafarov v. Azerbaijan (no. 69981/14), ECHR 17 March 2016)

<sup>438</sup> Tymoshenko v. Ukraine (no. 49872/11), ECHR 10 August 2011, § 294-295.

<sup>439</sup> *ibid.*

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა აზერბაიჯანელი სამოქალაქო აქტივისტის რასულ ჯაფაროვის<sup>440</sup> საქმე. ევროსასამართლომ მოცემულ საქმეზე ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვანი დარღვევა დაადგინა. მათ შორის: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.1. პუნქტის (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.4. პუნქტის (პატიმრობის კანონიერების სწრაფად შემოწმების უფლება სასამართლოს მიერ) დარღვევა. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის (უფლებების შეზღუდვის გამოყენების ფარგლები) დარღვევა, კონვენციის მე-5 მუხლის მიმართ<sup>441</sup>. ევროსასამართლომ ჯაფაროვის საქმეში ცალკე გამოყო კონვენციის 34-ე მუხლის (ევროსასამართლოს ინდივიდუალური განაცხადით მიმართვის უფლება) დარღვევა<sup>442</sup>, რაც ასევე განსაკუთრებულ ანალიზს იმსახურებს აღნიშნული გადაწყვეტილების შეფასებისას.

რასულ ჯაფაროვი, რომელიც იყო ცნობილი აზერბაიჯანელი სამოქალაქო აქტივისტი და უფლებადამცველი, დაპატიმრებამდე ხელმძღვანელობდა თავის დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციას სახელწოდებით „ადამიანის უფლებათა კლუბი“<sup>443</sup>. ამ ორგანიზაციას რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა, გაეგლო ოფიციალური რეგისტრაცია აზერბაიჯანის კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა უშედეგოდ<sup>444</sup>. თავად ჯაფაროვი ჩართული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით განხორციელებული სხვადასხვა ანგა-

---

<sup>440</sup> რასულ ჯაფაროვი: აზერბაიჯანელი სამოქალაქო აქტივისტი. დააპატიმრეს 2014 წლის 2 აგვისტოს. 2015 წლის აპრილში მიესაჯა 6 წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა. 2016 წლის მარტში, სხვა 148 მსჯავრდებულთან ერთად, გათავისუფლდა პატიმრობიდან აზერბაიჯანის პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აქვს არაერთი პრიზი უფლებადაცვითი საქმიანობისთვის, მათ შორის, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ 2014 წელს, სხვა უფლებადამცველებთან ერთად, მიენიჭა ანდრეი სახაროვის სახელობის პრემია.

<sup>441</sup> *Rasul Jafarov v. Azerbaijan* (no. 69981/14), ECHR 17 March 2016.

<sup>442</sup> *ibid*, § 153 and 186.

<sup>443</sup> *ibid*, § 6.

<sup>444</sup> *ibid*.

რიშის მომზადებაში აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა შესახებ-  
გ<sup>445</sup>.

2014 წლის აგვისტოს დასაწყისში აპლიკანტი განმეორებით იქნა მიწვეული პროკურატურაში, რა დროსაც იგი დააპატიმრეს სი-სხლის სამართლის საქმეზე, რომელიც მიმდინარეობდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის, მათ შორის, ჯაფაროვის მიერ და-ფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის შესაძლო ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით<sup>446</sup>. მას ბრალი წაეყენა უკანონო სამე-წარმეო საქმიანობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და უფ-ლებამოსილების გადამეტების ბრალდებით<sup>447</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ჯაფაროვი აქტიურად თანამშრომ-ლობდა გამოძიებასთან და საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემ-დეგ განმეორებით, ნებაყოფლობით გამოცხადდა პროკურატურაში, ადგილობრივმა სასამართლომ მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ჯაფაროვის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და მას გაუგრძელდა წინასწარი პატიმ-რობის ვადა შემდგომი სამი თვით<sup>448</sup>. 2014 წლის დეკემბერში ჯაფა-როვს კიდევ ერთი ბრალდება წაეყენა, რაც დაკავშირებული იყო ფულადი სახსრების გაფლანგვასთან. საბოლოოდ 2015 წლის აპრი-ლში ჯაფაროვი დამნაშავედ იქნა ცნობილი ბრალდების ყველა ნაწი-ლში და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და ექვსი თვის ვა-დით<sup>449</sup>. მას ასევე სამი წლით ჩამოერთვა სახელმწიფო უწყებებში თანამდებობის დაკავების და სამეწარმეო საქმიანობის უფლება<sup>450</sup>.

2014 წლის ნოემბრის თვეში ჯაფაროვის ადვოკატს ხალიდ ბაგიროვს დაეკისრა დისციპლინური სახდელი და შეუჩერდა საად-ვოკატო საქმიანობის ლიცენზია, რის შედეგადაც, ეს უკანასკნელი

---

<sup>445</sup> *ibid.*

<sup>446</sup> *ibid.*, § 11.

<sup>447</sup> *ibid.*, § 16.

<sup>448</sup> *Rasul Jafarov v. Azerbaijan* (no. 69981/14), ECHR 17 March 2016, § 24.

<sup>449</sup> *ibid.*, § 31.

<sup>450</sup> *ibid.*



მოკლებულ იქნა შესაძლებლობას, საპატიმრო დაწესებულებაში შეხვედროდა თავის დაცვის ქვეშ მყოფს<sup>451</sup>.

ევროსასამართლომ ჯაფაროვის საჩივრის განხილვისას ხაზი გაუსვა რამდენიმე ფაქტორს, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის შეფასებისთვის კონვენციის მე-5 მუხლთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-18 მუხლი არ არის ავტონომიური და მისი დარღვევის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ სხვა მუხლებთან ერთობლიობაში<sup>452</sup>.

მნიშვნელოვანია, რომ ევროსასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს სახელმწიფოთა მხრიდან კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას მე-5 მუხლთან მიმართებით სწორედ ხელშემკვრელი მხარეების მიერ ე.წ. კეთილსინდისიერების პრეზუმფციის კონტექსტში (presumption of good faith)<sup>453</sup>. ეს პრეზუმფცია გულისხმობს, რომ არაფერი უნდა იყოს ხელისუფლების ინდივიდუალურ თუ საჯარო აქტებსა და ქმედებებში იმგვარი, რაც ფარული მიზნებისთვის არის განკუთვნილი და სახელმწიფოთა ნაკისრი კეთილსინდისიერების პრეზუმფციას ეჭვის ქვეშ დააყენებს<sup>454</sup>.

ევროსასამართლომ ჯაფაროვის დაპატიმრებისა და სასჯელის კანონიერების საკითხი შეაფასა არა ვიწრო, ანუ მხოლოდ საქმეზე არსებული ბრალდების და მტკიცებულებების ფორმალური თუ ფაქტობრივი დასაბუთებულობის ნაწილში, არამედ სახელმწიფოში (აზერბაიჯანი) მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან ერთობლიობაში.

თავის გადაწყვეტილებაში ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა აზერბაიჯანში ზოგადად არასამთავრობო სექტორის

---

<sup>451</sup> *ibid*, § 43-49.

<sup>452</sup> *ibid*, § 153.

<sup>453</sup> *Rasul Jafarov v. Azerbaijan* (no. 69981/14), ECHR 17 March 2016, § 153.

<sup>454</sup> *ibid*, § 153.

წინააღმდეგ წარმოებულ ვრცელ კამპანიაზე და შესაბამისად რასულ ჯაფაროვის დაპატიმრება შეაფასა ამ კამპანიის ნაწილად<sup>455</sup>.

აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები და პროსახელისუფლო მედიის მიერ წარმოებული კამპანია, რაც ემსახურებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციას, მათი შერაცხვა „მეხუთე კოლონად“, „ხალხის მტრებად“, „სახელმწიფოს მოღალატეებად“, რომელშიც მოიაზრებოდა აპლიკანტიც (რ. ჯაფაროვი), ევროსასამართლოსათვის მე-18 მუხლის დარღვევის ერთ-ერთ განმსაზღვრელ არგუმენტად იქცა, ისევე როგორც ის გარემოება, რომ ჯაფაროვის დაპატიმრებამდე სხვადასხვა მძიმე ბრალდებით დააპატიმრეს რამდენიმე ცნობილი სამოქალაქო აქტივისტი, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობდნენ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით<sup>456</sup>.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ჯაფაროვის დაპატიმრება სინამდვილეში მიზნად ისახავდა მისი, როგორც სამოქალაქო აქტივისტის გაჩუმებას და დასჯას, რაც წარმოადგენდა ქვეყანაში არასამთავრობო სექტორის წინააღმდეგ წარმოებული ფართო კამპანიის ნაწილს, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი, მე-5 მუხლთან მიმართებაში<sup>457</sup>.

ხელშემკვრელი მხარეების „კეთილსინდისიერების პრეზუმფციის“ კონტექსტში უნდა შეფასდეს ჯაფაროვის საქმეზე კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, მას შემდეგ რაც ჯაფაროვს წაუყენეს ბრალი და შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა, მის ადვოკატს ხალიდ ბაგიროვს დისციპლინარული სახდელის საფუძვლებით შეუჩერდა საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია<sup>458</sup>. შესაბამისად, ადვოკატს არ შეეძლო თავის დაცვის ქვეშ მყოფს შეხვედროდა საპატიმრო დაწესებულებაში<sup>459</sup>.

---

<sup>455</sup> *ibid*, § 158-162.

<sup>456</sup> *Rasul Jafarov v. Azerbaijan* (no. 69981/14), ECHR 17 March 2016, § 163.

<sup>457</sup> *ibid*.

<sup>458</sup> *ibid*, §) 171.

<sup>459</sup> *ibid*, § 171.

კონვენციის 34-ე მუხლი, იმავე მე-18 მუხლისგან განსხვავებით, ავტონომიურია და არ არის სავალდებულო მისი დარღვევის შეფასება სხვა მუხლებთან ერთობლიობაში. აღნიშნული მუხლი ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი მათ, ვისაც მიაჩნია, რომ დაერღვათ კონვენციით მინიჭებული უფლებები და სურთ განაცხადით მიმართონ ევროპულ სასამართლოს დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ<sup>460</sup>.

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვა შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც უშუალოდ აპლიკანტის მიერ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით და ამისთვის სავალდებულო არ არის საადვოკატო ლიცენზია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის და კლიენტის კომუნიკაციის შეზღუდვა, რამაც პირდაპირ ან ირიბად შესაძლოა, გავლენა მოახდინოს აპლიკანტის უფლებაზე, მიმართოს ევროპულ სასამართლოს, არღვევს კონვენციის 34-ე მუხლს<sup>461</sup>. სასამართლომ, პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, სადავო მუხლი შეაფასა სისტემურ ჭრილში და მიუთითა, რომ სახელმწიფოებმა ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეასრულონ იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი მსუსხავი ეფექტი, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს აპლიკანტებსა და მათ წარმომადგენლებზე, შეუფერხებლად ისარგებლონ ევროსასამართლოსათვის მიმართვის უფლებით<sup>462</sup>.

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „იულია ტიმოშენკო უკრაინის წინააღმდეგ“ (Tymoshenko v. Ukraine (no. 49872/11), ECHR 10 August 2011)

სწორედ კონვენციის მე-18 და მე-5 მუხლების ურთიერთმიმართებით ევროსასამართლომ დარღვევა დაადგინა ზემოთ უკვე განხილულ რამდენიმე დავაზე. მაგალითად, ტიმოშენკოს საქმეზე. აღნი-

---

<sup>460</sup> „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია“ (სსმ, გაურკვეველი, -, 16/11/1999), მუხლი 34. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>. [20.08.2020].

<sup>461</sup> Rasul Jafarov v. Azerbaijan (no. 69981/14), ECHR 17 March 2016, § 184-186.

<sup>462</sup> *ibid*, § 185.

შნული დავის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ კონვენციის მე-18 მუხლს არ გააჩნია დამოუკიდებელი როლი და იგი განხილულ უნდა იქნეს კონვენციის სხვა მუხლების დარღვევასთან ურთიერთმიმართებაში<sup>463</sup>. მოცემულ შემთხვევაში კი მე-18 მუხლის დარღვევა შეფასდა კონვენციის მე-5 მუხლის ჭრილში.

უკრაინაში პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის არსებობის პრაქტიკული და სამართლებრივი დადასტურების კონტექსტში, მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს მიერ პარალელის გავლება ტიმოშენკოსა და ლუცენკოს საქმეებს შორის, სადაც სასამართლომ მიუთითა მათ შორის არსებულ აშკარა მსგავსებებზე<sup>464</sup>.

თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, საქმის კომპლექსური ხასიათიდან და შესაძლო პოლიტიკური მოტივის არსებობიდან გამომდინარე, წინასწარი დაკავების საკითხის გამიჯვნის და ცალკე განხილვის სირთულეზე იმ სისხლის სამართლის სამართალწარმოებისაგან, რომლის საფუძველზეც იქნა გადაწყვეტილება მიღებული ამგვარი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>465</sup>.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სირთულისა, ევროსასამართლომ ცალკეულ თავისებურებებზე აქცენტების გაკეთების გზით შემლო, ზოგადი პოლიტიკური კონტექსტის მქონე სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოებისაგან დამოუკიდებლად შეეფასებინა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისა და კონვენციის მე-18 მუხლის ურთიერთმიმართება<sup>466</sup>. აღნიშნული შეფასების გზით, სასამართლომ დაადგინა, რომ ტიმოშენკოს მიმართ წინასწარი პატიმრობა გამოყენებულ იქნა არა მისი ადგილობრივ სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად, არამედ სხვა ისეთი მიზნით, როგორცაა პირის დასჯა<sup>467</sup>. ევროსასამარ-

<sup>463</sup> Tymoshenko v. Ukraine (no. 49872/11), ECHR 10 August 2011, § 294.

<sup>464</sup> Tymoshenko v. Ukraine (no. 49872/11), ECHR 10 August 2011, § 296.

<sup>465</sup> *ibid.*, § 298.

<sup>466</sup> *ibid.*

<sup>467</sup> *ibid.*, § 300.

თლომ აღნიშნა, რომ როგორც ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხის, ისე ზოგადი კონტექსტიდან, აშკარა იყო პატიმრობის შეფარდება ბრალდებულის დასჯის მიზნით, რასაც საფუძვლად სასამართლოს მიმართ გამოვლენილი უპატივცემულობა წარმოადგენდა და არა მე-5 მუხლით გათვალისწინებული კანონიერი საფუძვლები<sup>468</sup>.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე იური ლუცენკო უკრაინის წინააღმდეგ (*Lutsenko v. Ukraine* (no. 6492/11), ECHR 3 July 2012)

პოლიტიკური საფუძვლის იდენტიფიცირების ჭრილში, ცხადია, განსაკუთრებით საყურადღებოა ლუცენკოს საქმე. ამ გადაწყვეტილებაში ყველაზე მკაფიოდ იკვეთება მე-18 მუხლის დარღვევის დადგენისას როგორც საერთო პოლიტიკური სურათის, ისე ინდივიდუალური განცხადებების მნიშვნელობა ევროსასამართლოსთვის.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ის წარმოადგენდა აქტიურ პოლიტიკოსს უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში და სწორედ მის შინაგან საქმეთა მინისტრობას უკავშირდებოდა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის კონვენციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა<sup>469</sup>. მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნულს დამატებით მკაფიოდ უსვამდა ხაზს ისეთი გარემოებებიც, როგორცაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არსებული კოორდინირებული კამპანია მისი პატივისა და ღირსების შემლახველი კონტექსტის შემცველი სურათებით, სადაც ბრალდებული იმყოფებოდა გისოსებს მიღმა, რასაც ხელი უნდა შეეწყო ელექტორატში მის მიმართ უარყოფითი განწყობის შექმნისთვის და ჩამოეყალიბებინა საზოგადოებრივი აზრი მისი დამნაშავეობის თაობაზე. ასევე, მოსარჩელეს პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის გამოყენების კიდევ ერთ მტკიცებულებად მოჰყავდა ავტორიტეტული ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებები მისი პატიმრობის საკითხებთან დაკავშირებით<sup>470</sup>.

<sup>468</sup> *Tymoshenko v. Ukraine* (no. 49872/11), ECHR 10 August 2011, § 299.

<sup>469</sup> *Lutsenko v. Ukraine* (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 103.

<sup>470</sup> *ibid.*

ევროსასამართლომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ტიმოშენკოს საქმის მსგავსად, ყურადღება გაამახვილა ზოგადი პრობლემატიკისა და წინასწარი დაკავებისას შეუსაბამო საფუძვლების ურთიერთგამიჯვნის სირთულეზე 18-ე მუხლისა და მე-5 მუხლის ურთიერთმიმართების შეფასებისას<sup>471</sup>. საკითხის ინდივიდუალიზაციის მიზნით სასამართლომ საერთო პოლიტიკური სურათის კონტექსტში შეაფასა საქმესთან დაკავშირებული თითოეული მხარის ქმედებები. მათ შორის, სასამართლომ გამოიყენა პროკურორების განცხადება იმის თაობაზე, რომ ლუცენკოს მიმართ პატიმრობის გამოყენებასა და მედიასთან მის კომუნიკაციას შორის არსებობდა პირდაპირი ურთიერთკავშირი<sup>472</sup>. ეს კი აშკარად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ პატიმრობა გამოყენებულ იქნა არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების, არამედ სხვა მიზნითაც<sup>473</sup>. შესაბამისად, ევროსასამართლომ ლუცენკოს მიმართ ცალსახად დაადგინა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის ფაქტი<sup>474</sup>.

დ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მიხეილ ხოდორკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ“ (Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011)

ზოგიერთ რეზონანსულ საქმეზე პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებზე, მართალია, ევროსასამართლომ ღიად არ დაადგინა კონვენციის მე-18 და მე-5 მუხლების ურთიერთმიმართება, თუმცა აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მოყვანილი მსჯელობების ფართო, სიღრმისეული ხასიათი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმათა ავტორიტეტული განმარტების თეორიიდან გამომდინარე, უდავოდ მნიშვნელოვანია და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს ეროვნული სასამართლო ხელისუფლები-სათვის.

მაგალითად, რუსი ბიზნესმენის მიხეილ ხოდორკოვსკის საქმე, სადაც ევროსასამართლომ შემდგომში არაერთ სახელმძღვანე-

<sup>471</sup> Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012, § 108.

<sup>472</sup> *ibid.*, § 109.

<sup>473</sup> *ibid.*

<sup>474</sup> *ibid.*, § 110.

ლო პრინციპს გაუსვა ხაზი. კერძოდ, მოსარჩელის მტკიცებით, იგი წარმოადგენდა პოლიტიკაში აქტიურად მონაწილე პირს, რაც ცალკეული ინდივიდუალური გარემოებების არსებობის გამო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეფასებულ იქნა ხელისუფლების ერთგულების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად და ეკონომიკისათვის წარმოქმნილ საფრთხედ, რასაც მოჰყვა კიდევ მის მიმართ მიზანმიმართული, პოლიტიკური დევნის დაწყება<sup>475</sup>.

აღნიშნულ საქმეზე ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის მქონე პირთა და სხვა სუბიექტების საქმეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ თავისთავად მაღალი პოლიტიკური ან ბიზნესსტატუსი არ წარმოადგენს იმუნიტეტს და არ გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან ბრალდების წყენების შესაძლებლობას<sup>476</sup>. ამასთანავე, სასამართლომ ხაზი გაუსვა მტკიცების მაღალ სტანდარტს, რომლისთვისაც მარტოოდენ პოლიტიკური განცხადებების ან საზოგადოებრივი აზრის არსებობა ვერ იქნება საკმარისი<sup>477</sup>.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად საქმეში პოლიტიკური მოტივის და სხვა არასამართლებრივი გარემოებების არსებობისა, კონვენციის მე-18 მუხლი საჭიროებს მტკიცების უმაღლეს, ყოველმხრივ შეუვალ სტანდარტს. ასეთი უმაღლესი სტანდარტი კი ხოდორკოვსკის საქმეში ვერ გამოიკვეთა<sup>478</sup>.

ე) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ვლადიმერ გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“ (საქმის N. 70276/01)

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ჭრილში, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის საკითხი იქნა განხილული ევროსასამართლოს მიერ საქმეზე: „გუსინსკი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“. აღნიშნული საქმე გარკვეულწილად ნი-

<sup>475</sup> Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011, § 250-252.

<sup>476</sup> *ibid*, § 258.

<sup>477</sup> *ibid*.

<sup>478</sup> *ibid*, § 260-261.

შანდობლივია საქართველოს უახლეს ისტორიაში არსებულ სამართლებრივ გამოწვევებთან სახელმწიფოს მხრიდან ქონების იძულებითი წესით დათმობის ფაქტების შესახებ. მოსარჩელის მტკიცებით, მის მიმართ თავისუფლების შეზღუდვა ემსახურებოდა მის იძულებას, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მნიშვნელობის კომპანია „გაზპრომში“ გაეყიდა კუთვნილი წილი წაგებიანი პირობებით<sup>479</sup>.

საქმის განხილვისას სასამართლომ მიუთითა, რომ პატიმრობა არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც კომერციული ვაჭრობის სტრატეგია<sup>480</sup>. ეს მესიჯი გარკვეულწილად საინტერესო უნდა იყოს იმ რეზონანსულ საქმეთა შეფასების კონტექსტში, რომელიც ქართული რეალობის წინაშე იდგა ახლო წარსულში და, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლაც აქტუალურია. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადასტურებულად ცნო ფაქტების იმგვარი წყობა, რომლის მიხედვითაც, გუსინსკის შესთავაზეს შეთანხმება „გაზპრომთან“, რაც რეკომენდებულ იქნა სახელმწიფო მინისტრის მიერ და ამას შედეგად საბოლოოდ მოჰყვა ბრალდების მხრიდან სანქციის მკვეთრად შემცირება<sup>481</sup>. შესაბამისად, აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მე-18 მუხლის დარღვევის, კერძოდ სხვა მიზნის არსებობის დადასტურებისათვის ევროსასამართლო დაეყრდნო პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან სსკ-ით გათვალისწინებული სადამსჯელო სანქციით ვაჭრობის საკითხს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ ჩათვალა, რომ გუსინსკის საქმეში წარმოდგენილი გარემოებები ვერ იქნება მიჩნეული კონვენციის 5.1. მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმების შესაბამისად და სახელმწიფოს მხრიდან დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი.

გუსინსკის საქმე გარკვეულწილად პრეცედენტულად იქცა შემდგომი გადაწყვეტილებებისათვის. კერძოდ, საქმეზე „მიხაილ

<sup>479</sup> Gusinsky v. Russia (no. 70276/01), ECHR 9 May 2004, § 70.

<sup>480</sup> *ibid.*, § 76.

<sup>481</sup> *ibid.*



ცებოტარი მოლდოვის წინააღმდეგ”, მოსარჩელე სწორედ გუსინსკის შემთხვევასთან თავისი საქმის იდენტურობის და, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის დადგენას ითხოვდა<sup>482</sup>.

ვ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მიხაილ ცებოტარი მოლდოვის წინააღმდეგ” (Cebotari v. Moldova (no. 35615/06), ECHR 13 February 2008)

გუსინსკის მსგავსად, მიხაილ ცებოტარი წარმოადგენდა მოლდოვაში მსხვილ ელექტრომაგნატს. იგი ხელმძღვანელობდა კომპანიას „მოლდტრანსელექტრო”<sup>483</sup>. ამ საქმეზე ცებოტარის დაკავებას წინ უძღოდა 1997 წლიდან სახელშეკრულებო ურთიერთობათა მთელი სპექტრი, სადაც უკრაინული და მოლდოვური კომპანიები მონაწილეობდნენ და რომელიც მიზნად ისახავდა უკრაინიდან ელექტროენერჯის იმპორტს<sup>484</sup>.

ზემოაღნიშნულ ურთიერთობებს საბოლოო შედეგად ცებოტარის დაკავება მოჰყვა. დაკავების საფუძვლად სახელმწიფოს მიერ მითითებული იქნა გონივრული ეჭვი, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა სახაზინო ობლიგაციებთან დაკავშირებული მაქინაციები<sup>485</sup>, ხოლო დაკავების აუცილებლობა დასაბუთდა მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოსათვის ეჭვმიტანილის წარდგენის აუცილებლობით<sup>486</sup>.

აღნიშნულის საპირისპიროდ, მოსარჩელე ევროსასამართლოში მიუთითებდა, რომ დაკავება იყო თვითნებური იმდენად, რამდენადაც გამომძიებელმა მისი გათავისუფლების შესაძლებლობა დაუკავშირა ხელისუფლების სასარგებლოდ განცხადებების გაკეთებას<sup>487</sup>. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე ხაზს უსვამდა თავისი საქმის მსგავსებას გუსინსკის საქმესთან<sup>488</sup>.

---

<sup>482</sup> Cebotari v. Moldova (no. 35615/06), ECHR 13 February 2008, § 47.

<sup>483</sup> *ibid*, § 5.

<sup>484</sup> *ibid*, § 6.

<sup>485</sup> *ibid*, § 46.

<sup>486</sup> *ibid*.

<sup>487</sup> Cebotari v. Moldova (no. 35615/06), ECHR 13 February 2008, § 47.

<sup>488</sup> *ibid*, § 47.

აღნიშნულ საქმეში განსაკუთრებით საინტერესოა ევროსასამართლოს მიერ გაკეთებული გონივრული ეჭვის სტანდარტის განმარტება. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ გონივრული ეჭვი ნიშნავს ფაქტების ან ინფორმაციის იმგვარ ერთობას, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს აფიქრებინებს, რომ ეჭვიმტანილმა დანაშაული ჩაიდინა<sup>489</sup>. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის დაკავება ან თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა ემსახურებოდეს სხვა მიზანს, მაგალითად სხვათა წინააღმდეგ ჩვენების ან საკუთარი თავის წინააღმდეგ გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას<sup>490</sup>.

საბოლოოდ ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოლდოვის ხელისუფლების მიერ ვერ დადასტურდა გონივრული ეჭვის არსებობა და ხელისუფლების რეალურ განზრახვას წარმოადგენდა დაკავების გზით პირზე იმგვარი ზეწოლის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობდა ცალკეულ პოლიტიკურ განზრახვათა რეალიზებას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირის დაკავება ემსახურებოდა სხვა მიზანს, ვიდრე ეს კონვენციის 5.1. მუხლითაა გათვალისწინებული და, შესაბამისად, ცებოტარის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი<sup>491</sup>.

ზ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „რაშიდ ჰასანოვი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ (Rashad Hasanov and others v. Azerbaijan (no. 48653/13), ECHR 7 June 2018)

კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა ასევე გამოიკვეთა საქმეზე „რაშიდ ჰასანოვი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში პოლიტიკური მოტივის არსებობა სასამართლომ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტის ანალიზის შედეგად დაადგინა<sup>492</sup>. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანელი სამოქალაქო აქტივისტების დაკავებას წინ უძღოდა მათი აქტიური პროტესტი არსებული პოლიტიკური სიტუაციის მიმართ, რასაც შედეგად

---

<sup>489</sup> *ibid*, § 48.

<sup>490</sup> *ibid*.

<sup>491</sup> *ibid*, § 53.

<sup>492</sup> Rashad Hasanov and others v. Azerbaijan (no. 48653/13), ECHR 7 June 2018, § 124.

მოჰყვა მათ სახლებში ნარკოტიკული ნივთიერებებისა და მოლოტოვის კოქტეილების აღმოჩენა<sup>493</sup>.

მითითებულ გარემოებებს, თავის მხრივ, წინ უძღოდა პროკურატურის განაცხადები აქტივისტებთან დაკავშირებით, რომ ისინი წარმოადგენენ კანონთან კონფლიქტში მყოფ დესტრუქციულ ძალებს, თან ისე, რომ არ იყო წარმოდგენილი არცერთი სათანადო მტკიცებულება<sup>494</sup>.

ამ საქმეში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება პირის პოლიტიკური აქტივობის ხარისხისა და მე-18 მუხლის დარღვევის ურთიერთმიმართების დადგენა იყო. კერძოდ, ევროსასამართლომ არ გაიზიარა ხელისუფლების არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობდა აღნიშნული პირების დაკავების ინტერესი იმდენად, რამდენადაც ისინი არ წარმოადგენდნენ პოლიტიკურ ლიდერებს<sup>495</sup>. თავის მსჯელობაში სასამართლომ საკმარისად ჩათვალა სოციალურად აქტიურ ჯგუფში ყოფნა და არა A PRIORI ოპოზიციური ფლანგის ლიდერობა<sup>496</sup>.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არსებული ფაქტების ურთიერთშეჯერებით, ასევე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების ანგარიშებზე დაყრდნობითა და ქვეყანაში არსებული საერთო სოციალური ფონის გათვალისწინებით, აშკარა იყო, რომ დაკავების რეალურ მიზეზს აქტივისტების გაჩუმება და დასჯა წარმოადგენდა<sup>497</sup>. შესაბამისად, ჰასანოვისა და სხვების წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი და თავისუფლების შეზღუდვა გამოყენებულ იქნა სხვა მიზეზით, ვიდრე ეს კონვენციითაა შესაძლებლად მიჩნეული<sup>498</sup>.

თ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ (Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 15172/13), ECHR 13 October 2014)

---

<sup>493</sup> *ibid*, § 122.

<sup>494</sup> *ibid*, § 123.

<sup>495</sup> *ibid*, § 124.

<sup>496</sup> *ibid*.

<sup>497</sup> *ibid*.

<sup>498</sup> *Rashad Hasanov and others v. Azerbaijan* (no. 48653/13), ECHR 7 June 2018, § 127.

კონვენციის მე-5 მუხლის კონტექსტში კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევაზე იმსჯელა ევროსასამართლომ ილგარ მამადოვის საქმეზე. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შესაძლებელი იყო დასკვნის გაკეთება სახელისუფლო ორგანოების არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით<sup>499</sup>. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ევროსასამართლომ არ შეაფასა მე-18 მუხლის დარღვევად და ცალკე მსჯელობა დაუთმო არაკეთილსინდისიერების საფუძველების შესწავლას<sup>500</sup>.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, სასამართლომ შეისწავლა კავშირი საგამომიებო ორგანოს მიერ განხორციელებულ დაკითხვებს, დაკავების ფაქტსა და ისეთ აქტივობებს შორის, როგორცაა მამადოვის მიერ საჯარო ბლოგების, სხვადასხვა ინტერნეტპუბლიკაციის გამოქვეყნება და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტივობები<sup>501</sup>. ამგვარი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ პირის მიმართ საპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას ჰქონდა მისი დასჯის ან გაჩუმების მიზანი მის მიერ ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ<sup>502</sup>. შესაბამისად, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ თავისუფლების შეზღუდვას ჰქონდა სხვა მიზანი, გარდა დანაშაულის ჩადენის თაობაზე გონივრული ეჭვის საფუძველზე პირის კომპეტენტური ორგანოსთვის წარდგენისა და აღიარა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა ილგარ მამადოვის მიმართ<sup>503</sup>.

#### **1.4.2. შემავალი მსჯელობა უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლების შესახებ პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებში**

წინა ქვეთავში წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში მე-5 მუხლით

---

<sup>499</sup> Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 15172/13), ECHR 13 October 2014, § 141.

<sup>500</sup> *ibid.*, § 141.

<sup>501</sup> *ibid.*, § 142.

<sup>502</sup> *ibid.*, § 143.

<sup>503</sup> Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 15172/13), ECHR 13 October 2014, § 143 and 144.

დადგენილი შეზღუდვის შესაძლებლობებს არამართლზომიერად, სხვა საფუძვლებით იყენებენ. ამასთანავე, ნაშრომის წინამდებარე ქვეთავის ფარგლებში განხილული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფა. უპირველეს ყოვლისა, მე-18 მუხლის დარღვევა პოლიტიკური საფუძვლის არსებობის გამო არ უკავშირდება A PRIORI პირის პოლიტიკურ სტატუსსა და მისი აქტივობის ხარისხს. შესაბამისად, ერთი მხრივ, აუცილებელია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები თანაბრად ეპყრობოდნენ საზოგადოებრივად აქტიურ ნებისმიერ სუბიექტს, ხოლო, მეორე მხრივ, თავად პოლიტიკური სახის აქტიურობა არ ქმნის იმუნიტეტს და ასეთი პირების დაკავება ავტომატურად არ უკავშირდება კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას.

ამასთანავე, პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ევროსასამართლო მე-18 მუხლის დარღვევის დასადგენად იკვლევს თითოეულ უმცირეს ინდივიდუალურ, მათ შორის, არასამართლებრივ გარემოებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა შეიძლება ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, როგორცაა, მაგალითად, საქმის ზედამხედველი პროკურორის ან სხვა კომპეტენტური პირების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაკეთებული განცხადებები, ადგილობრივი და საერთაშორისო ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთო პოლიტიკური ფონი და სხვა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ევროსასამართლოს მიერ მე-18 მუხლის დარღვევის დადგენა მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, განიხილება ხელისუფლების, როგორც პოლიტიკური სისტემის მიერ განხორციელებული უფლების დარღვევად, რაც არ ემსახურება კონვენციით დადგენილ უფლებათა შეზღუდვის მიზნებს და კონკრეტულ საქმეებზე პოლიტიკური კონტექსტის არსებობისას ფაქტობრივად პირის პოლიტიკურ პატიმრად ან დევნილად აღიარებას ნიშნავს.

## 2. პოლიტიკური კონტექსტის ეჭვის მქონე საქმეების თავისებურებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე

ნაშრომის წინა ქვეთავში უკვე აღინიშნა, რომ გარდამავალი და განვითარებადი დემოკრატიის სახელმწიფოების, მათ შორის, საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებათა ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საერთაშორისო თანამეგობრობაში ქვეყნის დემოკრატიულობასთან დაკავშირებით არსებითი კითხვების გაჩენა. ნაშრომში ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ გარდა კონვენციისა, ეროვნული კანონმდებლობისათვის ასევე მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები, არა როგორც (მხოლოდ) სამართლის წყარო, არამედ, როგორც კონვენციის დებულებათა ავტორიტეტული განმარტებები<sup>504</sup>.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოებული ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირების ისეთი საქმეები, როგორებიცაა ივანე მერაბიშვილის<sup>505</sup>, გიორგი უგულავას<sup>506</sup> და ბაჩანა ახალაიას<sup>507</sup> საქმეები. საინტერესოა, რომ ამ დავებში სამივე მონაწილე უთითებს მათ წინააღმდეგ კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის თაობაზე და ამას უკავშირებენ წარსულში მათ მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე საქმიანობას და დაკავებამდე განხორციელებულ აქტიურ ოპოზიციურ პოლიტიკურ საქმიანობას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა მერაბიშვილის საქმე, რომელიც ევროსა-

<sup>504</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 42. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>505</sup> იხ.: Merabishvili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017.

<sup>506</sup> იხ.: Giorgi Ugulava v. Georgia (no. 5432/15), ECHR 28 September 2015.

<sup>507</sup> იხ.: Bachana Akhalaia v. Georgia (nos. 30464/13 and 19068/14), ECHR 28 September 2015.

სამართლოს დიდი პალატისთვის იყო გადაცემული<sup>508</sup>, და რამაც მისი პრეცედენტულობის უმაღლეს ხარისხზე განსაკუთრებით იმოქმედა. კერძოდ, ევროსასამართლოს დიდ პალატას, რომელიც დავას 17 მოსამართლით განიხილავს, საქმე გადაეცემა მარტოოდენ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეეხება კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს, ან თუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი<sup>509</sup>.

წინამდებარე ქვეთავის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა საქმეების თავისებურებების იდენტიფიცირება თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ჭრილში და რეკომენდაციების წარმოდგენა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისათვის დარღვევათა შემდგომი პრევენციის მიზნით.

## 2.1 წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული თავისებურებები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ პირველი პუნქტის მიზანია ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა<sup>510</sup>. დემოკრატიული საზოგადოებისათვის ადამიანის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონვენცია აღნიშნული უფლების შეზღუდვას უშვებს მხოლოდ ფუნდამენტური გარანტიების დაცვის პირობით, რომელთა შორისაც პირის სათანადო ინფორმირების აუცილებლობა მოიცავს პატიმრობის ვადის, დროის, ადგილისა და დაკავების

<sup>508</sup> იხ.: Merabishvili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017.

<sup>509</sup> Council of Europe, European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, (adopted 4 November 1950), article 30, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Convention\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf). [20.08.2020].

<sup>510</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020, 5.

მიზეზების შესახებ კვალიფიციურ განმარტებას. ასეთი ინფორმირების არარსებობა, თავისუფლების უფლების შეზღუდვას ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოს ხდის<sup>511</sup>.

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითაც. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით<sup>512</sup>“. „ადამიანის თავისუფლება“ არ მოიცავს თავისუფლების ყველა ასპექტს, როგორც ეს ამ ტერმინის სიტყვასიტყვით წაკითხვის შემდეგ შეიძლება წარმოჩნდეს<sup>513</sup>. მაგალითისათვის, საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით დაცულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, შემოქმედების თავისუფლება და ა.შ. რაც შეეხება „ადამიანის თავისუფლებას“, იგი გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას<sup>514</sup>. აღნიშნული უფლება (კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში) იცავს პირის დაუბრკოლებელ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას<sup>515</sup>. ასეთ უფლებაში ჩარევის შესაძლებლობა დაშვებულია მხოლოდ კანონით წინასწარ განსაზღვრული წესითა და პირობებით<sup>516</sup>.

აღნიშნული მუხლის შესაძლო დარღვევის ჭრილში შეფასებისათვის აღსანიშნავია, რომ ბრალდებულ ივანე მერაბიშვილს წი-

---

<sup>511</sup> ვრცლად იხ. *Anguelova v. Bulgaria* (no. 38361/97), ECHR 13 June 2002.

<sup>512</sup> საქართველოს კონსტიტუცია (სპუ, 31-33, N7862, 24/08/1995), მუხლი 13. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>513</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>514</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>515</sup> კონსტანტინე კუმლაშვილი, ძირითადი უფლებები (თბილისი: „ფაუნტინ ჯორჯია“, 2014), 133.

<sup>516</sup> იქვე.



ნასწარი პატიმრობისათვის განესაზღვრა მაქსიმალური 9-თვიანი ვადა, საქართველოს სსსკ 205 მუხლის მიხედვით<sup>517</sup>. წინასწარი პატიმრობის მიზანია მართლმსაჯულების განხორციელების ხელშემშლელი გარემოებების აღმოფხვრა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვა<sup>518</sup>, ხოლო, თავის მხრივ, წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური, 9-თვიანი ვადით შემოფარგვლა ემსახურება ბრალდებულის განუსაზღვრელი ან არაპროპორციულად ხანგრძლივი ვადით პატიმრობაში ყოფნის პრევენციას<sup>519</sup>.

აპლიკანტი მერაბიშვილის სასარჩელო მოთხოვნის უპირველეს საფუძველს მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა წარმოადგენდა. კერძოდ სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, ბრალდებულისათვის არ იქნა მითითებული უშუალოდ პატიმრობის ვადა, რაც აპლიკანტის პოზიციით მისთვის შეუძლებელს ხდიდა წინასწარი პატიმრობის ვადის ზუსტად დადგენას<sup>520</sup>.

აღსანიშნავია, რომ იდენტური საფუძველი მეორდება ყოფილი თავდაცვის მინისტრის – ბაჩანა ახალაიას საქმეში. კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნაში, მომჩივანი მიუთითებს, რომ მის მიმართ სასამართლომ წინასწარი პატიმრობის განსაზღვრისას გამოიყენა მართოდ ფორმალური ფრაზა, რასაც არ მოჰყვა განმარტება წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის შესახებ<sup>521</sup>.

მოცემულ კონტექსტში, ევროსასამართლო არ ეყრდნობა მართოდ ფორმალურ წინაპირობებს. ამ ჭრილში ფორმალურ მითითებაზე მნიშვნელოვანი სასამართლოსათვის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის განჭვრეტადობა წარმოადგენს. კერძოდ, იმავე

<sup>517</sup> Merabisvhili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 175.

<sup>518</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>519</sup> იქვე.

<sup>520</sup> Merabisvhili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 175.

<sup>521</sup> Bachana Akhalaia v. Georgia (nos. 30464/13 and 19068/14), ECHR 28 September 2015, §12.

მერაბიშვილის საქმეზე მსჯელობისას სასამართლომ მიუთითა ეროვნულ კანონმდებლობაში წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის თაობაზე არსებული ნორმის მარტივად აღქმადობაზე, ადვოკატების მიერ ასისტირებადი (კონსულტირებული) აპლიკანტისათვის<sup>522</sup>. კერძოდ, საქართველოს სსსკ მიხედვით ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან<sup>523</sup>. ნორმის ამგვარი განმარტება განსაკუთრებით ადვოკატებისათვის, რომლებიც ინფორმირებული არიან ქვეყანაში არსებული სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომლის მიხედვითაც, პატიმრობის შეფარდება ავტომატურად უკავშირდება 9 თვით თავისუფლების აღკვეთას, არ უნდა ყოფილიყო რთული<sup>524</sup>. შესაბამისად, ევროსასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მერაბიშვილის მიმართ კონვენციის 5.1. მუხლის დარღვევა არ დაადგინა, წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას სასამართლოს გადაწყვეტილების განჭვრეტადობის გამო<sup>525</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ასევე უზრუნველყოფს არა მხოლოდ ბრალდებული პირის სასამართლოსათვის დაუყოვნებლივ წარდგენას, არამედ წარდგენის შემდგომ საქმის წინასწარი განხილვის გონივრულ ვადაში ჩატარების აუცილებლობას<sup>526</sup>. თავის მხრივ, დაკავების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასება ემყარება არა წინასწარ განსაზღვრულ უდავო კრიტერიუმებს, არამედ უშუალოდ თითოეული საქმის თავისებურებების შესწავლას<sup>527</sup>. შესაბამისად, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ აღემატება

<sup>522</sup> Merabisvhili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 74.

<sup>523</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.

<sup>524</sup> Merabisvhili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 74.

<sup>525</sup> *ibid*, § 374.

<sup>526</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 151. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>527</sup> იქვე.

წინასწარი პატიმრობა დროის გონივრულ პერიოდს<sup>528</sup>. აღნიშნულის განსაზღვრის პროცესში მან უნდა გამოიკვლიოს ყველა ფაქტი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა საზოგადოებრივი ინტერესი, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ეს ინტერესი ამართლებს თუ არა თავისუფლების უფლების პრინციპისაგან გადახვევას და სწორედ აღნიშნულის ურთიერთკავშირზე დაამყაროს საკუთარი გადაწყვეტილება<sup>529</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ჭრილში ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გიორგი უგულავას საქმე, რომელსაც ერთი 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის შემდგომ შეეფარდა დამატებითი 9-თვიანი პატიმრობა ახალი საქმისათვის<sup>530</sup>. ამასთან, გონივრულ ვადაზე მითითება, კონკრეტული ვადის დაკონკრეტების გარეშე მაინც საკმაოდ აბსტრაქტულია, სწორედ ამიტომ, ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება სასამართლო პრაქტიკას<sup>531</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გონივრული ვადა მოიცავს პერიოდს, სამართალდარღვევის ჩადენის გონივრული ექვის გამო პირის დაკავებიდან მისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მის მსჯავრდებამდე ან მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანამდე<sup>532</sup>.

ნაშრომის წინა ნაწილებში უკვე აღინიშნა, რომ წინასწარი პატიმრობა გარკვეული თვალსაზრისით წინააღმდეგობაში მოდის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, ვინაიდან, სასამართლოს მიერ

---

<sup>528</sup> ჯერემი მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011), 60.

<sup>529</sup> იქვე.

<sup>530</sup> Giorgi Ugulava v. Georgia (no. 5432/15), ECHR 28 September 2015, § 26.

<sup>531</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადაღკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 233.

<sup>532</sup> იქვე.

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, სამართლებრივად უდანაშაულო პირისათვის ხდება პატიმრობის შეფარდება<sup>533</sup>. წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივად გამოყენება კი ცალსახად არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას უდანაშაულობის შესახებ<sup>534</sup>. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი გარკვეულწილად ზღუდავს სასამართლო ხელისუფლებას და მას გარკვეულ ვადას უწყესებს. მაგალითისათვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს<sup>535</sup>.

წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის ვადა პროპორციაში უნდა მოდიოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და საქმის სირთულესთან, ასევე მიმალვისა და გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხესთან, ისევე როგორც დაუშვებელია პატიმრობაში პირის დატოვება იმ მიზეზით, რომ საგამოძიებო ორგანოები საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას არ ახდენენ სწრაფად და ეფექტურად<sup>536</sup>. თავისთავად, თუნდაც შიდა კანონმდებლობით ზემოთმიტითებული შესაძლებლობის არსებობა ევროსასამართლოსთვის არ წარმოადგენს სასჯელის გამართლებას<sup>537</sup>.

ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში, ყოველ კონკრეტულ საქმეზე წინასწარი პატიმრობის ზღვრუ-

---

<sup>533</sup> Lonneke Stevens, “Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Do Not Limit its Increasing Use” (European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, Vol. 17 (2009): 167. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1404623>.

<sup>534</sup> *ibid.*

<sup>535</sup> საქართველოს კონსტიტუცია (სპუ, 31-33, N7862, 24/08/1995), მუხლი 13. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>536</sup> ჯერემი მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011), 104-107.

<sup>537</sup> Anastasia Vakulenko, “Compliance of Ukrainian Law and Practice with Article 5 of the European Convention on Human Rights”, Human Rights Law Review, Vol. 4, Issue 1 (Spring 2004): 91.

ლი ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წარდგენის შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, გაატარა წინასწარ პატიმრობაში<sup>538</sup>. განმეორებით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, ჩარევა გაუმართლებელი იქნება, მიუხედავად ლეგიტიმური მიზნისა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩნდება ადამიანის თავისუფლების განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვის რისკი. ამგვარი ქმედება ზრდის სახელმწიფოს მიერ თვითნებობისა და ადამიანის უფლებების შემლახავი ქმედების განხორციელების საფრთხეს<sup>539</sup>.

თუმცა, ცხადია, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ გამორიცხავს პატიმრობის განმეორებით გამოყენებას იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც პირმა პატიმრობის გამოყენების შემდეგ ჩაიდინა<sup>540</sup>. ასევე, იმ პირობებში, როდესაც პირს ბრალი ედება რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, თითოეულ მათგანთან დაკავშირებით შეიძლება ცალ-ცალკე არსებობდეს მართლმსაჯულების განხორციელებაზე ხელშეშლის მიზნით პატიმრობის გამოყენების ინტერესი<sup>541</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილების მიღების პერიოდისათვის მოქმედი კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის მიზანს არ წარმოადგენდა პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრა, რომელიც ყოველმხრივ ამოწურავს პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას მისი მთელი სიცოცხლის განმავლობაში<sup>542</sup>. წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის განმეორებით გამოყენება ასევე შეიძლება კონსტიტუციური იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულზე პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი ბრალდე-

---

<sup>538</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

<sup>539</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>540</sup> იქვე, II-34.

<sup>541</sup> იქვე.

<sup>542</sup> იქვე, II-32.

ბის მხარისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ პირველ საქმეზე წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ<sup>543</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ 9-თვიანი წინასწარი საპატიმრო ვადის უწყვეტად, განმეორებით გამოყენება დაუშვებელია, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული ობიექტური და საგამონაკლისო გარემოებებისა, ვინაიდან ნორმის შინაარსის სხვაგვარი, ნეგატიური განმარტება შესაძლოა შეფასდეს, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენება არალეგიტიმური მიზნებისათვის, რაც ბრალდებულის პოლიტიკური წარსულიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლოა ატარებდეს ერთგვარი პოლიტიკური შურისძიების თუ დასჯის მიზანს ხელისუფლების მხრიდან. ეს კი ცხადია, ეწინააღმდეგება უშუალოდ წინასწარი პატიმრობის გამოყენების ლეგიტიმურ მიზნებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა კვლავაც აქტუალურია ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის რედაქციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის განმარტებისას, რომელიც შინაარსობრივად იმეორებს წინა რედაქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტს და კვლავაც 9 თვით განსაზღვრავს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული წინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ ვადას. სასამართლოს განხილვის მოლოდინში ბრალდებულის ორი ან მეტი დამოუკიდებელი ვადით დაკავების შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გონივრული ვადის მოთხოვნის დაკმაყოფილების განხილვისას უნდა შეიკრიბოს დაკავებაში ყოფნის ყველა ვადა<sup>544</sup>. ცხადია, რომ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ხანგრძლივობის მიუხედავად, ვადა მაინც დარღვეულად

<sup>543</sup> იქვე, II-34.

<sup>544</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 234.

უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი პატიმრობის ვადა შეუსაბამოდ იზრდება ნებისმიერი მიზეზით<sup>545</sup>. სწორედ ამ კონტექსტში გადის უკიდურესად ვიწრო ზღვარი თვითნებობასა და მართლმსაჯულების ინტერესს შორის, რა დროსაც აუცილებელია ზემოთ განხილულ პირობათა დეტალური შესწავლა და მხოლოდ აღნიშნულის საფუძველზე პატიმრობის ხელახალი შეფარდება. ასეთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედი კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი, ამავე მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში, დაუშვებლად მიიჩნევდა წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადით მანიპულირებას, 9-თვიანი ვადის ხელოვნურად გაგრძელებას სხვადასხვა ფორმალურად კანონიერი მეთოდითა თუ საფუძვლით, რადგან ის (გაგრძელება) წინააღმდეგობაში მოდის იმ სიკეთესთან, რის დაცვასაც კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი ისახავს მიზნად<sup>546</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, უგულავას საქმეზე არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებაში საქართველოს სსსკ 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წასაყენებლად საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში<sup>547</sup>.

სავარაუდოა, რომ ზემოაღნიშნული პრობლემა გახდება ძირითადი შეფასების საგანი ადამიანის უფლებათა ევროსასამართ-

---

<sup>545</sup> იქვე, 235.

<sup>546</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-35.

<sup>547</sup> იქვე, II-38.

ლოსთვისაც, რაზეც სასამართლოს მიერ გამოხატული განსაკუთრებული ინტერესიც მეტყველებს. კერძოდ, ევროსასამართლო უგულავას საქმის შემთხვევაში, მხარეს სთხოვს მიაწოდოს ინფორმაცია ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომელიც შეეხება წინასწარი პატიმრობის მიჯრით ორჯერ გამოყენებას<sup>548</sup>. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი სასამართლო პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს, შესაძლებელია ვარაუდი, რომ ევროსასამართლომ მოცემულ კონტექსტში დავაზე „გიორგი უგულავა საქართველოს წინააღმდეგ“ იმსჯელოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის დარღვევაზე ეროვნული სასამართლო ხელისუფლების მხრიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ნიშნის საექვოობის მქონე დავებში, რომლებიც წარმოებულია ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირი აპლიკანტი მხარეები მიუთითებენ პრაქტიკულად ერთგვაროვან დარღვევებზე. ამასთანავე, განხილული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მიმდინარე საქმეებში არის დარღვევის დადგენის ალბათობა. თუმცა ცხადია, ეს დაშვებები არის მხოლოდ ვარაუდები არსებული პრაქტიკის და სახელმძღვანელო პრინციპების ანალიზიდან გამომდინარე და არ შეიძლება შეფასდეს როგორც წინასწარი დასკვნები ევროსასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების სამომავლო გადაწყვეტილებების შესახებ საქართველოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების საჩივრებთან დაკავშირებით.

## 2.2. წინასწარი პატიმრობის შეფარდების დასაბუთებასთან დაკავშირებული თავისებურებები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ც) ქვეპუნქტის მიხედვით, შესაძლებელია პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად: „როდესაც არსებობს ამ პირის მიერ

---

<sup>548</sup> Giorgi Ugulava v. Georgia (no. 5432/15), ECHR 28 September 2015, Questions to the Parties, 1.



სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა“. დამაჯერებელი საფუძველი წინასწარი დაკავებისათვის არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს აფიქრებინებდა, რომ კონკრეტულ პირს შეეძლო დანაშაულის ჩადენა<sup>549</sup>. ამავე მუხლის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს, რაც დაკავებულს ანიჭებს თავისი საქმის გონივრულ ვადაში სასამართლოს მიერ განხილვის უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი დაუყოვნებლობაზე ხაზგასმით ითვალისწინებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ბრალდებული წარუდგინოს სასამართლოს ყოველგვარი დაგვიანების გარეშე<sup>550</sup>.

ნაშრომის წინა თავებში უკვე აღინიშნა, რომ წინასწარი პატიმრობა, გარკვეული თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში მოდის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან<sup>551</sup>. შესაბამისად, მისი მარტივად, მეტისმეტად ხშირად ან ხანგრძლივად გამოყენება, ფორმალური თვალსაზრისით, წინააღმდეგობაშია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან<sup>552</sup>. აქედან გამომდინარე, პირის თავისუფლების ყოველი შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს დაკავებულის სასამართლოში შემდგომი გამოუცხადებლობის, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის შექმნის, სხვა დანაშაულის ჩადენის ან საჯარო

---

<sup>549</sup> ჯერემი მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011), 40.

<sup>550</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 150. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>551</sup> Lonke Stevens, “Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Do Not Limit its Increasing Use” (European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, Vol. 17 (2009): 168. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1404623>.

<sup>552</sup> *ibid*, 167.

წესრიგის საწინააღმდეგო მოქმედების შესაძლებლობათა თავიდან აცილებას<sup>553</sup>.

ზემოაღნიშნული მიზნების შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის გამოყენების უზრუნველსაყოფად არსებობს სასამართლოს კონტროლის განხორციელების ვალდებულება<sup>554</sup>. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო, ერთი მხრივ, მოქმედებს როგორც ადამიანის ფიზიკური თავისუფლების დაცვის გარანტი, ხოლო, მეორე მხრივ – მისი შეზღუდვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ლეგიტიმური ორგანო<sup>555</sup>. ასეთი პირობების არსებობაზე სასამართლო კონტროლის ამოცანას კი დაკავების ადრეულ ეტაპზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია წარმოადგენს, რომელთა მიერაც საკუთარი უფლებების გამოყენება მკაცრად პროცედურულ თავისებურებათა დაცვით უნდა მოხდეს<sup>556</sup>.

დასაბუთების ვალდებულების ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში. კერძოდ, გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შუამდგომლობათა მრავალფეროვნება. ასევე, სახელმწიფოებში არსებული საკანონმდებლო და კულტურულ-სამართლებრივი თავისებურებები<sup>557</sup>. სწორედ ამიტომ, სასამართლოს მიერ დასაბუ-

---

<sup>553</sup> ვრცლად იხ. Smirnova v. Russia (no. 22442/05), ECHR, 6 March 2008.

<sup>554</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-11.

<sup>555</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან იხორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>556</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020, 5.

<sup>557</sup> შტეფან ტრექსლერი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. მთარგმნელები: ვანო გოგელია, ეკა ლომთათიძე, ეკა ქარცივაძე, თამთა ივანიშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი. რედაქტორები: კონსტანტინე ვარძელაშვილი, ლალი ფაფიაშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი, ნანა მჭედლიძე.

თების ვალდებულება შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საქმის ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღებით<sup>558</sup>.

მიუხედავად შესაძლო ინდივიდუალიზაციისა, სასამართლოს დასაბუთება უნდა მოიცავდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ, წარმოდგენილი არგუმენტაცია უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მტკიცებულებების შეფასება და ფაქტების დადგენა, სამართლებრივი არგუმენტები და საპროცესო საკითხები<sup>559</sup>. ასევე, არგუმენტაცია შეიძლება გადმოიცეს შემოკლებული ფორმითაც, თუ იგი საკმარისია მოტივაციის გასაგებად. თუმცა, ფაქტების დადგენასთან დაკავშირებით აღნიშნული უფრო რთულდება<sup>560</sup>.

წარმოდგენილი მსჯელობის გათვალისწინებით, ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა სასამართლომ დაკავების ფაქტობრივი გარემოებებისა და პირის წინასწარ პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა ღრმად, ყოვლისმომცველად და დაუყოვნებლივ შეისწავლოს. მოთხოვნა დაუყოვნებლივ<sup>561</sup> მკვეთრად განსხვავდება ტერმინისაგან გონივრული ვადა<sup>562</sup>. კერძოდ, ტერმინი დაუყოვნებლივ, გონივრული ვადისაგან განსხვავებით, არ არის მოქნილი განმარტებისა და გამოყენების თვალსაზრისით და იგი გულისხმობს წარდგენას უმოკლეს დროს<sup>563</sup>.

---

გიორგი მელაძე (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010), 133.

<sup>558</sup> შტეფან ტრეჟსლერი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. მთარგმნელები: ვანო გოგელია, ეკა ლომთათიძე, ეკა ქარცივაძე, თამთა ივანიშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი. რედაქტორები: კონსტანტინე ვარძელაშვილი, ლალი ფაფიაშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი, ნანა მჭედლიძე, გიორგი მელაძე (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010), 133.

<sup>559</sup> იქვე, 134.

<sup>560</sup> იქვე.

<sup>561</sup> Promptly.

<sup>562</sup> Reasonable time.

<sup>563</sup> ჯერემი მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. მთარგმნელი: თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011), 51.

ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ამგვარი სპეციფიკური წესის დადგენა, რომლის მიხედვითაც, პირი შესაძლებელია მხოლოდ დაკავების შემდგომ წარედგინოს სასამართლოს, გადაუდებელ აუცილებლობას უკავშირდება, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების მოპოვება შეუძლებელია ან/და დაყოვნება რეალურ საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურ მიზნებს – საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას, სხვათა უფლებების დაცვას ან მართლმსაჯულების განხორციელებას<sup>564</sup>.

სასამართლოსთვის პირის დაუყოვნებლივ წარდგენის შესაძლებლობა გათვალისწინებულია გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დატუსაღებულ პირთა დაცვის პრინციპებითაც. კერძოდ – „არ შეიძლება პირის დაკავება ისე, რომ მას არ მიეცეს ეფექტური შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ წარდგეს და იყოს მოსმენილი სასამართლოზე ან ხელისუფლების სხვა ორგანოს მიერ. დაკავებულს უნდა ჰქონდეს უფლება, დაიცვას თავი და, კანონის შესაბამისად, გაეწიოს დახმარება დამცველის მიერ. დაკავებულს და დამცველსაც, თუ ასეთი არსებობს, დაუყოვნებლივ და სრულად უნდა ეცნობოს დაკავების შესახებ ბრძანებისა და მისი საფუძვლის თაობაზე“<sup>565</sup>. „სისხლის სამართლის ბრალდების საფუძველზე დაკავებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, გაასამართლონ გონივრულ ვადაში ან გაათავისუფლონ სასამართლო განხილვამდე“<sup>566</sup>.

ამ მხრივ, ევროსასამართლოს პრაქტიკა დაუსაბუთებელ პატიმრობას კრძალავს. წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას ინდი-

---

<sup>564</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>565</sup> United Nations, Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment (Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988), Principle 11. Available at <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx>.

<sup>566</sup> United Nations, Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment (Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988), Principle 38. Available at <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx>.

ვიდი დაცული უნდა იყოს თვითნებობისაგან<sup>567</sup>. თავის მხრივ, თვითნებობის განმარტება საკმაოდ ფართოა, იგი მოიცავს არა მარტოდენ დასაბუთების არარსებობას, არამედ დასაბუთების იმგვარ ლაკონიურობასაც, რომელიც შეზღუდვის გონივრულობის გასამართლებლად არასაკმარისია<sup>568</sup>.

პატიმრობის, როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენება ქართული კანონმდებლობითაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებშია დაშვებული. კერძოდ, სსსკ მის გამოყენებას უშვებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა<sup>569</sup>.

ივანე მერაბიშვილის საქმის ევროსასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემაში თავისი მნიშვნელოვანი როლი სწორედ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის აღბათობამ შეასრულა. კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, მისი წინასწარი პატიმრობა არ შეესაბამებოდა გონივრულ საფუძვლებს<sup>570</sup>. საუბარია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლის დროსაც, წინასწარი პატიმრობის დასაბუთებისას მოსამართლემ გამოიყენა მარტოდენ აბსტრაქტული ფრაზა „წინასწარი პატიმრობის გაუქმებაზე ეთქვას უარი“<sup>571</sup>.

თავისუფლების უფლებაში არათანაზომიერი ან/და თვითნებური ჩარევის პრევენციის მიზნით, დაკავების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება<sup>572</sup>. შესაბამისად, პირის დაუყოვ-

<sup>567</sup> ვრცლად იხ. Witold Litwa v. Poland (no. 26629/95), ECHR 4 April 2000.

<sup>568</sup> ვრცლად იხ. Khudoyorov v. Russia (no. 6847/02), ECHR 8 November 2005.

<sup>569</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.

<sup>570</sup> Merabisvhili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 78.

<sup>571</sup> Merabisvhili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 91.

<sup>572</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნებლივ სასამართლოში წარდგენის მიზანი არის არასათანადო მოპყრობის მყისიერი გამოვლენა და პირის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის მინიმუმამდე დაყვანა<sup>573</sup>. საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაკავებას ერთგვარად შუალედური ხასიათი აქვს, ხოლო საბოლოო მიზანი – მართლმსაჯულების განხორციელება<sup>574</sup>. შესაბამისად, აუცილებელია საკითხის გადაუდებელი შესწავლა ერთი მხრივ, დაკავების პროცედურების კანონიერების და მეორე მხრივ, ბრალდებულის გათავისუფლების რისკების ჭრილში. შესაბამისად, საკითხის ყოველმხრივი შესწავლა კონვენციისა და კანონის უზენაესობის საერთო ღერძია<sup>575</sup>.

წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას სათანადო დასაბუთების აუცილებლობის თაობაზე ნაშრომის ფარგლებში არაერთხელ გამახვილდა ყურადღება. მოცემულ საქმეზეც, მოსარჩელე ივანე მერაბიშვილის მტკიცებით, წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება. კერძოდ, მოსარჩელე უთითებდა, რომ 2012 წლის 30 ნოემბრიდან თავის დაკავებამდე ქვეყანა 6ჯერ დატოვა, თუმცა ამის მიუხედავად, ყველა ჯერზე ბრუნდებოდა სამშობლოში. შესაბამისად, წინასწარი პატიმრობა არ წარმოადგენდა ერთადერთ აუცილებელ ინსტრუმენტს მართლმსაჯულების განსახორციელებლად და თუნდაც გირაოს ან პირადი თავდებობის საკითხი სასამართლოს მიერ არ იქნა მხედველობაში მიღებული<sup>576</sup>.

---

<sup>573</sup> ჯერემი მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011), 53.

<sup>574</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>575</sup> ჯერემი მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011), 59.

<sup>576</sup> Merabishvili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 217.

როგორც ნაშრომის ფარგლებში უკვე აღინიშნა, თავისთავად პირის პოლიტიკური სახის აქტიურობა არ წარმოადგენს რაიმე პრივილეგიას ან განსხვავებული მოპყრობის საფუძველს. პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის საკითხი შესწავლილ უნდა იქნეს გარემოებებზე ყოველმხრივი დაკვირვების შედეგად. განხილულ საქმეში, მიუხედავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დასაბუთებისა, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიების ეტაპზე, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული დიდი ოდენობით ნაღდი ფული და ბრალდებულის პირადი საერთაშორისო კონტაქტები ერთობლიობაში იძლეოდა შესაძლო მიმალვის ვარაუდის შესაძლებლობას, რაც წინასწარი პატიმრობის შეფარდებას აღარ უქმნიდა თვითნებურობის საფუძველს<sup>577</sup>. შესაბამისად, სასამართლომ ივანე მერაბიშვილის მიმართ არ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.3. მუხლის დარღვევა<sup>578</sup>.

წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას დასაბუთების პრობლემატიკა თანამედროვე ქართული მართლმსაჯულებისათვის არახალია, რაზეც ევროსასამართლოს პრაქტიკაც მეტყველებს. კერძოდ, სსსკ დებულებათა პერიფრაზის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისათვის არასაკმარისობა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა ისეთ საქმეებზე, როგორებიცაა ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ<sup>579</sup>, ჯავახიშვილი საქართველოს წინააღმდეგ<sup>580</sup> და ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ<sup>581</sup>.

წინასწარი პატიმრობის დაუსაბუთებლად შეფარდების თაობაზე მიუთითებს მომჩივანი გიორგი უგულავა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების შეფასებისას, რომლის მიხედვითაც, აპლიკანტის პოზიციით, სასამართლო ისე დათანხმდა პროკურატურის მოთხოვნას გიორგი უგულავასათ-

---

<sup>577</sup> *ibid*, § 229.

<sup>578</sup> *ibid*, § 230.

<sup>579</sup> *ob. Patsuria v. Georgia* (no. 30779/04), ECHR, 6 November 2007.

<sup>580</sup> *ob. Javakhishvili v. Georgia* (no. 42065/04), ECHR 2 October 2007.

<sup>581</sup> *ob. Giorgi Nikolaishvili v. Georgia* (no. 37048/04), ECHR 13 January 2009.

ვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებაზე, რომ სათანადო დასაბუთება არ წარმოუდგენია<sup>582</sup>.

მსგავს პრეტენზიებს ვხვდებით ბაჩანა ახალაიას საქმეშიც. აპლიკანტის პოზიციით, მის წინააღმდეგ წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა იმავე დღეს, უკიდურესად ფორმალური საფუძველებზე<sup>583</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების საჩივრებში მითითება ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევაზე. მართალია, საქართველოს სსსკ დეფინიციური თვალსაზრისით სრულ შესაბამისობაშია ევროპულ კონვენციასთან, მაგრამ აპლიკანტების მოსაზრებით, სადავოა მათი გამოყენების პრაქტიკა, მით უფრო მაშინ, როდესაც მომჩივანები უთითებენ მათ წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებში პოლიტიკურ მოტივაციაზე ხელისუფლების მხრიდან. შესაბამისად, სახეზეა პრაქტიკის ხარვეზი, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია მოხდეს საკანონმდებლო გზით. კერძოდ, შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომლითაც, გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, გამოირიცხება პოლიტიკურ საქმეებზე წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. ამგვარი გამოირიცხვა უნდა მოხდეს არა ბლანკეტურად, არამედ სამოსამართლო დისკრეციის ფარგლებში, წინასწარ მკაცრად დადგენილი და მოქნილი კრიტერიუმების საფუძველზე. ასეთმა ცვლილებამ ისეთი ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად, როგორცაა პოლიტიკური დევნისათვის წინასწარი პატიმრობის ღონისძიების ინსტრუმენტალიზაციის პრევენცია, უნდა შექმნას გამოსაღები, აუცილებელი და პროპორციული საკანონმდებლო საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ცვლილების კონსტიტუციურობის დასასაბუთებლად აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურად აქტიური პირები, თავისთავად, მათი საქმიანობის თავი-

---

<sup>582</sup> Giorgi Ugulava v. Georgia (no. 5432/15), ECHR 28 September 2015, § 27.

<sup>583</sup> Bachana Akhalaia v. Georgia (nos. 30464/13 and 19068/14), ECHR 28 September 2015, § 31.



სებურების გათვალისწინებით, წარმოადგენენ ისეთ სუბიექტებს, რომელთაც გააჩნიათ დღეს არსებული პრაქტიკით დადგენილი წინასწარი პატიმრობის გამოსაყენებლად თვითკმარი საფუძვლები. კერძოდ, ოპერატიული პასპორტის ხელმისაწვდომობა; საზღვრის კვეთა; კავშირები საზღვარგარეთ; ფინანსური საშუალებები; სამსახურებრივი მდგომარეობა და ავტორიტეტი<sup>584</sup>. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასეთ პირები საწყისი ეტაპიდანვე არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა პირებთან შედარებით და მათ მიმართ არსებობს პატიმრობის გამოყენების პრაქტიკულად ავტომატური საფუძველი. შესაბამისად, არსებული მიმდევრობითი ისტორიულ-პოლიტიკური პრაქტიკისა და განხილული თავისებურების გათვალისწინებით, პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის გამოყენების დასაბუთებისათვის დადგენის განსხვავებული, უფრო მაღალი სტანდარტის დაწესება. კერძოდ, შექმნილმა საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა გზარდოს წინასწარი პატიმრობის გამოყენების სტანდარტი იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ პატიმრობის გამოყენების დროისათვის ეწევიან აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში, მაგალითისათვის, ისეთი გარემოებები, როგორებიცაა, ზოგიერთ შემთხვევაში, ოპერატიული პასპორტის ხელმისაწვდომობა; საზღვრის კვეთა; კავშირები საზღვარგარეთ; ფინანსური საშუალებები; სამსახურებრივი მდგომარეობა და ავტორიტეტი, არ უნდა ჩაითვალოს წინასწარი გამოყენების თვითკმარ სტანდარტად და მას თან უნდა დაერთოს ისეთი ფაქტებისა და ინფორმაციის მრავლობითი ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ ადასტურებს აღნიშნული პირის მიმალვის და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის ან ახალი დანაშაულის ჩადენის რეალურობას.

---

<sup>584</sup> ნანა მჭედლიძე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები (თვითგამოცემული, 2017), 195.

### 2.3 დაკავების კანონიერების სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული თავისებურებები

როგორც ნაშრომის წინა თავებში აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი თავისი შინაარსით წარმოადგენს „ჰაბეას კორპუს აქტის“<sup>585</sup> კონვენციაში დანერგვას<sup>586</sup>. კერძოდ, ის, რომ პირის მიმართ არ დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, არ ნიშნავს იმას, რომ მის მიმართ პროცედურული და შინაარსობრივი ნაწილის კანონიერება იქნა შემოწმებული<sup>587</sup> აღნიშნული სწორედ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ჭრილში შესამოწმებელი საკითხია, რომელიც ადგენს დაკავებული პირის უფლებას, მისი დაკავების შესახებ საქმე განხილულ იქნეს სასამართლოს წინაშე და მისი გათავისუფლების უფლებას, თუ დაკავება უკანონოდ მოხდა<sup>588</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი იცავს პირის უფლებას, თავისი დაკავების საქმეზე მიიღოს მოსამართლის მიერ საქმის სამართლიანი და მიუკერძოებელი განხილვის შესაძლებლობა<sup>589</sup>. დაკავების კანონიერება გულისხმობს, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

---

<sup>585</sup> Parliament of England, The Habeas Corpus Act (adopted by the Parliament of England, 31 Cha. 2 c. 2, May 1679)), available at:

<https://www.bl.uk/learning/timeline/item104236.html> [20.08.2020].

<sup>586</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020, 5.

<sup>587</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020, 5.

<sup>588</sup> Monica Macovei, The right to liberty and security of the person (A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Right). Human rights handbooks, No. 5. (Germany: Council of Europe, 2002), 60.

<sup>589</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 154. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ საფუძვლებთან დაკავების შემოწმებას<sup>590</sup>.

დაკავების და დაპატიმრების, როგორც უკიდურესი ღონისძიებების ეფექტური კონტროლის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დატუსაღებულ პირთა დაცვის პრინციპებიც. კერძოდ, დაკავების ან დატუსაღების (პატიმრობის შეფარდების) ყველა ფორმა და ღონისძიება, რაც ზეგავლენას ახდენს დაკავებულთა ან დაპატიმრებულ პირთა უფლებებზე, უნდა განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს ან ხელისუფლების სხვა ორგანოს ბრძანების საფუძველზე ან ექვემდებარებოდეს მათ ეფექტურ კონტროლს<sup>591</sup>. ამასთანავე, ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებიც პირს აპატიმრებენ, აკავებენ ან იძიებენ საქმეს, შეიძლება იმოქმედონ მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად და ამ უფლებამოსილებით სარგებლობა უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო ან ხელისუფლების სხვა ორგანოში გასაჩივრებას<sup>592</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ზოგადია და იგი ვრცელდება დაკავების ნებისმიერ შემთხვევაზე, მიუხედავად ბრალდების ხასიათისა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაკავებას დაუყოვნებლივ მოსდევს პირის გაძევება სახელმწიფოს ტერიტორიიდან<sup>593</sup>. იგივე პრინციპებია დანერგი-

---

<sup>590</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადაღკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 240.

<sup>591</sup> United Nations, Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment (Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988), Principle 4. Available at <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx>.

<sup>592</sup> *ibid*, 9.

<sup>593</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადაღკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა

ლი საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის თანახმად, დაკავებული პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს თავისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავებისთანავე შეუძლია, მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს<sup>594</sup>. დაკავების ან წინასწარი პატიმრობის საფუძველიანობა მხოლოდ მაშინ არ შეიძლება იყოს საეჭვო, როდესაც დადასტურებულია სამართალდარღვევის რეალურობა და ხასიათი, რისი შემდგომში დადასტურებაც წინასწარი გამოძიების მიზანს უნდა წარმოადგენდეს<sup>595</sup>.

დავის კიდევ ერთ საფუძველს ივანე მერაბიშვილის საქმეზე წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი. კერძოდ, აპლიკანტის მოთხოვნის მიხედვით, მან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილება მიიღო ზეპირი ფორმით, სათანადო დასაბუთების და განმარტებების გარეშე. ეს გარემოება ევროსასამართლომ მიიჩნია დარღვევად, თუმცა ამავე კონტექსტში, ვინაიდან სასამართლომ დავის აღნიშნული ნაწილზე უკვე იმსჯელა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილთან მიმართებით, მისი დარღვევის ცალკე განხილვა აღარ იქნა მიჩნეული საჭიროდ<sup>596</sup>.

იმავე კონტექსტშია დაყენებული გიორგი უგულავას მოთხოვნაც ევროსასამართლოს წინაშე. აპლიკაციის მიხედვით, მას არ მიეცა უფლება, დაკავებისას ადეკვატურად დაეცვა თავი. კერძოდ, არ გააჩნდა ადვოკატის ყოლის შესაძლებლობა 4-5 საათის განმავლობაში, ისევე როგორც განხილვისას მას სათანადოდ არ მიუწვდებ-

---

დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 240.

<sup>594</sup> საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ, 31-33, 24/08/1995), მუხლი 13. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>595</sup> ჯერემი მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011), 39.

<sup>596</sup> Merabishvili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 110.

ბოდა ხელი საქმის მასალებზე<sup>597</sup>. ევროსასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პირს დაკავებისას არა მხოლოდ უნდა ჰქონდეს ადვოკატის ყოლის უფლება, არამედ მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ინიციატივა მოდიოდეს მისგან<sup>598</sup>. შესაბამისად, ევროსასამართლოს განმარტებების გათვალისწინებით, არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებზე, არამედ ნაშრომში მიმოხილულ სხვა რეზონანსულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზითაც, შეგვიძლია წინასწარი ვარაუდის გაკეთება, რომ მოთხოვნის აღნიშნული ნაწილის დაკმაყოფილება დიდწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს მოპასუხე სახელმწიფო, დაამტკიცოს, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეში (მათ შორის, იგულისხმება გიორგი უგულავას საქმე) მას არ მოუხდენია ადვოკატის ყოლის უფლების შეზღუდვა დაკავებული პირისათვის. ასეთი შეზღუდვის დადასტურება კი, ცხადია, მნიშვნელოვანია პოლიტიკური შინაარსის მქონე საჩივრებზე, საქმეში არსებულ სხვა ასპექტებთან ერთობლიობაში, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის შესახებ, სასამართლოს მიერ არგუმენტირებული სამართლებრივი დასკვნის გასაკეთებლად, მათ შორის, პირის მიმართ ხელისუფლების მხრიდან სამართლებრივი ბერკეტების პოლიტიკური მოტივით გამოყენების თაობაზე.

#### **2.4 კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული თავისებურებები თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ქრილში ევროპულ სასამართლოში საქმეზე: „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“**

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური მოტივით შეზღუდვის თავისებურებები გახდა ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განხილვის საგანი ივანე მერაბიშვილის საქმეზე. ნაშრომის ფარგლებში უკვე გამახვილდა ყურადღება იმ კრი-

<sup>597</sup> Giorgi Ugulava v. Georgia (no. 5432/15), ECHR 28 September 2015, § 14.

<sup>598</sup> Monica Macovei, The right to liberty and security of the person (A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Right). Human rights handbooks, No. 5. (Germany: Council of Europe, 2002), 60.

ტერიუმებთან დაკავშირებით, რომლებსაც ევროსასამართლო კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის დადგენის მიზნით ეყრდნობა ხოლმე. წარმოდგენილ შემთხვევაში, აღნიშნულის დასაბუთების მიზნით, მოსარჩელე ხაზს უსვამდა ისეთი გარემოებების არსებობას, როგორებიცაა: 2013 წლის 14 დეკემბერს საქართველოს მთავარი პროკურორის მხრიდან პატიმრობაში მყოფი ივანე მერაბიშვილის მიმართ განხორციელებული ზეწოლა (საკნიდან შესაძლო გაყვანა), რაც უკავშირდებოდა საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების და საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის მიღებას<sup>599</sup>. ასევე, არსებობდა მთელი კონტექსტი იმასთან დაკავშირებით, როგორ გახდნენ ივანე მერაბიშვილი და მისი პოლიტიკური პარტიის სხვა წევრები ხელისუფლების სამიზნეები<sup>600</sup>. ამ ჭრილში ევროსასამართლომ ერთობლიობაში შეაფასა სხვადასხვა საკითხი. უპირველესად, ევროსასამართლომ იმსჯელა პატიმრობის, როგორც პოლიტიკური სცენიდან ივანე მერაბიშვილის ჩამოცილების ინსტრუმენტზე. ამ ნაწილში სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა აღნიშნული გარემოების დადგენის სათანადო საფუძვლები<sup>601</sup>.

მსჯელობის მეორე საგანს წარმოადგენდა ბრალდებულის საკნიდან შესაძლო გაყვანის საკითხი. აღნიშნულ ნაწილში სასამართლომ მიუთითა ამგვარი გარემოების დადასტურების უკიდურეს სირთულეზე იმდენად, რამდენადაც ხელისუფლება ბრალდებულზე ზეწოლის მიზნით მისი საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტს მკაცრად უარყოფდა<sup>602</sup>. თუმცა, საბოლოო ჯამში, მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან უარყოფისა და სადავო ფაქტთან დაკავშირებით პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ გარკვეულ მტკიცებულებებთან, განსაკუთრებით კი სასჯელადსრულების დაწესებულების სათვალთვალ კამერის ჩანაწერებთან მოპასუხე ხელისუფლების მხარეს არსებული პრობლემატიკის

<sup>599</sup> Merabishvili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 253.

<sup>600</sup> Merabishvili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 253.

<sup>601</sup> *ibid.*, § 332.

<sup>602</sup> *ibid.*, § 349.

გათვალისწინებით, მისთვის დამაჯერებელი ხდებოდა საკნიდან ბრალდებულის გაყვანის ფაქტი<sup>603</sup>.

გადაწყვეტილებაში ევროსასამართლომ შეაფასა პატიმრობის გამოყენების მოტივები ორ ჭრილში. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ თავდაპირველად თავისუფლების შეზღუდვის მოტივაციას გონივრული ეჭვის საფუძველზე გამოძიება წარმოადგენდა<sup>604</sup>. თუმცა, სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოგვიანებით თავისუფლების შეზღუდვის მოტივაცია შეიცვალა ყოფილ პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმესა და ექსპრეზიდენტ სააკაშვილის საბანკო ანგარიშებზე ინფორმაციის მოპოვების მოტივით<sup>605</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ივანე მერაბიშვილის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი ამავე კონვენციის 5.1. მუხლის ჭრილში<sup>606</sup>.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველმა ორგანომ 2018 წლის 04-06 დეკემბერს 1331 სხდომაზე შეაფასა ივანე მერაბიშვილის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა საფუძვლიანად და სწრაფად უნდა შეისწავლონ ივანე მერაბიშვილის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან შესაძლო გაყვანის ფაქტი, რაც, სავარაუდოდ, შეიძლება უკავშირდებოდეს მასზე ზეწოლის განხორციელებას, რისი მიზანიც რეალურად იყო ყოფილი პრემიერმინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის

<sup>603</sup> *ibid*, § 350.

<sup>604</sup> *ibid*, § 353.

<sup>605</sup> *Merabishvili v. Georgia* (no. 72508/13), ECHR 28 November 2017, § 353.

<sup>606</sup> *ibid*, § 354.

მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიღება<sup>607</sup>.

ამავე გადაწყვეტილების თანახმად, მინისტრთა კომიტეტმა მიუთითა, რომ ექვს თვეში, 2019 წლის ივნისში კვლავ მიუბრუნდებოდა აღნიშნულ საკითხს და შეაფასებდა, თუ როგორ სრულდება საქართველოს ხელისუფლებების მხრიდან მათი მოთხოვნა<sup>608</sup>. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა და ზედამხედველობის მაღალი სტანდარტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობას კონვენციის ხელშემკვრელი მხარეებისათვის და, მათ შორის, ცხადია, საქართველოსათვის, მით უფრო პოლიტიკური ნიშნის მქონე საეჭვოობის მქონე საქმეებში. საბოლოოდ, 2019 წლის 5 ივნისს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი განიხილა და მოიწონა ის ღონისძიებები, რომლებიც გატარდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად<sup>609</sup>.

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 29 მაისს მიიღო კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის განმარტებითი ბარათის არსსა და მიზანშიც პირდაპირაა მითითებული პროექტის ურთიერთმიმართება ივანე მერაბიშვილის საქმესთან. კერძოდ, საკნოდან შესაძლო გაყვანის ეპიზოდთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამ ეპიზოდთან დაკავშირებით დადგენილი დარღვევა განპირობებულია, მათ შორის, იმ გარემოებით, რომ 2013 წლის 14 დეკემბერს N9 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მომჩივნის, მერაბიშვილის შესაძლო გაყვანის ფაქტის გამოძიების მიზნით, ვერ მოხდა მის მიერ დასახელებული შესაბამისი პირების სატელეფონო ჩანაწერებისა და მობილური კავშირის ანძების მონაცემების შემოწმება“. ასევე მითითებულია, რომ წარმოდგენილი ცვლილება შესაძლებელს გახდის

<sup>607</sup> იხ. ვრცლად: H46-10 Merabishvili v. Georgia (Application No. 72508/13).

<sup>608</sup> იქვე.

<sup>609</sup> იხ. 1348th meeting, 4-6 June 2019 (DH) H46-8 Merabishvili v. Georgia (Application No. 72508/13).



როგორც ფარულ, ისე კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებას ნაკლებად მძიმე კატეგორიის სამოხელეო დანაშაულებზეც, რაც შესაძლებელს გახდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმგვარი დარღვევების პრევენციას, როგორც მერაბიშვილის საქმეზე იყო.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა პრობლემურია ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის. საქართველოს წინააღმდეგ უკვე არსებობს ივანე მერაბიშვილის საქმის პრეცედენტი კონვენციის მე-5 მუხლის ჭრილში მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობა სიღრმისეულად განზოგადდეს როგორც ეროვნული სასამართლოების, ისე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, ასეთი დარღვევების პრევენციისა და შემდგომში თავიდან აცილების მიზნით.

### **შუალედური დასკვნა**

წინამდებარე თავის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირთა საქმეების თავისებურებების იდენტიფიცირება, ევროპული კონვენციით დაცული ისეთი უფლების ჭრილში, როგორიცაა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება. ეს საქმეები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ყოფილი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები თავისთავად შეიცავს გარკვეულ პოლიტიკურ კონტექსტს. ნაშრომის წინამდებარე თავში ასევე გამოკვლეულ იქნა აღნიშნული უფლების შეზღუდვისას წამების აკრძალვის და კონვენციით დაშვებული უფლებების შეზღუდვის ფარგლების დარღვევის საკითხი. ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა, იდენტიფიცირებული თავისებურებების შედეგად, შემდგომი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, სათანადო რეკომენდაციების შემოთავაზება. კვლევის საგანს ასევე წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმ-

დეგ წარმოებული ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმეთა თავისებურებების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების წარმოდგენა დარღვევათა პრევენციის მიზნით ეროვნული სასამართლოების პრაქტიკასა და საკანონმდებლო სივრცეში.

უპირველეს ყოვლისა, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით, პოლიტიკური ნიშნის მქონე საქმეებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ხშირად აქვს ადგილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევის თაობაზე მსჯელობას. ასეთი შესაძლო დარღვევების თავისებურებები, აპლიკანტთა მითითებით, საკმაოდ მრავალფეროვანია და ისინი თავს იჩენს როგორც დაკავების, ისე საგამომიებო პროცესის მიმდინარეობისა და წინასწარი პატიმრობის პერიოდში. აღნიშნულ კონტექსტში გაკეთდა რეკომენდაცია პირის დაკავების პროცედურების მინიმალურ დონეზე სავალდებულო ორგანიზებულობის შესახებ, მისთვის ფიზიკური დაზიანებების თავიდან აცილების მიზნით. ასევე, რეკომენდირებულ იქნა პოლიტიკური თანამდებობის პირების საზოგადოებრივი სტატუსის გათვალისწინებით, უკიდურესი აუცილებლობის გამონაკლისის გარდა, გისოსების გამოყენებაზე უარის თქმისა და საპატიმრო დაწესებულებაში ღირსეული პირობების შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ასევე გამოიკვეთა პოლიტიკური ნიშნის მქონე დავებში კონვენციის მე-5 მუხლის შესაძლო დარღვევის აქტუალურობის საკითხი. შესწავლილ საქმეებში იკვეთება ამ მუხლის პრაქტიკულად ყველა პუნქტის ერთდროული ან/და ინდივიდუალური დარღვევის თაობაზე აპლიკანტთა მითითებები. შესაბამისად, კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მუდმივად დგანან წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას უკიდურესად საფრთხილო ზღვრის დაცვის აუცილებლობის წინაშე. აღნიშნული თვალსაზრისით, მსგავსი პრობლემების პრევენციისთვის გაკეთდა რეკომენდაცია, რომ აუცილებელია ადგილობრივმა სასამართლოებმა წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას საქმეებზე გამოიყენონ არგუ-

მენტაციის და დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური თანამდებობების პირების პატიმრობაში ყოფნისას მათი წარდგენა სასამართლოს წინაშე მოხდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, სათანადო პროცედურული გარანტიებით, რაც ბრალდებულებისათვის უზრუნველყოფს პატიმრობის გამოყენების საკითხზე სამართლიანი განხილვის უფლებას. იმ შემთხვევაში კი, თუ სახეზე იქნება ამგვარ უფლებათა შეზღუდვა, აუცილებელია, ბრალდებულებს მყისიერად მიეცეთ სათანადო კომპენსაცია.

ამავე თავის ფარგლებში შემოთავაზებულ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია კანონმდებლისათვის. კერძოდ, მიეთითა, რომ არსებული მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური პრაქტიკისა და პოლიტიკურად აქტიური პირების საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, მათ მიმართ შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის გამოყენების დასაბუთებისათვის დადგინდეს განსხვავებული, უფრო მაღალი სტანდარტი. შემოთავაზებული იქნა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ისეთი გარემოებები, როგორებიცაა, ზოგიერთ შემთხვევაში, ოპერატიული პასპორტის ხელმისაწვდომობა; საზღვრის კვეთა; კავშირები საზღვარგარეთ; ფინანსური საშუალებები; სამსახურებრივი მდგომარეობა და ავტორიტეტი არ უნდა ჩაითვალოს წინასწარი გამოყენების თვითკმარ სტანდარტად და მას თან უნდა დაერთოს ისეთი ფაქტებისა და ინფორმაციების ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ ადასტურებს აღნიშნული პირის მიმალვის და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის ან ახალი დანაშაულის ჩადენის რეალურობას.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ აპლიკანტები ყურადღებას ამახვილებენ ხელისუფლების მიერ ცალკეულ შემთხვევებში მე-5 მუხლით დადგენილი შეზღუდვის შესაძლებლობების არამართლზომიერად, სხვა საფუძვლებით გამოყენებაზე. მართალია, მე-18 მუხლის დარღვევა არ უკავშირდება A PRIORI პირის პოლიტიკურ სტატუსსა და მისი აქტივობის ხარისხს, თუმცა ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. შესაბამისად,

ერთი მხრივ, აუცილებელია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები თანაბრად ეპყრობოდნენ საზოგადოებრივად აქტიურ ნებისმიერ სუბიექტს, ხოლო, მეორე მხრივ, თავად პოლიტიკურად აქტიურობა არ ქმნის იმუნიტეტს და ასეთი პირების დაკავება ავტომატურად არ უკავშირდება კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას.

ამასთანავე, პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე გამოკვეთა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის დასადგენად ევროსასამართლო შეიძლება ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა საქმის ზედამხედველი პროკურორის ან სხვა კომპეტენტური პირების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაკეთებული განცხადებები, ადგილობრივი და საერთაშორისო ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, საერთო პოლიტიკური ფონი და სხვა. შესაბამისად, ნაშრომის ფარგლებში გაკეთდა რეკომენდაცია, რომ ასეთი შეზღუდვის გამოყენება უცილობლად დაუკავშირდეს სათანადო მართლმსაჯულების უზრუნველყოფას და არა პირის დასჯასა და შურისძიებას, მისი განსხვავებული სამოქალაქო თუ პოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარე.

ერთიანობაში, წინამდებარე თავის პირველ ქვეთავში განხორციელებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ევროსასამართლოში პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების შეზღუდვის საქმეებზე წარმოებული პრაქტიკა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც გამოხატულებას პოვებს პოლიტიკოსთა მიმართ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ერთგვაროვან დარღვევაში და ამავე ჭრილში წამების გამოყენებასა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების არამიზნობრიობაში. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია როგორც ადგილობრივი სასამართლო, ისე ძალოვანი სტრუქტურების არსებული ნაკლოვანი პრაქტიკის შეცვლა და მათი შესაბამისობაში მოყვანა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან.

წინამდებარე თავის მეორე ნაწილის შესწავლის საგანს წარმოადგენდა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებული თავისებურებები საქართველოს ყოფი-

ლი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმეების მიხედვით. ეს საქმეები მიმოხილული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების ჭრილში. განხორციელებული კვლევის შედეგების შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის ანალიზიდან გამომდინარე 9-თვიანი წინასწარი საპატიმრო ვადის მიჯრით გამოყენება დაუშვებელია, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული ობიექტური და საგამონაკლისო გარემოებებისა, ვინაიდან ნორმის შინაარსის სხვაგვარი, ნეგატიური განმარტება შესაძლოა შეფასდეს, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენება არალეგიტიმური მიზნებისათვის, რაც ბრალდებულის პოლიტიკური წარსულიდან და აქტივობიდან გამომდინარე, შეიძლება ატარებდეს პოლიტიკური შურისძიების თუ დასჯის მიზანს ხელისუფლების მხრიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირების საქმეებში ერთმნიშვნელოვან საფუძვლად აპლიკანტები მიუთითებენ ხელისუფლების მიერ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე პუნქტების დარღვევაზე და, ამ თვალსაზრისით, ეს მითითებები იდენტურია სხვა ქვეყნების (პოსტსაბჭოთა ქვეყნები) წინააღმდეგ წარმოდებული საქმეებისა ევროპულ სასამართლოში.

უპირველეს ყოვლისა, აპლიკანტების მიერ საჩივრდება ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებებში წინასწარი პატიმრობის ვადის დასაბუთების ბუნდოვანება. წარმოდგენილი საქმეების ანალიზით ასევე გამოიკვეთა, რომ მიუხედავად დეფინიციური თვალსაზრისით სსსკ სრული შესაბამისობისა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, შესაძლოა პრობლემური იყოს მისი გამოყენების სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, ეროვნული სასამართლოების სხვადასხვა ინსტანცია წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას შემოიფარგლება მარტოოდენ ფორმალური მითითებებით, რაც ასეთი გადაწყვეტილების შეუსაბამობას იწვევს ევროსასამართლოს მიერ დადგენილ მაღალ სტანდარტთან. აუცილებელია,

სასამართლოებმა წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას საქმეებზე გამოიყენონ არგუმენტაციის მკაცრი სტანდარტი მსგავსი სახის დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთი არსებითი ხასიათის პრობლემაზე, როგორცაა ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირების საქმეებში დაკავების შესაძლო პროცედურული დარღვევების არსებობა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ბრალდებულთა არასათანადო ინფორმირებასა და სასამართლოების მხრიდან მათი უფლებების განმარტების დაბალ სტანდარტში.

კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა როგორც ზოგადად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის მნიშვნელობაზე და ამ მიმართულებით არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე, ისე კონკრეტულად საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე დავის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევაზე კონვენციის მე-5 მუხლთან ერთობლიობაში. ივანე მერაბიშვილის საქმეზე მსჯელობისას ხაზი გაესვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის მნიშვნელობიდან გამომდინარე მონიტორინგის იმ განსაკუთრებულ ხარისხს, რასაც ახორციელებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიმართ.

რეკომენდაციის სახით აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ადგილობრივი სასამართლოების მიერ განზოგადდეს ევროსასამართლოს მსჯელობები პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებთან დაკავშირებით, ასეთი დარღვევების აღმოფხვრისა და შემდგომი პრევენციის მიზნით, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე საკანონმდებლო სივრცეში.

აქვე, ევროსასამართლოს პრაქტიკის ანალიზით, რომელიც ეფუძნება იმ საქმეების განხილვას, რომელშიც სასამართლომ მიუთითა პოლიტიკური კონტექსტის არსებობის შესახებ, ცალსახად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ არაერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, პოსტსაბჭოთა და გარდამავალი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში, ადგილი აქვს სამოქალაქო აქტივისტთა და ყოფილი

მაღალი თანამდებობის პირების მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვებს პოლიტიკური ნიშნით. პოლიტიკური შეხედულებები დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებაში. როგორც წესი, ამ ნიშნით ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) მუხლების შეზღუდვა, კონვენციის მე-18 მუხლთან ერთობლიობაში. აღნიშნული, ცხადია, არ გამორიცხავს და, პირიქით, უშვებს შესაძლებლობას, ინდივიდუალურ შემთხვევებში განხორციელდეს ასეთ პირთა კონვენციით გარანტირებულ სხვა უფლებათა დარღვევაც, თუკი ასეთი ინტერესი ექნება კონვენციის რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ხელისუფლებას. მართალია, ევროსასამართლო პირდაპირ არასოდეს ადგენს პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების და ხელშეუხებლობის ან სხვა რომელიმე მუხლის დარღვევას და არ იყენებს ტერმინს „პოლიტიკური პატიმარი“ ან „პოლიტიკური დევნილი“, მაგრამ არსებული მსჯელობა და ევროსასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმათა დინამიკური განვითარების განმარტების თეორია, არათუ გამორიცხავს მომავალში ამგვარი პირდაპირი მსჯელობის შესაძლებლობას, არამედ სათანადო საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით მოახდენს კიდევ სავარაუდო დარღვევათა ამგვარ შეფასებას. სწორედ ამიტომ, როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე ნაშრომში, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე მოხდეს გაეროს ფარგლებში, საერთაშორისო მექანიზმის (კონვენცია) შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება ხელშემკვრელი მხარეების მხრიდან პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევის მკაფიოდ გამოამკარავებისა და დარღვევების თავიდან აცილებისკენ. ასეთი საერთაშორისო მექანიზმის არსებობა კი მომავალში შესაძლებლობას მისცემს მონაწილე სახელმწიფოებს, დანერგონ აღნიშნული კრიტერიუმები, როგორც შიდა ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი

ოქმის სახით, თუმცა რეგიონული სამართლებრივი მექანიზმის შემოღების მიზანშეწონილობა და შესაძლებლობა, ცხადია, უკვე სხვა მსჯელობის საგანია.

#### **IV. პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაზეზღუდულ პირთა რეპარაციის მექანიზმები**

პირის პატიმრობაში პოლიტიკური ნიშნის იდენტიფიცირება თავისთავად არ გულისხმობს ამგვარი მოპყრობის შედეგების თანაზომიერად აღმოფხვრას. პოლიტიკური პატიმრობის იდენტიფიცირების შემდგომ არანაკლებ მნიშვნელოვანია სათანადო ნაბიჯების გადადგმა. როგორც უკვე აღინიშნა, ჰეგელის სასჯელის თეორიის მიხედვით, სასჯელი გამოიყენება დანაშაულის გასაბათილებლად, შესაბამისად, დამნაშავე უნდა დაისაჯოს მხოლოდ დამსახურებულად და სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული<sup>610</sup>. ლიბერალური დემოკრატიის მქონე ქვეყნები ეყრდნობიან ისეთ მაღალ ღირებულებებს, როგორცაა მართლმსაჯულება, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და ნეიტრალურობა<sup>611</sup>. შესაბამისად, პოსტტოტალიტარული სახელმწიფოების ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოებად ჩამოსაყალიბებლად, უპირველესად, აუცილებელია პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთათვის, რომელთაც არ ჩაუდენიათ დანაშაული ან მიიღეს იმაზე უფრო მაღალი სასჯელი, ვიდრე იქნებოდა პროპორციული, რეპარაციის სათანადო ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება და ასეთის მიმღებთა სათანადო უზრუნველყოფა სამართლიანობის აღსადგენად. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს სპეციალური კომისიის შექმნის შემთხვევები<sup>612</sup>. აღნიშნული კომისიები, ერთი მხრივ, ახდენენ მსხვერპლთა იდე-

---

<sup>610</sup> Thom Brooks and Sebastian Stein, *Hegel's Political Philosophy On the Normative Significance of Method and System* (Oxford: Oxford University Press, 2017), 39.

<sup>611</sup> Mark Philp, *Political Conduct* (Cambridge: Harvard University Press, 2007), 133.

<sup>612</sup> Reddy Vasu, "Truth and Reconciliation Commission" *South African Human Rights Yearbook Vol.8* (1997): 274.



ნტიფიცირებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეიმუშავებენ მათი სათანადო რეპარაციის შესახებ რეკომენდაციებს<sup>613</sup>.

2012 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ამინისტის შესახებ“ კანონი, რომლის საფუძველიც, უპირველეს ყოვლისა, სასჯელაღსრულების და პენიტენციური დაწესებულებების სისტემაში მსჯავრდებულთა შეუსაბამოდ მაღალი რაოდენობა<sup>614</sup> და მათ მიმართ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა იყო, რასაც სისტემური ხასიათი გააჩნდა<sup>615</sup>. „ამინისტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველი საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებთან ერთად იყო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1900 (2012) რეზოლუცია-<sup>616</sup>. ამ რეზოლუციით, როგორც ნაშრომის წინა ნაწილებში უკვე აღინიშნა, განისაზღვრა პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაშეზღუდულ პირთა (პოლიტიკური ნიშნით დევნილთა) სტატუსის დასადგენად აუცილებელი საერთაშორისო კრიტერიუმები. ამავე დოკუმენტით ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს, მიეცათ რეკომენდაცია რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით გადაეფასებინათ სასჯელაღსრულების და საპატიმრო დაწესებულებებში არსებული ვითარება და გაეთავისუფლებინათ სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაშეზღუდული და რეპრესირებული პირები ან ხელახლა შეესწავლათ მათი სა-

---

<sup>613</sup> *ibid.*

<sup>614</sup> „ამინისტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი. საქართველოს საკონონმდებლო მაცნე (N202-რს, 28/12/2012), პრეამბულა. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020?publication=0>. [20.08.2020]

<sup>615</sup> საქართველოს სახალხო დამცველი. „2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“. ხელმისაწვდომია:

[https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1\\_vGouD7apUmMR6MIiHIP/view](https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1_vGouD7apUmMR6MIiHIP/view). [20.08.2020].

<sup>616</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution on The definition of political prisoner (N1900 (2012) Adopted by the Assembly on 3 October 2012), available at: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150&lang=en> 20.08.2020].

ქმეები<sup>617</sup>. სწორედ აღნიშნული რეზოლუციის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 5 დეკემბერს მიიღო დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილთა შესახებ“<sup>618</sup>, რომლითაც 190 ადამიანი იქნა ცნობილი პოლიტიკურ პატიმრად<sup>619</sup>, ხოლო 25 ადამიანს პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიენიჭა<sup>620</sup>. ნიშანდობლივია, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი ამნისტიის ერთ-ერთ არგუმენტს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა განცხადებებით და თავად დადგენილების განმარტებითი ბარათის<sup>621</sup> თანახმად, წარმოადგენდა „საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა არსებობა“<sup>622</sup>, ხოლო მიზანი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 03 ოქტომბრის რეზოლუციის შესაბამისად, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთათვის სტატუსის დადგენა იყო<sup>623</sup>.

წინამდებარე თავის მიზანია პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა სრულყოფილი რეპარაციისათვის სათანადო მორალური და

---

<sup>617</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution on The definition of political prisoner (N1900 (2012) Adopted by the Assembly on 3 October 2012), available at: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150&lang=en> 20.08.2020].

<sup>618</sup> „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020].

<sup>619</sup> იქვე, დანართი N1.

<sup>620</sup> იქვე, დანართი N1 და N2.

<sup>621</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს პარლამენტის დადგენილებისათვის „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020]

<sup>622</sup> „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“, დანართი N1 და N2. <https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020].

<sup>623</sup> „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“, დანართი N1 და N2. <https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020].

ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმების იდენტიფიცირება, აღნიშნულ კონტექსტში საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. ამავე დროს, ცხადია, რეპარაციის კონტექსტში შეფასდება იმ ქმედებების ეფექტურობა, რაც განხორციელდა მოქმედი ხელისუფლების მიერ ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების მიღების შემდეგ, როგორებიცაა 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილთა შესახებ“ და 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“.

## **1. პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის განსაზღვრება და რეპარაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკომენდაციები**

**1.1. ამნისტია როგორც პასუხისმგებლობის არსებობის პრეზუმფცია**  
ამნისტიის შესახებ კანონები პოსტკონფლიქტურ წყობილებათა შედეგების აღმოფხვრისკენ მიმართული ერთ-ერთი უძველესი ინსტრუმენტია, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ხამურაბის ეპოქაში იღებს ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 1700 წელს<sup>624</sup>. ამნისტია და შეწყალება მიიჩნევა პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების ყველაზე გავრცელებულ შემთხვევად და მას, მიუხედავად სახელწოდებათა სახესხვაობისა, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კანონმდებლობა შეიცავს<sup>625</sup>. ამნისტია, უმეტეს შემთხვევაში, განიხილება როგორც საგანგებო კანონმდებლობა და, შესაბამისად, მისი შინაარსის განსაზღვრისას მოქმედებს ნორმები, რომლებიც მოი-

---

<sup>624</sup> Louise Mallinder, “Global Comparison of Amnesty Laws”. (August 1, 2009). The Pursuit of International Criminal Justice: A World Study on Conflicts, Victimisation, and Post-Conflict Justice, M. Cherif Bassiouni, ed., Intersentia, Antwerp 2010: 1. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1586831>.

<sup>625</sup> გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 11.

თხოვს საკითხის მაქსიმალურად ვიწრო და კონკრეტულ დარეგულირებას<sup>626</sup>. ამნისტიის გამოყენების ძირითადი მიზეზი პოსტკონფლიქტურ პერიოდში სენსიტიური პოლიტიკური საჭიროებაა, „სამართლიანობის“ საკითხზე მაღლა დადგეს საზოგადოების შერიგების საკითხი<sup>627</sup>. შესაბამისად, ამნისტია თავისი მნიშვნელობით სცდება მხოლოდ სამართლებრივი კატეგორიის ფარგლებს<sup>628</sup>. კერძოდ, ეს აქტი თავისი ბუნებით უფრო მეტად პოლიტიკური კატეგორიის საკითხია<sup>629</sup>.

თავისთავად ამნისტიის კანონი, როგორც აღინიშნა, გადაუდებელი ინსტრუმენტია პოსტკონფლიქტურ პერიოდში, რაც მის გამოყენებას ხშირად აზრთა სხვადასხვაობის ობიექტად აქცევს<sup>630</sup>. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა „მშვიდობა სამართლიანობის წინააღმდეგ“ დებატის სახელითაა ცნობილი, რომელიც ამნისტიის კანონისა და სხვა პოსტკონფლიქტური წარმონაქმნების – სასამართლოებისა და სპეციალური კომისიების გამოყენების ჭრილში განიხილავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა სამართალი, პოლიტიკა და ეთიკა<sup>631</sup>. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამნისტიის გამოყენების კონტექსტში ერთმანეთს უპირისპირდება მოსაზრებები მისი გამოყენების

---

<sup>626</sup> იქვე.

<sup>627</sup> Lisa J. Laplante, “Outlawing Amnesty: The Return of Criminal Justice in Transitional Justice Schemes.” *Virginia Journal of International Law*, Vol. 49, (2009); *Marquette Law School Legal Studies Paper No. 08-26: 916*. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1292062>.

<sup>628</sup> Louise Mallinder, *Amnesty, Human Rights and Political Transitions: Bridging the Peace and Justice Divide (Studies in International Law)*. 1<sup>st</sup> ed. (London: Hart Publishing, 2008), 3.

<sup>629</sup> *ibid.*

<sup>630</sup> Louise Mallinder, “Global Comparison of Amnesty Laws”. (August 1, 2009). *The Pursuit of International Criminal Justice: A World Study on Conflicts, Victimisation, and Post-Conflict Justice*, M. Cherif Bassiouni, ed., Intersentia, Antwerp 2010: 1. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1586831>

<sup>631</sup> Louise Mallinder, “Global Comparison of Amnesty Laws”. (August 1, 2009). *The Pursuit of International Criminal Justice: A World Study on Conflicts, Victimisation, and Post-Conflict Justice*, M. Cherif Bassiouni, ed., Intersentia, Antwerp 2010: 1. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1586831>

მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით<sup>632</sup>. მიზანშეწონილობის საკითხზე მსჯელობისას კი აქტუალობას იძენს რიგი პოლიტიკური, მორალური და სამართლებრივი ასპექტებისა<sup>633</sup>. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ინსტრუმენტი თავისი მნიშვნელობით, პოსტკონფლიქტურ პერიოდში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ეფექტიან საშუალებად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს სსკ თანახმად, საქართველოს პარლამენტი ამნისტიას აცხადებს ინდივიდუალურად განუსაზღვრელი პირების მიმართ<sup>634</sup>. მიუხედავად იმისა, რომ კანონში პირდაპირ არ არის დათქმა, ცხადია, საყოველთაო ამნისტია ცდება მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებს და იგი თავისი შინაარსით, ასევე წარმოადგენს პოლიტიკურ აქტს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს აქვს მისი მიღების ექსკლუზიური უფლება, რაც აქტის მაღალ ლეგიტიმაციას ადასტურებს.

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ თავად ამნისტია, როგორც თავის არსში სამოქალაქო მიტევების ინსტრუმენტი, ავტომატურად არ ნიშნავს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის აღიარებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, თუ ამნისტიის შესახებ კანონს თავად უდევს საფუძვლად დარღვეული უფლების აღდგენის მიზანი. ასეთ შემთხვევაში, დარღვევების მსხვერპლთა მიმართ დგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის არსებობის პრეზუმფცია, ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის პრინციპიდან გამომდინარე. ასეთი პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ავტომატურად არ ნიშნავს დანაშაულის არჩადენას და ზოგადად არ ქმნის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს, რასთან დაკავშირებითაც ნაშრომის წინა თავებში უკვე მოცემულია მსჯელობა.

---

<sup>632</sup> Louise Mallinder, *Amnesty, Human Rights and Political Transitions: Bridging the Peace and Justice Divide* (Studies in International Law). 1<sup>st</sup> ed. (London: Hart Publishing, 2008), 3.

<sup>633</sup> *ibid.*

<sup>634</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (სსმ, 41(48), N2287, 13/08/1999), მუხლი 77.1. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=228>. [20.08.2020].

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნებისმიერი ამნისტია და სპეციალური დადგენილება, პოლიტიკური დევნილების და პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ, თავისთავად ქმნის პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა სათანადო რეაბილიტაციის სამართლებრივი მექანიზმების შემოღების აუცილებლობას. ამავე დროს არ შეიძლება, ხაზი არ გაესვას ამნისტიის კანონის მაპრევენციურ ბელ ხასიათს, სამომავლოდ მსგავსი დარღვევების აღმოსაფხვრელად, აღნიშნული საგამონაკლისო სამართლებრივი აქტის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

## 1.2. პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის პრინციპები

მართალია უზრუნველყოფს პირისათვის თავისუფლების მინიჭებას, თუმცა იგი სრულყოფილად მაინც ვერ ახდენს პოსტკონფლიქტურ პერიოდში კონფლიქტისას წარმოშობილი პრობლემების აღმოფხვრას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ აქტს გააჩნია წარმატებული შედეგი, იგი მაინც საჭიროებს ხშირ შემთხვევაში დროის ხანგრძლივ პერიოდს პირველადი დანაშაულის შეფარდებასა და ამნისტიის აქტს შორის<sup>635</sup>. შესაბამისად, ამნისტიის არსებობის შემთხვევაშიც კი აუცილებელი ხდება სხვა რეპარაციული მექანიზმების შემოღება.

პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის ძირითადი პრინციპები აღიარა საერთაშორისო სამართლის კომისიამ გაეროს 53 სესიაზე 2001 წელს და შემუშავდა „მონაწილე სახელმწიფოთათვის საერთაშორისო სამართალდარღვევების თაობაზე“ წესები<sup>636</sup>.

---

<sup>635</sup> Leila N. Exile Sadat, “Amnesty and International Law” Washington U. School of Law Working Paper, No. 05-04-03 (April 2005): 12. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=712621> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.712621>.

<sup>636</sup> United Nations, Draft articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts (Supplement No. 10 (A/56/10), chp.IV.E.1, November, 2001), Supplement No. 10 (A/56/10), available at: [https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/commentaries/9\\_6\\_2001.pdf](https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/commentaries/9_6_2001.pdf). [20.08.2020].

გაეროს მიერ 2005 წლის 16 დეკემბერს მიღებული იქნა N60/147 რეზოლუცია „ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ზიანის ანაზღაურების უფლების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევის ძირითადი პრინციპების და რეკომენდაციების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა ძალადობის მსხვერპლთა რეპარაციის ძირითადი სტანდარტები. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თანასწორი და ეფექტური გარემოს უზრუნველყოფა<sup>637</sup>. ასევე, კომპენსაციის ადეკვატური, ეფექტური და სწრაფი მექანიზმების დანერგვა და მსხვერპლთა რეპარაციის შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფა<sup>638</sup>.

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია გაეროს 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, რომლის მე-2 მუხლის თანახმად: „ყოველი მონაწილე სახელმწიფო მიმართავს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა ღონისძიებებს მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად“<sup>639</sup>. აღნიშნული დათქმა გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, არა მხოლოდ დროული რეაგირება მოახდინოს წამების და ღირსების შემლახავი ფაქტების შესახებ, ყველა დონეზე და, მათ შორის, სასჯელალსრულების დაწესებულებაში, არამედ შექმნას ისეთი სამართლებრივი

---

<sup>637</sup> “Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law” Adopted and proclaimed by General Assembly resolution 60/147 of 16 December 2005, Article VII. Victims’ right to remedies.

<sup>638</sup> “Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law” Adopted and proclaimed by General Assembly resolution 60/147 of 16 December 2005, Article VII. Victims’ right to remedies.

<sup>639</sup> „კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ, -, 25/05/2000). ხელმისაწვდომია:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>. [20.08.2020]

მექანიზმები, რომელიც მოახდენს წამების პრევენციას, მსხვერპლთა რეაბილიტაციის და მხარდაჭერის ჩათვლით.

ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაა გათვალისწინებული გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დატუსაღებულ პირთა დაცვის პრინციპებითაც. კერძოდ, „ამ პრინციპებით მინიჭებული უფლებების დარღვევით სახელმწიფო მოხელის ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების მიხედვით“<sup>640</sup>.

1987 წლის „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციით“<sup>641</sup>, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2000 წლის 3 მაისის დადგენილებით, დაარსდა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი, როგორც მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი კონვენციაზე ხელმომწერი ქვეყნებისათვის. კონვენციის მნიშვნელობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მისი 21-ე მუხლის თანახმად: „დაუშვებელია დათქმების გაკეთება ამ კონვენციის დებულებათა მიმართ“. ეს პირობა მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 პუნქტთან ერთობლიობაში, რომელიც აბსოლუტური კატეგორიისაა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ანდაც დასჯის მიმართ.

საერთაშორისო სამართლით დადგენილი მექანიზმები უზრუნველყოფს ძალადობის და წამების მსხვერპლთა რეპარაციის ხელმისაწვდომობას, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

---

<sup>640</sup> United Nations, Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Deatention or Imprisonment (Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988), Principle 35. available at <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx>.

<sup>641</sup> „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია“. საქართველოს საკანონმებლო მაცნე, (სსმ,-, 25/05/2000). ხელმისაწვდომია:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>. [20.08.2020].



1998 წლის 17 ივლისს გაეროს უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე დამტკიცდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (რომის სტატუტი) წესდება<sup>642</sup>.

რომის სტატუტი, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 1-ელ ივლისს, ადგენს ძალადობის და წამების მსხვერპლთა მიერ როგორც ეროვნული სასამართლოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, ისე პირდაპირ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ხელმისაწვდომობას, რაც, ცხადია, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს სისტემური დანაშაულების პოლიტიკურ მსხვერპლთა დაცვისათვის.

თუმცა, ცხადია, რომ რეპარაციის მექანიზმების საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე არსებობის თანმდევი შედეგი, რაც ხელშემკვრელი მხარეების შიდა სამართლებრივი კანონმდებლობის მოწესრიგებაა საერთაშორისო კრიტერიუმების გათვალისწინებით. აღნიშნული გამომდინარეობს კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობის პირობებში სასამართლოების მიერ ინდივიდუალურ საჩივრების განუხილველობის პრევენციის მიზნებიდან<sup>643</sup>. მაგალითისათვის, არსებული პრაქტიკის მიხედვით, ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოებმა რესტიტუციის საკითხის განხილვაზე უარი თქვეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არათვითამსრულებელი ხასიათის გამო<sup>644</sup>.

რეპარაციის აუცილებლობა გამომდინარეობს როგორც წმინდა სამართლებრივი, ისე პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირადი შურისძიების შემთხვევები. შედეგად, ასეთი პრინციპის საფუძველზე შექმნილმა კომისიებმა, რომლებზე მსჯელობაც მომდევნო ქვეთავში იქნება მოცემული, პრაქტიკული თვალსაზრისით, გარდამტეხი როლი შეასრულეს

---

<sup>642</sup> იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება (N800/3, სსმ, ვებგვერდი, 20/02/2019). ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4478727?publication=0>. [20.08.2020].

<sup>643</sup> Julien Piacibello, "Ad Hoc Reparation Mechanisms" (Houston Journal of International Law 35, no. 1 (Winter 2013)): 82.

<sup>644</sup> *ibid.*

ისეთ ქვეყნებში, სადაც ადამიანის უფლებები მასობრივად ირღვეოდა<sup>645</sup>. ამასთანავე, საერთაშორისო პრაქტიკაში ფართო გავრცელება პოვა ადგილობრივ დონეზე ad hoc რეპარაციულმა მექანიზმებმა, რომლებიც კონკრეტული ფორმის ძალადობის მსხვერპლთ რეპარაციის შესაძლებლობას აძლევს<sup>646</sup>.

### **1.3. პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მექანიზმების შემუშავებელი ორგანოები სხადასხვა ქვეყანაში**

ადამიანის დარღვეულ უფლებათა აღდგენის მიმართულებით ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული ინსტრუმენტი ე.წ. „სიმართლის კომისიებია“<sup>647</sup>. უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი კომისიები გაიმიჯნოს ზოგადი საგამომიებო ორგანოებისაგან. ამგვარი გამოიჯვნა კი ემყარება სიმართლის კომისიის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს. კერძოდ, „სიმართლის კომისიები“ არის კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებული თემატური ინსტიტუციები, რომლებიც ორიენტირებული არიან იმ სოციო-ისტორიული მოვლენის საჯარო-პოლიტიკური ანალიზის გზით შეფასებისაკენ, სადაც მასობრივად დაირღვა ადამიანის უფლებები<sup>648</sup>.

ამგვარი კომისიის მეშვეობით პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მეტყველებს უშუალოდ ასეთი პრაქტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება. კერძოდ, სამხრეთი აფრიკის შემთხვევაში, მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და მათი რეპარაციის მექანიზმების შემუშავებელი კომისი-

---

<sup>645</sup> Angelika Schlunck, "Truth and Reconciliation Commissions" (ILSA Journal of International & Comparative Law, Vol. 4, Issue 2 (Spring 1998)): 415.

<sup>646</sup> Julien Piacibello, "Ad Hoc Reparation Mechanisms" (Houston Journal of International Law 35, no. 1 (Winter 2013)): 89.

<sup>647</sup> Eric Wiebelhaus-Brahm, "What is a Truth Commission and Why Does it Matter?" Peace and Conflict Review, Vol. 3, No. 2 (Spring 2009): 1. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1611719>.

<sup>648</sup> შИШВ.

ის შექმნის აუცილებლობა კონსტიტუციურ დონეზეც კია აყვანილი<sup>649</sup>.

კომისიის შექმნა, როგორც წესი, უკავშირდება ძალადობრივი ან სამხედრო რეჟიმის ცვლილებას დემოკრატიული სამოქალაქო ხელისუფლებით<sup>650</sup>. ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ამგვარი ხელისუფლების ცვლილებას თან სდევს პოლიტიკურ მსხვერპლთა რეაბილიტაციის აუცილებლობა<sup>651</sup>. ასეთი კომისიების კონცეპტუალურ ანალოგებს ვხვდებით გერმანიაში, ურუგვაიაში, არგენტინაში, სამხრეთ აფრიკასა და რუანდაში<sup>652</sup>. უახლესი ისტორიიდან კი შესაძლოა მოშველიებულ იქნეს სამხრეთი კორეის მაგალითი, სადაც კორეული ომისა და მისი წინა ისტორიის პერიოდში ადამიანის უფლებათა საკითხებზე შეიქმნა ამგვარი კომისია<sup>653</sup>.

კომისიის მიზანი, პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაკლებად არის კლასიკური გაგებით გამოძიების ფუნქციის შესრულება ექვმიტანილის მიმართ<sup>654</sup>. თუმცა ამავდროულად ამგვარი კომისიები საქმეთა განხილვას საჯარო ფორმატშიც აწარმოებენ<sup>655</sup>, რაც, ამ თვალსაზრისით, კომისიებს კვაზი სასამართლო ელფერს სძენს. იგი, როგორც წესი, წარმოადგენს სათანადო ფორუმს, არსებული ფაქტების შესახებ სიმართლის და რეპარაციის საკითხების დასადგენად<sup>656</sup>. ერ-

---

<sup>649</sup> Reddy Vasu, "Truth and Reconciliation Commission" South African Human Rights Yearbook Vol.8 (1997): 269.

<sup>650</sup> Angelika Schlunck, "Truth and Reconciliation Commissions" (ILSA Journal of International & Comparative Law, Vol. 4, Issue 2 (Spring 1998)): 415.

<sup>651</sup> *ibid.*

<sup>652</sup> Reddy Vasu, "Truth and Reconciliation Commission" South African Human Rights Yearbook Vol.8 (1997): 269.

<sup>653</sup> Kim Dong-Choon, "Korea's Truth and Reconciliation Commission: An Overview and Assessment". Buffalo Human Rights Law Review, Vol. 19 (2013): 97.

<sup>654</sup> Reddy Vasu, "Truth and Reconciliation Commission" South African Human Rights Yearbook Vol.8 (1997): 269.

<sup>655</sup> Eric Wiebelhaus-Brahm, "What is a Truth Commission and Why Does it Matter?" Peace and Conflict Review, Vol. 3, No. 2 (Spring 2009): 9. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1611719>.

<sup>656</sup> Angelika Schlunck, "Truth and Reconciliation Commissions" (ILSA Journal of International & Comparative Law, Vol. 4, Issue 2 (Spring 1998)): 415.

თი მხრივ, ქვეყნისათვის საიმჯო თვალსაზრისით, ამგვარი კომისიების შექმნა შესაძლოა უარყოფითად შეფასდეს. თუმცა, მეორე მხრივ, შემდგომი შურისძიების თავიდან აცილება და სამართლიანობის მაღალი ღირებულება უპირატესად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც არსებობს სათანადო, კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები ადამიანის უფლებათა მძიმე მდგომარეობის თაობაზე, ამგვარი სპეციალური კომისიების საქმიანობა დადებითადაც კი შესაძლოა წაადგეს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

ამასთანავე, კომისიების მიერ შეთავაზებული რესტიტუციის მექანიზმები ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს და უფრო დეკლარაციული ხასიათისაა, ვიდრე ფინანსური<sup>657</sup>. რეპარაციის ერთ-ერთ გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს სტიპენდიების დაწესება, ჯანდაცვის და სოციალური ხარჯების უზრუნველყოფა<sup>658</sup>. თუმცა, აღნიშნულის მიღმა შესაძლებელია ისეთი სიმბოლური ინსტრუმენტის გამოყენებაც, როგორცაა მაგალითად, ქუჩებისათვის მსხვერპლთა სახელების მინიჭება<sup>659</sup>.

სამხრეთი აფრიკის შემთხვევაში, აპართეიდი თავისი შინაარსით წარმოადგენდა რეჟიმს, რომელიც ზეწოლას ახდენდა სხვადასხვა ჯგუფზე<sup>660</sup>. ამგვარი ზეწოლის საფუძველი კი, ძირითადად, კანის ფერი, ადგილსამყოფელი, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური საფუძვლები იყო<sup>661</sup>. მდგომარეობას კიდევ უფრო მეტ მასშტაბებს ის გარემოება სძენდა, რომ ასეთმა დარღვევებმა თითქმის 50 წელი გასტანა<sup>662</sup>. ამ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, მოგვიანებით შეიქმნა „სამართლისა და შერიგების“<sup>663</sup> სახელწოდების კო-

---

<sup>657</sup> Mia Swart, "Name Change as Symbolic Reparation after Transition: The Example of Germany and South Africa," *German Law Journal* 9, no. 2 (February 1, 2008): 108.

<sup>658</sup> *ibid.*

<sup>659</sup> *ibid.*, 109.

<sup>660</sup> Jon Elster, *Retribution and Reparation in the Transition to Democracy* (Cambridge: Cambridge University Press, 2006), 299.

<sup>661</sup> *ibid.*

<sup>662</sup> *ibid.*

<sup>663</sup> Truth and Reconciliation Commission.

მისია<sup>664</sup>. ამგვარი კომისიების არსებობის ფაქტი, რომელიც რასიზმისა და ჩაგვრის შემთხვევებზე რეაგირების მიზნით ჩამოყალიბდა<sup>665</sup>, მსგავსი კატეგორიების კომისიის მუშაობის სამოდელო მაგალითადაც შეიძლება იქნეს განხილული.

„სიმართლისა და შერიგების კომისია“ სამი კომიტეტის მეშვეობით შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მუშაობდა: 1) ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება; 2) ამნისტიასთან დაკავშირებული საკითხები; 3) მსხვერპლთა სათანადო რეპარაცია<sup>666</sup>. ეს კომიტეტები ურთიერთქმედებდნენ შემდეგი პრინციპით: პირველ ეტაპზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შემსწავლელი კომიტეტი ახდენდა იმ პირთა იდენტიფიცირებას, რომელთა რეპარაციასაც შემდგომ შესაბამისი კომიტეტი უზრუნველყოფდა<sup>667</sup>. მომდევნო ეტაპზე კი აღნიშნული პირების ამნისტირება, თავის მხრივ, ამავე მიზნით შექმნილი კომიტეტის შესწავლის საგანს წარმოადგენდა<sup>668</sup>.

შედეგობრივი თვალსაზრისით, კომისიამ 21 000 საჩივარი განიხილა, რომელთაგან 2 000 საჯარო მოსმენის სახით იქნა განხილული, ხოლო 849 ადამიანს ამნისტია შეეხო<sup>669</sup>. ამასთანავე, კომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, თითოეულ მსხვერ-

---

<sup>664</sup> Jon Elster, *Retribution and Reparation in the Transition to Democracy* (Cambridge: Cambridge University Press, 2006), 4.

<sup>665</sup> *ibid.*, 239.

<sup>666</sup> Hector Ramírez-Mendoza, , Joel MF Olasolo and Antonio Varón. “Have the Colombian Government and the FARC Learnt the Lessons of the South African Truth and Reconciliation Commission As to the Need to Clearly Define and Prioritize the Main Goals of a Truth Commission?” *Harvard Human Rights Journal*, Forthcoming (October 9, 2017): 4. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=3050269>.

<sup>667</sup> Penelope Andrews, “A Grand Exercise in Forgiveness, or Justice Held Hostage to Truth? South Africa’s Truth and Reconciliation Commission”, *Melbourne University Law Review* 8 (September 15, 2000): 3, Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1474051> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1474051>.

<sup>668</sup> *ibid.*

<sup>669</sup> <https://www.usip.org/publications/1995/12/truth-commission-south-africa> (06/06/2019).

პლს კომპენსაციის სახით უნდა დანიშვნოდა 3 500 აშშ დოლარი ყოველწლიურად, 6 წლის განმავლობაში<sup>670</sup>.

სამხრეთაფრიკული კომისიის არგენტინული ანალოგი ცნობილია „სიმართლის კომისიის“ სახით. ამ კომისიის შექმნა განაპირობა სამხედრო პოლიტიკურმა რეჟიმმა, რომელსაც ადგილი 70-იან წლებში ჰქონდა<sup>671</sup>. მმართველობის პოლიტიკური იდეოლოგია ემყარებოდა „ნაციონალური უსაფრთხოების დოქტრინას“, რომელიც შინაარსობრივად ძალადობრივ ხასიათს ატარებდა<sup>672</sup>. შედეგად, უსაფრთხოების სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ადამიანის უფლებების დარღვევას ფართო მასშტაბები ჰქონდა შემენილი<sup>673</sup>. კომისია შედგებოდა ცამეტი წევრისაგან, რომლებიც დაკომპლექტებულნი იყვნენ პრეზიდენტის და საკანონმდებლო ორგანოს მიერ<sup>674</sup>. კომისიის მანდატს 1976-1983 წლებში ადამიანების გაუჩინარების ფაქტების შესწავლა წარმოადგენდა<sup>675</sup>. ჯამში, „სიმართლის კომისიამ“, სამხრეთაფრიკული „სამართლისა და შერიგების“ კომისიის მსგავსად, საქმეთა საკმაოდ დიდი რაოდენობა შეისწავლა, რის შედეგადაც დაადგინა ათობით ათასი ადამიანის გაუჩინარების ფაქტი და აღნიშნულის კომპენსირების მიზნით 3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი იქნა გაღებული<sup>676</sup>.

იდენტური სახელწოდების კომისია შეიქმნა ლიბერიაშიც 2009 წელს, რომლის შესწავლის საგანიც 30 წლით ადრე მომხდარი სამოქალაქო ომი იყო<sup>677</sup>. კომისია შედგებოდა პრეზიდენტის მიერ

---

<sup>670</sup> *ibid.*

<sup>671</sup> Jon Elster, *Retribution and Reparation in the Transition to Democracy* (Cambridge: Cambridge University Press, 2006), 207.

<sup>672</sup> J Jon Elster, *Retribution and Reparation in the Transition to Democracy* (Cambridge: Cambridge University Press, 2006), 207.

<sup>673</sup> Jon Elster, *Retribution and Reparation in the Transition to Democracy* (Cambridge: Cambridge University Press, 2006), 207.

<sup>674</sup> <https://www.usip.org/publications/1983/12/truth-commission-argentina> (06/06/2019).

<sup>675</sup> [tps://www.usip.org/publications/1983/12/truth-commission-argentina](https://www.usip.org/publications/1983/12/truth-commission-argentina) =(06/06/2019).

<sup>676</sup> <https://www.usip.org/publications/1983/12/truth-commission-argentina> (06/06/2019).

<sup>677</sup> Evelyn Schmid, “Liberia’s Truth Commission Report: Economic, Social, and Cultural Rights in Transitional Justice” (PRAXIS - The Fletcher Journal of Human Security, Vol. XXIV (May 2009)): 5. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1425543>.

დამტკიცებული 9 წევრისაგან<sup>678</sup>. რეპარაციის თვალსაზრისით, აღნიშნულმა ორგანომ დაადგინა მსხვერპლთათვის იმგვარი პროგრამის შექმნის საჭიროება, რომელიც 30 წლის განმავლობაში მსხვერპლებს 500 მილიონ ამერიკულ დოლარს გადაუხდის<sup>679</sup>.

პოლიტიკური რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი, როგორც წესი, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული სისტემური ხარვეზებია. სწორედ ამ ხარვეზების დასადგენად სპეციალური კომისიის შესახებ პროექტი ქართულ რეალობაშიც იქნა წარმოდგენილი<sup>680</sup>. ვენეციის კომისიამ ვრცლად იმსჯელა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე წარმოდგენილ დასკვნაში<sup>681</sup>. კომისიამ მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის კომპეტენციაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანი პარალელი გაავლო ინგლისის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის კომისიის და ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეთა კომისიის საქმიანობის მაგალითებზე და მკაფიოდ მიუთითა, რომ არცერთი ეს კომისია არ იჭრება სასამართლო ხელისუფლებაში და მათი დასკვნები წარმოადგენს მხოლოდ ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო დაინტერესებული პირების მიერ სასამართლოსათვის მიმართვის ხელმისაწვდომ სამართლებრივ მექანიზმს<sup>682</sup>.

---

<sup>678</sup> <https://www.usip.org/publications/2006/02/truth-commission-liberia> (06/06/2019).

<sup>679</sup> <https://www.usip.org/publications/2006/02/truth-commission-liberia> (06/06/2019).

<sup>680</sup> იხ. „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე“ 2013 წლის 20 მაისის საქართველოს კანონი (სსმ, N 0, ვებგვერდი, 20/05/2013), ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1924705?publication=0>. [20.08.2020]

<sup>681</sup> „ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე“. (დასკვნა N 728; 27 ივნისი, 2013 წელი). ხელმისაწვდომია: <https://gdi.ge/uploads/other/0/182.pdf>. [20.08.2020].

<sup>682</sup> იქვე.

ზემოაღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ ამგვარი კომისიების საქმიანობა, შედეგობრივი თვალსაზრისით, რეპარაციის მნიშვნელოვანი მექანიზმია. ამავდროულად, არ შეიძლება ითქვას, რომ კომისიის არსებობა ავტომატურად გულისხმობს საბოლოო შედეგის სახით რეპარაციის სათანადო ინსტრუმენტების შექმნას. მაგალითად, კოლუმბიისა და მექსიკის შემთხვევაში, ამგვარი კომისიის საბოლოო შედეგებს რამდენიმე წელია ელიან, თუმცა ისინი ამ მომენტამდე არ გასაჯაროებულა<sup>683</sup>. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი კომისიების არსებობას თან ახლდეს სათანადო პოლიტიკური ნება, რაც ერთიანობაში ქვეყნის დემოკრატიულ რელსებზე დაბრუნებისას შექმნის შერიგებისა და სამართლიანობის აღდგენის ისეთ მექანიზმს, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან.

#### 1.4 რეპარაციის საერთაშორისოდ აღიარებული ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმები

საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს რეპარაციის უნიფიცირებულ მექანიზმთა წრე, რომელთა ერთიანობაში გამოყენება უზრუნველყოფს მსხვერპლთა რეაბილიტაციას. იგი უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა, რა თქმა უნდა, საერთაშორისო გამოცდილების მხედველობაში მიღებით.

სწორედ რეპარაციის მექანიზმთა დადგენის პრობლემურობა წარმოადგენს გავრცელებული პრაქტიკის ერთ-ერთ მიზეზს, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკურ დევნილთა იდენტიფიცირებისა და რეპარაციის მექანიზმების შესამუშავებლად იქმნება სპეციალური კომისიები<sup>684</sup>.

---

<sup>683</sup> Eric Wiebelhaus-Brahm, “What is a Truth Commission and Why Does it Matter?” *Peace and Conflict Review*, Vol. 3, No. 2 (Spring 2009): 9. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1611719>.

<sup>684</sup> Reddy Vasu, “Truth and Reconciliation Commission” *South African Human Rights Yearbook* Vol.8 (1997): 274.



ზოგადად, რეპარაციის ცნება უნდა გაიმიჯნოს კომპენსაციის ცნებისგან. რეალურად კომპენსაცია რეპარაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, სხვა ისეთ ფორმებს შორის, როგორც არის რესტიტუცია, რეაბილიტაცია, დაკმაყოფილება და გარანტია. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით: „უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება“. თავის მხრივ, აღნიშნული გულისხმობს უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში, ნაციონალური სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით პირის კომპენსირებას. მაშინ, როდესაც, რეპარაცია არა მხოლოდ სასამართლო არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტრუმენტია.

გაეროს 2005 წლის 16 დეკემბრის N60/147 რეზოლუცია „ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ზიანის ანაზღაურების უფლების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევის ძირითადი პრინციპების და რეკომენდაციების შესახებ“, განმარტავს რეპარაციის ტერმინოლოგიურ და შინაარსობრივ ფორმებს, კერძოდ:

**რესტიტუციაში** იგულისხმება მსხვერპლთა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეუძლებელია, უნდა მოხდეს პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალური მიახლოება<sup>685</sup>. აღნიშნული უნდა გაიმიჯნოს კომპენსაციისაგან, რომელიც თავის თავში ზიანის ანაზღაურებაა და არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

**კომპენსაცია** მოიცავს მსხვერპლთა ნებისმიერი დანაკარგების შესაძლებელ და ადეკვატურ ანაზღაურებას, მათ შორის, ზიანის ანაზღაურებას მორალური, ფსიქოლოგიური, ჯანმრთელობის ზიანისათვის და ასევე განაცდურის, სამედიცინო, იურიდიული და სხვა სახის გაწეული ხარჯებისათვის<sup>686</sup>. ამ ტიპის კომპენსაცია სახელმ-

---

<sup>685</sup> “Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law” Adopted and proclaimed by General Assembly resolution 60/147 of 16 December 2005, Article VII. Victims’ right to remedies.

<sup>686</sup> *ibid.*

წიფოსათვის ყველაზე ძვირადღირებულად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა, მონეტარული კომპენსირების პრაქტიკას ადგილი საკმაოდ ხშირად აქვს და იგი სათავეს მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან იღებს<sup>687</sup>. მეორე მხრივ, არსებობს შემთხვევები, კამბოჯის მაგალითზე, როდესაც, მილიონობით მსხვერპლისა და ქვეყნის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, მხოლოდ კოლექტიური და მორალური კომპენსირების შესაძლებლობა იქნა გათვალისწინებული<sup>688</sup>.

**რეაბილიტაცია** მოიცავს სამედიცინო და ფსიქოლოგიური სერვისების უზრუნველყოფას, ისევე როგორც სამართლებრივ და სოციალურ გარანტიებს<sup>689</sup>.

**დაკმაყოფილება** განისაზღვრება როგორც პოლიტიკური დევნის შეწყვეტის უზრუნველყოფა. მსხვერპლთა უფლებების აღიარება და საჯარო ბოდიშის მოხდა სახელმწიფოს მიერ, დამნაშავეთა მოძიება და პასუხისგება, მსხვერპლთა ხსოვნის პატივისცემის ღონისძიებების გამართვა<sup>690</sup>.

**გარანტიებში** იგულისხმება სახელმწიფოს მიერ ეფექტური პრევენციული მექანიზმების გატარება წამების და ძალადობის აღსაკვეთად. კონტროლი სახელისუფლო უწყებებზე, რომ ყველა სამოქალაქო და ძალოვანმა სტრუქტურამ დაიცვას საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით<sup>691</sup>. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, კო-

---

<sup>687</sup> Reddy Vasu, "Truth and Reconciliation Commission" South African Human Rights Yearbook Vol.8 (1997): 274.

<sup>688</sup> John D. Ciorciari and Jaya Ramji-Nogales, "Lessons form the Cambodian Experience with Truth and Reconciliation". Buffalo Human Rights Law Review, Vol. 19 (April, 2013): 211.

<sup>689</sup> Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law" Adopted and proclaimed by General Assembly resolution 60/147 of 16 December 2005, Article VII. Victims' right to remedies, Article 8.21.

<sup>690</sup> ibid, 8.22.

<sup>691</sup> ibid, 8. 23.

ნტროლისა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების დანერგვა<sup>692</sup>.

რეპარაციის ცალკეული მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობა იყოს<sup>693</sup>, რაც დამოკიდებულია ყოველი ქვეყნის მულტიკულტურულ გარემოსა და არსებულ ტრადიციებზე, ასევე, შიდა საკანონმდებლო სისტემაზე. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ საერთაშორისო სამართლით დადგენილი ზოგადი განსაზღვრებები სისტემური დანაშაულის მსხვერპლთა რეპარაციის მიზნებისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაზეზღუდულ პირთა რეპარაციისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს ადამიანის უფლებას, მისი დაკავების ან დაპატიმრების უკანონობის შემთხვევაში მიიღოს სათანადო კომპენსაცია<sup>694</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი წარმოადგენს კომპენსაციის მიღების ნორმატიულ საფუძველს, კონვენციის 50-ე მუხლთან ერთად, რომელიც ზოგადი ხასიათის დებულებაა და არეგულირებს კომპენსაციის მინიჭების უფლებას<sup>695</sup>. აღნიშნული სახეზეა მაშინ, როდესაც სასამართლო აღმოაჩენს ერთი ან რამდენიმე გარანტირებული უფლების ხელყოფის

---

<sup>692</sup> *ibid.*

<sup>693</sup> Sarah Cullinan, *Torture Survivors Perceptions of Reparation: A Preliminary Survey*. Mitcham: The Trustees of The Redress Trust, 2001, 11.

<sup>694</sup> კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), 154. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

<sup>695</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადაკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 245.

ფაქტს და მოქმედი ეროვნული სამართალი არ ითვალისწინებს ადეკვატურ კომპენსაციას<sup>696</sup>. კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი წარმოადგენს კომპენსაციის დაკისრების ნორმატიულ საფუძველს იმ ორგანოებისათვის, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა უშუალოდ უკანონო დაკავების ან დაპატიმრებისათვის<sup>697</sup>. აქვე აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია, როგორც წესი, ფინანსური ხასიათისაა<sup>698</sup>.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, როგორც მორალური, ისე მატერიალური ზიანისათვის, ორი კუმულატიური პირობის არსებობის შემთხვევაში: 1) კომპენსაციის მოთხოვნა დაყენებულ უნდა იქნეს კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დებულებების ხელყოფით დაკავების ან დაპატიმრებისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ეროვნული კანონმდებლობით სამართალწარმოებისას და 2) უნდა არსებობდეს მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დებულების არსებითი ხელყოფა<sup>699</sup>.

---

<sup>696</sup> იქვე.

<sup>697</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002),.

<sup>698</sup> კონსტანტინე კორკელია, ნანა მჭედლიძე და ალექსანდრე ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005), 110.

<sup>699</sup> ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002), 246.

## 2. საქართველოში პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაზეზღუდულ პირთა რეპარაციის მექანიზმების შემოღების აუცილებლობა და არსებული მექანიზმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

### 2.1. საქართველოში პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მექანიზმების შემოღების აუცილებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი ადგენს ადამიანის უფლებების აბსოლუტური კატეგორიით დაცულ გარანტიებს წამების აკრძალვასა და ღირსების ხელშეუვალობასთან დაკავშირებით<sup>700</sup>. აღნიშნული სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან წამების აკრძალვასთან დაკავშირებით<sup>701</sup>. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი იძლევა ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის კონსტიტუციურ გარანტიას და ადგენს უკანონოდ თავისუფლებაზეზღუდული პირის უფლებას სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციაზე<sup>702</sup>, ხოლო კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს სსკ კოდექსის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მეორე პუნქტი კი იმპერატიულად განსაზღვ-

---

<sup>700</sup> საქართველოს კონსტიტუცია (სპუ, 31-33, N7862, 24/08/1995), მუხლი 9. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

<sup>701</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია, მუხლი 3.

<sup>702</sup> საქართველოს კონსტიტუცია (სპუ, 31-33, N7862, 24/08/1995), მუხლი 13. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>. [20.08.2020].

რავს, რომ სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ტანჯვა ან მისი ღირსების შელახვა.

ის ფაქტი, რომ 2004-2012 წლებში სასჯელალსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით დევნილთა მიმართ წამების და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები ატარებდა სისტემურ ხასიათს, დასტურდება როგორც სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებით, ისე სახალხო დამცველის პერიოდული მოხსენებებით ამ საკითხზე. შედეგად, საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 10 ივნისს მიღებული იქნა სპეციალური დადგენილება 2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხზე, რომელსაც საფუძვლად დაედო გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის (2014 წლის 19 აგვისტოს საქართველოს მე-4 პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით) დასკვნითი შეფასებები და რეკომენდაციები.

წლების განმავლობაში დამკვიდრებული, მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად, 2012 წლის დასაწყისში ყოველ 100 000 ადამიანზე პატიმართა რაოდენობის მიხედვით საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდა. მსჯავრდებულთა რაოდენობა 24 009 (2012 წლის მარტი)-დან შემცირდა 10 660-მდე (2013 წლის მარტი). გადატვირთულობის პრობლემა თითქმის ყველა სასჯელალსრულების დაწესებულებას ექმნებოდა. სამედიცინო მომსახურების ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა<sup>703</sup>. თავის მხრივ, ყურადსაღებია, რომ სწორედ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე კომპენსირებად რეპარაციის სახეს<sup>704</sup>.

---

<sup>703</sup> საქართველოს სახალხო დამცველი. „2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“. ხელმისაწვდომია:

[https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1\\_vGouD7apUmMR6MImiHIP/view](https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1_vGouD7apUmMR6MImiHIP/view). [20.08.2020];

<sup>704</sup> Reddy Vasu, “Truth and Reconciliation Commission” South African Human Rights Yearbook Vol.8 (1997): 293.

მსჯავრდებულთა მაღალი სიკვდილიანობა მითითებულ პერიოდში ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემა იყო. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშის თანახმად, 2006 წელს საქართველოს ციხეებში 89 პატიმარი დაიღუპა; 2007 წელს – 101, 2008 წელს – 90, ხოლო 2009 წელს – 91 პატიმარი. ციხეებში რეკორდული სიკვდილიანობა დაფიქსირდა 2010 წელს – 142 დაღუპული პატიმარი, 2011 წელს ციხეებსა და საპატიმროებში გარდაცვლილი 140 პატიმრიდან 40-ის გვამს ძალადობის კვალი აღენიშნებოდა. 140 გარდაცვლილიდან – 114 პატიმარი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გარდაიცვალა<sup>705</sup>.

ყოველივე აღნიშნული, ცხადია, ადასტურებს სახელმწიფოს ვალდებულებას, არამხოლოდ საყოველთაო ამნისტიის ან კონკრეტული დადგენილების გზით მოახდინოს წამების და ღირსების შემლახავ დამოკიდებულებას დაქვემდებარებულ პირთა რეპარაცია, არამედ შემოიღოს კონკრეტული მექანიზმები ამგვარი დამოკიდებულების მსხვერპლთა უფლებებში სრულფასოვნად აღდგენისათვის.

## 2.2. პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის არსებული მექანიზმები ეროვნულ კანონმდებლობაში

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს უკანონოდ დაკავებული პირისათვის კომპენსაციის მიცემის შესაძლებლობას. ასევე, საქართველოს სსსკ 92-ე მუხლის მიხედვით, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

---

<sup>705</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, „2011 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“. ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/1BIXIPKQaeHyML-yfUQbxxRg3lOh07NJA/view>. [20.08.2020].

პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2013 წლის გაზაფხულზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ იქნა კანონპროექტი „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე“<sup>706</sup>. თუმცა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, კომისიას არ გააჩნდა მისი საერთაშორისო ანალოგების მსგავსი კომპეტენცია. კერძოდ, იგი ორიენტირებული იყო არა მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების დადგენასა და რეპარაციის საკითხებზე, არამედ გამამტყუნებელი განაჩენების ხარვეზების შესწავლაზე, რაც დამოუკიდებელ კომისიას უნდა განეხორციელებინა. კომისიის მიერ ხარვეზების დადგენა შესაძლოა, გამხდარიყო დაინტერესებული პირის მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადახედვის საფუძველი, საქართველოს სსსკ 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი)<sup>707</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფდა სისტემური დანაშაულის მსხვერპლთა რეაბილიტაცია/კომპენსაციის სწრაფ და ეფექტურ მექანიზმებს და ასევე შეიცავდა არაერთ კოლიზიურ, თუ ბიუროკრატიული სახის ხარვეზს, რასთან დაკავშირებითაც ყურადღება იქნა გამახვილებული ვენეციის კომისიის დასკვნაში<sup>708</sup>. აღნიშნული დასკვნა არა მხოლოდ ამ კანონპროექტთან დაკავშირებითაა საინტერესო, არამედ მნიშვნე-

---

<sup>706</sup> „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე“ 2013 წლის 20 მაისის საქართველოს კანონი (N 0, სსმ, ვებგვერდი, 20/05/2013), ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1924705?publication=0>. [20.08.2020].

<sup>707</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (N1772, სსმ, 31, 03/11/2009), მუხლი 310. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124>. [20.08.2020].

<sup>708</sup> „ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე“. (დასკვნა N 728; 27 ივნისი, 2013 წელი). ხელმისაწვდომია:

<https://gdi.ge/uploads/other/0/182.pdf>. [20.08.2020]



ლოვანია დასკვნაში გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრება, ზოგადად პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მექანიზმებთან დაკავშირებით. ავტორიტეტულმა საერთაშორისო კომისიამ კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი ნეგატიური შეფასება ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს. კომისიამ ცალსახად მიუთითა, რომ აღნიშნული ამნისტიის შესახებ კანონის 22-ე მუხლი ვერ აკმაყოფილებდა კანონის უზენაესობის ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს, კერძოდ: კანონიერებას (მათ შორის, გამჭვირვალობას), თვითნებობის აკრძალვას, არადისკრიმინაციასა და კანონის წინაშე თანასწორობას<sup>709</sup>. მნიშვნელოვანია, რომ ამნისტიის შესახებ ზემოაღნიშნული კანონის 22-2 მუხლი სწორედ იმ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უპირობოდ გათავისუფლებას ეხება, რომლებსაც საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით მიენიჭათ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულის ან პოლიტიკური ნიშნით დევნილის სტატუსი<sup>710</sup>.

ვენეციის კომისიამ ზემოაღნიშნულ დასკვნაში ხაზი გაუსვა, რომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან სათანადო რეაგირება მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მასობრივი ხარვეზების დროულად და ეფექტურად აღმოფხვრის მიზნით. ამასთან, თუნდაც დროებითი კომისიის სახით არსებული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ შესაძლო მასობრივი დარღვევების შესწავლა და შემდგომ დასკვნის სახით „მართლმსაჯულების ხარვეზების“ დადგენა, კითხვის ნიშნებს აჩენს ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა უფლებამოსილების დანაწილება და საქართველოს ძირითადი კანონით, კონსტიტუციით, უზრუნველყოფილი სასამართლოს დამო-

---

<sup>709</sup> „ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე“ (დასკვნა N 728; 27 ივნისი, 2013 წელი). მე-2 თავი. ხელმისაწვდომია: <https://gdi.ge/uploads/other/0/182.pdf>. [20.08.2020]

<sup>710</sup> „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020].

უკიდებლობის პრინციპი, რაც შესაძლოა ასევე წინააღმდეგობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან<sup>711</sup>. კომისიის მოსაზრებით, არსებობს „წითელი ხაზები“, რომლებიც ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის იდეის ქვეშ არ უნდა გადაკვეთოს, თუ მას არ სურს კანონის უზენაესობის სტანდარტზე უარის თქმა, ვინაიდან კომისიის რწმენით, სისხლის სამართლის საქმეებზე პასუხისმგებლობის დამდგენი ნებისმიერი გადაწყვეტილება ისევ სასამართლომ უნდა მიიღოს<sup>712</sup>.

ეს მსჯელობა კანონის უზენაესობის და ხელისუფლების დანაწილების ძირითადი პრინციპების ხელშეუხებლობაზე, ცხადია, მნიშვნელოვანია ზოგადად პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მიზნის მქონე ნებისმიერი ორგანოს საქმიანობაში, რათა სამართლიანობის აღდგენის რეალური თუ პოპულისტური იდეისათვის არ მოხდეს შერჩევითი შურისძიების აქტების განხორციელება და დემოკრატიული ფასეულობების კიდევ უფრო მეტი დევალაცია, ვიდრე ამგვარი მექანიზმების ჩამოყალიბებამდე იქნებოდა პოსტკრიზისულ ქვეყნებში.

საბოლოოდ ვენეციის კომისიის დასკვნაში მითითებული ნაკლოვანებების და ასევე ძირითადად პროცესის განჭვრეტადობის არარსებობის გამო, „მართლმსაჯულების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შექმნა გადაიდო. ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების განცხადებით, მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის გადავადება მხოლოდ დროებით ნაბიჯს წარმოადგენდა, ვინაიდან დასადგენი იყო ამ კომისიის საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტები, თუმცა ამ კომისიის შექმნის საკითხი დღის წესრიგში აღარ დამდგარა.

---

<sup>711</sup> „ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე“ (დასკვნა N 728; 27 ივნისი, 2013 წელი). მე-5 თავი და დასკვნა. ხელმისაწვდომია: <https://gdi.ge/uploads/other/0/182.pdf>. [20.08.2020]

<sup>712</sup> იქვე.

2015 წლის 13 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის N62 ბრძანების საფუძველზე, მთავარი პროკურატურის სისტემაში სამართალწარმოების დეპარტამენტი შეიქმნა<sup>713</sup>. თავისთავად, წამების და ძალადობის მსხვერპლთა რეპარაციის ვალდებულების დაყვანა პროკურატურის სისტემაში შექმნილი დეპარტამენტის დონეზე, ცხადია, ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს გაეროს მიერ 2005 წლის 16 დეკემბრის N60/147 რეზოლუციის „ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ზიანის ანაზღაურების უფლების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევის ძირითადი პრინციპების და რეკომენდაციების შესახებ“ სტანდარტებს; კერძოდ: მსხვერპლთა რესტიტუციის, კომპენსაციის, რეაბილიტაციის და დაკმაყოფილების მოთხოვნებს.

ის ფაქტი, რომ საქართველოში 2004-2012 წლებში პოლიტიკური ნიშნით რეპრესიები ხორციელდებოდა და ასევე ადგილი ჰქონდა თავისუფლებაშეზღუდულთა მიმართ სისტემურ ძალადობრივ მოპყრობას, კიდევ ერთხელ დადასტურდა პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილებით „2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“.

დოკუმენტი დაფუძნებულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2014 წლის 19 აგვისტოს დასკვნით შეფასებებზე საქართველოს მე-4 პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით<sup>714</sup>, რომელშიც მითითებულია შემდეგი:

---

<sup>713</sup> „საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის N62 ბრძანება (N62, სსმ, ვებგვერდი, 13/02/2015). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2728207?publication=0>. [20.08.2020].

<sup>714</sup> „2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილება (N5432-III, სსმ, ვებგვერდი, 21/06/2016), მუხლი 1. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315583?publication=0>. [20.08.2020].

ა) სახელმწიფომ წარსულში მომხდარი არასათანადო მოპყრობის ფაქტები, კერძოდ, დარღვევები, რომლებიც 2012 წლის არჩევნებამდე მოხდა, ისე უნდა გამოიძიოს, რომ თავიდან აიცილოს პოლიტიკური ანგარიშსწორება.

ბ) სახელმწიფომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა დარღვევების მსხვერპლნი უზრუნველყოფილნი იყვნენ ეფექტიანი დაცვის საშუალებებით პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

გ) სახელმწიფომ დამნაშავეთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა განახორციელოს და ბრალდებულებს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა თანაზომიერი სასჯელები უნდა განესაზღვროთ.

დ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეების სსკ შესაბამისი მუხლების მიხედვით გამოძიება. ეს საქმეები არ უნდა იქნეს კვალიფიცირებული იმ დებულებებით, რომლებიც უფრო მსუბუქ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს<sup>715</sup>.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა „არაადამიანური მოპყრობის და წამების ფაქტების შესახებ“, რომლის მიზანიც იყო წარსულში საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა სისტემურ დარღვევებზე რეაგირების, დარღვეული ადამიანის უფლებების აღდგენის და მომავალში ეფექტიანი პრევენციული ზომების მიღების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიების შექმნა, რომლებიც გამორიცხავს ასეთი დანაშაულების ჩადენას, შეისწავლა 6000-ზე მეტი განცხადება-საჩივარი წარსულში ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების შესახებ<sup>716</sup>. სამუშაო ჯგუფმა ასევე გააანალი-

<sup>715</sup> იქვე.

<sup>716</sup> „2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის

ზა სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ და წარმოადგინა დასკვნა, რომელზე დაყრდნობითაც საქართველოს პარლამენტმა 2004-2012 წლებში მომხდარი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელოვან შეფასებებს შორის აღნიშნა, რომ: ა) „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წამებას და მათდამი არაადამიანურ მოპყრობას საყოველთაო, სისტემური ხასიათი ჰქონდა“ და ვ) „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წამება და მათდამი არაადამიანური მოპყრობა პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტი იყო“<sup>717</sup>.

აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციის, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს 1984 წლის საერთაშორისო კონვენციის და 1987 წლის წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპების შესაბამისად, ასევე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობას მისცა არაერთი რეკომენდაცია<sup>718</sup>, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

ა) წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულების და სხვა ძალადობრივი დანაშაულების ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების მიზნით, დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმის შექმნა...

---

დადგენილება (N5432-III, სსმ, ვებგვერდი, 21/06/2016), მუხლი 5. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315583?publication=0>. [20.08.2020].

<sup>717</sup> იქვე, მუხლი 6.

<sup>718</sup> „2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილება (N5432-III, სსმ, ვებგვერდი, 21/06/2016), მუხლი 8. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315583?publication=0>. [20.08.2020].

ე) უზრუნველყოფილ იქნეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია<sup>719</sup>.

რეკომენდაციების ეს ნაწილი თანხვედრაშია გაეროს მიერ 2005 წლის 16 დეკემბრის N60/147 რეზოლუციასთან „ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ზიანის ანაზღაურების უფლების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და საერთაშორისო ნორმების უბეში დარღვევის ძირითადი პრინციპების და რეკომენდაციების შესახებ“, კონკრეტულად კი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თანასწორი და ეფექტური გარემოს უზრუნველყოფის მოთხოვნასთან. თუმცა, რაც შეეხება ზემოაღნიშნული რეზოლუციის სტანდარტებს, მსხვერპლთა კომპენსაციის, სრული რეაბილიტაციის და ინფორმაციული უზრუნველყოფის თაობაზე, სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილებაში ამ საკითხებზე კონკრეტული მსჯელობა და მითითებები მთავრობის მიმართ არ ჩანს, რაც აღნიშნული დოკუმენტის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

პარლამენტის დადგენილება უფრო მეტად მიმართულია წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამომავლო პრევენციისკენ და არ ასახავს 2004-2012 წლებში პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა სრულფასოვანი რეპარაციის მექანიზმებს, რის გარეშეც ეს დადგენილება არ შეიძლება ჩაითვალოს მსხვერპლთა რეპარაციის და დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, სრულფასოვან დოკუმენტად.

ყველაზე ფართომასშტაბიანი ამნისტია საქართველოს უახლეს ისტორიაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განხორციელდა<sup>720</sup>. ამ კანონის შედეგად, საპატიმრო დაწესებულებებიდან ათასობით ადამიანი, მათ შორის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები გათავისუფლდნენ. აღნიშნულ კანონს წინ უძღოდა საქართველოს პარლამენტის

<sup>719</sup> იქვე.

<sup>720</sup> იხ. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი (N202-რს, სსმ, ვებგვერდი, 12/01/2013). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020?publication=0>. [20.08.2020].

2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ, რომლითაც 190 ადამიანს მიენიჭა პოლიტიკური პატიმრის სტატუსი, ხოლო 25 ადამიანი პოლიტიკური ნიშნით დევნილად იქნა ცნობილი<sup>721</sup>.

ორივე აქტის მნიშვნელობა, ცხადია, სცდებოდა სამართლებრივ ჩარჩოებს და მოიცავდა პოლიტიკურ შემადგენელ ელემენტებს, ეფუძნებოდა რა არაერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ანგარიშს და კრიტიკულ შეფასებას საქართველოში 2004-2012 წლებში არსებულ მძიმე ვითარებაზე, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების კუთხით, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნითაც. ორივე სამართლებრივი აქტის საფუძვლად ასევე მითითებულია ნაშრომის ფარგლებში უკვე განხილული ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის N1900 (2012) რეზოლუცია და მის მიერ დადგენილი კრიტერიუმები პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაშეზღუდულ პირთა შესახებ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა აქტებმა, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც შიდა პოლიტიკურ წრეებში, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რაც, უპირველეს ყოვლისა, პროცესის დაჩქარებულ და გაუმჭვირვალე ხასიათს ეფუძნებოდა<sup>722</sup>.

ამნისტია თავისი არსით, არის ზოგადი ხასიათის და იგი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხია მაშინ, როდესაც შეწყალება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურია და იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია-

723.

---

<sup>721</sup> „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020].

<sup>722</sup> „ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე“ (დასკვნა N 728; 27 ივნისი, 2013 წელი), მე-2 თავი. ხელმისაწვდომია: <https://gdi.ge/uploads/other/0/182.pdf>. [20.08.2020].

<sup>723</sup> გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა,

საქართველოს შემთხვევაში, ამნისტია განხორციელდა პარლამენტის მიერ, თუმცა პოლიტიკური პატიმრებისა და პოლიტიკური ნიშნით დევნილების მიმართ, იგი ასევე ეყრდნობოდა ინდივიდუალურად განსაზღვრულ სიას<sup>724</sup>.

პარლამენტის მხრიდან სასჯელის მოხდისა თუ აღსრულებისაგან ინდივიდუალური პირების თუნდაც პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება, ვენეციის კომისიის მიერ, როგორც უკვე აღინიშნა, შეფასებულია როგორც კანონიერების პრინციპის დარღვევა<sup>725</sup>. მართალია, გადაწყვეტილებამდე პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც სწავლობდა ინდივიდუალურ პირთა საქმეებს, თუმცა არ არსებობდა რაიმე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმი, რომელსაც ისინი დაეყრდნობოდნენ, რამაც ვენეციის კომისიის შემფოთება გამოიწვია<sup>726</sup>. კერძოდ, ვენეციის კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეცვლა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია და, შესაბამისად, სწორედ სასამართლო უნდა ყოფილიყო ის ორგანო, რომელსაც კონკრეტული პირების პოლიტიკურ პატიმრებად მიჩნევის უფლება ექნებოდა<sup>727</sup>.

---

რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 17.

<sup>724</sup> „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი (N202-რს, სსმ, ვებგვერდი, 12/01/2013), მუხლი 22. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020?publication=0>. [20.08.2020].

<sup>725</sup> გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 18.

<sup>726</sup> გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 19.

<sup>727</sup> იქვე, 20.



შესაბამისად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პარლამენტმა, რომელსაც, ცხადია, გააჩნია საკითხის პოლიტიკური შეფასების კონსტიტუციური უფლება, პოლიტიკური ნიშნით პატიმრების და პოლიტიკური ნიშნით დევნილების სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თუ აღსრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, შესაძლოა გადააჭარბა საკუთარ კომპეტენციას და, გარკვეული თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში მოვიდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, კერძოდ, მან გარკვეულ ჭრილში შეასრულა სასამართლოს მოვალეობაც<sup>728</sup>, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ძირითად არსს ხელისუფლების შტოებს შორის ფუნქციების მკვეთრად გამიჯვნის თაობაზე.

ამასთან, ვენეციის კომისიის უარყოფითი შეფასება პარლამენტის მიერ ინდივიდუალურ პირთა სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების თუ აღსრულების შეწყვეტის თაობაზე, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს არ აქვს პოზიტიური ვალდებულება, შემოიღოს და განახორციელოს ეფექტური რეპარაციის მექანიზმები პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა მიმართ, მათ შორის, ამნისტიის თუ ინდივიდუალური შეწყალების სახით, არამედ საუბარია ამ პროცესში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის, როგორც ფუნდამენტური დემოკრატიული ფასეულობის, შენარჩუნებაზე, რამაც გამოიწვია კიდევ ვენეციის კომისიის სამართლიანი შემფოთება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ამავე კონტექსტში კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დარღვევის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და პროცესის გამჭვირვალობისათვის უმნიშვნელოვანესი იქნებოდა ასეთი კრიტერიუმების საერთაშორისო კონვენციურ დონეზე აღიარება, გაეროს ფარგლებში და ხელშემკვრელი მხარეების მიერ აღნიშნული კრიტერიუმების იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში, რის თაობაზეც უკვე იქნა მსჯელობა წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომში.

---

<sup>728</sup> იქვე, 21.

## შუალედური დასკვნა

წარმოდგენილ თავში გამოკვლეულ იქნა საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკაში პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მექანიზმები. კერძოდ, პირველი ნაწილის ფარგლებში გამოკვლეულია ამნისტია, როგორც პასუხისმგებლობის არსებობის პრინციპი და შედეგად პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის აუცილებლობა. შემდგომ ეტაპზე გაანალიზდა საერთაშორისო პრაქტიკა რეპარაციის მექანიზმების შემუშავებელი ორგანოების შექმნის, მათი სამართლებრივი ადგილისა და კომპეტენციის საკითხები. ბოლოს კი მსჯელობა შეეხო საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ რეპარაციის მექანიზმებს.

თავის მეორე ნაწილი დაეთმო პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის აუცილებლობას საქართველოში და არსებული მექანიზმების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ, შეჯამდა ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სხვადასხვა ანგარიში, ნორმატიული აქტები და პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება, ასევე სასჯელის მიზნობრიობის თეორიული ასპექტები და მოქმედი კანონმდებლობა. მითითებულ მსჯელობას შემდგომში მოჰყვა არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი რეპარაციის არსებული მექანიზმების შესახებ, რამაც გამოავლინა ხარვეზების მთელი რიგი.

წარმოდგენილი კვლევის შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ამნისტია მიჩნეულ უნდა იქნეს სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის არსებობის პრეზუმფციად. მნიშვნელოვანია, რომ ამნისტიის აქტს შემდგომ პოზიტიურ ნაბიჯად სახელმწიფოს მხრიდან მოჰყვეს მსხვერპლთა სათანადო რეპარაცია, რისთვისაც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა იცნობს სპეციალური კომისიების შექმნის შესაძლებლობას. ეს კომისიები, თავის მხრივ, შეიმუშავებენ პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა სრულყოფილი რეპარაციის მექანიზმებს. მაგალითისათვის: რესტიტუცია, კომპენსაცია, დაკმაყოფილება, რეაბილიტაცია და გარანტია. ასევე, მსგავსი კომიტეტების კომპეტენციას მიეკუთვნება მსხვერპლთა იდენტიფიცირებაც. აღნიშნული პრაქტიკისაგან კონტრასტულად, საქართველოს კანონ-

მდებლობით, პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციისათვის არ არსებობს საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმები, რაც, ცხადია, უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს შემდგომში მსგავსი კატეგორიის დანაშაულების პრევენციისა და დაზარალებულთა სრულფასოვანი მხარდაჭერისათვის, როგორც მორალური, ისე მატერიალური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

კვლევის დასკვნით ნაწილში ხაზი გაესვა ქართულ პრაქტიკაში ბოლო დროს განხორციელებულ ამნისტიათა ცალკეულ პრობლემურ საკითხებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ პარლამენტმა, რომელსაც გააჩნია საკითხის პოლიტიკური შეფასების კონსტიტუციური უფლება, გადააჭარბა საკუთარ კომპეტენციას<sup>729</sup>. აღნიშნული კი, თავის მხრივ, გარკვეული თვალსაზრისით შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, კერძოდ, მან ერთგვარად შეასრულა სასამართლოს მოვალეობაც<sup>730</sup>. ამასთან, ასევე ხაზი გაესვა სახელმწიფოს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაცია, მათ შორის, სასჯელისგან გათავისუფლების თუ სასჯელის აღსრულების შეწყვეტის სახით, იმ პირობით, რომ ამ პროცესში დაცული იქნება ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი.

წინამდებარე თავის ფარგლებში ხაზი გაესვა, რომ პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დარღვევის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და პროცესის გამჭვირვალობისათვის უმნიშვნელოვანესი იქნებოდა ასეთი კრიტერიუმების საერთაშორისო კონვენციურ დონეზე აღიარება, გაეროს ფარგლებში და ხე-

---

<sup>729</sup> გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 21.

<sup>730</sup> გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 21.

ლემემკვრელი მხარეების მიერ ამ კრიტერიუმების დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობაში.

### **შემაჯამებელი დასკვნა**

დისერტაციის კვლევის საგანს წარმოადგენდა პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის სამართლებრივი თავისებურებების იდენტიფიცირება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება ქართულ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეალობაში საკითხის არსებითად მოწესრიგების მიზნით. შესაბამისად, დისერტაციის შეჯამების სახით შესაძლებელია, ხაზი გაესვას ნაშრომში გამოკვეთილ რამდენიმე ფუნდამენტურ საკითხს:

- უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის დადგენა პოლიტიკური საფუძვლის არსებობის ჭრილში არ უკავშირდება A PRIORI პირის პოლიტიკურ სტატუსს და მისი აქტივობის ხარისხს. შესაბამისად, მომავალში აუცილებელია, რომ ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოები თანაბრად მოეპყრონ საზოგადოებრივად აქტიურ ნებისმიერ სუბიექტს, ამასთან, თავად უფლებით მოსარგებლეებმა მხედველობაში მიიღონ, რომ პოლიტიკური სახის აქტივობა არ ქმნის მათთვის იმუნიტეტს და მათი დაკავება ავტომატურად არ უკავშირდება კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას.

ნაშრომში განხორციელებული ევროსასამართლოს პრაქტიკის ანალიზით, რომელიც ეფუძნება იმ საქმეების განხილვას, რომელშიც სასამართლომ მიუთითა პოლიტიკური კონტექსტის არსებობაზე, ცალსახად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი, პოსტსაბჭოთა და განვითარებადი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში, ადგილი აქვს სამოქალაქო აქტივისტთა, ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსთა და ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვებს პოლიტიკური ნიშნით. შეიძლება ითქვას, რომ უმეტესწილად, სწორედ ამ ნიშნით ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების

აკრძალვა) და მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) მუხლების შეზღუდვა, კონვენციის მე-18 მუხლთან ერთობლიობაში. აღნიშნული, ცხადია, არ გამოირცხავს და, პირიქით, უშვებს შესაძლებლობას, ინდივიდუალურ შემთხვევებში განხორციელდეს ასეთ პირთა კონვენციით გარანტირებულ სხვა უფლებათა დარღვევაც, თუკი ამგვარი ინტერესი ექნება კონვენციის რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ხელისუფლებას. ევროსასამართლო პირდაპირ არ ადგენს პოლიტიკური ნიშნით თავისუფლების და ხელშეუხებლობის ან სხვა რომელიმე მუხლის დარღვევას და არ იყენებს ტერმინს „პოლიტიკური პატიმარი“ ან „პოლიტიკური დევნილი“. თუმცა, ნაშრომში განხორციელებული მსჯელობის საფუძველზე, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ ევროსასამართლოს პრაქტიკის დინამიკური განვითარების თეორია არათუ გამოირცხავს მომავალში ამგვარი პირდაპირი მსჯელობის შესაძლებლობას, არამედ სათანადო საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით მოახდენს კიდევ სავარაუდო დარღვევათა ამგვარ შეფასებას;

- თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის ფაქტების დადგენის აუცილებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ქვეყნის სამართლებრივი სივრცის რეფორმასთან, დემოკრატიული პროცესების განვითარებასა და პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებასთან;

- პოლიტიკური შეხედულებების გამო, ადამიანების დევნა და მათი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევა მჭიდრო კორელაციაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-14 მუხლებით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან და თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებთან. განსაკუთრებით იმ რეალობაში, როდესაც არ არსებობს ტერმინების „პოლიტიკური პატიმარი“ და „პოლიტიკური დევნილი“ ერთიანი სავალდებულო ხასიათის უნიფიცირებული სამართლებრივი განმარტება და მექანიზმი. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, განხორციელებული კვლევის შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამოხატვის

თავისუფლების პოლიტიკური კონტექსტი მოიაზრება ყველა საბაზისო საერთაშორისო დეკლარაციასა და კონვენციაში, რაც, ცხადია, საფუძვლად უდევს ხელშემკვრელი მხარეების და მათ შორის საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასაც;

- საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის საყოველთაოდ აღიარებული, უნიფიცირებული ცნება. თუმცა, ევროსაბჭოს და „საერთაშორისო ამნისტიის“ მიერ დადგენილი კრიტერიუმები ავსებს და ასახავს ასეთი ცნების აუცილებელ ელემენტებს. ამასთან, უშუალოდ პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის პრევენციისათვის მნიშვნელოვან მექანიზმებად უნდა იქნეს მიჩნეული ქვეყნების შიდა სამართალი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;

- აღნიშნულ კონტექსტში დასკვნის სახით შემოთავაზებული იქნა რეკომენდაცია, რომ სახელმწიფოთაშორისმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა შექმნან პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ლეგალური დეფინიცია. ამგვარი დეფინიციის არსებობა წევრი სახელმწიფოების დემოკრატიულ განვითარებას, მათი ხელისუფლების მხრიდან ასეთი ტიპის დისკრიმინაციული ბერკეტის გამოყენებისაგან უფრო მეტად დაიცავდა;

- კიდევ ერთი განსაკუთრებით საყურადღებო რეკომენდაცია შეეხება გაეროს ფარგლებში თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის აღმოფხვრის მიზნით, საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას. ისტორიული გამოცდილებისა და ევროსამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ თავისთავად ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის ფაქტობრივი არსებობა, როგორც თავისუფლების და ხელშეუხებლობის პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვაა, განსაკუთრებით კი, გარდამავალი და განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში, საჭიროებს არა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის რეგულირებას საერთაშორისო დონეზე, არამედ უფრო ქმედითი, კონვენციური ხასიათის ინსტრუმენტის შემო-

ღებას გაეროს ფარგლებში, რაც მომავალში, ეფექტურ ასახვას პო-  
ვებს კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების ეროვნულ კანონმდებ-  
ლობასა და სასამართლო პრაქტიკაში.

ამავე კონტექსტში მეტი ეფექტიანობისათვის რეკომენდებუ-  
ლი იქნებოდა გაეროს მანდატის ქვეშ მუდმივად მოქმედი ზედამხე-  
დველობის განმახორციელებელი კომიტეტის არსებობა და ხელშემ-  
კვრელი მხარეების მიერ პერიოდული ინფორმაციის, ანგარიშების  
მიწოდება შეთანხმების შესრულების მდგომარეობასა და მიღწეუ-  
ლი პროგრესის თაობაზე;

▪ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებისა და ხელ-  
შეუხებლობის უფლების შეზღუდვა საბჭოთა პერიოდიდან იღებს  
სათავეს და იგი აქტიურად გამოიყენებოდა ახლო წარსულშიც. ამგ-  
ვარი მავნე პრაქტიკის შესაცვლელად აუცილებელია, რომ სასამარ-  
თლო ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს  
გამომიების ობიექტურად ჩატარების საკითხზე, ყოველი სადავო გა-  
რემოების დასადგენად. გარდა ამისა, თავად მოპოვებული მტკიცე-  
ბულებები უნდა იყოს უტყუარი, ხოლო საქმის მასალების მოპოვე-  
ბაზე მხარეებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა. სასამართლო ხელისუფ-  
ლება მოვალეა, დააბალანსოს აღმასრულებელი ხელისუფლების სწ-  
რაფვა, გამოიყენოს პატიმრობა როგორც პოლიტიკური დევნის ინს-  
ტრუმენტი. აუცილებელია, ყურადღება მიექცეს პროცესის მონაწი-  
ლე მხარეების ცალკეული საპროცესო უფლებების ფაქტობრივი რე-  
ალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ შორის, ჩხრეკის,  
ამოღებისა თუ მტკიცებულებებზე წვდომის ნაწილში, ვინაიდან, გა-  
ნხორციელებული კვლევა ცხადყოფს პოლიტიკური ნიშნის მატარე-  
ბელ საქმეებში ასეთი სახის დარღვევების ტენდენციას. რეკომენდე-  
ბულია, რომ უკვე აღიარებული პოლიტიკური პატიმრების საქმე-  
ების დეტალური შესწავლის საფუძველზე, უზენაესმა სასამართლომ  
გამოსცეს განზოგადებული პრაქტიკა, რეკომენდაციები ე.წ. „გაიდ-  
ლაინების“ სახით, ამგვარი კატეგორიის საქმეებზე მტკიცების სტან-  
დარტთან დაკავშირებით, იმ თავისებურებების გათვალისწინებით,  
რაც ნაშრომში არაერთხელ იქნა ხაზგასმული;

▪ საქართველოში დამკვიდრებულია ადმინისტრაციული პატიმრობის, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი ფორმის შეუსაბამოდ გამოყენების პრაქტიკა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ. ასეთ პირობებში რეკომენდებულია, ერთი მხრივ, შეკრებებთან და მანიფესტაციებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას პატიმრობის გამოყენების ფარგლების შეზღუდვა, ხოლო, მეორე მხრივ, აქაც შესაძლებელია სასამართლოს განზოგადებული პრაქტიკის ე.წ. „გაიდლაინების“ პრაქტიკის გამოყენება. აღნიშნულმა „გაიდლაინებმა“ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების და დისერტაციის ფარგლებში განხილული ნაკლოვანებების მხედველობაში მიღებით უნდა გაითვალისწინონ პატიმრობის წინაპირობებსა და მტკიცების სტანდარტებთან დაკავშირებით საჭირო მაღალი მოთხოვნები;

▪ ნაშრომში გამოკვლეული ცალკეული პრაქტიკული მაგალითების ერთიანობა ცხადყოფს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრობა გამოიყენება როგორც პირის პოლიტიკური აქტივობიდან ჩამოშორების ინსტრუმენტი, ხოლო უშუალოდ დაკავების პროცესი, შეიძლება მიზნად ისახავდეს პოლიტიკურ ოპონენტზე შურისძიების მოტივით გადამეტებული ძალის გამოყენებას, რაც ხშირად კავშირშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლით დაცული უფლების ხელყოფასთან. შესაბამისად, ძალოვანი ორგანოების მეშვეობით პოლიტიკური ოპონენტების უფლებათა შელახვის პრევენციისათვის აუცილებელია, პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებზე როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს დაკავებისას პროპორციული ძალის გამოყენების ფარგლებს. ხაზგასასმელია, რომ ამგვარი კატეგორიის საქმეებში კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს პირის დაკავების სათანადო დაგეგმვას უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან. პრევენციული ღონისძიების გამოყენება შეამცირებს დაკავებულის მიმართ კონვენციის მესამე მუხლის დარღვევის რისკებს. ასევე, ყოფილი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსებისა და აქტიური სამოქალაქო აქტივისტების საზოგადოებრივი სტატუსის გა-



თვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასამართლო დარბაზების სათანადოდ მომზადება. კერძოდ, ამ თვალსაზრისით, ევროსასამართლო ადგენს განსაკუთრებულად მაღალ სტანდარტს, როგორც გადაჭარბებული უსაფრთხოების ზომების, ისე რკინის გისოსების გამოყენების ნაწილში, რისი გათვალისწინებაც ეროვნული სასამართლოების მხრიდან მნიშვნელოვანია. არსებითი ხასიათის რეკომენდაციაა სასამართლო განხილვებს შორის გონივრული შუალედების და შესვენებების უზრუნველყოფა ისევე, როგორც პასუხისმგებელი ორგანოების მიერ პატიმრობაში მყოფი პირისათვის სათანადო საკვების მიწოდება. გარდა ამისა, აუცილებელია საპატიმრო დაწესებულებებში ღირსეული პირობების შექმნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა;

- უშუალოდ კონვენციის მე-5 მუხლის მიზანი პირისათვის თვითნებურად ან დაუსაბუთებლად ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის პრევენციაა. ამასთან, ნებისმიერი ადამიანი, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე მიიჩნევა უდანაშაულოდ. შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას აუცილებელია მატერიალურ-პროცესუალური მაღალი სტანდარტების არსებობა, რასაც, ცხადია, განსაკუთრებული სენსიტიურობა ემატება პოლიტიკური კონტექსტის მქონე საქმეებთან დაკავშირებით;

- ნაშრომში შესწავლილი ცალკეული პრაქტიკული მაგალითების ერთიანობა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს პატიმრობაში მყოფი პოლიტიკური ოპონენტების სასამართლოს წინაშე წარდგენის განზრახ გაჭიანურებას. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნათა დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, რომ პირის სასამართლოს წინაშე წარდგენა მოხდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, რა დროსაც სრულად იქნება დაცული ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული სტანდარტები, იმგვარად, რომ პირს მიეცეს პატიმრობის გამოყენების საკითხის სამართლიანი შემოწმების შესაძლებლობა. ამგვარი შემოწმება

კი უნდა ემყარებოდეს სრულ შეჯიბრებითობას, მათ შორის, საქმის მასალებზე მხარეთა თანაბარ წვდომას;

▪ ევროსასამართლოში საქართველოს და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკური ნიშნის არსებობის ეჭვის მქონე საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ჭრილში ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით და ერთგვაროვნებით, რაც გამოიხატება დაკავებისას აპლიკანტების უფლებების დარღვევით ან სავარაუდო დარღვევით. ასევე არსებობს დარღვევები წინასწარი პატიმრობის არასათანადოდ გამოყენებისა და დასაბუთების თვალსაზრისით. აუცილებელია, როგორც სასამართლო, ისე ძალოვანი სტრუქტურების არსებული ნაკლოვანი პრაქტიკის შეცვლა და მათი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მეტიც, ამავე კონტექსტში წარმოდგენილი იქნა რეკომენდაცია კანონმდებლისათვის, რომ არსებული მძიმე ისტორიულ-პოლიტიკური პრაქტიკისა და პოლიტიკურად აქტიური პირების საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, შესაძლებელია ასეთი პირების მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენების დასაბუთებისათვის დადგინდეს განსხვავებული, უფრო მაღალი სტანდარტი. კერძოდ, ისეთი გარემოებები, როგორიცაა ზოგიერთ შემთხვევაში ოპერატიული პასპორტის ხელმისაწვდომობა; საზღვრის კვეთა; კავშირები საზღვარგარეთ; ფინანსური საშუალებები; სამსახურებრივი მდგომარეობა და ავტორიტეტი არ უნდა იქნეს განხილული წინასწარი პატიმრობის გამოყენების თვითკმარ საფუძვლებად და პატიმრობის გამოყენების დასაბუთებას უნდა დაერთოს ისეთი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც უშუალოდ ადასტურებს აღნიშნული პირის მიმალვის და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის ან ახალი დანაშაულის ჩადენის რეალურობას;

▪ პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციის მექანიზმების ჭრილში ამნისტია წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის არსებობის პრეზუმფციას. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი პრეზუმფციის არსებობის პირობებში, მათ შორის, საქართველოში

მოხდეს მსხვერპლთა სათანადო რეპარაცია, რისთვისაც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა იცნობს სპეციალური კომისიების შექმნის შესაძლებლობას. აღნიშნულმა კომისიებმა, თავის მხრივ, უნდა შეიმუშაონ პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა სრულყოფილი რეპარაციისათვის ისეთი მექანიზმები, როგორცაა: რესტიტუცია, კომპენსაცია, დაკმაყოფილება, რეაბილიტაცია და გარანტია;

▪ ზემოაღნიშნული პრაქტიკისაგან კონტრასტულად, საქართველოს კანონმდებლობით, პოლიტიკური სისტემის მსხვერპლთა რეპარაციისათვის არ არსებობს საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმები. ამგვარი მექანიზმების არარსებობა, თავის მხრივ, ცხადია, უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს შემდგომში მსგავსი კატეგორიის დანაშაულების პრევენციისა და დაზარალებულთა სრულფასოვანი მხარდაჭერისათვის, როგორც მორალური, ისე მატერიალური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

მთლიანობაში სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული სახელისუფლებო სისტემები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და განვითარებადი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში, ბოროტად სარგებლობენ მათ ხელში კონცეტრირებული ძალაუფლებით, რის შედეგადაც ადგილი აქვს პოლიტიკური ოპონენტების დევნას და პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე მძიმე ფორმას, პატიმრობის გამოყენებას. ამასთანავე, ასეთი დევნის ინსტრუმენტი ძალოვანი და სასამართლო ხელისუფლების ცალკეული შტოებია, რომელთა ერთობლივი მოქმედებები აღნიშნულ მიზანს ემსახურება. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების ზეწოლის გზით, არსებული მანკიერი პრაქტიკის ცვლილება, რასაც ასევე მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ევროსასამართლოს პრეცედენტულმა გადაწყვეტილებებმა, როგორც სახელმძღვანელო პრინციპებმა და ეროვნულ კანონმდებლობაში სათანადო პრევენციის მექანიზმების დანერგვამ. ამ თვალსაზრისით, ასევე უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური ნიშნით თავი-

სუფლების და ხელშეუხებლობის შეზღუდვის აკრძალვის საერთაშორისო კონვენციური ინსტრუმენტის შემოღება, რომლის შინაარსიც აისახება ხელშემკვრელი მხარეების ეროვნულ კანონმდებლობაში, ხოლო შესრულების ანგარიში პერიოდულად წარედგინება გაერთიანებული ერების მანდატის ქვეშ მოქმედ მუდმივმოქმედ შესაბამის კომიტეტს. აქვე, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს შიდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით შეკრებებისა და მანიფესტაციების წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობის მინიმიზაცია და აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოსაყენებლად, პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ მტკიცების განსხვავებული, უფრო მაღალი სტანდარტის დადგენა, რისი კონსტიტუციურობაც გამართლებული იქნება ამავე პირების საქმიანობის თავისებურებებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი შეიძლება ითამაშოს უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ დადგენილმა განზოგადებულმა პრაქტიკამ, ე.წ. „გაიდლაინებმა“, რის შესახებაც ნაშრომში არაერთი რეკომენდაცია იქნა წარმოდგენილი. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე დარღვეული უფლებების აღდგენა რეპარაციის სხვადასხვა, საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული მეთოდების გამოყენებით და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება სამომავლოდ თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის პრევენციისათვის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

გამოყენებული სამეცნიერო ნაშრომები

ქართულენოვანი:

ადამიანის უფლებათა ცენტრი. პოლიტიკური პატიმრები საქართველოში. თბილისი: ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2009.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, პოლიტიკური პატიმრები საქართველოში (თბილისი: ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2009),

ბრეგვაძე, ლაშა. აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია: სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

ლაშა ბრეგვაძე, აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია: სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016),

ბურჯანაძე, გიორგი. „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, 9-30. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.

გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013),

გოცირიძე, ევა. „მოქალაქეობა“. წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, 31-43. თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013.

ევა გოცირიძე, „მოქალაქეობა“. წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013),

გოცირიძე, ევა „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა“. წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა

ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, 105-128. თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013.

ევა გოცირიძე, „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა“, წიგნში საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, რედაქტორები: პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე და ვახტანგ ჟვანია, (თბილისი: შპს „პეტიტი“, 2013),

გოცირიძე, ევა. აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.

ევა გოცირიძე, აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007),

ევროპის საბჭო. სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ. სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 2013.

ევროპის საბჭო. სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ (სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 2013), თავისუფლების ინსტიტუტი. გამოხატვის თავისუფლება. ტომი I. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005.

თავისუფლების ინსტიტუტი, გამოხატვის თავისუფლება, ტომი I (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005),

თავისუფლების ინსტიტუტი. გამოხატვის თავისუფლება. ტომი II. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005.

თავისუფლების ინსტიტუტი, გამოხატვის თავისუფლება, ტომი II (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005),

ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კოსტანტინე კუბლაშვილი და გიორგი ხუბუა. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბილისი: „მერიდიანი“, 2005.

ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კოსტანტინე კუბლაშვილი და გიორგი ხუბუა. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები (თბილისი: „მერიდიანი“, 2005),

კორკელია, კონსტანტინე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. (2004). ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008db49>

კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში (2004): ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168008db49>

კორკელია, კონსტანტინე, ნანა მჭედლიძე და ალექსანდრე ნალბანდოვი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005.

კონსტანტინე კორკელია, ნანა მჭედლიძე და ალექსანდრე ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005),

კორკელია, კონსტანტინე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელვერსია, 2002.

კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში (თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელვერსია, 2002),

კორკელია, კონსტანტინე და ქურდაძე, ირინე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004). ხელმისაწვდომია:

<https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004). ხელმისაწვდომია:

<https://rm.coe.int/168008ebdb>. [20.08.2020].

კუბლაშვილი, კონსტანტინე. ძირითადი უფლებები. თბილისი: „ფაუნტეინ ჯორჯია“, 2014.

კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (თბილისი: „ფაუნტინ ჯორჯია“, 2014),

მაკბერდი, ჯერემი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში. თბილისი: შპს „პატენტი“, 2011.

მაკბერდი, ჯერემი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში. თბილისი: შპს „პატენტი“, 2011.

ჯერემი მაკბერდი, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. თარგმანი მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრა“ ფარგლებში (თბილისი: შპს „პატენტი“, 2011),

მესხორაძე, ლევან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები (სახელმძღვანელო იურისტებისათვის). თბილისი: „მერიდიანი“, 2015.

ლევან მესხორაძე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები (სახელმძღვანელო იურისტებისათვის) (თბილისი: „მერიდიანი“, 2015),

მჭედლიძე, ნანა. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები. თვითგამოცემული, 2017.

ნანა მჭედლიძე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები (თვითგამოცემული, 2017),

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები სამართლებრივი ანა-



ლიზი. ნაწილი II. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2012.

ტრექსლერი, შტეფან. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. მთარგმნელები: ვანო გოგელია, ეკა ლომთათიძე, ეკა ქარცივაძე, თამთა ივანიშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი. რედაქტორები: კონსტანტინე ვარძელაშვილი, ლალი ფაფიაშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი, ნანა მჭედლიძე, გიორგი მელაძე. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

შტეფან ტრექსლერი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. მთარგმნელები: ვანო გოგელია, ეკა ლომთათიძე, ეკა ქარცივაძე, თამთა ივანიშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი. რედაქტორები: კონსტანტინე ვარძელაშვილი, ლალი ფაფიაშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი, ნანა მჭედლიძე, გიორგი მელაძე (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010),

ტულუში, თეიმურაზ, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე და ვახუშტი მენაბდე. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი: შპს „სეზანი“, 2013.

თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე და ვახუშტი მენაბდე. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (თბილისი: შპს „სეზანი“, 2013),

ფარტენაძე, ომარ. თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.

ომარ ფარტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა (ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009),

ფაფიაშვილი, ლალი. „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებათა აღკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედაქტორი: კონსტანტინე კორკელია. თბილისი: GIZ, 2002.

ლალი ფაფიაშვილი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართ“. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: GIZ, 2002),  
ლიჩი, ფილიპი. როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. მე-3 გამოცემა. თბილისი, 2013.  
ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (მე-3 გამოცემა. თბილისი, 2013),  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში. თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012.  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გზამკვლევი პოლიტიკური პატიმრების შესახებ საქართველოში (თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2012),  
შაიო, ანდრამ. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. მარინა მაისურაძის თარგმანი. რედ. მაია მენაღარიშვილი. თბილისი: „სეზანი“, 2003.  
ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. მარინა მაისურაძის თარგმანი. რედ. მაია მენაღარიშვილი (თბილისი: „სეზანი“, 2003),  
შალიკაშვილი, მორის, გივი მიქანაძე და მაია (ზოია) ხასია. სასჯელადსრულების სამართალი (სახელმძღვანელო). თბილისი: „იურისტების სამყარო“, 2014.  
მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე და მაია (ზოია) ხასია, სასჯელადსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) (თბილისი: „იურისტების სამყარო“, 2014),  
ნარიდოშვილი, მალხაზ. ადამიანის უფლებები. რედ. გიორგი მელაძე. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005.  
მალხაზ ნარიდოშვილი, ადამიანის უფლებები. რედ. გიორგი მელაძე (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2005):  
ძამაშვილი, ბექა. თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშე-

მშლელი გარემოებები საქართველოში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017.

ბეჯა ძამაშვილი, თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017):

უცხოენოვანი:

Andrews, Penelope. “A Grand Exercise in Forgiveness, or Justice Held Hostage to Truth? South Africa’s Truth and Reconciliation Commission”, *Melbourne University Law Review* 8 (September 15, 2000). Available at SSRN:

<https://ssrn.com/abstract=1474051> or

<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1474051>.

Penelope Andrews, “A Grand Exercise in Forgiveness, or Justice Held Hostage to Truth? South Africa’s Truth and Reconciliation Commission”, *Melbourne University Law Review* 8 (September 15, 2000): Available at SSRN:

<https://ssrn.com/abstract=1474051> or

<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1474051>.

Boyle, Kevin. “The European Experience: The European Convention on Human Rights”. *Victoria University of Wellington Law Review*, Vol. 40, Issue 1 (June 2009): 167-176.

Kevin Boyle, “The European Experience: The European Convention on Human Rights”. *Victoria University of Wellington Law Review*, Vol. 40, Issue 1 (June 2009):

Brooks, Thom and Stein, Sebastian. *Hegel’s Political Philosophy On the Normative Significance of Method and System*. Oxford: Oxford University Press, 2017.

Thom Brooks and Sebastian Stein, *Hegel’s Political Philosophy On the Normative Significance of Method and System* (Oxford: Oxford University Press, 2017),

Cammack, Daniela. Plato and Athenian Justice. *History of Political Thought* XXXVI No. 4 (Winter 2015): 611-642. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2220867> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2220867>.

Daniela Cammack, Plato and Athenian Justice. *History of Political Thought* XXXVI No. 4 (Winter 2015): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2220867> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2220867>.

Ciorciari John D. and Ramji-Nogales, Jaya. “Lessons form the Cambodian Experience with Truth and Reconciliation”. *Buffalo Human Rights Law Review*, Vol. 19 (April, 2013): 193-216.

John D. Ciorciari and Jaya Ramji-Nogales, “Lessons form the Cambodian Experience with Truth and Reconciliation”. *Buffalo Human Rights Law Review*, Vol. 19 (April, 2013):

Cline, Donna. “Deprivation of Liberty: Has the European Court of Human Rights Recognised a ‘Public Safety’ Exception?” *Merkourios – Volume 29/Issue 76*, (2013): 23-38.

Donna Cline, “Deprivation of Liberty: Has the European Court of Human Rights Recognised a ‘Public Safety’ Exception?” *Merkourios – Volume 29/Issue 76*, (2013):

Conforti, Benedetto. *The Law and Practice of the United Nations*. Leiden: Martinus Nijhoff Publishers, 2010.

Benedetto Conforti, *The Law and Practice of the United Nations*. (Leiden: Martinus Nijhoff Publishers, 2010),

Council of Europe/European Court of Human Rights. *Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights*. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020.

Council of Europe/European Court of Human Rights, *Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights*. Strasbourg: Council of Europe/European Court of Human Rights, 2020,

Cullinan, Sarah. *Torture Survivors Perceptions of Reparation: A Preliminary Survey*. Mitcham: The Trustees of The Redress Trust, 2001.

Sarah Cullinan, *Torture Survivors Perceptions of Reparation: A Preliminary Survey*. Mitcham: The Trustees of The Redress Trust, 2001,  
De Schutter, Olivier. *International Human Rights Law Cases, Materials, Commentar*. Cambridge: Cambridge University Press, 2010.

Olivier De Schutter, *International Human Rights Law Cases, Materials, Commentar*. Cambridge: Cambridge University Press, 2010,

Doernberg, Don L.. "We the People: John Locke, Collective Constitutional Rights, and Standing to Challenge Government Action". *California Law Review*, Vol. 73, No. 1, (1985): 52-118. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1135789>.

Don L. Doernberg, "We the People: John Locke, Collective Constitutional Rights, and Standing to Challenge Government Action". *California Law Review*, Vol. 73, No. 1, (1985): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1135789>.

Dong-Choon, Kim. "Korea's Truth and Reconciliation Commission: An Overview and Assessment". *Buffalo Human Rights Law Review*, Vol. 19 (2013): 97-124.

Kim Dong-Choon, "Korea's Truth and Reconciliation Commission: An Overview and Assessment". *Buffalo Human Rights Law Review*, Vol. 19 (2013):

Dzehtsiarou, Kanstantsin. "European Consensus and the Evolutive Interpretation of the European Convention on Human Rights". *German Law Journal*, Vol. 12, Issue 10 (October 1, 2011): 1730-1745.

Kanstantsin Dzehtsiarou, "European Consensus and the Evolutive Interpretation of the European Convention on Human Rights". *German Law Journal*, Vol. 12, Issue 10 (October 1, 2011):

Elster, Jon. *Retribution and Reparation in the Transition to Democracy*. Cambridge: Cambridge University Press, 2006.

Jon Elster, *Retribution and Reparation in the Transition to Democracy* (Cambridge: Cambridge University Press, 2006),

Fomerand, Jacques. "The United Nations and Its Limits", *Seton Hall Journal of Diplomacy and International Relations* 1, no. 1 (Summer/Fall 2000): 51-60.

Jacques Fomerand, "The United Nations and Its Limits", *Seton Hall Journal of Diplomacy and International Relations* 1, no. 1 (Summer/Fall 2000):

Goodman, Lenn E. and Talisse, Robert B., "Introduction", In *Aristotle's Politics Today*, edited by Lenn E. Goodman and Robert B. Talisse, 1-13. New York: State University of New York Press, 2008.

Lenn E. Goodman and Talisse, Robert B., "Introduction", In *Aristotle's Politics Today*, edited by Lenn E. Goodman and Robert B. Talisse, 1-13 (New York: State University of New York Press, 2008),

Gross, Oren. "The Prohibition on Torture and the Limits of the Law". In *Torture: A Collection*, edited by Sanford Levinson. Oxford: Oxford University Press, 2004.

Oren Gross, "The Prohibition on Torture and the Limits of the Law". In *Torture: A Collection*, edited by Sanford Levinson (Oxford: Oxford University Press, 2004),

Hanhimäki, Jussi M.. *The United Nations: A Very Short Introduction*. Oxford: Oxford University Press, 2008.

Jussi M. Hanhimäki, *The United Nations: A Very Short Introduction* (Oxford: Oxford University Press, 2008),

Kaufman, Edy. "Prisoners of Conscience: The Shaping of a New Human Rights Concept", *Human Rights Quarterly*, Vol. 13, Issue 3 (1991): 339-367.

Edy Kaufman, "Prisoners of Conscience: The Shaping of a New Human Rights Concept", *Human Rights Quarterly*, Vol. 13, Issue 3 (1991):

Korff, Douwe. *The Right to Life: A Guide to the Implementation of Article 2 of the European Convention on Human Rights*. Human rights handbooks, No. 5. Germany: Council of Europe, 2006.

Douwe Korff, *The Right to Life: A Guide to the Implementation of Article 2 of the European Convention on Human Rights*. Human rights handbooks, No. 5. (Germany: Council of Europe, 2006),

Kramer, Larry. "The Interest of the Man: James Madison, Popular Constitutionalism, and the Theory of Deliberative Democracy". Stanford

Public Law Working Paper. No. 938721 (2006). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=938721> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.938721>.

Larry Kramer, “The Interest of the Man: James Madison, Popular Constitutionalism, and the Theory of Deliberative Democracy”. Stanford Public Law Working Paper. No. 938721 (2006): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=938721> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.938721>.

Laplante, Lisa J.. “Outlawing Amnesty: The Return of Criminal Justice in Transitional Justice Schemes”. *Virginia Journal of International Law*, Vol. 49, (2009); Marquette Law School Legal Studies Paper No. 08-26: 916-982. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1292062>.

Lisa J. Laplante, “Outlawing Amnesty: The Return of Criminal Justice in Transitional Justice Schemes”. *Virginia Journal of International Law*, Vol. 49, (2009); Marquette Law School Legal Studies Paper No. 08-26: Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1292062>.

Letsas, George. “The ECHR as a Living Instrument: Its Meaning and its Legitimacy”. (March 14, 2012). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2021836> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2021836>.

George Letsas, “The ECHR as a Living Instrument: Its Meaning and its Legitimacy” (March 14, 2012): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2021836> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2021836>.

Loucaide, Loukis G.. *The European Convention on Human Rights Collected Essays*. Leiden: Brill Publishers, 2007.

Loukis G. Loucaide, *The European Convention on Human Rights Collected Essays* (Leiden: Brill Publishers, 2007),

Macovei, Monica. *The right to liberty and security of the person (A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Right)*. Human rights handbooks, No. 5. Germany: Council of Europe, 2002.

Monica Macovei, *The right to liberty and security of the person (A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Right)*. Human rights handbooks, No. 5. (Germany: Council of Europe, 2002),

Malik, Zafar Javed. “Absolute Prohibition of Torture’: A Myth or Reality?” (February 1, 2011). Available at SSRN:

<https://ssrn.com/abstract=1753082> or

<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1753082> .

Zafar Javed Malik,. “Absolute Prohibition of Torture’: A Myth or Reality?” (February 1, 2011): Available at SSRN:

<https://ssrn.com/abstract=1753082> or

<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1753082> .

Mallinder, Louise. “Global Comparison of Amnesty Laws”. (August 1, 2009). *The Pursuit of International Criminal Justice: A World Study on Conflicts, Victimization, and Post-Conflict Justice*, M. Cherif Bassiouni, ed., Intersentia, Antwerp 2010. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1586831>.

Louise Mallinder, “Global Comparison of Amnesty Laws”. (August 1, 2009). *The Pursuit of International Criminal Justice: A World Study on Conflicts, Victimization, and Post-Conflict Justice*, M. Cherif Bassiouni, ed., Intersentia, Antwerp 2010: Available at SSRN:

<https://ssrn.com/abstract=1586831>

Mallinder, Louise. *Amnesty, Human Rights and Political Transitions: Bridging the Peace and Justice Divide (Studies in International Law)*. 1<sup>st</sup> ed. London: Hart Publishing, 2008.

Louise Mallinder, *Amnesty, Human Rights and Political Transitions: Bridging the Peace and Justice Divide (Studies in International Law)*. 1<sup>st</sup> ed. (London: Hart Publishing, 2008),

McBride, Jeremy. *Human Rights and Criminal Procedure*. Strasbourg: Council of Europe Publishing, 2009.

Jeremy McBride, *Human Rights and Criminal Procedure (Strasbourg: Council of Europe Publishing, 2009)*.



O'Connell, Rory. "Realising Political Equality: The European Court of Human Rights and Positive Obligations in a Democracy". *Northern Ireland Legal Quarterly*, Vol. 61, No. 3, (2010). 263-279. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1671615>

Rory O'Connell, "Realising Political Equality: The European Court of Human Rights and Positive Obligations in a Democracy". *Northern Ireland Legal Quarterly*, Vol. 61, No. 3, (2010): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1671615>

O'Flaherty, Michael and Heffernan, Liz. *International Covenant on Civil and Political Rights: International Human Rights Law in Ireland*. Dublin: Brehon Publishing, 1995.

Michael O'Flaherty and Liz Heffernan, *International Covenant on Civil and Political Rights: International Human Rights Law in Ireland* (Dublin: Brehon Publishing, 1995),

O'Hear, Anthony. *Political Philosophy*. Cambridge: Cambridge University Press, 2006.

Anthony O'Hear, *Political Philosophy* (Cambridge: Cambridge University Press, 2006),

Olasolo, Hector, Ramírez-Mendoza, Joel MF and Varón, Antonio. "Have the Colombian Government and the FARC Learnt the Lessons of the South African Truth and Reconciliation Commission As to the Need to Clearly Define and Prioritize the Main Goals of a Truth Commission?" *Harvard Human Rights Journal*, Forthcoming (October 9, 2017). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=3050269>.

Hector Ramírez-Mendoza, Joel MF Olasolo and Antonio Varón. "Have the Colombian Government and the FARC Learnt the Lessons of the South African Truth and Reconciliation Commission As to the Need to Clearly Define and Prioritize the Main Goals of a Truth Commission?" *Harvard Human Rights Journal*, Forthcoming (October 9, 2017): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=3050269>.

Palmer, Elizabeth. "Protecting Socio-Economic Rights Through the European Convention on Human Rights: Trends and Developments in

- the European Court of Human Rights”. *Erasmus Law Review*, Vol. 2, No. 4, (2009): 397-425. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1542674>.
- Elizabeth Palmer, “Protecting Socio-Economic Rights Through the European Convention on Human Rights: Trends and Developments in the European Court of Human Rights”. *Erasmus Law Review*, Vol. 2, No. 4, (2009): .Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1542674>.
- Parrilli, Davide Maria. “Criminal Law and Economics: Some Topics Related to the Cost of Imprisonment, Deterrence and to the Question if Crime Pays”. (September 10, 2006). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1270567> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1270567>.
- Davide Maria Parrilli, “Criminal Law and Economics: Some Topics Related to the Cost of Imprisonment, Deterrence and to the Question if Crime Pays”. (September 10, 2006): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1270567> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1270567>.
- Paust, Jordan J.. “The Absolute Prohibition of Torture and Necessary and Appropriate Sanctions”. *Valparaiso University Law Review*, Vol. 43, p. 1535, (2009); U of Houston Law Center No. 2009-A-7.
- Jordan J. Paust, “The Absolute Prohibition of Torture and Necessary and Appropriate Sanctions” (*Valparaiso University Law Review*, Vol. 43, p. 1535, (2009); U of Houston Law Center No. 2009-A-7):
- Peerenboom, Randall. “Human Rights and Rule of Law: What's the Relationship?”. *Georgetown Journal of International Law*, Vol. 36, (2005). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=816024>.
- Randall Peerenboom, “Human Rights and Rule of Law: What's the Relationship?” (*Georgetown Journal of International Law*, Vol. 36, (2005)): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=816024>.
- Philp, Mark. *Political Conduct*. Cambridge: Harvard University Press, 2007.
- Mark Philp, *Political Conduct* (Cambridge: Harvard University Press, 2007),

Piacibello, Julien. "Ad Hoc Reparation Mechanisms", *Houston Journal of International Law* 35, no. 1 (Winter 2013): 81-102.

Julien Piacibello, "Ad Hoc Reparation Mechanisms" (*Houston Journal of International Law* 35, no. 1 (Winter 2013)):

Reidy, Aisling. *The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights)*. Human rights handbooks, No. 6. Germany: Council of Europe, 2003.

Aisling Reidy, *The prohibition of torture (A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights)* Human rights handbooks, No. 6. (Germany: Council of Europe, 2003),

Wagner, Richard E.. "Richard Epstein's Classical Liberal Constitution: What might Benjamin Franklin Have Thought?". George Mason University Department of Economics Working Paper No. 14-03.

Richard E. Wagner "Richard Epstein's Classical Liberal Constitution: What might Benjamin Franklin Have Thought?" (George Mason University Department of Economics Working Paper No. 14-03):

Sadat, Leila N., Exile. "Amnesty and International Law". Washington U. School of Law Working Paper, No. 05-04-03 (April 2005). Available at SSRN:

<https://ssrn.com/abstract=712621> or

<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.712621>.

Leila N. Exile Sadat, "Amnesty and International Law" Washington U. School of Law Working Paper, No. 05-04-03 (April 2005): Available at SSRN:

<https://ssrn.com/abstract=712621>

or

<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.712621>.

Schlunck, Angelika. "Truth and Reconciliation Commissions". *ILSA Journal of International & Comparative Law*, Vol. 4, Issue 2 (Spring 1998): 415-422.

Angelika Schlunck, "Truth and Reconciliation Commissions" (*ILSA Journal of International & Comparative Law*, Vol. 4, Issue 2 (Spring 1998)):

Schmid, Evelyne. "Liberia's Truth Commission Report: Economic, Social, and Cultural Rights in Transitional Justice". *PRAXIS - The Fletcher*

Journal of Human Security, Vol. XXIV (May 2009): 5-28. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1425543>.

Evelyn Schmid, “Liberia’s Truth Commission Report: Economic, Social, and Cultural Rights in Transitional Justice” (PRAXIS - The Fletcher Journal of Human Security, Vol. XXIV (May 2009)): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1425543>.

Sellers, Mortimer Newlin Stead. “The Influence on Marcus Tullius Cicero on Modern Legal and Political Ideas”. Ciceroniana, the Atti of Colloquium Tullianum Anni, MMVIII (February 20, 2009). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1354102>.

Mortimer Newlin Stead Sellers. “The Influence on Marcus Tullius Cicero on Modern Legal and Political Ideas”. (Ciceroniana, the Atti of Colloquium Tullianum Anni, MMVIII (February 20, 2009)): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1354102>.

Shaw, Malcolm N.. International Law. 6<sup>th</sup> ed. Cambridge: Cambridge University Press, 2003.

Malcolm N. Shaw, International Law, 6<sup>th</sup> ed. (Cambridge: Cambridge University Press, 2003),

Shelton, Dinah L.. :An Introduction to the History of International Human Rights Law.” GWU Legal Studies Research Paper No. 346; GWU Law School Public Law Research Paper No. 346. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1010489> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1010489>.

Dinah L. Shelton, “An Introduction to the History of International Human Rights Law” (GWU Legal Studies Research Paper No. 346; GWU Law School Public Law Research Paper No. 346): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1010489> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1010489>.

Sollenberger, David. “Plato and Aristotle on the Limited Polis”. APSA 2012 Annual Meeting Paper (2012). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2105415>.

David Sollenberger, "Plato and Aristotle on the Limited Polis". (APSA 2012 Annual Meeting Paper (2012)): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2105415>

Stevens, Lonneke. "Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Do Not Limit its Increasing Use". *European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice*, Vol. 17 (2009): 165-180. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1404623>.

Lonneke Stevens, "Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Do Not Limit its Increasing Use". (*European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice*, Vol. 17 (2009)): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1404623>.

Stone, Adrienne. "Rights, Personal Rights and Freedoms: The Nature of the Freedom of Political Communication". *Melbourne Univeristy Law Review*, Vol. 25, No. 2, (2001). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1645042>.

Adrienne Stone, "Rights, Personal Rights and Freedoms: The Nature of the Freedom of Political Communication". *Melbourne Univeristy Law Review*, Vol. 25, No. 2, (2001): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1645042>.

Swart, Mia. "Name Change as Symbolic Reparation after Transition: The Example of Germany and South Africa". *German Law Journal* 9, no. 2 (February 1, 2008): 105-121.

Mia Swart, "Name Change as Symbolic Reparation after Transition: The Example of Germany and South Africa". *German Law Journal* 9, no. 2 (February 1, 2008):

United Nations. *Economic, Social and Cultural Rights: Handbook for National Human Rights Institutions (Professional Training Series)*. New York and Geneva: United Nations Publication, 2005.

United Nations, Economic, Social and Cultural Rights: Handbook for National Human Rights Institutions (Professional Training Series), (New York and Geneva: United Nations Publication, 2005):

- Vakulenko, Anastasia. “Compliance of Ukrainian Law and Practice with Article 5 of the European Convention on Human Rights”. Human Rights Law Review, Vol. 4, Issue 1 (Spring 2004): 77-108.

Anastasia Vakulenko, “Compliance of Ukrainian Law and Practice with Article 5 of the European Convention on Human Rights,”. Human Rights Law Review, Vol. 4, Issue 1 (Spring 2004):

- Vasu, Reddy. “Truth and Reconciliation Commission”. South African Human Rights Yearbook Vol.8 (1997): 267-298.

Reddy Vasu, “Truth and Reconciliation Commission”. South African Human Rights Yearbook Vol.8 (1997):

- Wiebelhaus-Brahm, Eric. “What is a Truth Commission and Why Does it Matter?” Peace and Conflict Review, Vol. 3, No. 2 (Spring 2009): 1-14. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1611719>.

Eric Wiebelhaus-Brahm, “What is a Truth Commission and Why Does it Matter?” Peace and Conflict Review, Vol. 3, No. 2 (Spring 2009): Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1611719>.

გამოყენებული სასამართლო პრაქტიკა  
ქართულენოვანი:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #1/5/362-363,367 განჩინება საქმეზე „დავით მირცხულავა, გიორგი კუპრეიშვილი და შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის №1/9/701,722,725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1/392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება საქმეზე „ნ. ცოტნიაშვილი, ბ. მაჭარაშვილი, შ. სომხიშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება საქმეზე „ნ. ცოტნიაშვილი, ბ. მაჭარაშვილი, შ. სომხიშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უცხოენოვანი:

Khodorkovskiy and Lebedev v. Russia (Applications nos. 11082/06 and 13772/05), ECHR 25 October 2013;

Rashad Hasanov and others v. Azerbaijan (nos. 48653/13), ECHR 7 June 2018;

Sedjic and Finci v. Bosnia and Herzegovina (nos. 27996/06 and 34836/06), ECHR 22 December 2009;

Assenov and others v. Bulgaria (nos. 90/1997/874/1086), ECHR 28 October 1998;

Bachana Akhalaia v. Georgia (nos. 30464/13 and 19068/14), ECHR 28 September 2015;

Belgium v Belgium (nos. 1474/62; 1677/62; 1691/62; 1769/63; 1994/63; 2126/64), ECHR 23 July 1968.

Handyside v. UK (no. 5493/72), ECHR 7 December 1976;

Castells v. Spain (no. 11798/85), ECHR 23 April 1992;

Incal v. Turkey (no. 41/1997/825/1031), ECHR 9 June 1998;

Witold Litwa v. Poland (no. 26629/95), ECHR 4 April 2000;

Giorgi Nikolaishvili v. Georgia (no. 37048/04), ECHR 13 January 2009;

Anguelova v. Bulgaria (no. 38361/97), ECHR 13 June 2002;

Steel and Morris v. UK (no. 68416/01), ECHR 6 April 2004;

Gusinsky v. Russia (no. 70276/01), ECHR 9 May 2004;

Khudoyorov v. Russia (no. 6847/02), ECHR 8 November 2005;

Javakhishvili v. Georgia (no. 42065/04), ECHR 2 October 2007;

Patsuria v. Georgia (no. 30779/04), ECHR, 6 November 2007;

Cebotari v. Moldova (no. 35615/06), ECHR 13 February 2008;

Smirnova v. Russia (no. 22442/05), ECHR, 6 March 2008 ;

Moisev v. Russia (no. 62936/00), ECHR 6 April 2009;

Medvedyev and Others v. France (no 3394/03) ECHR 29 March 2010.

Khodorkovskiy v. Russia (no. 5829/04), ECHR 31 May 2011;

Tymoshenko v. Ukraine (no. 49872/11), ECHR 10 August 2011;

Lutsenko v. Ukraine (no. 6492/11), ECHR 3 July 2012;

Insanov v. Azerbaijan (no. 16133/08), ECHR 14 Mar 2013;

Hilal Mammadov v. Azerbaijan (no. 81553/1), ECHR 2 April 2014;



Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 15172/13), ECHR 13 October 2014;  
Giorgi Ugulava v. Georgia (no. 5432/15), ECHR 28 September 2015;  
Rasul Jafarov v. Azerbaijan (no. 69981/14), ECHR 17 March 2016;  
Merabisvhili v. Georgia (no. 72508/13), ECHR 28 November 2017;  
Enukidze and Girgvliani v. Georgia (no. 25091/07), ECHR 26 April 2011.

გამოყენებული ანგარიშები და სამართლებრივი აქტები  
ქართულენოვანი

„2004–2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილება (N5432-III, სსმ, ვებგვერდი, 21/06/2016). ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315583?publication=0>.  
[20.08.2020];

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია” (სსმ, გაურკვეველი, -, 16/11/1999), მუხლი 34. ხელმისაწვდომია:  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>.  
[20.08.2020].

„ამნისტიის შესახებ” საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი (N202-რს, (სსმ, ვებგვერდი, 12/01/2013). ხელმისაწვდომია:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020?publication=0>.  
[20.08.2020];

„ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის” (N200/42, სსმ, ვებგვერდი, 11/09/2014). ხელმისაწვდომია:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>.  
[20.08.2020];

„ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე” (დასკვნა N728; 27 ივნისი, 2013 წელი). ხელმისაწვდომია: <https://gdi.ge/uploads/other/0/182.pdf>. [20.08.2020];

„კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ, -, 25/05/2000). ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>.

[20.08.2020];

„მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე“ 2013 წლის 20 მაისის საქართველოს კანონი (N0 სსმ, ვებგვერდი, 20/05/2013), ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1924705?publication=0>.

[20.08.2020];

„საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის N62 ბრძანება (N62, სსმ, ვებგვერდი, 13/02/2015). ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2728207?publication=0>.

[20.08.2020];

„საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“. ხელმისაწვდომია:

<https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020].

„საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“, დანართი N1.

<https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020].

„წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (სსმ,-, 25/05/2000). ხელმისაწვდომია:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>.

[20.08.2020];

განმარტებითი ბარათი საქართველოს პარლამენტის დადგენილებისათვის „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური

ნიშნით დევნილ პირთა შესახებ”. ხელმისაწვდომია:  
<https://info.parliament.ge/#law-drafting/435>. [20.08.2020];

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. (სსმ, გაურკვეველი, -, 25/05/2000). ხელმისაწვდომია:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>.  
[20.08.2020];

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია:  
[http://constcentre.gov.ge/failebi/1921\\_clis\\_konstitucia\\_33442.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf).  
[20.08.2020];

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. (N161, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984) ხელმისაწვდომია:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=465>.  
[20.08.2020];

საქართველოს კონსტიტუცია (N7862, სპუ, 31-33, , 24/08/1995). ხელმისაწვდომია:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>.  
[20.08.2020];

საქართველოს სახალხო დამცველი. „2011 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”. ხელმისაწვდომია:  
<https://drive.google.com/file/d/1BIXIPKQaeHyML-yfUQbxxRg3lOh07NJA/view>. [20.08.2020];

საქართველოს სახალხო დამცველი. „2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”. ხელმისაწვდომია: [https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1\\_vGouD7apUmMR6MImiHIP/view](https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1_vGouD7apUmMR6MImiHIP/view). [20.08.2020];

საქართველოს სახალხო დამცველი. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2008 წლის პირველი ნახევარი”. ხელმისაწვდომია:  
<https://drive.google.com/file/d/1BIXIPKQaeHyML-yfUQbxxRg3lOh07NJA/view>. [20.08.2020];

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი N2287, (სსმ, 41(48), 13/08/1999). ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=228>.

[20.08.2020];

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (N1772, სსმ, 31, 03/11/2009). ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124>.

[20.08.2020];

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (N800/3, ვებგვერდი, 20/02/2019). ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4478727?publication=0>.

[20.08.2020].

უცხოენოვანი

Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution on political prisoners in Azerbaijan (N 1359 (2004) Adopted by Parliamentary Assembly on 27 January 2004), available at:

<https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17179&lang=en> [20.08.2020];

Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution on The definition of political prisoner (N1900 (2012) Adopted by the Assembly on 3 October 2012), available at: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150&lang=en> 20.08.2020];

Council of Europe, European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, (adopted 4 November 1950), available at:

[https://www.echr.coe.int/Documents/Convention\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf). [20.08.2020];

Council of Europe, Information Document on Cases of alleged political prisoners in Armenia and Azerbaijan (SG/Inf(2001)34 / October, 2001), available at: <https://rm.coe.int/16805e27f5> . [20.08.2020];

Fifth Virginia Convention, The Virginia Declaration of Rights (June, 1776), available at:

[http://www.archives.gov/exhibits/charters/virginia\\_declaration\\_of\\_rights.html](http://www.archives.gov/exhibits/charters/virginia_declaration_of_rights.html). [20.08.2020];

International Federation of Human Rights, *After the Rose, the Thorns: Political Prisoners in Post-Revolutionary Georgia*. (n°528a, September 2009), available at: <https://www.fidh.org/IMG/pdf/PolPrisGeorgia.pdf>. [20.08.2020];

National Constituent Assembly of France, *The Declaration of the Rights of Man – 1789* (August, 1789), available at:

[http://avalon.law.yale.edu/18th\\_century/rightsof.asp](http://avalon.law.yale.edu/18th_century/rightsof.asp). [20.08.2020];

Parliament of England, *The Habeas Corpus Act* (adopted by the Parliament of England, 31 Cha. 2 c. 2, May 1679), available at: <https://www.bl.uk/learning/timeline/item104236.html> [20.08.2020];

Second Continental Congress, *The Declaration of Independence: A Transcription*, (July 4, 1776), available at:

<https://www.archives.gov/founding-docs/declaration-transcript>. [20.08.2020];

United Nations, *Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment* (Adopted by General Assembly resolution 43/173 of 9 December 1988), available at <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx>;

United Nations, *Draft articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts* (Supplement No. 10 (A/56/10), chp.IV.E.1, November, 2001), Supplement No. 10 (A/56/10), available at: [https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/commentaries/9\\_6\\_2001.pdf](https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/commentaries/9_6_2001.pdf). [20.08.2020];

United States Department of State, *2007 Country Reports on Human Rights Practices - Georgia*, 11 March 2008, available at:

<https://www.refworld.org/docid/47d92c3ac.html>. [20.08.2020].

## ვებგვერდები

ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტი. ნანახია 20.08.2020 წელს. <https://www.usip.org>

კემბრიჯის ინგლისური ენის ლექსიკონი. ნანახია 20.08.2020 წელს. <http://dictionary.cambridge.org>

საერთაშორისო ამნისტიის ვებგვერდი. ნანახია 20.08.2020 წელს. <http://www.amnestyusa.org>

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ნანახია 20.08.2020 წელს. <http://www.nplg.gov.ge>

რადიო თავისუფლება. ნანახია 20.08.2020 წელს. <https://www.radiotavisupleba.ge>

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია. ნანახია 20.08.2020 წელს. <https://www.fidh.org/>

საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლო. ნანახია 20.08.2020 წელს. <https://www.conseil-constitutionnel.fr/>

ევროპის საბჭოს ვებ-გვერდი. ნანახია 20.08.2020 წელს. <https://www.coe.int>